

თინათინ ჭალია

ქალი
მულტიკულტურული
უბნიდან



თინათინ ჭაღია

ქალი მულტიკულტურული უბნიდან



გამომცემლობა „მნიგობარი“
თბილისი, 2022

რედაქტორი
ზაალ ბოტკოველი

დიზაინერი
ეკა ლიფონავა

დამაკაბადონებელი
თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-503-10-8



ავტორისგან

ამ რომანის წერა 2020 წლის მარტში დავიწყე და 2022 წლის სამ თებერვალს დავასრულე. პერსონაჟები კორონულ გარემოში ჩავტოვე, მაგრამ მკითხველი იგრძნობს, რომ მსოფლიოს აქამდე გადაულახავი პრობლემა დასასრულს უახლოვდება. ტექსტში მრავალ ყოფით პრობლემაზე გავამახვილე ყურადღება. რომანი მრავალწახნაგოვანია, ერთდროულად დოკუმენტურიცაა და მხატვრულიც.

იძულებით კარჩაკეტილობას, ხელოვნურად შექმნილ დისტოპიურ გარემოს ვაბრალებ ადამიანთა შორის წარმოქმნილ მახინჯ ურთიერთობებსაც.

რომანი ზომიერადაა შეზავებული ნეორეალიზმისა და სიურეალიზმისთვის დამახასიათებელი ნიუანსებით. არსებული რეალობა შეულამაზებლადაა ასახული, რაც ადამიანის ქვეცნობიერსა და არაცნობიერში მიმდინარე თანმიმდევრულ ნორმალურ პროცესებს სახეს უცვლის. პერსონაჟები გაუგებარ ვითარებაში განიცდიან წარსულ ცხოვრებაში ჯერ არ განცდილ უბედურებას. მთავარი გმირისთვისთვის ანმყოფაქტია, მაგრამ იმავდროულად დაუჯერებელიც. ის ინტუიციურად განვითარებული ადამიანია და თავგამოდებით იბრძვის საკუთარი სულის გადასარჩენად. ცდილობს შეეგუოს შეცვლილ ვითარებას ისე, რომ არ დაკარგოს ღირებულებების, პრინციპების დაცვის უნარი თუმც შინაგანი ძალების სიმწირის გამო ბრძოლა უჭირს და საჭიროებს მეტი სიყვარულის შეგრძნებას იმ ადამიანების მხრიდან, რომლებთანაც ურთიერთობს.

ეპიდემია-პანდემიის მძვინვარებისას მთავარი პერსონაჟი ბარბარე უცნაურ სიზმრებს ხედავს, მეტაფორულს, ალეგორიულს, წინასწარმეტყველურს და რეალობასთანაც შესაბამისს. მის სურვილებსა და ოცნებებს ჩარჩოები ახსნილი აქვთ, მაგრამ დაბლოკილ ყოფაშიც ცხოვრება ადამიანებისა მაინც გრძელდება, გამონაკლისი არც ბარბარეა და სიყვარულის



განცდა, რომელიც ერთი მამაკაცის მიმართ უჩნდება ეხმარება გამონახოს გამოსავალი შინაგანი ტყვეობისძან თავის დასახსნელად. იმ კარგმა, ასაკოვანმა მეგობარმა მამაკაცმა არ იცის ბარბარეს გრძნობების შესახებ, ვერც კი წარმოუდგენია და არც ბარბარე ამჟღავნებს თავის უცნაურ სიყვარულს, რომელიც არ საჭიროებს ფიზიკურ სიახლოვეს, ამიტომაც ინახავს თავის სულიერ ძლიერ განცდას, უფრთხილდება და ელოლიავება.

კორონა ვირუსის გამოჩენამ და დამკვიდრებამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟებისთვის დრო გააჩერა. ისინი ფიქრობენ, რომ ცხოვრებაში აღარაფერი დარჩა სასიამოვნო და გასახარი. ვირუსის ახალ შტამებს ემალებიან, დაინფიცირების შემთხვევაში კოვიდ-სასტუმროსა და საავადმყოფოში მოხვედრისა ეშინიათ, ჰგონიათ, რომ სწორედ ამ სივრცეებშია სიკვდილი ყველაზე მეტად აგრესიული, დაუნდობელი. ჩანს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი კოვიდ-ვაქცინაციას არ ენდობა. დაბნეულობა, გაუგებრობა, ქაოსი მძვინვარებს და შეჩერებულ, კარჩაკეტილ მარტოობაში მთავარი პერსონაჟის ცხოვრებაში მაინც ჩნდებიან ახალ ადამიანები, შორს ნასული ძველი ახლობლებიც ბრუნდებიან, მაგალითად ქეთო, მეტსახელად ქოთქოთა, რომელიც ბარბარეს ბავშვობის წლებს გაახსენებს და დროებით აწმყოს შავ-ნაცრისფერიდან ფერადოვან სამყაროში გადაანაცვლებინებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დროის შეჩერების შეგრძნება ცრუა, ცხოვრება ადამიანებისა შედარებით მდორედ მიედინება, მაგრამ სიცოცხლე, ცხოვრება, ცვლილებები ადამიანთა ყოფაში კარგიც და ცუდიც მაინც ხდება.

ხელოვნურად დაწესებული შეზღუდვები, მწვანე ბარათების შემოღება გონებას ურევს, პესიმისტურ განწყობას უქმნის სამ მთავარ პერსონაჟს. არავაქცინირებული ბარბარე კი თავს გამოუხსადეგარ, უსარგებლო ადამიანად მოიაზრებს, ვერ აღიქვამს საკუთარ ცხოვრებაში მომხდარ სასიამოვნო ცვლილებებს, სიხარულის განცდა დაჩლუნგებია, იმიტომ, რომ უარყოფითი თავზე საყრელად აქვს. როგორც ადამიანს, არანაირი უბედურება, ბოროტება და გასაჭირი არ ცვლის



და რჩება იგივედ. სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში ეხმარება ცისფერი სახლიც, რომელიც ერთ-ერთი საინტერესო პერსონაჟია. ის მასპინძლობს ბარბარეს წინაპართა სულს, ინახავს მოგონებებს, სიხარულით ხვდება ამ ქალის კეთილისმყოფელებს და უხილავ გულში იხუტებს ბარბარესთვის მოსულ ასევე უხილავ მუზებს.

მონათხრობი არის მაქსიმალურად სადა. იმის გამო, რომ ვცხოვრობთ პოსტმოდერნულ საზოგადოებაში, ამ მდგომარეობას წერის დროსაც გვერდს ვერ აუქცევ. პოსტმოდერნი კი ვლინდება პასტიშის ხერხისა და ლიტერატურის სტილისტური მახასიათებლის ინტერტექსტუალობის, მაგიური რეალიზმის გამოყენებისას. რომანი გამდიდრებულია არარეალისტური სიუჟეტებით, ყურადღება მრავალ საზრისსა და გაგებაზეა გამახვილებული. კონკრეტული თემაც უმეტესად სხვადასხვა რაკურსითაა განხილული, რაც არ ნიშნავს, რომ ავტორის ყველა ნააზრევს დაეთანხმოს მკითხველი.

მითოლოგიიდან სესხად აღებული და თანამედროვე გარემოში ჩასმული ჰერმესი, იგივე მერკური, სამ დაზაფრულ ადამიანს ევლინება, ესაუბრება იმაზე, თუ როგორ მოიქცნენ კორონა-პანდემიით დაზიანებულ სამყაროში. ის ქრება, მაგრამ რომანის გმირებს რწმენა უმყარდებათ, რომ უფალს ადამიანებისთვის ზურგი არ შეუქცევია.

ნანარმოებში არის ნოველის და ზღაპრის მსგავსი სიუჟეტები და კონტრასტები, ინტერპრეტაციები, კოლაჟები, სხვადასხვა ჟანრებისთვის დამახასიათებელი ტექსტები მოკლებულია ჰარმონიულობას, რაც ინვევს დაქუცმაცებულობის შეგრძნებას. ხაზგასმით აღვნიშნავ, პერსონაჟები რჩებიან კორონულ სამყაროში და ახალი უბედურების მოლოდინშიც არიან, რომელიც შესაძლოა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მოხდეს, და ესაა ბირთვული ომის დანყების საშიშროება, რაც ნიშნავს, რომ საფრთხე განადგურებისა საყოველთაოა და გამოთქმა, „სხვისი ქირი, ღობეს ჩხირი“ კატეგორიულად მიუღებელია. ანმყოდან წარსულში გადასვლების მიუხედავად, რომანი ინარჩუნებს



თანმიმდევრულობას ახლანდელ დროში, ფეხდაფეხ მისდევს რეალობაში მიმდინარე ცვლილებებსა და განვითარებულ მოვლენებს.

წიგნის წინა ყდაზე გამოსახულია ძველისძველი როიალის კლავიატურა, რომლის დაზიანებულ კლავიშებს ზემოდან მუნდშტუკით ადევს ახალი საკრავი საქსოფონი. კლავიატურა გაცილებით დიდია, ვიდრე საქსოფონი, რაც სინამდვილესთან შეუსაბამოა, მაგრამ თვალისთვის აღსაქმელად მაინც მისაღებია. ჩანაფიქრი საინტერესოდ წარმოაჩინა ყდის დიზაინის ავტორმა ეკა ლიფონავამ. როიალი ძველია, მაგრამ გამოსადეგი. ახალი საქსოფონი კი არასწორად დადების შემთხვევაში შესაძლოა სასტიკად დაზიანდეს, როგორც ინსტრუმენტი და მისგან მხოლოდ ბუტაფორია დარჩეს.

უკანა ყდაზე გამოსახულია წითელი აგურის კედელი, ეს ცისფერი სახლის აგურებია, მთავარი მასალა, რითაც აუგიათ. სარკმლის ოთხ ჭრილში, რომელსაც ჯვრის ფორმა აქვს ქალაქის ულამაზესი ადგილები და ცისფერი სახლის ეზოა გამოსახული.

ვაჟა ფშაველას სიტყვებს მოვიშველიებ, „ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა!“ რაც ნიშნავს, რომ სამყაროს შეუძლია ადამიანის გარეშე არსებობის უკეთ გაგრძელება, ადამიანს კი ვერა სუფთა ჰაერის, ცის, მზის წყლის, საკვების გარეშე განვითარება და ცხოვრების გაშინაარსებ-გალამაზება. დღეს-დღეობით დედამიწელთა დამოკიდებულება სამყაროს მიმართ უფრო მეტად მომხმარებლურია, ვიდრე მზრუნველობითი, რაც ვფიქრობ, რომ ადამიანთა მოდგმისთვის დამახასიათებელი უმადურობის შედეგს წარმოადგენს.



ამბავი პირველი

კომენდატის საათი

ნაცრისფერი

2020 წლის 22 აპრილი გათენდა. ახალგაზრდა მსახიობი დიდი ისტორიის მქონე დრამატული თეატრის დასში მიიღეს, ხელფასიც დაუნიშნეს. სპექტაკლებში მონაწილეობა, რეპეტიციებზე სიარული, როლის მორგება, მეცადინეობა სარკის წინ, თეატრის სცენის მტვრის სუნთქვა წინასწარ უხაროდა, მაგრამ მოვიდა ჩინეთიდან რალაც გრიპის ვირუსი, თავს დაესხა ადამიანებს, ბევრი დახოცა, ბევრსაც ჯანმრთელობა დაუზიანა, ზოგმაც უსიმპტომოდ გადაიტანა. პანიკამ მოიცვა სრულიად დედამინა, ყველა ეჭვიანი გახდა სხვების და საკუთარი თავის მიმართაც, ვინაიდან ნებისმიერი შეიძლება ისე გამხდარიყო ვირუსის მატარებელი, რომ თავად არაფერი ეგრძნო და გარშემო მყოფნი დაეავადებინა. ვირუსს კოვიდ-19 ერქვა და მსოფლიოს მოსახლეობა კორონას ეძახდა. პანდემიის სახით გავრცელდა, დედამინაზე ყველაფერი გააჩერა, ყველაფერი კი არა, თავად დედამინაც გააჩერა, ადამიანები სახლში გამოკეტა, ერთმანეთთან მიახლოების უფლება წაართვა.

შინ სრულიად მარტო დარჩენილმა მსახიობმა დედა, მეუღლე და ქალ-ვაჟი სიდედრთან გახიზნა, სუფთა ჰაერზე, სოფელში. მხოლოდ ფეისბუქის საშუალებით ესაუბრებოდა ახლობლებს, ეს იყო მისი ერთადერთი სიხარული იმ დღეებში.

შხაპის მიღება დაეზარა, ხელ-პირი დაიბანა, კბილებიც გაიხეხა. წვერიან სახეზე ხელი მოისვა, ხომ არ გავიპარსოო, მაგრამ გადაიფიქრა.

აბურდულ სანოლს გახედა, არ გაასწორა. მობილურ ტელეფონს დახედა, დილის 5 საათი იყო, აპარატი დასატენად შეაერთა შტეფსელში.



არ იცოდა რა ექნა, მონყენილობა როგორ დაეთრგუნა. იმ დღეებში ტელევიზორსაც აღარ უყურებდა, საინფორმაციო გადაცემები, ფილმები, რეკლამები აღიზიანებდა. ვერ ისაუზმა, ვინაიდან სახლში არაფერი ჰქონდა. არც ჩაი, არც ყავა, არც პური... ერთი ქილა მარწყვის ჯემი იპოვა, ონკანის წყალი ჩაასხა ჭიქაში, ჯემი წყალში გახსნა და დრო რომ გაეყვანა, ნელ-ნელა წრუპვა დაუნყო.

დაღია დამტკპარი არომატული წყალი და სკამზე ჩამომჯდარს, სამზარეულოს მაგიდასთან, ჩაეძინა.

გაიღვიძა, მობილური ტელეფონი გაახსენდა, დახედა, ათი საათიც გამხდარიყო. ტელეფონი შარვლის წინა ჯიბეში ჩაიდო, ქურთუკი ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. სასურსათო მაღაზიები ღია იყო, იფიქრა, პურს, კვერცხს და მზესუმზირის ზეთს ვიყიდო. გზად მიმავალმა ქურთუკის ჯიბიდან პირბადე ამოიღო და სახეზე მიიმადრა. მაღაზიის კართან რიგში მდგარ ადამიანებს ჰკითხა, ვის შემდეგ ვარო, ბოლომ ხელი ასწია და ცივად უპასუხა, - მე.

პირბადე სუნთქვაში ხელს უშლიდა, არადა, ადამიანების გვერდით იდგა, უნდა კეთებოდა, პირბადის გარეშე მაღაზიაში არ შეუშვებდნენ. სამედიცინო ხელთათმანებიც ედო ჯიბეში, რომელიც ეჯავრებოდა, რომ წამოიცვამდა, რამდენიმე წუთში ხელები უოფლიანდებოდა და დისკომფორტის შეგრძნება სტანჯავდა, თანაც, კანი გამოოშურა, თითების გარშემო ნუნები გაუხმა.

მაღაზიაში შესული მყიდველები გამოსვლას არ ჩქარობდნენ. რა შეუგნებლობაა, გაიფიქრა მსახიობმა.

პატრულის მანქანამ ჩამოიარა ზოზინით, ორი პოლიციელი მაღაზიის წინ მდგარ ადამიანებს აკვირდებოდა და ერთ-ერთი ხალხს მიკროფონით ახსენებდა, დაეცვათ დისტანცია, არადა, დაცული ჰქონდათ. მსახიობმა ხელი ჩაიქნია, იქ მდგომთ უთხრა, წავედიო და უმიზნოდ გზა გააგრძელა. ცრემლები წამოსცივიდა თვალებიდან. მიდიოდა მანქანების სავალ გზაზე, ვინაიდან, ისინი აღარ დადიოდნენ, არც ადამიანები. აბა, ვინ წარმოიდგენდა, დიდი ქალაქის გარეუბანი დილით ასე მდუმარე და უსიცოცხლო თუ იქნებოდა. ერთფეროვანი, ფერშელახული, დაძველებული



კორპუსებით გაძეძგილი გარემო თითქოს ყვიროდა და შველას ითხოვდა. მსახიობის ხედვით, ყოველივე განაცრისფრდა. ვერ ამჩნევდა აყვავებულ ხეებს, მწვანე ბალახს, მთებს, ვერც ჩიტები დაინახა და არც მათი ხმა გაუგია, ქუჩის ძაღლებიც სადღაც მიმალულიყვნენ.

ტელეფონმა დაინკარუნა, ესემესი მოვიდა, დახედა, ხელფასი ჩაურიცხეს. გაუხარდა, ბანკომატთან მივიდა, ფულს მოგხსნი, ცოტა თანხას დავიტოვებ და დანარჩენს მეუღლეს დავურიცხავ ანგარიშზეო, მაგრამ შეჩერდა. თავის გართობის და უღიმღამო დღის შინაარსიანად დასრულების მოტივს მიაგნო. განიზრახა, თეატრის ძველ და დიდებულ, თეთრ, ჩუქურთმებიან შენობასთან მისულიყო, რომელიც შუა ქალაქში იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ვერც მეტროთი ისარგებლებდა, მტკიცედ გადაწყვიტა, საკუთარი თავისთვის მარათონი მოეწყო. გზად, რამდენიმე ადგილას შეეყოვნა სკვერთან, პარკთან, სკამზე ჩამოჯდა მოსასვენებლად, მეზაღეები გამოსულიყვნენ და ბალახს კრეჭდნენ სპეცმანქანებით, ისინიც დისტანციას იცავდნენ, თანამშრომლები იყვნენ და ერთურთს არ ესაუბრებოდნენ, თავისთვის იყო ყველა.

მოსწყურდა მსახიობს. სასურსათო მაღაზიასთან, რიგში დგომამ მოუწია, მინერალური წყალი იყიდა, რამდენიმე ყლუპი მოსვა და გზა გააგრძელა. მიდიოდა და არაფერზე ფიქრობდა, ერთი მიზანი ჰქონდა მხოლოდ, მისულიყო საყვარელ, თეთრ და ჩუქურთმებიან თეატრის შენობასთან.

მივიდა, შვებით ამოისუნთქა, ამასობაში, შუადღეც დამდგარიყო. რამდენიმე წუთს იდგა თავდახრილი, დამწუხრებული, ჩამოჯდა სკამზე და კვლავ აუცრემლიანდა თვალები, ორივე მჯილით მოინმინდა ცრემლი და გაიფიქრა, მალე გადაივიდეს ეს ჯანდაბა და დოზანა, სულ ასე ხომ არ იქნებაო!

ბანკომატთან მივიდა, აიღო ხელფასი, რომელიც არც დაუმსახურებია, ჯერ რა გააკეთა რო?! ახლა, ამ წუთს, გზად რომელიმე თანამშრომელი რომ შეხვდეს, შეიძლება ვერც იცნოს მსახიობი, დასის ზოგი წევრი არც კი გაუცნია.

როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა დიდი ნაწილი თანხისა, სოფელში, ოჯახს, გადაურიცხა, თეატრის შენობას გახედა და თავი



დაუკრა, მადლობის ნიშნად, თითქოს მან მისცა გასამრჯელო და არა თეატრის ადმინისტრაციამ, თითქოს, ის იყო მთავარი...

ჩაფიქრდა, უკან გაბრუნება ეძნელებოდა. შუა ქალაქის იმ უბნის შემოვლა განიზრახა, რომლის ტერიტორიაზეც თეატრის შენობა იდგა.

ცუდად დაინყო საუკუნე და უარესად ეს ათწლეული. ხანძრები და წყალდიდობა სამშობლოში, ხანძარი ამაზონის ტყეში, ხანძრები სხვადასხვა ქვეყანაში, გაახსენდა, როგორ ეტკინა გული, როცა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის დანვის ამბავი გაიგო. გრიპები- ფრინველის, ღორის, მანამდე კიდევ შიდასი, ცე ჰე-პატიტი, სხვადასხვაგვარი ინფექციის შემოტევა, რომელთა სახელები არც ვიციოდა მსახიობმა. მამა იყო და შეკრთა, როცა ქალაქის სკოლებში მენინგიტის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. ყველა ჭირი დაიძლია და ახლა ეს კოვიდ-19 არ გამოტყვრა...

მოხილური ტელეფონით გადაულო ფოტოები სახლებს, უკვე ისტორიულ, არქიტექტურულ ძეგლებად აღიარებულებს, ფერად-ფერადებს, რომელთა სადარბაზოებს უნიკალური, ლამაზი კარი ამშვენებდა, აივნებსა და ეზოს ჭიშკრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ და, თავის დროზე, ყველა მათგანს თავიანთი მფლობელი, პატრონი, რომ ჰყავდა.

ქალაქის ულამაზეს, ადრეც გადაკეტილ და მანქანებისთვის აკრძალულ ქუჩაზე აღმოჩნდა, რომელიც მსოფლიომ რამდენიმე წლის წინ აღიარა ევროპისა და აზიის კონტინენტზე უმშვენიერეს, კოპონა ადგილად, აქ ხომ სიცოცხლე სჩქეფდა და გული დასწყდა მსახიობს, რომ ადრე ვერ მოახერხა მეუღლესთან ერთად გამოსეირნება, სადმე, ამ უბნის პატარა კაფეში, ფინჯანი ყავის დაღევა, სადაც, მხოლოდ რესტორნები, კაფე-ბარები და ნაირნაირი პროფილის მასაჟის სალონები იყო განლაგებული. ღამით უფრო მხიარულობდა ქუჩა, ვიდრე დღისით. ვის არ ნახავდით, რომელი ქვეყნის წარმომადგენელსაც გსურდა, იმას დააკვირვებოდი, და ახლა... არც ჟრიამული, არც სხვადასხვა კერძების, ცივი თუ ცხელი სასმელების სურნელი, არც აზიური და ევროპული მელოდიების ხმა ისმის, თითქოს აღარავინ ცხოვრობს აქ, უკაცრიელ ნაცრისფერში ჩაძირულა მხიარულებაც და ამ ქუჩის მშვენიერებაც.



ერთ-ერთი კაფეს წინ მდგარ მაგიდებს მიუახლოვდა, მაგიდას თითი გადაუსვა, მტვერი მაშინვე აჰყვა. გული ეტკინა, თითქოს ნაცრისფერს სუნიც ჰქონდა, რალაც უცნაური, შემადრწუნებელი...

დაბინდდა და მკვეთრ ნაცრისფერში გამოკვეთილმა ცისფერმა სახლმა შეაჩერა. გული აუჩქარდა. ის ხომ ერთ დროს კვირაში სამჯერ დადიოდა ამ სახლში მშობლიური ენის გრამატიკისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე რეპეტიტორ ბარბარე მასწავლებელთან.

კითხვა არ უყვარდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა ეკითხა, ტექსტების ცოდნა აუცილებელი იყო, მისაღებ გამოცდებზე რომ არ ჩაჭრილიყო. მასწავლებელიც ზომაზე მეტად პოეტური ჩანდა. ახალგაზრდა ქალი, გათხოვილი, პატარა გოგონა ჰყავდა, მაშინ ათი წლისა იქნებოდა და როცა დედიკოს მოსწავლეები ჰყავდა, გოგონა იჯდა შუშაბანდში უზარმაზარ, მრგვალ მაგიდასთან და ფლომასტერებით რალაცეებს ხატავდა.

მასწავლებელი თავის გოგონასთან ერთად მაშინ მოდიოდა მშობლების სახლში, როცა მოსწავლეებს კერძო გაკვეთილებს უტარებდა. ნეტავ, მისი მშობლები ცოცხლები არიან? შესაძლოა აღარ. ან თავად სადაა? ალბათ, მეუღლესთან, ვინ იცის, იქნებ, სხვა შვილებიც გააჩინა და ბევრი შვილიშვილიც ჰყავს. იქნებ, ის უზარმაზარი, სასახლესავით ბინა გაყიდა ოჯახმა, ან კიდევ, ბარბარეს ძმის ოჯახი ცხოვრობს. რამხელა დრო გასულა, ოცი წელი.

ბარბარე მაშინ 33 წლისა იყო, ტანდაბალი და სუსტი, საოცრად დახვეწილნაკვებიანი, თხელი ხელები წვრილი თითებით, თეთრი, ლაპლაპა ლაქი ესვა მზესუმზირის მარცვლების მსგავს ძირამდე დაჭრილ ფრჩხილებზე და მხოლოდ ნიშნობის ბეჭედი ეკეთა. ყოველთვის მთლიანი კაბა ეცვა, გრძელი ან მოკლე, ულამაზესი ფეხები ჰქონდა და ყოველთვის საგანგებოდ შერჩეული, საუკეთესო ფეხსაცმელი ან ჩექმა ფეხის ტერფებზე მორგებული, დაბალ-ქუსლიან ქოშებშიც უნახავს მასწავლებელი და ფაჩუჩებშიც, ყველაფერი უხდებოდა და ისიც გაახსენდა მსახი-



ობს, რომ ბარბარე არასდროს იცვამდა შარვალს და ნატვრად ჰქონდა გადაქცეული, ერთხელ მაინც დაენახა მასწავლებელი შარვალში. რატომ არ იცვამს, როცა ყველა ასაკის ქალს შარვალი აცვია?! იეჭვიანა კიდეც, ალბათ, ქმარი უშლის, ან არ უხდება. მასწავლებელი, როგორც ნესი, იჯდა ხოლმე და ამიტომაც ვერ შეძლო სრულად აღექვა მისი სხეულის მშვენიერება.

პატარა გოგოს ჰგავდა ბარბარე, ფრანგული სუნამოს სუნი ასდიოდა, რბილი, ნაზი, გარდამავალი ცივსა და ტკბილს შორის თუ რამ ენატრებოდა, ბარბარეს სურნელი ენატრებოდა გაკვეთილიდან გაკვეთილამდე.

ხუჭუჭა თმა ყოველთვის გაშლილი ჰქონდა. ჩვიდმეტი წლის ბიჭი მოხიბლა ბარბარეს გარეგნობამ, მეტიც, ფიქრობდა და ოცნებობდა მასზე. ვითომ, ერთად მიდიოდნენ ქუჩაში ხელისელჩაკიდებულნი, რამდენჯერ წარმოიდგინა, რომ მასწავლებელს ეფერებოდა, კოცნიდა.

აბიტურიენტი ვერ გრძნობდა ასაკობრივ სხვაობას ბარბარესთან ის კი. უღიმოდა, აქებდა, როცა მოსწავლის დაწერილი თხზულება მოეწონებოდა.

ერთხელ, ბიჭს დედამ ამაყად გაანდო, შენმა ლიტერატურის მასწავლებელმა დამირეკა კარგი ბიჭი გყავთ, მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებააო. გაუხარდა ბიჭს შექება. შევარდა თავის საძინებელში, დაემხო ბალიშზე, ზემოდან მეორე ბალიში დაიფარა, რომ ქვითინის ხმა ოჯახის წევრების ყურებს არ მისწვდომოდა. ჩაეძინა და ეროტიკული სიზმარი ნახა, ბარბარე გვერდით ეწვა, თავი ყმანვილის მკერდზე ედო და ეძინა, ბიჭი ნაზად ეამბორებოდა ქალის ლამაზ შუბლს, ხვეულ თმას, მერე ვითომ, მძინარეს ყელზე აკოცა, ფრანგული სუნამოს სუნმა გააბრუა. სულ ეს იყო, ტკბილი, თან მტანჯველი ზმანება, ძილის დროს ნანახი, რამდენიმე წუთის განმავლობაში, რეალობა რომ ეგონა.

დიდი ძალისხმევა დასჭირდა მომავალ მსახიობს, რომ ბარბარე დაევიწყებინა. საკუთარ თავს უკრძალავდა მასზე ფიქრს, რომ ის დიდი გოგოა, ოჯახი ჰყავს და არასდროს გაიხედავს პატარა ბიჭისკენ.



აბიტურიენტობის პერიოდი გაახსენა მსახიობს ცისფერმა სახლმა. დიდხანს იდგა სადარბაზოსთან, გული ეუბნებოდა, შედიო, მაგრამ ერიდებოდა, სრცხვენოდა, ხელთ არც შოკოლადი ჰქონდა, არც ყვავილი. რომც იყოს ბარბარე, როგორ მივადგე ამ პანდემიის დროს, ხალხი სტუმრობასაც ერიდება და ყველაფერს, რაც ადამიანურია. თან შეეშინდა, იქნებ, ისე დაბერდა და შეიცვალა, გულიც მეტკინოს... თავი ჩაღუნა და მალაზიისკენ გაემართა. კარი ვერ შეაღო, მინაზე დააკაკუნა, მაგრამ გააგებინეს, დაკეტილები ვართო.

მსახიობმა მობილურის ეკრანს დახედა, ცხრამეტი საათი და ორმოცდაჩვიდმეტი წუთი იყო. შეცბა, კომენდატის საათი გაახსენდა, რომელიც საღამოს ცხრა საათზე დაიწყებოდა და შინ წასასვლელად დრო არ ეყოფოდა, დაჯარიმებისა შეეშინდა და არ იცოდა რა ექნა, სასტუმროებიც არ მუშაობდნენ, ოფლმა დაასხა, სასონარკვეთილი ბრინჯაოს სკამზე ჩამოჯდა, გაქვავდა, არაფერზე ფიქრობდა.

შებინდდა, საკუთარი გულის ფეთქვა ყურებში ჩაესმა, ცისფერი სახლისკენ იმედიანად გაიხედა, რომელიც, თითქოს ბინდში ანათებდა და მისკენ გაემართა. კარებს კოდი ედო, თითი არ დაუკარებია ლილაკებისთვის, მკითხაობას ხომ არ დაიწყებდა?!...

მთავარი ქუჩიდან სახლი მოპირდაპირე ქუჩისკენ უხვევდა და ამ ცისფერ შენობას მისამართიც ორი ჰქონდა. მსახიობი აუყვა ტროტუარს და მოსახვევშივე დაინახა ფართოდ ჭიშკარ-გაღებული თაღოვანი ჭრილი.

ბარბარეს შუშაბანდის ფანჯრები ეზოში გამოდიოდა, მეზობლებს შუქი ენთოთ, ამ ბინაში კი არა, არც ოთახების სიღრმიდან გამოკრთოდა სინათლე. ეზოს ონკანთან მივიდა, წყალი მოუშვა, ხელები დაიბანა, სახეც დაინამა და წყურვილიც მოიკლა. ეზოს ცენტრში მიწის მართკუთხა ფორმის, ხის ღობიან ნაკვეთზე, უზარმაზარი ნაძვის ხე და პატარა მცენარეები იდგა, ღობის კარს ბოქლომი ედო. ხელმარცხნივ ძველებური, სამგზის მოხვეული რკინის კიბე მეორე სართულამდე ავიყვანდათ, მეტი



არც იყო. კიბესთან ახლოს, ხის სკამზე ჩამოჯდა. კარგად რომ დაღამდებოდა, კიბის ძირს შეაფარებდა თავს, მაგრამ ამის შემდგომ რა იქნებოდა?..

შავი

კარგად დაღამდა და მსახიობი მიხვდა, რომ რთულად დაათენდებოდა. ცას ახედა, ვარსკვლავები არ ციმციმებდნენ, მაგრამ არაბუნებრივი, ყვითელი ნათებები დაინახა. ვარსკვლავებზე დიდები, მრგვალები, თითქოს სამი წყვილი ღამისეული ცის თვალი, უცნაურად ღაღანებდა. გაელიმა, უცხო პლანეტელების არსებობა დაიჯერა, იქნებ, იციან რა ჭირშიც ვართ და საშველად მოვიდნენ. გამოვიდა სამალავიდან, იმათ ციმციმს დააკვირდა. მრგვალი ნათებები ამოძრავდნენ, ხომალდის დანახვა სურდა მსახიობს, მაგრამ ვერანაირი სილუეტი და ფორმა ვერ დაინახა. ერთმანეთისგან დამოუკიდებელ რაღაც ნათებებს ჰგავდნენ, ხან წყვილდებოდნენ, ხანაც შორდებოდნენ ერთუროს. ბოლოს გადიდნენ, მწკრივში ჩადგნენ ახლოს-ახლოს და სწრაფად გასრიალდნენ შავ ცაზე, გაქრნენ.

არც ისე ძლიერ გააკვირვა ნანახმა, უბრალოდ, უცხო პლანეტელთა არსებობა დაიჯერა. მთავარია, ბოროტები არ იყვნენ, როგორც ერთ ადგილობრივ ასტროლოგს უთქვამს ტელევიზიით, რომელიც თავად არ უნახავს და მოუსმენია, ეს საშინელი ვირუსი, თავის თავში, წინამორბედ სხვა ორმოცდაათ ვირუსსაც ატარებს და უცხო პლანეტელების გამოგზავნილია, რომ ამოგვწყვიტონ და ჩვენს პლანეტაზე თავად დასახლდნენო.

ბარბარეს შუშაბანდს ახედა, ვილაც ქალი იდგა ღია ფანჯარასთან, ცას უყურებდა. მკრთალი შუქი ენთო შუშაბანდში და მისი სახე კარგად ვერ დაინახა. შავი თმა კი ჰქონდა, როგორც ბარბარეს, მაგრამ, სავარაუდოდ, გრძელი, უკან გადაწეული და შეკრული. შენობის იმ მხარეს მიუახლოვდა, სადაც ქალი იდგა.



ის გადმოიხარა, დააკვირდა მსახიობს, შემდეგ, მოშორდა ფანჯარას, შუქი აანთო ისე, რომ სინათლემ ბნელშიც გააღწია და მსახიობის სახეც კარგად გამოაჩინა.

-ვაიმე, იმედავ, შენ ხარ? - გადმოსძახა ქალმა.

-დიახ, ბარბარე მას, მიცანით?- ხმა აუკანკალდა მსახიობს.

-ბიჭო, რა გინდა ამ შუალამისას მანდ!

-სამსახურში გვიანობამდე დავრჩი და ველარ წავედი სახლში, აქ ვიმალებოდი, კიბის ქვეშ. - სიმართლეში სიცრუე გაურია იმედამ.

-რომელ სამსახურში, იმედავ?! - გაიკვირვა ქალმა.

-აქვე, ახლოს, ამ უბანში თეთრი თეატრი რომაა, იქ მიმიღეს და...

-რამენაირად გამოდი ეზოდან, პატრულმა არ დაგინახოს და დაგხვდები სადარბაზოსთან.

გამოქანდა ეზოდან იმედა, ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, სულ კედელ-კედელ იარა და ისე მიადგა სადარბაზოს, კართან ჯინსის შარვლიანი, კიდევ მეტად დამშვენებული და დაქალებული ბარბარე შეეგება.

ვერ მოითმინა იმედამ და გადაეხვია ქალს, ისიც ჩაეხუტა და ლოყებზე უჩქმითა, - სულ არ შეცვლილხარ ბიჭოო!

- რა უცბად მიცანით?!

-შენნაირ მოსწავლეს რა დამავინწყებდა...

ქალი წინ გაუძღვა სტუმარს. ეუცხოვა იმედას კარგად ნაცნობი სასტუმრო ოთახი, ძველებური ავეჯი, მრგვალი, დიდი მაგიდა, ხალიჩები, შუშაბანდში ამყად მდგარი ბუფეტის კარადა გამქრალიყო, ხის იატაკზეც ლამინატი დახვდა გადაკრული, კედლებზე მწვანე შპალერი გაეკრათ.

კედელში თეთრი კარადა ჩაემონტაჟებინათ, ბინა თითქმის დაცარიელებულიყო. მისაღებ ოთახში თეთრი კაბინეტის როიალი, დივან-სავარძლები, თეთრ ჟურნალის მაგიდასთან კომბინაციაში და მეტი არაფერი. დანარჩენი ოთახები არც სხვა დროს უნახავს, რამდენი და როგორი იყო, მაგრამ ახლა, მართლა მინისასახლეში ცხოვრობდა ბარბარე, ოღონდ, ახალი იყო აქ ყველა-



ფერი და ბარბარეც სხვანაირი, მოვლილი, სერიოზული, დარდიანი, დიდრონი თვალებით.

სანამ იმედა საგულდაგულოდ ხელებს იბანდა და სააბაზანო ოთახში თავს ინესრიგებდა, ბარბარე სუფრას შლიდა. მისაღებ ოთახში იმედას თეთრ მაგიდაზე დახვდა ზეთის ხილი, სალათა ოლივიე, თხელ ნაჭრებად დაჭრილი სულგუნი და ჭვავის პური, ულამაზეს ბროლის ბოთლში ჩასხმული კონიაკი და მინერალური წყალი.

ბარბარე ლოცავდა სტუმარს, ვინაიდან გახალისდა, თან აძალებდა, მიირთვი, არ მოგერიდოსო. იმედაც გაშინაურდა. გაერთენენ, როიალზე დაუკრეს, იმლერეს, ვერც არსებულ ვითარებას აუარეს გვერდი.

იმედამ თქვა, რომ ცაზე უცნაური ვარსკვლავები დაინახა, სჯერა უცხო პლანეტელების არსებობის, რომ მათგან შველის იმედი აქვს. ბარბარეს ირონიულად გაელიმა. ეწყინა მსახიობს, იფიქრა, სულელად მთვლისო, მაგრამ ბარბარემ დამაჯერებლად აუნყა, რომ ის ნათებები თავადაც დაინახა, იმიტომ მდგარა ფანჯარასთან, რომ 23 მარტს კოსმოსში გაუშვეს სატელიტების მატარებელი, რომელზეც დამაგრებულია 66 სატელიტი, დედამინაზე ყველაფრის დამნახავი, მოთვალთვალე, მისი აზრით, დედამინელმა მდიდარმა და ძალაუფლების მპყრობელმა ნაძირლებმა ხელოვნურად მოაწყეს ხანძრები, ვინაიდან ტყის საფარები სატელიტებს ხელს შეუშლიდნენ ხედვაში. ამაღამ იმედი ჰქონდა მათი დანახვისა და აჰა, დაინახა კიდეც.

რალაც ხუთი ჯი ანტენებზე ლაპარაკობდა, რომლებსაც დროდადრო რთავდნენ ცოტახნით და თიშავდნენ, რომ 5 ჯის ტალღებმა დახოცეს ჩიტები, იმიტომაც იყო, გასულ წელს, თითქმის აღარ იყვნენ ქალაქში ბელურები. ის ლაპარაკობდა დიდ აფიორაზე, რომ კორონა ვირუსების ოჯახი ყოველთვის იყო, რომ შეუძლებელია, მსგავსი ვირუსი წარმოქმნილიყო ბუნებრივად სამყაროში ასეთი აგრესიული, ადვილად გადამდები, მოგზაური და მკვლელი, უხილავი მტერი ადამიანებისა. ვარაუდობდა,



ხელოვნურად გააძლიერეს რომელიღაც ლაბორატორიაში, თავს ყინვაშიც კარგად გრძნობს და მზის მწველი სხივების ქვეშაც...

უსმენდა მსახიობი ქალს და უცხო პლანეტელების დედამიწაზე ჩამოსვლისა მეტად სჯეროდა, ვიდრე იმ კომმარისა, რაზეც ბარბარე ასე ენერგიულად, დამაჯერებლად ყვებოდა, ან სურდა, რომ ეს სიმართლე არ ყოფილიყო. მერე, ბარბარეს მეგობარმა დაურეკა სხვა ქვეყნიდან, უცხო ენაზე საუბრობდნენ და არაფერი ესმოდა, მაგრამ მიხვდა, ძალზედ ცუდი უთხრეს, რამაც ქალს დიდრონი თვალები აუცრემლიანა და წამწამებიც დაუნამა. ტელეფონი რომ გათიშა, სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. შეძრწუნდა იმედა, არ იცოდა, როგორ ენუგეშა, მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა, დანყნარდითო ეუბნებოდა, ეკითხებოდა, - რა მოხდა, ვინმეს კორონა ვირუსი შეეყარა?!

ქალი უარის ნიშნად თავს იქნევდა და პასუხობდა, - უარესი იმედ, უარესი!..

თეატრის მსახიობს მუხლი მოეკვეთა, მოითენთა და უმწეოდ ჩაჯდა სავარძელში, თავი ჩამოუვარდა და თვალებიც დაეხუჭა. ბარბარე ადგა, ერთ- ერთ საძინებელ ოთახში შევიდა, საწოლზე ახალი თეთრეული გადააკრა, იმედას თავს დაადგა, შეანჯღრია და უთხრა, - დაიძინე, სახლამდე გრძელი, მომქანცველი გზა გაქვს გასავლელი, გათენდა უკვე, დილის ხუთი საათია.

იმედა მორჩილად გაყვა მასპინძელს, ოთახში კედელზე ხატები ეკიდა, მათმა დანახვამ უცაბედად შეაშინა, პირჯვარი გადაინერა.

ბარბარეს გაელიმა: - აქ დაცული ხარ ყველანაირი ბოროტებისგან! - თქვა და ოთახიდან გავიდა, თავის საძინებელში შევიდა, კარი მიხურა და გასაღებით ჩაკეტა.

ჩანვა იმედა ლოგინში, შეამცივნა კიდეც, მაგრამ გადაქანცულს მაშინვე ჩაეძინა.

თვალები გაახილა იმედამ, ცოტა ხანს ინვა და ჭერს უყურებდა, რომელსაც ქალი არ ამშვენებდა, ოთხი, ძველებური ბრინჯაოს ლომისთავიანი, პირმოკუმული და არა პირდაბჩენილ-ემშვებიანი ბრა, ესენი თვინიერი, წყნარი ლომები ჩანდნენ, განსხ-



ვაგებით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მალალჭერიან კაბინეტში კედელზე მიმაგრებული ერთადერთი ბრისა, რომლის ლომი გამეხებული სახით იმზირებოდა.

ხის, ძველებურ კარზე დააკაკუნეს, ბარბარემ შემოსძახა, - თუ გლვიძავს, გამოდიო.

ადგა იმედა, ტანთ ჩაიცვა და კარი გააღო, პირსახოცი მიაწოდა შავ, ფუმფულა ხალათში გახვეულმა ქალმა, - აჰა, იბანავე.

დიდი პატივი იყო იმედასთვის ამგვარი ყურადღება, მაღლიერება დაინახა მასპინძელმა ყოფილი მოსწავლის თვალებში, რომელმაც მორჩილად გამოართვა პირსახოცი და ილღის ქვეშ ამოიღო. ქალმა კბილის ახალთახალი ჯაგრისი და ერთჯერადი ნვერის საპარსი ჩაუდო ხელებში.

შხაპის ქვეშ მდგარ იმედას ვნებები მოეძალა, ხალათში გახვეული ბარბარე დაუდგა თვალწინ, ვინ იცის, იქნებ, ხალათის შიგნით არაფერი აცვია, თავადაც ახალ ნაბანავებს ჰგავდა. სანატრელი შიშველი სხეული, რძისფერი, ლამაზი ნვივები, როგორც ადრე, გააჟრჟოლა...

ამასობაში მასპინძელმა გემრიელი, არომატული ჩაი დააყენა. ჩაი ყავაზე მეტად უყვარდა. იყო დრო, როცა მასთან ჩაის არა მოყვარული მეგობრებიც მოდიოდნენ, ცხელი სასმელის დასალევად და შესაყნოსად, მეტადრე მაშინ, თუ გარეთ ციოდა ან ყინავდა. ეკითხებოდნენ, სად შოულობდა მაგიურ ჩაის, მაგრამ ის დუმდა, ელიმებოდა. ხვდებოდნენ, საიდუმლო იყო და აღარ ანუხებდნენ ზედმეტი შეკითხვებით.

იმედა შევიდა სასტუმრო ოთახში, ბარბარემ სუფრასთან მიიპატიჟა. მსახიობი ნუხდა, ტელეფონი დამიჯდაო. ბარბარემ დამტენი მისცა.

ქალმა ერთი ჩაის კოვზი ჟოლოს მურაბა ჩაით სავსე ლიმნიან ჭიქაში გახსნა. იმედამ მიბაძა. ბარბარემ ერთი ყლუპი მოსვა და მზერა კონიაკით ნახევრად სავსე ბროლის ბოთლზე შეაჩერა, მისწვდა და ბოთლიდან ჩაის ჭიქაში კონიაკი ბლომად ჩაიმატა. იმედას კონიაკიანი ჩაი არასდროს დაუღევიო. იკითხა, - გემრიელია?



სტუმარსაც ჩაუმატა ჭიქაში კონიაკი და დასძინა, - ვირუსებთან საბრძოლველად ასე სჯობს, გემრიელია და არც დაგათრობს.

რა მოხდა ნუხელ, რატომ იტირეთ?

-ო, ჩემო კარგო, მეგობარმა დამირეკა იტალიიდან. ჯერ ისედაც მეცოდებოდა ეს ლამაზი ერი, კორონამ რომ ამოხოცა, მნიშვნელობა არ აქვს, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ხომ ბლომად დახოცა, მაგრამ ნუხელ იმიტომ გავმწარდი, რომ ეს ადამიანები გაიმეტეს, განირეს და შენირეს რაღაცას...

მიმტკიცებს, საავადმყოფოში მოხვედრა საშიშია, კორონა იმდენად არ ჰკლავს, როგორც ექიმები ადამიანებს სპეციალურადო. რაღაც პროტოკოლებით ხელმძღვანელობენ, რაც ხალხს სიცოცხლესთან გამოსალმებაში ეხმარებაო.

- კი, მაგრამ იმ თქვენმა მეგობარმა ეს საიდან იცის, არსად ამის შესახებ არ თქმულა.

- რატომ იტყვიან, ან ამისი დროა ახლა?! ჩემი მეგობარი ერთ-ერთი პანსიონის სოც-მუშაკი და ფსიქოლოგია, ძალზედ დაკვირვებული ადამიანი.

- ვერ ვიჯერებ!- ფეხზე წამოდგა იმედა.

- მასონებია აქ მთავარი, იმათ მოხუცები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ზედმეტ მჭამელებად მიანჩნიათ. ამოხოცეს, კიდევ გაანადგურებენ. რაღაც დროის გასვლის შემდეგ ოთხმოცდაათიანელებსაც ამოგვწყვეტენ, მომადგებიან და შესაძლოა, ძალითაც ამცრან.

- ძალით რატომ, ეგ ხომ თქვენი უფლებაა, გაიკეთებთ თუ არა!

- რომელ ნებაზე მელაპარაკები იმედავ. გული იმაზე მწყდება, ჩემით სიკვდილი რომ არ უნდა მაცალონ!

- კარგით რაა, რა დროს სიკვდილია!..

- უკვე ასაკში ვარ.

- არა, ჯერ ისევ გოგო ხართ, გო-გო!

ბარბარე გახალისდა, - ოი, იმედავ, რა საყვარელი ხარ, გულიანად გამაცინე. მგონი დაიტენა შენი მობილური ტელეფონი, დახედე.



- კი, დატენილია, შეიძლება ფეისბუქზე დაგამატოთ?
- აბა რა, ახლავე, ამ წუთს.
ერთურთის მობილური ტელეფონის ნომრებიც ჩაინერეს.
- ბარბარე, რალაც მინდა გითხრა და მეშინია!
- რისი.
- რისი არა, შენი მეშინია!
- რატომ?!
- იმიტომ, რომ მინდა ერთი რამ იცოდე, რაც ჩემს გულში მოხდა და არ იცი შენ, არადა, უნდა იცოდე.
- მითხარი მერე.
- დაიფიცე, რომ არ გენწყინება და არც გამიბრაზდები.
- კარგი, არც მენწყინება, არც გავბრაზდები, დაჯექი.
- იცი, შენთან რომ დავდიოდი გაკვეთილებზე, ძალიან შემიყვარდი, ძალიან!
- ეგ ხომ ისედაც ვიცოდი...
- ეს როგორ!-გაოცდა იმედა.
- როგორ თუ როგორ, მე ხომ საყვარელი მასწავლებელი ვიყავი. იმედამ თავი გააქნია: - არა, არა, სულ სხვა რამეს გეუბნები, მე ისე შეგიყვარე, რომ ჩემი იდეალი გახდი.
- მართლა?! დიდი პატივია ჩემთვის.
- ჰო, ახლა კი ხარ შეცვლილი...
- დაბერებული უნდა გეთქვა ხომ!
- სულაც არა, უბრალოდ, მაშინ გოგო იყავი, ახლა ქალი ხარ, ძალიან ლამაზი.
- იმედავ, არ გინდა ჩემი შვილობილი გახდე?
- არა. დედა მყავს, მას ვერავინ შემიცვლის და ვერავის შემიყვარებ დედაჩემით.
- ალბათ, ჩემი შვილებიც ასე ფიქრობენ...
- აბა რა, დედა ღმერთივითაა.
- მაღლობა უფალს, რომ დედა ვარ!- ჭერს ახედა ბარბარემ და პირჯვარი გადაინერა.
- იმას გეუბნებოდი, რომ შენ გახდი ჩემთვის საყვარელი ქალის სახე, ვეძებდი შენს მსგავს გოგონას და ვერ გადავეყარე, მე-



რე ვინც შემეყვარდა ვარ იმასთან, მაგრამ ის სხვა ტიპაჟია, შემეყვარდა, რა ვქნა...

- კარგია, რომ შეგიყვარდა, სიყვარულით ვიბადებით და სიყვარულით უნდა წავიდეთ ამ წუთისოფლიდან.

-ყოველთვის მახსოვდი, იცი?

-გმადლობ.

-ანუ არ მიბრაზდები, როგორც ქალს, ისე რომ გიყურებდი?!

-არა, მერე რა, ეს კარგიცაა, მესიამოვნა.

-ახლა გამახსენდა შენი ვარდისფერი მარგალიტის მძივი, ძალიან გრძელი, ლამის მუცლამდე გწვდებოდა. როცა გაკვეთილს ვყვებოდი, თვალებში მიყურებდი, იმ მძივის მარცვლებს პირში იდებდი, კბილებს აჭერდი, და როგორი სექსუალური იყავი, ვერც კი წარმოიდგენ. როგორ გიბრწყინავდა თვალები... ეჰ, ახლა წავალ!- თქვა იმედამ, ბინიდან გასვლის წინ, ბარბარეს ხელზე ეამბორა და თავჩაქინდრულმა ჩაირბინა ძველებური სადარბაზოს კიბეები.

გაბადრული სახით იდგა სადარბაზოში ბარბარე და ფიქრობდა, ამას რას მოვესწარიო. შინ შევიდა და ახარხარდა. სასიამოვნო რამ გაიგო საკუთარ თავზე.



ლურჯი

სტუმარი რომ გაისტუმრა, ლოგინში ჩანვა. იმედაზე ფიქრ-მა გადაუარა, მთავარი თემა დაუბრუნდა გულსა და თავში, კოვიდ-19 და დედამინა. უსიცოცხლო მსოფლიო ჩაკეტილი საზღვრებით, გაურკვეველი მომავალი, განადგურებული ეკონომიკა, შიშით აკანკალებული დედამინის მოსახლეობა, ქალაქში, რომელშიც ცხოვრობს, კომენდატის საათია დანიშნული, თავი საკონცენტრაციო ბანაკის ბინადრად წარმოიდგინა.

უხილავმა დაიპყრო ადამიანთა თავისუფლება, გრძნობები, სიხარული, მინიერი სიამენი, უხილავი მტრობდა და ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა განურჩევლად ყველას უსიტყვოდ. ეს ვირუსი გახდა მბრძანებელი დედამინისა. უხილავმა წაართვა გაზაფხულის მზის სხივებით გამთბარი სხეულისა და გულის, სულის ზეიმი ადამიანებს.

ბარბარე დარდობდა ძმაზე, რომელიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდა, ლელავდა ქალიშვილ ლილიზე, რომელიც ასევე უცხო ქვეყანაში ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად. ლილი ეპიდემიოლოგი იყო, სიძე გაბრიელი ონკო-ჰემატოლოგი, მეცნიერი ექიმი, რომელიც ახლად წარმოშობილ სისხლის ჯერ კიდევ შეუსწავლელ დაავადებებს იკვლევდა ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ულტრათანამედროვე ლაბორატორიაში, ამ ინსტიტუტთან არსებულ კლინიკაში მუშაობდა ლილიც. ბოლო დროს, დედის მოსაკითხად ველარ იცლიდა და ბარბარესთან საუბრისას უარყოფდა, კოვიდ - 19-ით დაავადებულ პაციენტებს რომ მკურნალობდა.

ბარბარე კარგად იცნობდა ლილის, რომელსაც არ უყვარდა ტყუილის თქმა და უჯერებდა ქალიშვილს, - ახლადფეხადგმულ ექიმს ვინ მიმიშვებს დედა, კორონა- ვირუსიან პაციენტებთანო.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში, არც ვაჟი ეხმიანებოდა, ოცი წლის ლუკა, სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, რომელიც ნახევარი წლის წინ, სატროფოსთან, ნაქირავებ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად.



ლუკას პირადი ცხოვრება დაიწყო. არ იცოდა ბარბარემ, შეყვარებულთან ცხოვრების ბოლომდე დარჩებოდა თუ არა ლუკა, მაგრამ უყვარდა ის გოგონა, სახელად ჟოზეფინა. ბარბარესაც მოსწონდა, სიფრიფანა, ცხვირ-აპრეხილი, ქერა და მწვანეთვალეა გოგონა, მაგრამ კარგად არ იცნობდა, ვერ მოასწრო ბარბარემ მის სულში ჩახედვა.

პირველ აპრილს, ლუკამ და ჟოზეფინამ მართლაც რომ საამაყო ნაბიჯი გადადგეს, იმ კლინიკაში დაიწყეს სანიტრებად მუშაობა, რომელსაც ცხელების ცენტრი ქვია და სადაც კორონა შეყრილ ადამიანებს მკურნალობდნენ. ეს რომ გაიგო, ბარბარეს ჯერ შეეშინდა. მუშაობის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, ლუკამ დედას დაურეკა და გაამხნევა: - არც ისეთი საშიშია კორონა, რომც შემეყაროს, ვერაფერს დამიშავებს, ვაკვირდები პაციენტებს და ვხვდები, ისეთივე შესაძლებლობების გრიპია, როგორც სხვა გრიპები, 0,3 ჰა, ჰა, 0,7 პროცენტით საშიშია, როგორც მკვლელი, დეე, ასე რომ, ნუ შეგეშინდება, უსაფრთხოების ზომებს ვიცავ, როგორც მასწავლესო.

ამ სიტყვების გაგონების შემდეგ, ბარბარემ ვედარაფერი თქვა, დამუნჯდა. შვილთან დარეკვას და საუბარს ერიდებოდა, ხელი არ შეეშალა მუშაობაშიო, მაგრამ ენატრებოდა და იტანჯებოდა. ერთხელაც, ვერ მოითმინა და ჟოზეფინას დაურეკა დილით, ადრე, - როგორ ხართ, ჩემო ტოროლა გოგონავ?

-რა ვიცი, ქალბატონო ბარბარე, ერთი კვირა ვისვენებთ, ვზივართ სახლში.

-გამოგიართ?- იკითხა ბარბარემ. ჟოზეფინა გაჩუმდა. დუმილი ისევ ბარბარემ დაარღვია, - ჰა, რას იტყვი, ლუკას საყვარელი ნამცხვარიც გამოვაცხე და გამოგიტანთ, თუ...

- თუს რატომ ამბობთ?! - გაიკვირვა ჟოზეფინამ.
- იმის თქმას ვაპირებდი, თუ მყუდროებას არ დაგირღვევთ...
- როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ბარბარე, როგორ მოხვალთ, როცა ქალაქში ტრანსპორტი არ მოძრაობს.
- გგონია ხუთ კილომეტრს ფეხით ვერ გამოვივლი ?!



- როგორ ვერ გამოივლით, მიხარია ხოლმე თქვენთან შეხვედრა, ოღონდ...- წინადადება ველარ დაასრულა ჟოზეფინამ.

ბარბარეს ელდა ეცა, - რა იყო, შვილო!

-ერთი წუთით, აივანზე გავალ და გეტყვით, - ჩურჩულით უპასუხა ბარბარემ და ცოტა ხნის შემდეგ გააგრძელა, - ლუკას სიცხე აქვს სამი დღეა.

- რას მეუბნები!!! - შეიცხადა ბარბარემ.

-დანყნარდით, სიცხე აქვს დაბალი, ოცდაჩვიდმეტი ან ოცდაჩვიდმეტი და 3, ხან ნორმაზე ჩამოუვა.

-ახლა რას აკეთებს, დამალაპარაკე!

-სძინავს, ნუ ლელავთ, გაციების საწინაარმდეგო წამალს ვასმევ, გუშინწინ წვიმაში მოყვა და, როგორც ჩანს, გაცივდა.

-ჩემო საყვარელო, გრიპი რომ იყოს...

-არაა გრიპი, არაფერი ტკივა, არც სურდო აქვს, არც ხველევა, არც ყელი... სიცხის შესახებაც შემთხვევით გავიგეთ, ყოველ დღით და საღამოს ვიზომავთ. ვითომ არაფერი იცით, რომ გაიგოს, გითხარით, მომკლავს.

შეფუთული ნამცხვარი სათუთად ჩადო ჩანთაში. შაბათი დღე იყო, 25 აპრილი, არ მოერიდა და ოჯახის ექიმს დაურეკა, ლუკას მდგომარეობის შესახებ ამცნო. ექიმმა დაამშვიდა, გაციებული იქნება, არ მგონია, რაიმე ასაკობრივი გართულება ან სადმე ანთებითი პროცესი ჰქონდეს. რახან დღეს მესამე დღეა, ხვალაც შეხედეთ, თუ ისევ დაბალი სიცხე ექნება, დაუკავშირდით ცხელების ცენტრს. ბარბარეს არ უთქვამს, თუ სად დაინყო მისმა ვაჟმა მუშაობა, მაგრამ დამშვიდდა.

სწრაფი ნაბიჯებით მიუყვებოდა გზას, გასავლელ ხუთ კილომეტრს.

უფლის წყალობით, კარგად დახვდა შვილი დედას, ჯანმრთელად გამოიყურებოდა, ჟოზეფინამ მიმიკით ანიშნა, ყველაფერი კარგადააო.

უკან გამობრუნებულს, ფიქრები მოეძალა, განვლილი ცხოვრება გონებით მიათვალ- მოათვალიერა და გული დანყდა.



...

ბარბარეს მეუღლე, სებასტიანე გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა, ექიმი-ტრავმატოლოგი იყო, ასე, რომ მეუღლის საფლავიც არ ჰქონდა ბარბარეს. თერთმეტი წელი გავიდა, არ კი გამოჩნდა. ვინც დამრჩნენ და მყვანან, ჯანმრთელად არიან, გმადლობ უფალო სიმშვიდისთვის!!!- თქვა გულში და გზა განაგრძო.

შინ მისულს თავი ასტკივდა. არ ისურვა ტკივილგამაყურებელი აზის მიღება, ძილი წაიღებდა ტკივილს, ასეც მოხდა, ჩაძინებულს არანაირი ტკივილი აღარ აწამებდა.

მშობლებმაც უღალატეს ბარბარეს სიკვდილით. ძლიერ დარდობდა სიძის დაკარგვას ბარბარეს მამა ნიკოლოზი, ინფარქტმა იმსხვერპლა. ერთი წლის გასვლის შემდეგ, დედამისს ვენერას, სისხლი ჩაექცა თავში, ტვინის სამი სასიცოცხლო უბანი დაუზიანდა და ხუთი დღის მძიმე ავადმყოფობის შემდგომ გარდაიცვალა. არადა, პროფესიით მედდა იყო, არასდროს დაუნუნუნია, არც კურცხალი გადმოვარდნია ოჯახის წევრების თვალწინ. ქმარდაკარგულ ბარბარეს თავი მიუძღვნა და შვილების აღზრდაში დაეხმარა. ბავშვებს ამეცადინებდა, დაჰყავდა მუზეუმებში, კონცერტებზე, თეატრებში, სპექტაკლების სანახავად და მათი მესაიდუმლეც იყო. ბარბარემ შვილებთან სულიერი დაახლოება ვერ მოახერხა იმის გამო, რომ დილიდან საღამომდე მუშაობდა, ფულს აგროვებდა ბავშვების განათლებისთვის, სპორტის სახეობების დასაუფლებლად, მოგზაურობებისთვის, კურორტებისთვის, რომ ჰაერი ხშირად გამოეცვალათ და ჯანმრთელები ყოფილიყვნენ. ამასობაში, ბავშვებიც გაიზარდნენ, გაძლიერდნენ, თავთავიანთი გზებით წავიდნენ და დედას დაშორდნენ. ყველამ იცოდა, რომ შვილები ჰყავდა, მაგრამ მის გვერდით აღარ ჩანდნენ, თავად ისურვეს ასე და ბარბარეს ბევრი მეგობარი არც კი იცნობდა მის შვილებს.

წლების განმავლობაში ქალს სიზმარი არ უნახავს და ახლა დაესიზმრა უცნაური რამ, მარტო იჯდა მისაღებ ოთახში კუბოსგან მოშორებით, გული უწუხდა, განიცდიდა, ებრალებოდა, მაგრამ ვინ, თავადაც არ იცოდა, გარდაცვლილს სუდარა ჰქონდა



გადაფარებული, ადგა, მიუახლოვდა, სუდარა გადახადა და შეკრთა, მიცვალებულში საკუთარი თავი შეიცნო.

მოზილური ტელეფონის ხმამ გამოაღვიძა, იწვა თვალგახელილი და შეძრწუნებული, თან უხაროდა, სიზმარი რომ არ გაგრძელდა, მესიჯი მოუვიდა, გახსნა, იმედას მოენერა.

ბარბარე, როგორ ხარ?

ბარბარეს გაეღიმა და უპასუხა: - პატიმრის კვალობაზე, არა მიშავს.

- ბარბარე, შენ ახლა მარტო ცხოვრობ?

- ჰო.

- რატომ, მეუღლეს გაშორდი?

- ვგავარ იმ ქალს, მეუღლე რომ გაქცეოდა?!

- არა, მაგრამ იქნებ, თავად გაექეცი, ან ის პატარა გოგონა სადაა...

- გოგონა გათხოვდა და გერმანიაშია. მე სხვა შვილიც მყავს, ბიჭი, სტუდენტია და მეგობარ გოგონასთან ცხოვრობს, ქმარი დამედუპა.

- მაპატიე, სამწუხაროა, დიდი ხანია?

- კი.

რამდენიმე წუთს არ მოუწერია იმედას, მოგვიანებით დაეწერა: - შეიძლება კიდევ გესტუმრო?

- კი ბატონო, როცა გინდა. შენზეც მითხარი რამე, არაფერი ვიცი, მამაზე არ გეკითხები, ვიცი, ადრე დაობლდი და დედა როგორაა?

ეს დანერა ბარბარემ და სანოლიდან წამოდგა, აბაზანისკენ გაემართა შხაპის მისაღებად. სანოლთან რომ დაბრუნდა, ბევრის მოწერა მოუხსწრია იმედას.

არის რა, მუშაობს ბაზარში, ყვავილების სამგლოვიარო „ვენოკებს“ აკეთებს, შვილები მყავს ქალ-ვაჟი, 13 და 10 წლისანი არიან. ახლახანს მიმიღეს თეატრში, მანამდე დისტრიბუციაში ვმუშაობდი. ხელობაც შევისწავლე, სამომავლოდ, საკუთარი საამქროს გახსნას ვაპირებ. შენ რასა იქმ, მუშაობ?



- კარგია, ოჯახის სარჩენად მხოლოდ მსახიობობა არ კმარა.
 - პრესაში ვმუშაობდი, მერე, ერთერთ უმაღლეს სასწავლებელში - ლექტორად. ორი წელია, ვისვენებ, მეუღლის ბინა გავაქირავე, ყველაფერს თავი დავანებე, ჩემს სახლში გადმოვედი საცხოვრებლად, სხვა შემოსავალი ამჯერად არ მაქვს.

იმ დღეს აღარაფერი მოუწერია იმედას. ბარბარემ მაკიაჟი გაიკეთა, საგარეო ტანსაცმელი ჩაიცვა, ქალს გარეთ გასვლა მონატრებოდა. გაიხურა სახლის კარი და თავისსავე უბანში გაიარ-გამოიარა. სურდა გადაკეტილ, ლამაზ ქუჩას ჩახუტებოდა, ხან სად ჩამოჯდებოდა და ხან სად, თან მეგობრები ურეკავდნენ, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ერთ-ერთ ბრინჯაოს გრძელ სკამზე წამოწვა, რომელსაც ხალხი დანვნილ რვიანს ეძახდა, მაგრამ ბარბარეს აღქმით, ამ ქუჩის გრძელი სკამები გავდნენ ქალის ოდნავ მაღალ-ქუსლიან ქოშებს. ისე კარგად გაერთო, რომ აღარ უნდოდა შინ დაბრუნება. მაღაზიაშიც შეიარა პროდუქტების საყიდლად, ხალისიანად გაესაუბრა იქ მომუშავეებს. კომენდატის საათს რომ არ შეეშალა ხელი, მთელ ღამეს ქუჩაში გაატარებდა, სხვებიც გამოვიდოდნენ და გაერთობოდნენ უბნელები, ვინ იცის, იქნებ ამ ქუჩის უცხოელი ბიზნესმენებიც მოსულიყვნენ და ებაასათ, თუნდაც კორონაზე. უხაროდა, როცა უსმენდა ქართულად გაჭირვებით მოსაუბრე არაბებს, ინდოელებს, ირანელებს.

ცისფერი სახლის პირველ სართულზე, ბარში, სადაც ბარბარეს ცხელ დღეებში ანანასის ყინულებიანი კოქტეილის წრუპვა უყვარდა, საყვარელი ბარმენი პოლონელი ბიჭი, აქაური, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, უსასყიდლოდ თურქული ყავით უმასპინძლდებოდა, ქართულად აქცენტით ელაპარაკებოდა და დედიო, მიმართავდა.

შინ შესულმა წიგნის კითხვა დაიწყო, ინგლისელი მწერლის პელემ გრენვალ ვუდჰაუსის რომანი იყო, „ვეუსტერთა გვარის ღირსება“.

სავარძელში ჩამჯდარი, დრო და დრო თავს აწევდა და გაიფიქრებდა, იქნებ, არც არაფერია და კონსპირაციულ თეორი-



ებს ავყევი?! ლილის მონათხრობი გაახსენდა, თურმე, სამოცდაათიან წლებში, გერმანიაში ჰონკონგის გრიპი მძვინვარებდა, რომელმაც ორმოცდაათი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეინირა, ეს ათჯერ მეტი უნდა იყოს იმასთან შედარებით, რაც კორონამ გააკეთა, მაგრამ მაშინ, მთავრობას კარანტინი არ გამოუცხადებია, თვლიდნენ, რომ ხალხს უნდა გამოემუშავებინა კოლექტიური იმუნიტეტი. პანდემიებთან ბრძოლა ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ნაირნაირი გრიპები, ურბანული ქირი, მალარია, ტიფი, ქოლერა, შიდსი, ცე ჰეპატიტი... ახლა, ეს კოვიდ- 19.

რალაც კიდევ გაახსენდა, როგორ ეშინოდათ ოჯახში, ბავშვებს ყვავილი არ შეყროდათ. მამა აფთიაქარი იყო და ინფექციური დაავადებების მიმართ შიში გაასმაგებული ჰქონდა. მუხლზე დაისვამდა და-ძმას, მარცხნივ- ვასილს, მარჯვნივ- ბარბარეს და ორივეს ეფერებოდა, ჩურჩულებდა, ჩემი ანგელოზები, დახატულები, ლამაზუკები, არცერთ ავადმყოფობას თქვენს თავს არ დავაჩაგვრინებ, კომბლით დაუწერჩქავ თავებს, ოღონდ, თქვენც დამეხმარეთ, ბავშვებო, ხელები სულ იბანეთ და იბანეთ. უხილავ ავადმყოფობებს სისუფთავის ეშინიათ, თუ გადარჩნენ, გახარებულები გარბიან სხვებთან, იქნებ ბინძურები იყვნენ, რომ გავიხაროთო...

ზუსტად ახლა, 2020 წელს, შესრულდა ორმოცი წელი, რაც კაცობრიობამ ვაქცინის შექმნის წყალობით, ყვავილი დააჩოქა, ის ვერავის ვედარ კლავს. საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა თავდადებით იმუშავეს. ამჟამად კი რატომღაც ძალიან, ეშინოდა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინისა.

უცნაური აღდგომა ჰქონდა წელს. კვერცხები წითლად არ შეუღებავს, მარტო იყო და საკუთარი თავისთვის დაეზარა. არც კვერცხი უყვარდა, თუმცა აღდგომის კვერცხი, ეგემრიელებოდა.

მთავრობა, ექიმები ადამიანებს სააღდგომოდ ეკლესიებში მისვლას უკრძალავდნენ, ეშინოდათ, ეკლესიური კლასტერის



წარმოქმნისა, რის გამოც, ლამის ერთურთს დაეცაკენ სასულიერო პირები და ხელისუფლების წარმომადგენლები. ხალხი მაინც მივიდა ტაძრებში. უღმერთობივით მოიქცნენ მაშინაც, როცა ხალხს აღდგომის შემდგომ, საფლავებთან მისვლა აუკრძალეს.

19 აპრილს, აღდგომას, ტაძრის ეზოში, მორწმუნეთა შორის იდგა ბარბარე. მამა იოსები გამოვიდა, დაინახა ქალი, გაუღიმა, მივიდა და ჩაეხუტა. მიხვდა ბარბარე, რატომაც მოიქცა ასე მოძღვარი, არ მეშინია და არც შენ გეშინოდესო. ხალხს გაესაუბრა, გაამხნევა და დაარიგა, როცა კორონას სანინალმდეგოდ ვაქცინა გამოჩნდება, არ გაიკეთოთ, თავი აარიდეთ, ის შესაძლოა ბოროტების ხელში აღმოჩნდეს და ადამიანთა მოსასპობად გამოიყენონ, მასონებს მსოფლიო მოსახლეობის ერთ მილიარდამდე დაყვანა სურთო... ასე მრავალმნიშვნელოვნად დაასრულა ხალხთან საუბარი სასულიერო პირმა.

განვიმდა, ბარბარეს შესცივდა. ეკლესიის ეზოს გარეთ პატრულის მანქანა იდგა. იოსებმა გარეთ მდგარი მცირერიცხოვანი მრევლი ტაძარში შეიყვანა, შეახსენა მათ ახალი წესი დისტანციის დაცვისა. ბარბარეს მაჯაზე ხელი ჩასჭიდა, ეზოდან გაიყვანა და მანქანის წინ მდგარ ორ პატრულის თანამშრომელს სთხოვა, ეს ქალი შინ მიიყვანეთო. კარგი ბიჭები ჩანდნენ. ჩასვეს ბარბარე მანქანაში და დაიძრნენ. არ ლაპარაკობდნენ. არც ბარბარეს ამოუღია ხმა. მანქანიდან გადმოვიდა, თავადაც სახედაფარულმა, უსახო პოლიციელების წინაშე ვერ შეძლო მადლიერების გამოხატვა.

22 აპრილს გამოჩნდა იმედა და ოდნავ გაახალისა ქალის ყოფა. ბევრს სწერდა იმედა. ერთხელაც, რჩევა კითხა, როგორ მოქცეულიყო მეუღლესთან, რომ მისგან ქალური სიცივე არ ეგრძნო. დაამშვიდა ბარბარემ, ხანდახან ხდება ისე, როცა ქალს არ სურს ალერსი, დააცადე, არაფერი დააძალო...

იმედა ინტერესს იჩენდა ბარბარეს ცხოვრების მიმართ და შეკითხვებს აყრიდა, თუ როგორი იყო მისი ქმარი, როგორ იქცეოდა ოჯახში და როგორი ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ. თავიდან გაუჭირდა ქალს პასუხების გაცემა, მაგრამ მოგვი-



ნებით მაინც მოხსნა გულახდილობის გუდას პირი, ვინაიდან, სიამოვნებდა წარსულის გახსენება, თითქოს აღარც ახსოვდა, მაგრამ იმედა აიძულებდა დაენერა სებასტიანთან პაემნებზე, პირველ კოცნაზე, ქორნილზე, პირველ ღამეზე, ცოლ-ქმრულ სარეცელზე. ბარბარემ აღიარა, რომ ეს იყო სიყვარულის და თავისუფლების გაკვეთილები. სიყვარულის სახელით, სებასტიანემ ბარბარე ინდოეთში წაიყვანა სამოგზაუროდ. ქალი გააოცა ინდურმა კულტურამ, ხელოვნებამ, კულინარიამ. ინდოეთში მკვეთრად გამოკვეთილმა სიმდიდრემ და ზღვარს გადასულმა სიღარიბემაც, მაგრამ კამასუტრას ტაძარმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომლის ფასადზეც გამოსახული იყო ქალისა და მამაკაცის სექსუალური ურთიერთობის პოზები, სათვალავიც კი აერია. სებასტიანემ ყურში ჩასჩურჩულა: - მოგწონს?

ბარბარემ თავი დაუქნია და ვნებაც მოეძალა. ისევ ჩასჩურჩულა მეუღლემ: - ვიცი ეს პოზები, ვიმეცადინოთ?

-ჰო, საინტერესოა! - უპასუხა ბარბარემ. მერე ქმარი მოეხვია, წავიდნენ სასტუმროში დიდხანს მეცადინეობდნენ.

დაიქანცნენ სიყვარულით და სებასტიანემ წარმოსთქვა: - შენ თუ მომანიჭებ სიამოვნებას, სილალეს, მაშინ მე არასდროს მომინდება სხვა ქალთან მისვლა და მასთან ჩემი სექსუალური სურვილების, ფანტაზიების დაკმაყოფილება, მე ვიქნები ერთგული და ყურებამდე შეყვარებული ჩვენი თანაცხოვრების ყველა ეტაპზე, ვინაიდან, ვერასდროს ამოვწურავთ ერთურთს და შევძლებთ სულიერი, აგრეთვე ფიზიკური სიყვარულის ახალი ისტორიების შექმნას.

და ეს ისტორიები წიგნები იქნება, მხოლოდ ჩვენი, ჩემი და შენი, ზოგჯერ, რომ გადავშალოთ, შიგ ჩავიხედოთ და გავიხსენოთ ახალგაზრდობა, ჰო, სებასტიან?

ჰო, ჩემო თოჯინავ. ბედნიერი ვარ შენთან, უზომოდ. მე ყველაფერი უნდა გავაკეთო შენთვის, რად მინდა სხვა, უცხო სხეული, როცა შენ მყავხარ!

- ლექსები მოგიძღვენი!



-მართლა, ბარბარე, პოეტიც მყავხარ?!

არ ვიცი, პოეტი ვარ თუ არა, მაგრამ, როგორც კი გაგიცანი, ისე მომეწონე, ისე, რომ ლექსი დაგიწერე. მერე, პაემნებზე ისე მინდოდა შენთან ყოფნა და ისე მიჭირდა განშორება...

- გოგო, სულ ერთად არ ვიყავით? მხოლოდ ღამე გვეძინა უერთმანეთოდ ჩვენს ბინებში.

- ჰო, და იცი რა მწარე იყო?!-ცრემლები წამოსცვივდა ბარბარეს. ვიტანჯებოდი და ღამით ლექსებს ვუძღვნიდი, შენს მაგიურ შავ თვალებს, სულ რომ გიბრწყინავს, შენს ტუჩებს, შენს ღამაზე მკერდს, რომელზეც ღამით თავი მიდევეს, შენს ღამაზე ხელებს. რომ იცოდე, როგორ მსიამოვნებს, მკლავზე რომ ჩამომისვამ ხელის გულს..

- ჰოო?!

- კი, ორგაზმის ტოლფასია ჩემთვის. ხშირად, ძალიან ხშირად, შენი ოდნავი შეხება მეტად მსიამოვნებს, ვიდრე თავად სექსი. 13 ლექსი მოგიძღვენი, ალბათ მეტს ველარც დავწერ და ეს ლექსები სულ თან დამაქვს და ყოველთვის მრცხვენია წაგაკითხო.

- ინდოეთშიც წამოიღე ისინი?!

- ხელჩანთაში მიდევეს.

- მიდი, მოიტანე!-დაინტერესდა სებასტიანე.

ბარბარე წამოხტა სანოლიდან, შიშველმა ჩაუქროლა მეუღლეს, ჩანთიდან პატარა ბლოკნოტი ამოიღო და მკერდზე მიიღო. ფრთხილად მიუახლოვდა მწოლიარე სებასტიანეს, თავთან ჩამოუჯდა და მოწინებით მიანოდა. სებასტიანე წამოჯდა და ინტერესით გადაშალა ლურჯი ბლოკნოტი.

ბარბარე სააბაზანოში შეცუნცულდა, თან გული უფრიალებდა, ვაითუ არ მოეწონოს, ვაითუ მხოლოდ გაეღიმოს...

აღფრთოვანებული სებასტიანე სააბაზანოში შევარდა, ბარბარე ქაფიანი წყლიდან ამოიყვანა, ხელში აიტაცა და ბავშვივით მკერდზე მიიკრა, შემდეგ, ერთად ინებივრეს ქაფიან, ნელ-თბილ წყალში.



სებასტიანე ცამ და მინამ რომ ჩაყლაპა, ერთი წლის შემდეგ, ლურჯი ბლოკნოტი, შეყვარებული გოგოს ჩანანერებით დაწვა, რომელიც მხოლოდ ერთადერთ, საყვარელ მამაკაცს ეკუთვნოდა. მზის ჩასვლისას მდინარესთან მივიდა, ხელის გულზე მოიქცია ფერფლად ქცეული სტრიქონები, სული შეუბერა და ნიავს გაატანა.

ფერფლის ნახევარი მინაზე დაიყარა, ზოგიც მდინარის ტალღებს დაეფინა, ნაწილი ნიავმა ზეცისკენ აიტაცა. აქვითინდა ბარბარე: - ეს აქ დაგრჩა, ძვირფასო, სიტყვები! შენ მოგიძვნა ბარბარემ, რაც სულმა ზემოთ ამოიტანა, ჰო, და გიგზავნი, ნიავს უფალი დაეხმარება, შენამდე მიიტანოს ლექსები და ჩანახატები.

იმედას არ აინტერესებდა ბარბარეს და სებასტიანეს ურთიერთობის სულიერი, რომანტიკით დამტკბარი მხარეები. მას უკვირდა, ცოლთან შეიძლება ასე თავისუფლად იყო?! ეგ ხომ სირცხვილია, ხომ შეიძლება ეწყინოს!

ბარბარემ მისწერა, - მეც შესაძლოა მწყენოდა აღზრდიდან გამომდინარე, მაგრამ სებასტიანემ მომიხსნა კომპლექსები, ამ მხრივ, თავიდან აღმზარდა, ფრთები შემასხა და იმდენი სიყვარული დამიტოვა, სიცოცხლის ბოლო წამამდეც მეყოფა და საიქიოშიც წარმიძღვება. არ უნდა გერიდებოდეს ცოლის და არც იმას უნდა რცხვენოდეს ქმრისა. თუ არ ხართ თავისუფალნი, ეს შენი ბრალია და დროზე მიხედე მაგ პრობლემას.

ბარბარეს დარიგების გათვალისწინებას ცდილობდა იმედა მეუღლესთან სექსუალური ცხოვრების გაახლება-გადახალისებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, რაც დრო გადიოდა, მით მეტად ფიქრობოდა ბარბარეზე. თავისი ცოლი არაფრით ჰგავდა ბარბარეს, ვერც იმის ახალგაზრდობას გრძნობდა, პირიქით, ბარბარე უფრო ქორფა ქალად ეჩვენებოდა, ვიდრე ის, ვინც გვერდით ჰყავდა და ამის გამო, ბარბარეს გულში უბრაზდებოდა, თუ ჩემი გახდები, დარჩი მასეთად, პატარა გოგოს მსგავსად, თუ არა და, ჩემს მეუღლეს ნუ სჯობიხარ!

გული უგრძნობდა, ბარბარე მიიღებდა მისგან ალერსს, თა-



ვის, მამაკაცურ სითამამეს გამოავლენდა, არაერთხელ გამოუყენებია მდედრების მიმართ, რომლებიც მოსწონებია. ბარბარეს მიმართ გრძნობდა მეტს, ვიდრე სხვა ქალების მიმართ, იქნებ, ეს სიყვარულიც იყო?! მაგრამ ამ ქალის გამო ცოლ-შვილს არ მიატოვებდა, არც ბარბარე დაუშვებდა ასეთ რამეს. უბრალოდ, ბედნიერი წუთების გატარება სურდა, სასურველი ქალის გვერდით...

იცოდა, რომ ახლა, აწმყოში ბარბარე მარტო იყო, შეკითხვა გაუგზავნა, მეუღლის გარდა, სხვა კაცთან ურთიერთობა გქონიაო? ქალმა იუარა, მაგრამ იმედამ გულის სიღრმეში არ დაუჯერა.

...

ბარბარე პროფესიის შერჩევასა შეცდა, ლიტერატორი კი არა, ექიმი უნდა გამოსულიყო, მაგრამ მამამისს მიაჩნდა, რომ მის ქალიშვილს ჰუმანიტარული განათლება უნდა მიეღო. ხელოვან ადამიანებს აფასებდა, უყვარდა, ლამის აღმერთებდა. ბარბარეს კი ყველაზე მეტად პროვიზორ-ფარმაცევტები, ექიმები უყვარდა და არც ოჯახში განიცდიდა მათ ნაკლებობას, ამის გამო უფალს მადლობას ეუბნებოდა.

დაღამდა, ისევ თავი ატკივდა, დილით წნევის წამლის გადაყლაპვა დავინწყებია, აშკარად წნევამ აუნია, ამიტომ, ძილის წინ დალია ერთი აბი პრესტანსი. ძილბურანში იყო, რომ მესენჯერმა დაინკარუნა, ისევ იმედა იყო.

ბარბარე, როგორ ხარ, რას შვები?

-მარტოობა მოსაწყენია.

- მეც მარტო ვარ, ჩემები რაიონში გავრეკე და...

ბარბარე გამოფხიზლდა, საწოლში წამოჯდა, გახალისდა.

- რას აკეთებ?

იმედამ თავისი ფოტო გამოგზავნა, თუ როგორ სვამს უზარმაზარი ჭიქით ყავას ან ჩაის. მესიჯიც მოაყოლა: შენც გადაიღე ახლა, ამ წუთას ფოტო და გამომიგზავნე. ბარბარე დაიჯლანა, ოთახში შუქი ჩამქრალი იყო, თან უკვე იწვა, მაგრამ იმედას დაპირდა, ხვალ გამოგიგზავნიო, დაემშვიდობა, გათიშა ტელეფონი და დაიძინა.



დილით ახლად გაღვიძებულმა ტელეფონი რომ ჩართო, იმედას მესიჯი ნახა, ფოტოს ითხოვდა დაპირებულს, ცინცხალს. გაელღიმა ბარბარეს და იგრძნო, თუ როგორი მძიმე ადამიანია იმედასთან შედარებით, მაგრამ მსახიობის თხოვნა სისულელედ არ მიუჩნევია, სელფი პირველად გადაიღო, მოგვიანებით გაუგზავნა, მას შემდეგ, რაც სარკის წინ იტრიალა თავი მოინესრიგა.

რამდენიმე დღის შემდეგ, დილით, ადრიანად კარებზე ვილაცამ ენერგიულად დააბრაახუნა, ჩემი ბიჭი იქნებაო, გაიფიქრა ბარბარემ, ჯერ ისევ პიჟამაში გამონყობილმა, სასწრაფოდ გაალო კარი და დაინახა მომღიმარი იმედა, უკან დაიხია გაოცებულმა.

ხელისუფალთ იმ დღეს ტაქსების მოძრაობა დაუშვიათ ქალაქში და იმედაც გამოქანებულია. ახალგაზრდა ქალს ჩაეხუტა. ბარბარე არ განძრეულა. როგორც ჩანს, დედა მოენატრა და მის მიმართ სიყვარულმა ქნა, მე რომ მეხუტებო, ნიკაპი ჩამოადო ბიჭის მხარს და მისი გულისცემაც გაიგონა. ძლივს განეშორა იმედა ბარბარეს და კარებისკენ წავიდა.

-სად მიხვალ, ახლა არ მოხვედი?!

იმედა ქალისკენ შემოტრიალდა, საჩვენებელი თითი აღმართა და ღიმილით წარმოსთქვა: - მამენტ!

ამობრუნდა და ნუშიანი, კრემიანი, ქოქოსიანი, ჰაეროვანი მრგვალი რაფაელოებით სავსე თეთრი კოლოფი მაგიდაზე დადო და წარმოთქვა: - შენს დიდებულ კონიაკს მოუხდება ეს კანფეტი. სად იშოვე ასეთი კონიაკი, დღესაც პირში მაქვს მისი გემო!

-თავად ვაკეთებ სამედიცინო სპირტით.

ისაუზმეს, კონიაკიც გადაჰკრეს. იმედამ ბარბარეს უთხრა, წინა შეხვედრისას რაც ილაპარაკე, ამის შესახებ სოციალურ ქსელშიც წერენ, მასონებზე, ილუმინატორებზე ლაპარაკობენ, იმაზეც, რომ ვირუსი ხელოვნურადაა შექმნილი, ხალხს მოუწოდებენ, ვაქცინა არ გაიკეთოთო, მსოფლიო იცვლება და ერთი მმართველის დანიშვნა უნდათ, დიდი ბოროტება მოდის სიკეთის და კეთილდღეობის სახელითო. ბარბარე თავს უქნევდა და უდასტურებდა, ასეაო. მერე, იმედამ ქალს ტელეფონის ეკრანზე



ერთი სიმპატიური, 92 წლის მოხუცი კაცის ფოტო აჩვენა, ის სიკვდილს გადაურჩა, 24 საათის განმავლობაში ჟანგბადის აპარატით ასუნთქეს, კორონამ თავი რომ დაანება, უთქვამთ, 15 ათასი ევრო გაქვს გადასახდელიო. მოხუცი ატირებულა, ეგონათ უსახსრობამ აატირა, მაგრამ მოხუცს უთქვამს, - შემიძლია 15 ათასი ევროს გადახდა, მაგრამ 92 წლის განმავლობაში, თავში აზრად არ მომსვლია, მადლობა მეთქვა ღმერთისთვის, რომელიც უსასყიდლოდ მასუნთქებს.

- ხედავ, იმედავ, რა ამბები ხდება ქვეყანაზე?! ვნერვიულობ, სხვებიც ასე არიან და არ ვიცი, როგორ ჩავფარცხოთ დიდი ბოროტება, რომელსაც მსოფლიოს დამონება სურს. კორონას ეშველება, ბოროტ ადამიანებს კი - არა.

- დედაჩემს არ ავაცრევიანებ, არაფრის დიდებით!

- შენ კიდევ არ დაიჩიპო თავი, რობოტად გაქცევენ.

მართლა შეეშინდა იმედას, სავარძლიდან წამოხტა, მიუჯდა ბარბარეს და მოიკუნტა. ქალს გაეღიმა, - რას მომიცუცქედი, ჩემი იმედი გაქვს?! ვერ გშველი, ისევე, როგორც შენ მე. არ ვიცი, რა ხდება, როგორ გადავრჩეთ, უფალი გვწყალობს ჩვეულებრივ ადამიანებს, ასე იქნება სულ, მაგრამ რაც შეიძლება, რომ გავაკეთოთ, უნდა შევძლოთ!

დრო სწრაფად გავიდა, ფეხს ითრევდა იმედა, მაგრამ ბარბარეს არ უთქვამს, დარჩიო და წავიდა.

გზები მთავრობამ გახსნა, კომენდატის საათი დატოვეს. ოდნავი შვება იგრძნო ბარბარემ, შინაგანი, გაუსაძლისი დაძაბულობა მოეხსნა.

იმედა სიდედრთან გაემგზავრა სოფელში, მიწის დამუშავებას შეუდგა, ასე წერდა მესენჯერში და ქალსაც სჯეროდა, წამდაუნუმ უმეორებდა, რომ ენატრებოდა, უყვარდა, პატივს სცემდა, ესეც სჯეროდა.

რამდენიმე ადამიანი იყო კიდევ, რომლებიც ყოფას უმსუბუქებდნენ ბარბარეს. ერთი მათგანი დავითი იყო, წლების წინ შეძენილი კარგი მეგობარი. გადანყვიტეს, ერთად დაენყოთ რამე ბიზნესი, ამოძრავდნენ, მაგრამ ოცნებები თავს დაემხოთ, ჯერ-



ჯერობით, ფულიც არ ჰქონდათ ნერილმანი რამეების შესაძენად, დროს უცდიდნენ, დაპაუზებული ცხოვრების ამოძრავებას.

იყო ორი მეგობარი ქალიც, მანონი, საზოგადო მოღვაწე, მხიარული, ენერგიული, მართალი და პირდაპირი.

რომანისტი ქალი მარგოტი, რომლის შემოქმედებასაც თვალს ადევნებდა, მოსწონდა, მარგოტიც შეუყვარდა. ამ სამთან თავს გრძნობდა ლაღად, მხიარულად, თავისი ცხოვრების მწვანეებს უწოდებდა, ვინაიდან, მათი არსებობა ახარებდა. წამალივით იყვინნ ბარბარესთვის, ღრმად მოაზროვნეები, შეგნებულნი და სანდონი. იმისი იმედიც ჰქონდა, რომ მასსავით, ახალ რეჟიმზე გადასულ, კარჩაკეტილ, გაუბედურებულ მსოფლიოს ვერ შეეგუებოდნენ, ვინაიდან ადამიანები უყვარდათ. ბარბარეს ეს სამი მეგობარი სახეზე მიტყეპნებულ პირბადეებს აიტანდა?! რა თქმა უნდა, არა. ეგრეთ წოდებული ალიკაპით ვერ იცხოვრებდნენ.



მწვანე

სალამო იყო, როცა ბარბარეს მდგმურმა დაურეკა, აპრილის თვის თანხა ჩაგირიცხეთ ანგარიშზე, მაგრამ სავარაუდოდ, ბოლო სამი თვისას ვერ გადავიხდი, თან დროებით სოფელს უნდა შევაფაროთ თავი და ბინა დავცალოო?!

ელდა ეცა ბარბარეს, ისიც ვერ იკადრა ეთქვა, დაცალეთო. მან ასე უპასუხა მდგმურს, - ახლა ისეთი დროა, ბინის შოვნა ძნელია. საერთოდაც, ვითარება გაურკვეველია. თან ბავშვებიც მაგ უბნის სკოლაში დადიან, მოვითმინოთ, ვნახოთ, ბედი რას გვიმზადებს. ყველანაირად ვეცდები ხელი შევიწყოთ.

-გმადლობთ, ვიცოდი, რომ ასე მიპასუხებდით.

-მადლობა, თქვენ, წინასწარ გაფრთხილებისთვის, - თქვა და ტელეფონი გათიშა, ერთ თვეს გაიტანდა თავს, მაგრამ მერე როგორ და რა სახსრებით უნდა ეცხოვრა?! ან ლუკას სწავლის საფასურის დაფარვას შეძლებდა?! ქალიშვილსაც ვერ ესესხებოდა, ვინაიდან ის ვალს არ გამოართმევდა დედას. გული დაუმიძიმდა,...

დასასრული არ უჩანდა პანდემიის სახელით გამოცხადებულ კომენდატის საათს, არა და არ გამოჩნდა ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი, არც მეტრო აამუშავეს, არც ადამიანები გაათავისუფლეს შინაპატიმრობიდან. მოსახლეობის მცირე ნაწილისგან განსხვავებით, უმრავლესობას ჭამა, სმა, ძილი ევალებოდა. ჰოდა ბარბარესაც მეტნილად ეძინა. ბოლო დროს სანოლშიც აღარ წვებოდა, სასტუმრო ოთახში დივანზე წამოგორდებოდა, გადაიფარებდა თავის საყვარელ მწვანე ფერის პლედს, გადაშლიდა წიგნს, რამდენიმე ფურცელს წაიკითხავდა და მიიძინებდა.

მაისიც დადგა, ხასხასა მწვანე, სველი და სევდიანი. ადამიანებთან მოვიდა, ისინი კი არ შეეგებნენ. ეწყინა მაისს და შინ არავისთან შევიდა, ნატკენი, ამაყი გული აუტირდა და ცრემლები გადმოღვარა ბარბარესთვის უსაყვარლეს მშობლიურ ქალაქში: - არ გინდივართ?! მაშინ, არც მე მჭირდებით! ფიქრობდა ალბათ, - რაც არ გინდათ, ღმერთმა არც მოგცეთ, აგავსებთ ცრემლებით



და გარეთ გამოსვლის ხალისს დაგიკარგავთ. არ მოგცემთ წვიმებს, უფუფუნას და შხაპუნას, უფმური წვიმები გებოდებთ ჩემგან!

წვიმა კარგია, განა ცუდი, მაგრამ ნამეტანი არც ის ვარგა, ყველა პროდუქტს, რაც კი ამ თვეში მოდის, გემო და არომატი უფერმკრთალდება.

მარწყვი მოიტანეს უბნის მაღაზიაში, იყიდა, მჟავე აღმოჩნდა, შაქარი დააყარა, მაგრამ, გემო მაინც ვერ ჩაატანა. კონიაკად გადაკეთებული სპირტი გადაჰკრა, ამის მერე იგრძნო მარწყვის გემო, კიდეც სამჯერ დალია, გაბრუვდა, მინვა საყვარელ დივანზე, ძარღვეებში სისხლმეჩერებულმა, მოახერხა გადაეფარა მწვანე პლედი და თვალები დახუჭა, თუმც, მანამდეც ძლივს ახელდა.

ბარბარეს თვალელებში ნაცრისფერმა, ლურჯმა და შავმა გაიელვა. სიშავეში ჩაიძირა, რომელიც სასიამოვნო იყო, ჩაიბურღლუნა, - მიყვარხარ შავო, ჩემი ხარ, ჩემი... კიდეც რალაც უთხრა საკუთარ თავს, ბოდვას ჰგავდა.

ზურგი სასიამოვნოდ გაუთბა, მაგრამ გულ-მკერდსა და მუცელზე სიცივემ გაუარა, თავისკენ მოქაჩა პლედი, ვერ დაიხურა, ამიტომ, დივანის საზურგეს მიეკრა, აღარ სციოდა, ძილი გააგრძელა. კარგა ხანს იყო ასე. ერთ მხარეს წოლისგან მკლავი და ხელის მტევანი დაუბუფდა, უკანა ტანი გაუხურდა, გადმობრუნდა გაჭირვებით, თითქოს ვიღაც ბარიერს უქმნიდა, გადმობრუნებაში ხელს უშლიდა. გადმოტრიალდა და იმ ვილაცას მკლავი წელზე მოხვია, მოეჩვენა, რომ სებასტიანეს მოეხვია, იცოდა, ის ვერ იქნებოდა, მაგრამ მაინც დაიჯერა, თავისკენ მოზიდა, მკერდზე თავი დაადო და შვებით, ღრმად ამოისუნთქა.

ბარბარე შეიშმუშნა, გულალმა დანვა და ფეხი აიქნია, პლედი მოიშორა. ახალგაზრდა კაცი დაცქეროდა ქალის სახეს, უსმენდა მის სუნთქვას. კაცს თავისით წაუვიდა ხელი კოფთის საკინძისკენ და შეხსნა. ბუზლალტერი არ ეცვა, ახალგაზრდა გააოცა მშვენიერი, მკვრივი მკერდის ხილვამ, პატარა, ვარდისფერმა კერტებმა. შეეხო, კოცნაც მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა. საკინძე შესხნილი დაუტოვა, ფრთხილად დააფარა პლედი მკერდზე,



მის მხართან დადო თავი და გაირინდა, ფხიზლობდა, როგორც ნადირი ნადავლის წინაშე.

ქალი გაღვიძებას იწყებდა, გვერდიდან მოშორდა, შაქარ-მოყრილი, მარწყვით სავსე თეფში აიღო, პირთან მიიტანა, დამტკბარი მარწყვის წვენი შეხვრიპა, ესიამოვნა, მერე, ოდნავ მომჯავო მარწყვებიც შეჭამა და ასე ეგონა, ბარბარეს ჭამდა.

ბარბარემ მკლავები გაშალა, გაინელა, დაამთქნარა, თვალე-ბი გაახილა. ლამაზი იყო, ჯერ ისევე ახალგაზრდა.

რა სიცოცხლე ქალია, - გაიფიქრა იმედამ.

ბარბარე დივანზე წამოჯდა, გაიზმორა, იმედაც დაინახა, მიაშტერდა.

-რატომ შემეჩამე მარწყვი?!

-მომინდა!

ბარბარეს კარი ღიად დარჩენია.

-როდის მოხვედი?!

-გუშინ, საღამოს, ამხანაგს გამოვყევი, ჩამოვედი თუ არა, აქ მოვედი, კარი არ ჩაგიკეტავს, შემოვედი, აღარ გაგაღვიძე. დივანთან მუხლებზე დაჩოქილი დაგყურებდი, - იცრუა იმედამ.

-რატომ არ შეხვედი საძინებელში?!

იმედამ არ უპასუხა.

ბარბარემ გახსნილ საკინძეზე დაიხედა და სახელანძულმა სასწრაფოდ შეიკრა.

-შეგიძლია, ყავა მოადულო?

-კი, სხვა რამეების გაკეთებაც შემიძლია.

-გუშინ დავლიე, მარტომ...

-აღარ თქვა, - გაიცინა იმედამ, - მე მოგხედავ!

ბარბარემ გაიფიქრა, უცხო ბიჭის მისახედი გავხდი, როცა ჩემი ბიჭი მყავს. იმედას ნამზეურ სახეს დააკვირდა, ჯანსაღს, გაზაფხულის შესაფერისს. ის არ ჰგავდა ბარბარეს უბანში მოსი-არულე, სახე-მკრთალ, გაფითრებულ ადამიანებს. გაუღიმა ყოფილ მოსწავლეს, - მოგხდომია სოფელში ყოფნა.

მინაზე მუშაობის მეტი იქ არაფერია.



შენიანები ხომ გვერდით გყავს, დააფასე!

ჰო, ეგ კი!

ისაუზმეს, ყავაც მიირთვეს, სიგარეტიც მოწიეს და, ისევ მოწყენილობა...

ბარბარეს მობილურმა ტელეფონმა დარეკა, უხალისოდ უპასუხა ვილაცას, - გმადლობ, რა მიჭირს... არა, ჩემო კარგო, ალბათ აღარასდროს მოგიწევს აქ მოსვლა... ისე, სტუმრად კი ბატონო... ასეა, ასე... აღარ მინდა ამაზე საუბარი... ნახვამდის.

-ვინ იყო?- იკითხა იმედამ.

-დამხმარე უბნელი ქალი, მოსვლა უწევდა დღეს, მაგრამ დავითხოვე. თავად დავალაგებ აქაურობას.

-კარგი, წავალ მაშინ.

-ჰო!- დაეთანხმა ბარბარე.

იმედა მიხვდა, რომ შეაწუხა ადამიანი თავისი წაუსვლელობით.

ცისფერი სახლის სადარბაზოდან გამოვიდა და გაიფიქრა. რა დააბერებს, ცხოვრობს მშვიდად, თავს უფლის, არც არაფერი აშფოთებს, კორონას გარდა... ასე ფიქრობდა, მაგრამ იცოდა კი ახალგაზრდამ, თუ რა გზა გამოიარა ამ ქალმა, ან რამდენი დარჩა გასავლელი? მას ხომ მეტი ჰქონდა დროც, გასავლელი გზაც, უნარებიც, შესაძლებლობებიც, მაგრამ ახალგაზრდა იყო და ამ საკითხზე ღრმად დაფიქრება ეძნელებოდა. მას უფრო ბარბარეს ინტერესი ჰქონდა, ვიდრე საკუთარი მომავლისა. მის მკერდზე, ლამაზ, წვეტიან მუხლებზე, შარმზე ფიქრობდა, რომელსაც დრომ ვერაფერი დააკლო.

...

მაისის წვიმებმა ბარბარეს ფანჯრების მინები დააბინძურა. გადანყვიტა მათი დასუფთავებით დაენყო სახლის დალაგება. კიბეზე შემდგარმა დაწმინდა შიგნიდანაც და გარედანაც, ბოლომდეც ვერ მისწვდა მინებს, თავს იიმედებდა, ასე თუ ისე, სუფთაა. გამთენიისას შეუდგა საქმეს, სვენებ-სვენებით შრომობდა. ჭურჭელი დარეცხა, მტკვრები გადანმინდა და იატაკი დარჩა მოსარეცხი. აღარ შეეძლო ძველებურად ბზრიალი და სახლის დაწკრიალება. გადანყვიტა, საქმე დილით დაესრულებინა.



შუადღით იმედას მესიჯი მოვიდა, ეკითხებოდა, რას აკეთებო, დღე არ გავიდოდა, რომ არ მოეკითხა, გარდა იმისა, რომ დიდი ხანია შენობით ელაპარაკებოდა, ახლა უკვე სახელითაც აღარ მიმართავდა, გოგონას ეძახდა. ბარბარემ უხალისოდ უპასუხა, იატაკს ვწმენდ და ხელს ნუ მიშლიო. იმ დღეს აღარ მოუწერია იმედას. მერე მანონმა დარეკა, - ცოცხალი ხარ, მომენატრეო. მეცო, - უპასუხა ბარბარემ.

მარგოტსაც გაახსენდა მეგობარი, რომელიც, კარგა ხანია არ შეხმიანებია, ვინაიდან ახალ რომანს წერდა. არც ბარბარეს დაურეკავს მისთვის, დრო რომ არ წაერთმია, ამიტომ, ახლა ჰკითხა: - რა ხდება შენს რომანში?

-ოოო, რაღაც კორონული ამბავი გამომდის, თითქმის დავასრულე, ვუცდი მოვლენების განვითარებას, რომ ეს ყველაფერი ავსახო. ერთი საუკუნის დასასრულზე და ახლის შემოსვლაზეა, რომელშიც გადმოსულია წინა საუკუნის ნაშთები, დანარჩენს თავადაც ნახავ!

-ყოჩად მარგოტ, დიდებული გოგო ხარ!

-შენც გოგო, და გილოცავ დაბადების დღეს!

-რას ამბობ, დღეს დავიბადე?! - გაუკვირდა ბარბარეს.

-დღეს ხომ 13 მაისია.

-მართლა?! - გული დასწყდა ბარბარეს, პირველად თავის ცხოვრებაში, საკუთარ დაბადების დღეს ოჯახის წევრების, ფუს-ფუსის, სამზადისის, სტუმრების მოლოდინის გარეშე შეეგება.

დღის ორ საათზე დავითი მოვიდა, სულაც არ ახსოვდა ბარბარეს დაბადების დღე, ისე, შემთხვევით დაემთხვა მისი სტუმრობა ამ დღეს, მაგრამ, თავად ბარბარე ყოველთვის ახსოვდა. მწვანილები და ბოლოკი ჩამოუტანა თავისი დის სოფლიდან, - ცოლ-შვილი და ლეკვი ბობი დავტოვე.

-წამოგეყვანა ისინიც...

-რანაირად გოგო, გვერდით ვერავის დაისვამ, უკან მხოლოდ ორი უნდა იჯდეს, ისედაც „სუხოიზე“ ვზივარ და გინდა, რომ დამაჯარიმონ?!

-უი, ჰო!- გადაიკისკისა ბარბარემ, - ბობუკა მაინც წამოგეყვანა, ხომ იცი, როგორ მიყვარს ძაღლები.



-მაიცა კაცო, უკან ვბრუნდები ხვალ.

ცოტა ხანში მანონმა დააკაკუნა, შემოვიდა და მხიარულად -
არ ვიცი კორონა და აკრძალვები, უნდა გაკოცო!

გადაეხვია ბარბარეს და მაჯის საათი აჩუქა.

-რატომ შენუხდი მანონ, რა საჭირო იყო?!

-ენა გააჩუმიე ქალო! ჰა, ახლა ვჭამოთ რამე.

-აუ, როგორ დამავინცდა! - შეიცხადა დავითმა.

-საჭმელიცაა და სასმელიც, ოღონდ, მარგოტი გვაკლია!- სინანულით წარმოსთქვა ბარბარემ და აი, მზის სხივივით შემოანათა მარგოტმაც, ტორტი მიართვა იუბილარს.

კამპანია შედგა. ლამაზად დასრულდა დღე. თითქოს სახლიც გაბედნიერდა ბარბარეს მეგობრების მიერ დატოვებული სითბოთი.

ორმოცდაცამეტი წელი... სიბერის დასაწყისი, მოხუცებულობისა, რომლის წინაშეც ძრწოდა ბარბარე. შინაგანი ჭკნობა დაიწყო, ეს გამოინვევს დაუძღურებას. ბევრ რამეს ველარ შეეძლებ, გულმავინყოფა დაძმედება, ცხოვრებას ჩამოვრჩები, უფრო მეტად შინ ვიქნები და ადამიანებიც დამივინყებენ, ჯერ ისევ ცოცხალს, მსუნთქავს. აი, უკვე შვილებიც, თავის წვრილმან საზრუნავში ჩაფლულან და დედის დაბადების დღეც დავინყებიათ!

თავში ხელის წაშენა მოუნდა, მაგრამ მესიჯი მოვიდა იმედასგან, მიყვარხარო წერდა. მეც, - დაუფიქრებლად უპასუხა ბარბარემ, - ოღონდ, ახლა თავი დამანებე, სიმარტოვე მინდა.

ბარბარე შუშაბანდში გავიდა და ცას ახედა. ბინდებოდა, მაგრამ ადრე, ცა ამგვარად მუქი არასდროს ენახა. შეეშინდა, ყვირილი მოუნდა, მაგრამ შერცხვა. მისაღებ ოთახში შებრუნდა, მუხლის თავებზე ხელის გულები დაიდო და სატირლად მოემზადა, მაგრამ ცრემლები აღარ ჰქონდა. შინაგანმა სიმშრალემ შეანუხა. ადრე, ახალგაზრდობაში, ოცნებებს, სურვილების ასრულებას პირდაპირ უმზერდა, ახლა ოცნებაც აღარ შეეძლო, გამქრალიყო.



ნარინჯისფერი

გაზაფხული ძალაში შევიდა, ცივი, წვიმიანი და ქარიანი დღეები დასრულდა. თბილმა, მზიანმა ამინდებმა ბავშვები გარეთ გამოიყვანა სათამაშოდ და სოფელიც აჟრიაშულდა. მონყინა იმედამ, მიზეზს ეძებდა, როგორმე იქიდან გამოეღწია. ბარბარე ენატრებოდა. მის გვერდით ყოფნა თუ გამოუკეთებდა გუნება-განწყობას.

ცოლის კლასელის ქმარი აპირებდა საკუთარი მანქანით დედაქალაქში დილაუთენია გამგზავრებას იმედამ სთხოვა, თუ საშუალება გაქვს, მეც თან გამიყოლეო.

მეზობელი დათანხმდა, - დილის ექვს საათზე გავემგზავროთო.

ოღონდ ამ სოფელს გასცლოდა და ახლავე მზად იყო გასამგზავრებლად. ვერ დაიძინა, წრიალებდა, ადგა და ეზოში გავიდა, გათენებას ელოდა, მერე, ჰამაკში ჩანვა, დილის ხუთ საათზე გაედვიდა, მზე სანახევროდ ამოსულიყო და ცა ნარინჯისფრად გაენათებინა. გაოცდა იმედა.

ცოტახნით იყო ცა ამგვარად შეფერადებული, ალბათ, ცოტა ადამიანმა თუ დაინახა ნარინჯისფერი ცა და ცა, რომ ცას დაემსგავსა და თეთრი ღრუბლებიც გამოჩნდნენ, იმედამ ჭიდან სათლით წყალი ამოიღო, ხელ-პირი დაიბანა, ამასობაში მანქანაც მოდგა ეზოს ჭიშკართან.

არავის დამშვიდობებია, ოჯახის წევრებს ეძინათ.

თბილისში რომ ჩამოვიდნენ, ღრმად ამოისუნთქა. ცოლის კლასელის ქმარმა ჰკითხა, - ამ უბანში ვისთან მოხვედიო.

- ახლობელთან, - უპასუხა იმედამ, - ოღონდ, შენ არ გამიბაზრო ეს ამბავი, რეჟისორი ცხოვრობს აქ, დამიბარა, ალბათ, როლს მომცემს, ჯერ არ ვიცი.

-რა დროს როლია ბიჭო, დაიქცა ქვეყანა.

- რა ვქნა, ესაა ჩემი საქმე და ოდესმე ხომ უნდა ავმოდრავდე?!

- არ ვთქვა, რეჟისორთან რომ მომაცვანინე თავი?

-კი, ასეა, - დაუდასტურა იმედამ.



- კარგი.

- აქ გააჩერე, ფეხით უნდა მივიდე.

- შენით წამოხვალ თუ გამოგიარო?

- მივხედავ თავს!

- ხუთი დღის მერე ვბრუნდები სოფელში, რას იზამ...

- დაგიკავშირდები „ბრატი“ - უპასუხა იმედამ.

სადარბაზოს კარის კოდის ნომერი უკვე იცოდა, სამ ლილაკს ერთდროულად მიაჭირა თითები, კარი გაიღო. აირბინა კიბეები, ბარბარეს კართან შეჩერდა, დააკაკუნა, ზარიც დარეკა, მაგრამ არვინ გაუღო. ქუჩაში გავიდა, სადარბაზოს კარებთან დადგა, სიგარეტს მოუკიდა. ქუჩის ორივე მხარეს გაჰყურებდა, ხან მარჯვნივ გახედავდა გზას, ხან მარცხნივ, მაგრამ ის არ ჩანდა, ფეისბუქს დახედა, არც ფეისბუქზე ენთო, სადღაცაა გასული, გაიფიქრა იმედამ, მან არ იცოდა, დაბრუნდებოდა თუ არა ქალი, ამიტომ დაურეკა.

- გისმენ! - მაშინვე უპასუხა ბარბარემ.

- სად ხარ გოგო!

- ხუთ წუთში გამოვჩნდები...

- მომენატრე გოგო!

მოვნატრებივარ და სადღაც, ვიღაც მელის! უნდა მიხაროდეს? არ მიხარია, ალბათ, კვდება ან უკვე მკვდარი მაქვს გული. მწარე აზრმა გაუელვა და ასე უპასუხა იმედას: - ჰო, კარგი, გავიგე, თითქმის მოვედი.

ქალის დანახვაზე იმედას სახე გაეზადრა და მკლავები გაშალა, მაგრამ ბარბარემ გვერდით ჩაუარა.

- რატომ, ასე ცივად?! - იკითხა გაოცებულმა და ქალს უკან გაჰყვა, - რატომ არ ჩამეხუტე?!

- იმიტომ! - მკაცრად უპასუხა ბარბარემ.

- რატომ, იმიტომ?! მე ხომ მიყვარხარ!

- ვიცი.

- მერე! - გაუღიმა იმედამ მასპინძელს, რომელიც, ძველებური, ჩუქურთმიანი გასაღებით კარს აღებდა.

- რატომ ცელქობ?! - კარი შეაღო ბარბარემ და გრაციოზუ-



ლი აესტით შეიპატიჟა სტუმარი. იმედამ ფეხი შედგა სასტუმრო ოთახში. როცა ბარბარემ კარი ურდულით გადაკეტა, იმედა შემოტრიალდა, ქალს მკლავები შემოაჭლო, განძრევის საშუალება წაართვა, გიჟივით დაუნყო სახეზე კოცნა, ცოტათი რომ დამშვიდდა, ყელზე გადავიდა. ბარბარე დაიბნა და ცოტა არ იყოს შეეშინდა. იმედას აჩქარებული გულისცემა მთელს სახლში ისმოდა. ვერ გაბრაზდა. ეს არ ჰგავდა წინასწარ დაგეგმილ ქმედებას. რალაც მოხდა, მაგრამ რა...

-მაგრად მსიამოვნებ, დედას გეფიცები, - აჩურჩულდა იმედა, სახე უხურდა, თითქოს სიცხე ჰქონდა.

-შე-მე-შვი! - მკაცრად, ჩურჩულითვე, დამარცვლით წართქვა ქალმა.

- არა, ვერ შეგეშვები, ტკბილი ხარ...

-გამიშვი!-ხმას აუწია ბარბარემ.

-გიხაროდეს, ჯერ ისევ შეგიძლია კაცის გულის აძგერება!- თვალეზახუჭული აბუტბუტდა იმედა და მოდუნდა. ბარბარემ დრო იხელთა, თავი გაითავისუფლა იმედას კუნთიანი მკლავებისგან და მკერდზე ორივე ხელი ჰკრა. კაცი ნაბოროძიკდა, სავარძელს დაეჯახა და წაიჩოქა.

დონიჯშემორტყმული ბარბარე თავს დაადგა.

-რა გაბედე, თუ იცი!

-ისეთი რა გავაკეთე! - უპასუხა თავჩაქინდრულმა იმედამ. ბარბარემ თვალეზი გადაატრიალა, სიბრაზისგან კი არა, ისე, უბრალოდ, ოდნავ გაელიმა კიდეც, შეტრიალდა და მოპირდაპირე სავარძელში მოკალათდა, სავარძლის ზურგს მიეყრდნო, ფეხი ფეხზე გადაიდო და იმედას დააკვირდა, - შემომხედე!

იმედამ თავი ასწია და ბარბარეს შეხედა.

-აი, ასე, სიგარეტი გაქვს?

-კი! - უპასუხა იმედამ, - მოვწიოთ? - წამოდგა, შარვლის ჯიბიდან სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი ამოიღო, გახსნა, ბარბარეს მიუახლოვდა და კოლოფი მიანოდა, ქალმა ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო, იმედამ სანთებელა მოიმარჯვა.

-როიალზე მწვანე საფერფლე რომ დევეს, ის მოიტანე, მიყ-



ვარს მაგაში ჩაფერფლება. იმედამ მაგიდაზე გადმოიტანა საფერფლე, სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა და ნაფაზი დაარტყა. უზარმაზარ სავარძელში, ბარბარეს გვერდით დაჯდომა შესაძლებელი იყო და გვერდით მიუჯდა. ბარბარეს კვლავ გაელიმა, მოეწონა ბიჭის სითამამე, მაგრამ გარეგნულად არ შეიმჩნია, წარბები შეჭმუნხა. იმედამ თითქმის მოუწვეველი სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა და ბარბარეს მკლავს თავი მიადო, თვალები მილულა, ბარტყს დაემსგავსა, უწყინარს.

ბარბარემ მშვიდად გააგრძელა სიგარეტის მოწვევა, საფერფლეში ნამწვი ჩააგდო. იმედა ისევ თავს დაესხა და კვლავ კოცნა დაუნყო, ქალი სავარძლიდან წამოხტა და გაიქცა, კედელს შეასკდა ლამის. იმედამ მოატრიალა და მოეხვია, ქალის ტუჩები თვალდახუჭულმა იპოვა და ზედ დაეკონა. ბარბარე კიდევ ერთხელ გაოცდა. ბიჭს კი მოეჩვენა, ვისაც კოცნიდა, პირველად კოცნიდნენ ამგვარად, ბარბარემ თავდაცვის მიზნით სახე გვერდით მიატრიალა, - რა პატარა გოგოსავით იქცევი?!

- ვინ, მეე?! - ბრაზი მოერია ბარბარეს და კვლავ ხელი ჰკრა კაცს, ისევ ნაბოროძიკდა იმედა, ამჯერად, შედარებით მსუბუქად, - რა ღონიერი ხარ?!

- აბა, რა გეგონა! - უპასუხა ბარბარემ, - ნადი!

- კარგი, ოღონდ, ჯერ წყალი დამალევიწიე.

ბარბარე სამზარეულოსკენ გაემართა, ჭიქით წყალი მოუტანა. იმედამ გამოართვა და ჰკითხა: - მართლა გინდა ჩემი წასვლა?

- უნდა წახვიდე, იმედაე! - მკაცრად უპასუხა ქალმა.

პირგამომშრალმა იმედამ ჭიქა გამოცალა და ბარბარეს მიანოდა, კარებისკენ გაემართა, ბარბარეც უკან გაჰყვა. ბიჭი შეყოვნდა და ბარბარეს სთხოვა, - მაკოცე!

ბარბარემ ლოყაზე აკოცა, და მოეჩვენა, რომ ბიჭს ეშმაკურად ჩაეღიმა.

კარები ურდულით გადაკეტა და წარმოსთქვა: - ტუტუცი!

გზად მიმავალმა იმედამ ცას ახედა, ინტუიცია კარნახობდა, რომ ბარბარე, როგორც ქალი დანებდებოდა და ეს, რაც შეიძლება მალე უნდა მომხდარიყო, უნდა აეხდინა ოცნება, უნდა შეეგ-



რძნო, უნდა დამტკბარიყო და დაეტკბო იმგვარად, ქალს ცხოვრების უკანასკნელ წამსაც გახსენებოდა ბედნიერების წუთები იმედასთან... დაუფლებოდა ბავშვობისას ნაოცნებარს: - რალაც გამოვა, რალაცა მოხდება! - ხმამალა წარმოსთქვა და თითქმის ცარიელ ქუჩაზე, ჩქარი ნაბიჯით სვლა გააგრძელა.

იმედას საქციელი არ გაუნალიზებია ბარბარეს, მშვიდად ჩაიძინა კირკიტა და ბუნებით მიზეზთა მიზეზების მაძიებელმა ქალმა.

დილით ლუკა და ჟოზეფინა ესტუმრნენ, მოგვიანებით მოულოცეს დაბადების დღე. ლუკამ დედა მკერდზე მიიკრა და ფრანგული სუნამო აჩუქა: - დე, შენი საყვარელი სუნამო „ბუშერონი“ ვერ ვიშოვეთ, არსადაა, ამიტომ, ჟოზეფინამ თავისი გემოვნებით შეგირჩია სუნამო. შენ და სუნამო ხომ განუყრელები ხართ. ახლაც რა სასიამოვნო სურნელს აფრქვევ, რომ იცოდე.

ბარბარემ სუნამოს კოლოფს დახედა, კოკო შანელის „შანსი“ იყო. გული აუჩუყდა, მიუახლოვდა გოგონას და ნაზად შუბლზე აკოცა. ჟოზეფინა მოეხვია შეყვარებულის დედას, ყმანვილისას, რომლის გარეშეც სუნთქვა უჭირდა და გრძნობდა ჟოზეფინა, რომ ეს იცოდა ბარბარემ.

დედამ შვილს გახედა და უთხრა, - გაუფრთხილდი ამ ძვირფას გოგონას, იზრუნე მასზე, არ მგონია, ამაზე მეტად ვინმემ შეგიყვაროს, შვილო!

-ვიცი, დე, გულით მიყვარს!

-კიდევ რას მეტყვი?-ღიმილით ჰკითხა შვილს.

-მიყვარს და მეტი რა ვქნა! - გაკვირვებით წარმოსთქვა ლუკამ.

-არ გიყვარდეს უბრალოდ, ბანალურად, ვისურვებდი, მთელი სულითა და გულით...

-ჰო, ასეა, დე! - ლუკამ ხელი ჩასჭიდა ჟოზეფინას, თითქოს შეეშინდა, ჩემი გოგო არ გაქრესო. ჟოზეფინამ გადაიკისკისა, - რა საოცარი ქალი ხართ ბარბარე, ლუკას პირადად ჩემთვის არასდროს უთქვამს, რომ ვუყვარვარ, მხოლოდ მე ვამბობ და ვყვირი...

-ლუკამ და შენ უნდა დააკანონოთ თქვენი ურთიერთობა. ჩა-



იაროს ამ კორონულმა ამბებმა და ამაზე ვიზრუნებ.

- კაი რა, დეე! მაგის გარეშე რა, ვერ ვართ?!..

-აი, ხედავთ?! - მიმართა ბარბარეს ჟოზეფინამ.

ბარბარემ თავი დაუკრა გოგონას და მრავალმნიშვნელოვნად გახედა ლუკას, სუნამოს კოლოფი გულთან მიიღო და თავის საძინებელ ოთახში შევიდა. ამასობაში ლუკამ ჟოზეფინას გულში ჩახუტებაც მოასწრო. ბარბარემ გამოსვლა დააგვიანა.

-დეე! - კარზე დააკაკუნა ლუკამ.

-მაცალე! - გამოსძახა საძინებლიდან დედამ.

-ნავალთ, გავისეირნებთ!

ბარბარემ კარი გააღო და წარმოსთქვა: - ორ წუთს წაგართმევთ!

ჟოზეფინას მიუახლოვდა, მის მარჯვენას ჩაავლო ხელი და თითზე უზარმაზარი, ნარინჯისფერთვლიანი ბეჭედი წამოაცვა. ჟოზეფინამ ხელზე დაიხედა. მას არასდროს მოსწონდა მასიური სამკაულები, თუმც მიხვდა, რომ ძვირფასი რამ აჩუქეს. ოვალური ფორმის ნარინჯისფერ თვალს გარშემო პანია ბრილიანტების წრე ერტყა. ულამაზესი ბეჭედი მაშინვე მოეწონა და გაიფიქრა, როგორი დიდსულოვანი, ლამაზი ადამიანია, მისგან ბოძებული მდიდრული საჩუქარი თილისმა იქნება ჩემთვის... გული მადლიერების გრძნობით აევსო და არ იცოდა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. თავჩაქინდრული იდგა ლუკას დედის წინაშე. ბარბარემ მხრებზე ხელები დაადო და წარმოსთქვა: - დღეს დაინიშნე, თავს ვაცხადებ დედამთილად, თუ დედადაც მიმიღებ, ძალიან, ძალიან გამიხარდება!

ჟოზეფინა ატირდა და ქალს მოეხვია. საყვარელი და თბილი იყო გოგონა. ლუკა იდგა და გაღიმებული შეცქეროდა მომავალი რძალ-დედამთილის ხვევნა-კოცნას.

დედას შეეძლო სიხარული და სიყვარული ერუქებინა სხვისი შვილისთვისაც. ადრე, დიდი ხნის განმავლობაში ბრაზობდა და ეჭვიანობდა ბარბარე, როცა ის სხვის შვილებს ეფერებოდა. გაახსენდა, პატარაობისას, პირველად, როგორ გაუკვირდა, როცა დე-



და სხვა ბავშვს მიეფერა, ვინაიდან, ეგონა, რომ დედები მხოლოდ საკუთარ შვილებს ეალერსებოდნენ. გახარებულები წავიდნენ შვილები სასეირნოდ უბნის და ქალაქის ულამაზეს ქუჩაზე.

ბარბარე სადარბაზოშიც გაყვა ახალგაზრდებს და ჰკითხა: - ხომ არ მობრუნდებოდით დასარჩენად?

კიბესთან შეყოვნებულებმა თავები გააქნიეს, თავიანთ პატარა ბუდეში ერჩივნათ დაბრუნება, ვიდრე, ბარბარეს მინი-სასახლეში.

შინ შებრუნებულ ბარბარეს და გული შეეკუმშა, როგორ შეიცვალა ცხოვრება, როგორ გაუბრალოვდა და ფასი და კარგა ადამიანურმა ურთიერთობებმა, სიყვარულმა ზოგადად, როგორ მივეჩვიეთ ერთურთის ცოცხლად დაკარგვას და სიკვდილსაც. გრძნობების სიჩლუნგე და ამნეზია გამეფდა ადამიანთა ყოფაში, იკარგება დადებითი ემოციები. მხოლოდ სიბრაზე, უმადურობა, დაუფასებლობა, ანგარება მეფობს ყველგან და ყველაფერში. ეს ყველაფერი ხომ საბოლოოდ გონებრივ სიჩლუნგემდე მიგვიყვანს?!

რახან აღარაფერი მოხდებოდა დღეს ბარბარეს ცხოვრებაში და არც გარეთ გასვლას აპირებდა, კონიაკის ბოთლი გაახსენდა, აიღო და სანამ დაღევდა, ჩაფიქრდა, მუხლზე დაიდგა ბოთლი, გავბრუვდე ამ სითხით თუ არაო. დაღევა მოუნდა და მარტოობით დამფრთხალმა კარის ურდული განია, თუ რამე მომივა ან მოვკვდი, ღიად, რომ იქნება კარი, გაუიოლდებათ ჩემთან შემოსვლა და მომხედავენ...

ტელეფონმა დაინკარუნა, იმედამ მოსწერა, - როგორ ხარ გოგონა?

- იმედავ, არ დამკარგო!
- მე, შენ დაგკარგო?! არასოდეს!
- მოხუცი რომ ვიქნები, არც მაშინ?
- არასდროს დაბერდები, არ არსებობს!
- არსებობს, და ეგ, ძალიან მალე მოხდება!
- სულერთია, ვინც მიყვარს, არ ვკარგავ.
- ცოლიც გიყვარს?



- კი.
 - ასე, უბრალოდ კი და მეტი არაფერი?!
 - ორივე მიყვარხართ!
 - შენს ცოლს ნუ შემადარებ!
 - რა თქმა უნდა, არა, შენ განსხვავებული ხარ და ეს იცი!
 - დიახ, თანაც უცხო ვარ.
 - შენ ჩემთვის, ახლობელზე უფრო ახლობელი ხარ!
 - ჰო, ვიცი. ამიტომ, გამიფრთხილდი და მეტჯერ აღარ შეგე-შალოს...
- რამდენიმე წუთს დაიცადა, იმედამ აღარ მოსწერა.



თეთრი

მოიწყინა იმედამ შინ, სოფელში დარეკა, შვილებს დაელაპარაკა. ბავშვებმა ჰკითხეს, როდის მობრუნდები? რომ ჩამოხვალ, კანფეტები, შოკოლადები და ორცხობილები ჩამოგვიტანეო.

- სამ დღეში, შვილებო... ყველა შეკვეთა მიღებულია, ჩამოგიტანთ!

სახლიდან გავიდა, ტაქსიში ჩაჯდა და ბარბარეს უბანში წავიდა. მანქანიდან გადმოვიდა და უმიზნოდ იარა. “ღვინის გალერეაში” შევიდა და ერთი ბოთლი ძვირად ღირებული, ნახევრად მშრალი, თეთრი ღვინო იყიდა.

ძლიერ უნდოდა ბარბარეს ნახვა, მაგრამ ცოტა არ იყოს, ერიდებოდა, თითქოს ეშინოდა კიდეც, მაგრამ სურვილმა და ინტუიციამ გააბედინა ბარბარეს კარს მიდგომოდა. სახელურს შეეხო, ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში შეიხედა. მწვანე პლედში გახვეულ ბარბარეს ტახტზე ეძინა. შევიდა, სასმელი თეთრ ჟურნალის მაგიდაზე დადგა, ვანილთან შეზავებულ კონიაკის სუნს აფრქვევდა სუნთქვისას ბარბარე. ჭიქაში კონიაკი ჩამოასხა და გადაჰკრა. ბარბარეს გაღვიძება და მასთან საუბარი მოუნდა, ოღონდ, რა თემაზე, თავადაც არ იცოდა. ცხვირზე საჩვენებელი თითით მოუღიგინა და ბარბარემ ხელი აუქნია. ყურის ბიბილოზეც წაეთამაშა, მაგრამ ქალმა ვერაფერი იგრძნო, ზურგი შეაქცია და ძილი გააგრძელა. იმედამ ძალით გადმოატრიალა და გულალმა დაანვინა, დიდხანს დასცქეროდა მძინარეს და საშინლად მოსწონდა ეს სახე, განსაკუთრებით, პატარა, ამობურცული, უფერული, მაგრამ გაბანტული ტუჩები, ვერ მოითმინა და აკოცა. ქალი შეფრთხილდა, მაგრამ კაცმა ხელები დაუკავა და ისევ აკოცა, შემდეგ, კისერსა და ყურის ბიბილოზე ეალერსებოდა.

გაელვიდა ქალს, მაგრამ არაფერი უთქვამს. თავს ცუდად გრძნობდა, თითქოს განძრევაც არ შეეძლო. კაცი ზემოდან დაანვა, მაისურში ხელი შეუცურა და მკერდზე მოეფერა. ბარბარეს მთელ სხეულში სიცივემ დაუარა და აკანკალდა. იმედამ



გაიფიქრა, სიამოვნებისგან კანკალებსო, მაგრამ არასასიამოვნო იყო ქალისთვის ეს შეხება, თითქოს ვიღაცა სამედიცინო, მტკივნეულ პროცედურას უტარებდა მკერდზე. მიხვდა ბარბარე, იმედა იყო, იმედა, რომელმაც ისევ ტუჩებზე აკოცა და ღიმილით უთხრა, -ესაა ნახევრად ზასი, ახლა გაჩვენებ ნამდვილ ზასს...

გაბრაზდა ბარბარე, ნუთუ ეს ლანირაკი მასწავლის კოცნასო!

ვერ ინძრეოდა, კაცი ამის საშუალებას არ აძლევდა. ქალმა მარჯვენა ბარძაყის ზედა ნაწილზე სისველე იგრძნო და შეშფოთდა, თავდაცვის მიზნით, იმედას უთხრა: - ნუ გამჭყლიტე, წამოჯდომა მინდა. თუ მადროვებ, გასწავლი სხვანაირ კოცნასაც...

-მართლა?! - აღფრთოვანდა იმედა და მაშინვე წამოხტა. ქალმა იმედას შარვალს შეხედა, დასველებოდა... შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. წამოდგა ტახტიდან: - შენ გქონდა ჩემთან კონტაქტი ისე, რომ მე არაფერი მიგრძენია?!

-ჰო, ძალიან ტკბილი ხარ!.. - გრძნობით წარმოსთქვა იმედამ.

-მოდი ჩემთან! - იხმო ბარბარემ ყმანვილი, მკლავები მხრებზე შემოხვია და აკოცა, ქვედა და ზედა ტუჩზე ენის წვერი მოუსვა.

-გავითიშე!-წარმოსთქვა იმედამ.

-ჰო, და ახლა ნადი და ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს!

-რატომ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ!-წარმოსთქვა გაოცებულიმა იმედამ.

-მეგობრები არა, ის კიდევ!...

- მიყვარხარ!

-რას ამბობ, ჩემზე ფიქრით აღამებ და ათენებ!

-ბარბარე! - დაიყვირა იმედამ.

-ხმას დაუწიე... გადი, განმშორდი!

-შენ ხომ მიმიღე ბარბარე!

-დიახ, სახლის კარიც გაგიღე, და შენ როგორ მოიქეცი!...

-არ გამაგდო!

-ხომ გთხოვე, არ დამკარგო-თქო, მაგრამ შენ, ვერ გაიგე!

-აღარ ვიზამ...



-იზამ, ვინაიდან წუნკი ხარ და ეგოისტი. არავინ გიყვარს საკუთარი თავის გარდა.

-სცდები, ბარბარე!...

-ვერ დამარწმუნებ, გადი!-ხელი გაიშვირა ბარბარემ კარისკენ.

იმედამ თავი ჩალუნა, გასვლისას შემოტრიალდა, ქალს განრისხებული სახე ჰქონდა, ამიტომ აღარაფერი თქვა და წავიდა.

სტვენა-სტვენით მიდიოდა ქუჩაში, არც არაფერს ნანობდა, რაც იყო და მოხდა, აკმაყოფილებდა. საკუთარ თავს არწმუნებდა, - მაინც ყოჩალი ვარ, უბრალოდ, გამოცდილება მაკლიაო...

ბარბარემ სასწრაფოდ გაიხადა რაც ეცვა და ნაგვის პარკში ჩატენა, აღარ სურდა იმ ტანსაცმლის ტარება, რომელსაც იმედა შეეხო და დასვარა კიდეც. იბანავა და მოგვიანებით შენიშნა ღვინით სავსე ბოთლი მაგიდაზე. ნაგავში მოისროლა, რომ იმედას მოტანილ თეთრ ღვინოს დღევანდელი მძიმე წუთები არ შეეხსენებინა.

მანონმა დაურეკა: - გილოცავ ქალო!

-რას მილოცავ გოგო!

-ვიცი, გამოყრუებული ზიხარ, არაფერს უსმენ და უყურებ!

-უარესსაც ვაკეთებ!

-კიდეც, რას?!-გაოცდა მანონი.

-ვლოთობ, მარტო..

-არ მჯერა!-გადაიხარხარა მანონმა, - ვიცი, არ გეცოდინება და გეუბნები, ზეგ სხნიან კომენდატის საათს!

-გამახარე, კარგი დასაწყისია.

-მაგრამ ტრანსპორტი არ ვიცი, როდის გამოჩნდება ქალაქში, მეტროს სუნიც მომენატრა.

-უჰ, ესეც კარგია, ღამე სეირნობასაც თავისი ხიბლი აქვს.

-რესტორნები, რომ გაიხსნება, ნავუქეიფოთ ხო?

-აბა რაა!

-კაი, წავედი! ჭკუით მოიქეცი და ნუ თვრები.

ბარბარემ მესენჯერში შეიხედა, იმედას არაფერი მოეწერა. იოლად წავიდა. იმედა ფეისბუქში წაშალა და დაბლოკა კიდეც.



იჯდა გარინდული, არაფერზე ფიქრობდა, დასევდიანებულს გული ტკიოდა.

დათომ დაურეკა, მოიკითხა, შეამჩნია უგუნებობა: - ჰა, ახლა დეპრესია არ დაგეწყოს, გავვედით ბოლოში, მთავრდება პანდემია, ხვალ შემოგივლი, არ მოინყინო!

გათიშა ტელეფონი და მარგოტმაც დარეკა, ახარა, - მოვრჩი რომანს!

-გამოუშვი, ნავიკითხავე!

-ბარბარიკო, შენი ხმა არ მომწონს, რას დარდობ?

-მარგოტ, შეგიძლია ახლა მოსვლა?

-ახლა ვერა, კომენდატის საათი დაწყებულია. ხვალ დილითვე მოვალ, ხომ მშვიდობა გაქვს.

- სისულელეში გავები.

-შენ?! მანონმა იცის?

-არა, ვერავის ვეტყვი შენს მეტს, ვიცი, გამიგებ და არ გამკიცხავ, მაგრამ ისეთი რამ ჩავიდინე, რომ ყველაფერი გავაფუჭე, ვერც მოძღვარს ვეტყვი, მოდი და შენ მომიტყევე!

-არ გადამრიო ახლა!

- მოკლედ, ღირს მოსაყოლად.

-მიმანიშნე მაინც.

-გამოჩნდა კაცი, რომელსაც ჩემთან რომანის გაბმა უნდოდა, ისე, უბრალოდ, გასართობად, გვიან მივხვდი, და მაინც ვცაადე ურთიერთობის გაგრძელება, ვაპატიე, მაგრამ ამაოდ.

-ახალგაზრდაა?

-დიახ, ბევრად.

-არ მიკვირს! - უპასუხა მარგოტმა, დაამშვიდა და დაპირდა, დილით გეახლებიო.

ღამე თეთრად გაათენა ბარბარემ, დილით ჩაეძინა ნახევარი საათით. მარგოტიც ესტუმრა დაპირებისამებრ. ყავის დასალევად რომ დასხდნენ და ბარბარემ ხმის ამოღება დააპირა, მობილურ ტელეფონში ესემესი მოვიდა უცხო ნომრიდან.

გამარჯობა ბარბარე, მაპატიე! არ ვარ ცუდი ბიჭი, მეგობ-



რობაც შემიძლია და გთხოვ, იყავი ჩემი მეგობარი, გთხოვ!
იმედა.

ბარბარემ ტელეფონი მარგოტს გაუწოდა და უთხრა: - აი, სა-
ნამ ამბის მოყოლას დავიწყებ, ჯერ ეს წაიკითხე.

P.S. დასრულდა ერთი ამბავი... კორონაში ჩარჩენილი პირბა-
დით დავდივარ და სუნთქვა მიჭირს!

მიკვირს, რატომ ეწოდება გრიპის ვირუსს კორონა, როცა,
კორონა პროტესტანტი ქრისტიანების უსაყვარლესი წმინდანია,
რომელსაც დასნებოვნებული მორწმუნე ადამიანები ყოველთ-
ვის შველას თხოვდნენ და თხოვენ, რატომ, მაინცდამაინც კო-
რონა, ვინმე დაგვცინის?!

მე და ჩემი ბარბარე ვაგრძელებთ ცხოვრებას, ვაკვირდებით
მოვლენებს. გავა დრო, ერთად გავიაზრებთ რაც ხდება ჩვენს
თავს და კვლავ დავბრუნდებით ახალ-ახალი ისტორიებით.

ყველა ადამიანურ სიხარულს, სიკეთეს და ჯანმრთელობას
გისურვებთ!



ნანარმოების პირველ ამბავს ჰქვია“ კომენდატის საათი“ და შედგება ექვსი თავისგან: ნაცრისფერი, შავი, ლურჯი, მწვანე, ნარინჯისფერი, თეთრი, ვინაიდან ფერებს აქვთ სიმბოლური მნიშვნელობა და მკითხველს შესაბამისი განწყობის წარმოქმნაში ეხმარება.

თავის გადარჩენის მიზნით დავინყე წერა, ვინაიდან არსებული სამყარო აღარც გავს ნამდვილს... ადამიანებთან ურთიერთობა მომენატრა. არ ვიცი, კოვიდ-უბედურება სანამდე გასტანს, დარაბებს მიღმა გაზაფხულის ნაცვლად კორონა ნავარდობს და ბუნებაში არსებული ფერების აღქმაში ხელს მიშლის.

ყოველთვის მჯეროდა კაცობრიობის უკვდავებისა, მაგრამ ასეა?! ვეჭვობ. იქნებ, თითოეული ჩვენგანივით მოკვდავი გახდა კაცობრიობა და საერთო სიკვდილიც მოახლოვდა?!

ლიტერატურული ხერხების, წესების დარღვევა მომიწევს, თუმც ახლანდელ მკითხველს ვერაფრით გავაკვირვებ, მაგრამ ვცდილობ შავ-ბნელ დროებაში ადამიანურად ცხოვრება მოვახერხო. დადგება დრო და ისტორიკოსები, სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები კორონას ბატონობის პერიოდს ჯეროვნად შეისწავლიან, გაანალიზებენ, შეაფასებენ, მანამდე კი როგორც ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ყოველივეს ჩემებურად დავაკვირდები.

გამოვიგონე პერსონაჟები ბარბარე და იმედა. წინასწარ მათ შესახებ არაფერი ვიცოდი. დასაწყისში ვდირიჟორობდი, შემდგომ ბარბარე მმართავდა და ახლა არ ვიცი სად, რატომ და როდის შევჩერდები. სიმართლე გითხრათ, არც დანარჩენ პერსონაჟებს ვიცნობ რიგიანად. ადამიანი უფლის მიერ შექმნილი საოცრებაა და კონკრეტულ ვითარებაში ვინ როგორ მოიქცევა არ ვინ იცის. ასე, რომ პირველ ამბავში წამოწყებული პატარა ინტრიგა მოულოდნელად შეწყდა. ნანარმოები გაგრძელებას მოითხოვს და აი, სხვა ამბებიც სახეზეა.

ჩემი წიგნების რედაქტორს ვუძღვნი მეორე ამბავს. ბატონი ზაალი მოულოდნელად დაინფიცირდა და შეგვაშფოთა. პატივის



ყოველთვის ვცემდი ამ ღვანლმოსილ ადამიანს და საავადმყოფოში რომ დაანვინეს საშინლად მომინდა მისი მონახულება. ეს რომ გაიგო, მითხრა, არ შეიძლებაო... ჰო, მართლა არ შეიძლება, თორემ რა ძალა შემაკავებდა?! კოვიდ-კლინიკებში მნახველებს პაციენტებს არ აკარებენ.

ძლიერი კაცია ბატონი ზაალი და დაამარცხა კოვიდი. 2020 წლის 19 დეკემბერი თენდება, ნიკოლოზ სასნაულმოქმედის ხსენების დღე, მშვიდად ვარ ისევე, როგორც ყველა მისი მოყვარული და ახლობელთაგანი. უკვე შინაა კოვიდთან შენარკინები. ოჯახის წევრების სითბო და მზრუნველობა ბოლომდე გამოაჯანმრთელებს და ყველაფერი ისევ ისე, ძველებურად იქნება.



ამბავი მეორე

ბატონი სევდა

დასრულდა კომენდატის საათი, უსასრულო რიგები სასურსათო მაღაზიების შესასვლელებთან და კიდევ ბევრი რამ, რამაც გააოგნა ქართველობა. გამოჩნდა ყვითელი სამარშუტო ტაქსები, ავტობუსებიც, ზოგი ლურჯი, ზოგიც მწვანე, შავით განწყობილი, სუფთა და კომფორტულები, მეტროც ამუშავდა. ადამიანებიც გამოჩნდნენ ქუჩებში განრისხებული სახეებით, რომლებსაც პირბადეები აღარ ეკეთათ, მაგრამ დახურულ სივრცეებსა და ტრანსპორტში „ალიკაპის“ გარეშე არვის უშვებდნენ. პოლიციელების მსგავსი დაცვის მუშაკები, ადრე რომ ვერც შეამჩნევდით, ახლა მთავარ პერსონაჟებად იქცნენ, იდგნენ კარიბჭებთან, პისტოლეტის მსგავსი თერმომეტრებით შეიარაღებულნი, ყველას სიცხეს უზომავდნენ, სად აღარ გიმიზნებდნენ, მაგრამ უმეტეს წილად შუბლზე. ერთობ შეურაცმყოფელ შეგრძნებას ტოვებდა მათი ამგვარი ქმედება.

ყოველ წუთს კორონას ხსენება იყო ტელევიზორში, რადიოსა თუ სოციალურ ქსელებში. ჰო, და შეშინებულ ბარბარესაც არაფრის თავი აღარ ქონდა, იჯდა შინ გარინდული, მის მუქ ყავისფერ თვალებს, ახალგაზრდობაში შავს რომ გავდა, სევდა შეეპარა. ხალისი დაეკარგა სიცოცხლის, ყოფნის. მარტოობის შეგრძნება გაუმძაფრდა. როცა საკუთარ თავს სარკეში უმზერდა, ეჩვენებოდა, რომ დაბერდა. ამგვარად გაატარა ზაფხულის პანია მონაკვეთი, დრო, რომელიც დაუტოვეს პაპანაქება სიცხეში.

ელოდებოდა ავტობუსს, მეტროთიც მგზავრობდა, მაგრამ არავისთან მიდიოდა, ჩამოვიდოდა სადღაც, რომელიღაც გაჩერებაზე, შევიდოდა მაღაზიებში, ვერაფერს ყიდულობდა უფულოდ დარჩენილი, მხოლოდ ათვალეირებდა. დროებით, მეგობრების გარეშეც დარჩა, წავიდ-წამოვიდნენ, ზოგმაც კურორტზე ამოყო თავი.



დავითი ენატრებოდა, რომელიც წლების მანძილზე ძმობას უწევდა. მასთან ერთად ბიზნესის დაწყებასაც აპირებდა. ჰოსტელად უნდა გადაექციათ ძველი უბნის ცისფერ შენობაში არსებული ლამაზი ბინა. მცირე მენარმის საბუთი გააკეთა ბარბარემ. ზაფხულს ელოდნენ მეგობრები, რომ საქმე დაეწყოთ, მაგრამ კოვიდ-19-მა ოცნებები, დასახული სამომავლო გეგმები დაასამარა.

არც თეატრი, აღარც კინო, არც გამოფენები, არც ლიტერატურული საღამოები და აღარც თავშეყრის სასიამოვნო ადგილები... პანდემიის მეორე, მესამე, მეოთხე ტალღებზე წინასწარმეტყველებდნენ. რაც მოგვიანებით სიმართლე აღმოჩნდა.

ავგისტო ცხელი იყო, სექტემბერიც თბილი, თუმცა კოვიდ-19-ის თემა კვლავ წამლავდა ადამიანთა სასიამოვნო განწყობებს. კლასტერები, კლასტერებიო, არიქა და შარიქაო... ავგისტოში ჩაკეტეს მთიანი რეგიონები, ზღვისპირეთი, ამ ადგილებში დავირუსებულთა რაოდენობამ იმატა. კოვიდ-19-ის წყალობით ღარიბდებოდა მოსახლეობის საშუალო ფენა.

კოვიდ-19-თან ერთად დაიწყო ბარბარეს დაბორკვა. არა პენსია, არანაირი დახმარება, არც ის საცოდავი ორასი ლარი, სამსახურებდაკარგულ ადამიანებს რომ აძლევდნენ, ბარბარეს არც ეკუთვნოდა წესითა და კანონით, ვინაიდან მანამდეც უმუშევარი გახლდათ. ქალი ხედავდა, რომ დიდ ბინას, რომელშიც ცხოვრობდა, ამ ეტაპზე ვერ გააქირავებდა. ოჯახისთვის საცხოვრებლად დიდი იყო, ოფისად კი გამოდგებოდა, მაგრამ ადგილობრივები არსაიდან ჩანდნენ, თუმცა ორი არახელსაყრელი დამქირავებელი მოიყვანა მაკლერმა. ერთი იყო რუსეთის მოქალაქე ქალი, რომელმაც სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი სტუდიის გახსნა მოისურვა ბარბარეს ბინაში, შეიძლებოდა ეს, განა არა, მაგრამ მოცეკვავეთა პაკიპუკი მეზობლებს შეაწუხებდა და უკან დაიხია, მერე ახალგაზრდები გამოჩნდნენ, კლუბური მუსიკის ხმის ჩამწერი სტუდიის მესვეურნი, რომლებმაც თქვეს, რომ ძირითადად ღამით იმუშავებდნენ, გულახდილად დადეს პირობა,



გვარიანად ვინმეაურებთო, ესენიც გააბრაზებდნენ მოსახლეობას და უარით გაისტუმრა. მაკლერი თავს არ ზოგავდა, ერთხელაც მაღალი, ზორბა ქალი და ჩია კაციც მოიყვანა, ჟურნალის მეპატრონე და რედაქტორი, ერთი წლით გვეჭირდება თქვენი ბინაო, გადასახდელ თანხაზეც შეთანხმდნენ, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ჟურნალის რედაქტორმა მოინდომა კედლების შეეთეთრება, არსებული ფარდების ჩამოხსნა, შემდგომ კედლებზე ლურსმნებს მიაჭედებდნენ და გამოცემულ ჟურნალებს ზედ დაკიდებდნენ. დაფიქრდა ბარბარე, ერთი წლის მერე, სხვას ენდომებოდა იმგვარ სივრცეში შემოსვლა, რომელიც ფსიქიატრიული საავადმყოფოს მისაღებს ემგვანებოდა, ან თავად კარგად იგრძნობდა თავს გადათეთრებულ ბინაში? მტკიცე უარი განუცხადა დამქირავებლებს. ბოლოს გოგონა მოვიდა, ფსიქოლოგი, ბავშვებისთვის არტთერაპია უნდა ჩაეტარებინა, ჩვეულებრივ მოზარდებთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებიც იქნებიანო, მოიხიბლა ბარბარე, მაგრამ ახალგაზრდამ თქვა:- დაფინანსებული ვარ, მაგრამ არც ისე დიდი თანხით და იმდენს ვერ მოგცემთ რაც ეს ფართი ღირს. მცირედზეც დათანხმდა ბინის პატრონი, მაგრამ ბარბარემ ახალგაზრდა მხატვარ ფსიქოლოგს შეამჩნია, რომ ის ბინის დამქირავებელი არ იყო. სადარბაზოს მარცხენა ფლიგელში, სადაც საერთო კორიდორი იყო და სამი ოჯახი ცხოვრობდა, ერთერთში მეზობელმა თავისი ფართი მასაჟისტებს მიაქირავა და მათი არსებობა ცუდად აღიქვა გოგონამ, თუმც მაკლერს განუცხადა, თუ აქ შემოსვლას გადავწყვეტ დაგირეკავთო, მაგრამ აღარ დაურეკავს.

მეორე ბინის გაქირავებაზე დაიწყო ფიქრი, სადაც თავად აპირებდა გადასვლას, მაგრამ განზრახვა ვერ განახორციელა, ლუკა დაბრუნდა, ჟოზეფინას დაშორებოდა, მიზეზი არ უთქვამს, სევდიანი იყო. ნარინჯისფერთვლიანი ბეჭედი, რომელიც ბარბარემ ჟოზეფინას აჩუქა, დაუბრუნებია და ვაჟმაც მოიტანა. რამდენიმე ღამით დარჩა დედასთან და მამის სახლში დაბრუნება გადაწყვიტა, სამუშაოდანაც წამოსულა.



იჯდა ლუკა შინ მარტო, დადარდიანებული, კომპიუტერის ეკრანს მიშტერებული. მალე ონლაინ ლექციებსაც მოუსმენდა, ამგვარად უნდა დანყებულიყო მთელს ქვეყანაში სწავლა.

...

გათენდა, მაგრამ ახლად გაღვიძებულს განწყობა ერთობ მძიმე ჰქონდა, თავი მოინწესრიგა, რომ ქუჩაში გასულიყო.

სადარბაზოდან გამოვიდა და ფიქრობდა, რომელ მხარეს წასულიყო, პირდაპირ, მარჯვნივ თუ მარცხნივ. გადაწყვიტა პირდაპირ ევლო ჩასახვევისკენ, მოდუდუნე მტკვრისთვის ეცქირა და მოესმინა. თავი რომ ანია, მის წინ მოხუცი კაცი იდგა, ხელჯოხს დაყრდნობილი. გამხდარი, მხრებში მოხრილი, მათხოვარს არ ჰგავდა, კარგად ეცვა, თეთრ პერანგს შავი ჰალსტუხი ამშვენებდა და ძვირად ღირებულ მუქ ნაცრისფერ შარვალ-კოსტიუმში იყო გამოწყობილი. უცნაური გარეგნობა ჰქონდა, მელოტი თავი ულაპლაპებდა, ნვრილი, ნაცრისფერი თვალები გამჭოლი მზერით, კეხიანი ცხვირი, დიდი ყურები ჩამონელილი ბიბილოებით, მალაყვრიმალებიანი, გამხდარი და ფერმკრთალი სახე. ბარბარე შეკრთა და თავადაც დააკვირდა მოხუცს, ნაცნობს არ გავდა, ადრე არასდროს უნახავს უბანში. კაცის ღრმა ნაოჭები ამხელდნენ მის ასაკს, აშკარად სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული.

კაცმა გაუღიმა, ბარბარემაც.

-ნიკოს გოგო ხარ?

-ნიკოლოზის.

-მამაშენი აფთიაქარი არ იყო?

-დიახ, იყო.

-რა გქვია შენა!

-ბარბარე.

-ასე მგონია ნიკო მიყურებს. კარგი მამა გყავდა, - თვალე-ბი აუცრემლიანდა მოხუცს, მაგრამ სათქმელი ბოლომდე თქვა, - ვალში ვარ მასთან, როცა ნიკო გარდაიცვალა, აქ არ ვიყავი, სხვა ქვეყნის ციხეში ვიჯექი, მაპატიე, რომ ვერ გავიზიარე თქვენი მნუხარება, მაგრამ ვწუხდი. ჩამოვედი და ვერც მერე მივაგე პატივი, ვალი დამრჩა...



-რა ვალზე ლაპარაკობთ?!

მოხუცი აკანკალდა:- რამდენჯერ შევჩერებულვარ ამ სახლ-
თან და ამოსვლა კი ვერ გამიბედავს.

-რატომ ბატონო, ჩვენ გვიყვარს სტუმრები.

-ვიცი, მაგრამ მე ხომ თქვენ არ გიცნობდით, მხოლოდ ნიკო-
ლოზს. ლადო ვარ,-ხელი გაუნოდა ბარბარეს, ქალმაც ნაზად ჩა-
მოართვა. კაცმა მის ხელს ზემოდან მეორე ხელის გული დაადო.

-რა მსუბუქი ხელი გაქვს, შვილო, და მიხარია, რომ მიკავია,
სურვილი მაქვს, აღარ გაგიშვა ჩემი ცოდვილი ხელი! იცი, მამა-
შენმა სიკვდილს გადამარჩინა. ცოდვილი კაცი ვარ! ნარკომა-
ნი ვიყავი, ვენეოდი, ვიჩხირავდი, ქურდიც ვიყავი, ყაჩაღიც და
მკვლელიც.

-ქურდი ბიჭი იყავით?!

-თანაც როგორი, "რამკიანი", საქმეებსაც ვარჩევდი, მაგრამ
ვზღე. ჰო, მთავარი, რასაც გეუბნებოდი, მამაშენის ნაშოვნმა ნა-
მალმა გამომგლიჯა სიკვდილს ხელიდან. არსად, მთელს საბჭო-
თა კავშირში არ იშოვებოდა ის ნამალი, მაგრამ მან საიდანღაც
გააჩინა, დედაჩემს გადასცა, დღეგრძელობა მისურვა, არც ფუ-
ლი გამოართვა ოჯახს!...

-ნუ ნერვიულობთ ბატონო ლადო, მიხარია, სწორად მოქცე-
ულა მამა!

-კომიდან რომ გამოვედი, ვიფიქრე, სიცოცხლეზე ძვირფასი
არაფერი ყოფილა ამ ქვეყანაზე. ამიტომ, მკურნალობის გარეშე
დავძლიე სენი ნარკომანობისა, მას შემდეგ თამბაქოსაც არ გავ-
კარებივარ, მერე, ციხეში ვიჯექი დიდხანს, დავბრუნდი კიდეც,
მაგრამ მარტო დავრჩი, დავყიალებ ბერიკაცი აქეთ-იქით.

ბარბარეს გაელიმა:- მეც გეტყვით, ერთ რამეს, შვილები
მყავს, საზრუნავიც და მაინც თავს მარტოდ ვგრძნობ.

-მეუღლე...

-ეგ რომ ცოცხალი იყოს, შესაძლოა თავი დამელნია მარტო-
ობისთვის, ბატონო.



-მინდოდა დაქორწინება, მაგრამ სანამ ცხოვრება ავანყე, ამასობაში დავბერდი კიდეც, ვერ მოვასწარი,-ირონიულად ჩაეღიმა ლადოს:-ცხოვრება რთულია, მწარეც, ჩქარიც...

-ზოგჯერ წელიც!-შეაწყვეტინა ბარბარემ.

-კი, ხან წელია, ხან ჩქარი, საინტერესოც, როცა შენნაირ გოგოს გაიცნობს კაცი. მოდი, სადმე დავსხდეთ, საუზმეზე გპატიჟებ.

ბარბარემ სადარბაზო კარისკენ საჩვენებელი თითით ანიშნა, რომ თავად პატიჟებდა ოჯახში, მაგრამ მოხუცმა ხელები გაასავსავა,-არც იფიქრო, არ ამოვალ, ჯერ ღირსი არ ვარ! სად დავსხდეთ?

-არ ვიცი,-გაუღიმა ბარბარემ.

-აქ სულ ჭამა-ყლაპვის ობიექტებია და დღე არ მუშაობენ?!

-დღის მეორე ნახევრიდან დილამდე მუშაობენ.

-გამიყვანე აქედან, ტაქსი გავაჩეროთ და დავსხდეთ სადმე!

-ფეხით არ სჯობს? თუ...

-შენს გამო, თორემ მიყვარს სიარული, იცი, საიდან მოვდივარ ფეხით?

-კარდიოს აკეთებთ ბატონო ლადო?-ჩაეკითხა ბარბარე.

-მაშა, აღარც ვიარო?!-უპასუხა ჯენტლმენმა.

ლადომ მკლავი გაუწოდა ქალს, ბარბარემ ხელკავი გაუკეთა, პირდაპირ, ხელმარცხნივ გაუყვინენ დილის ნამით ოდნავ დასველებულ, ფილებდაგებულ გზას.

-შენ გაიხარე!-წარმოსთქვა დუდუნა ხმით:-ამაყი ვარ შენს გვერდით, ვითომ მამა-შვილი ვართ. მუშაობ, ბარბარე?

-ორ წელზე მეტია, რაც ვისვენებ.

-ვინ ხარ პროფესიით?

-ფილოლოგი, სად არ მიმუშავია, სკოლებში, ინსტიტუტებში, გაზეთებში. ჟურნალის სტილისტი რედაქტორიც ვიყავი, განვიხილავ თანამედროვე პოეტების შემოქმედებას, ვწერ რეცენზიებს.

-უყურე შენ!-მკერდზე ხელი დაიდო ლადომ, -რა გოგო გაუზრდისხარ ნიკოლოს!და მხატვრული არაფერი დაგინერია?

- როგორ არა, მაგრამ სამზეოზე არ გამომიტანია.



-რათა!

-უცნაური გამომივიდა...

-მაინც როგორი?-ეს რომ კითხა ლადომ, ხიდს გადიოდნენ ჩქარი ნაბიჯებით. კაფესთან, პარკის მოპირდაპირედ შეჩერდნენ, გარეთ დასხდნენ ჰაერზე და სანამ ოფიციალტი მოვიდოდა, ლადომ თქვა:-უმალესი განათლება არ მაქვს, კითხვა ყოველთვის მიყვარდა, არ ვარ ცუდი მკითხველი . მითხარი, რა დაწერე, გავიგებ.

-ბევრი მეტაფორაა, მეგონა ზღაპარს ვწერდი დიდებისთვის, მაგრამ არც ზღაპარია,-მხრები აიჩეჩა ბარბარემ.

-ფანტასტიკაა?

-მაგასაც ვერ იტყვი, ფანტასტიკასავით... პოსტმოდერნია რა!

-ანუ, უკვე არსებული ლიტერატურული სახეები გყვანან რომანში?

ბარბარემ გაუღიმა მამაკაცს, ამასობაში თურქული ცხელი ყავა მოიტანეს და ტერამისუ. ყავა დარიჩინითა და ვანილით მოერთოთ. ლადომ ფინჯანი ცხვირთან მიიტანა, ორთქლი შეიყნოსა, თვალები მილულა და პასუხს დაელოდა.

-ცისკარა მყავს, ქართული ხალხური ზღაპრიდან წამოყვანილი. კიდევ, მყავს ბუდა, იესო, მოსე, მუჰამედი, ნიკოლოზ სასწაულმოქმედი...

-რას ამბობ!-აღფრთოვანდა ლადო,-დამაინტერესე. მივხვდი, რაც გააკეთე, რაღაც, სხვა განზომილება, შენი სამყარო შექმენი, სხვანაირი არა?

-ასეა რაღაც მომენტამდე, შემდეგ დროს ვაკონკრეტებ, ამბავი 2017 წელს ხდება .

- დარწმუნებული ვარ, მაღალი ინტელექტის მქონე მკითხველზე იქნება მორგებული, ხომ?

ბარბარემ კვლავ მხრები აიჩეჩა.

-ნიგნი ოცნებაა, რომლის ხელში დაკავება შესაძლებელია, ჩემო კარგო.

-რა საოცარი სიტყვებია?



-მე არ მეკუთვნის, სად მაქვს მაგდენი ტვინი, ნილ გეიშანის ნააზრევია. სულ სხვების სიბრძნეებით ვიკვებები და ვითვალისწინებ, საკუთარი არასდროს მეონია. კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა, ადამიანი შეკითხვებშიაც ისევე ამყლავნებს თავის რაობას, როგორც პასუხებშიო.

-არ ვიცოდი...

-და, საზოგადოება ვერ ითმენს ისეთ ადამიანს, რომელიც მას არ ჰგავსო, დიდ გალაკტიონს უთქვამს. რამდენად დიდებულისა სიჩუმე მაშინ, როდესაც შენგან მრისხანებას ელოდებიანო, ჩარლი ჩაპლინმა თქვა. ერთხელ, მრისხანებისას კაცი მოვკალი, მერე ჩავწვდი ამ სიტყვათა კომბინაციის აზრს, ახლა ვითვალისწინებ, მოგებული ვრჩები. ბარბარე, შენთვის უღალატიათ?

კაცი მოვკალიო, რომ თქვა, ბარბარეს შეეშინდა, ცივმა ჟრუანტელმა დაუარა, ნაცრისფერ თვალეში ჩახედა მოსაუბრეს. იყო ამ კაცში რაღაც საშიში, დაუნდობელი, სასტიკი. ამიტომ, პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა, დუმილი არჩია.

-იცი, რა ბევრმა მიღალატა?-გააგრძელა მოხუცმა:-თითქმის ყველამ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვენდობოდი მათ.

-გასაგებია, ბატონო ლადო.

-გამოვცეთ წიგნად შენი რომანი.

-და, მერე თქვენ...

-მდიდარი ვარ,-სიტყვა გაანწყვეტინა ლადომ:-გეუბნები, მენდე, სიტყვას შევასრულებ. მე კი, გამაგიჟეს მოღალატეებმა... ისინი შევიყვარე, ვისაც ღალატი შეეძლო და იმიტომ. მეც შემიძლია, განა არა, ყველაფერი შეუძლია ადამიანს, კარგიც და ცუდიც, მაგრამ არასდროს არავისთვის მიღალატია. ვისწავლე ცხოვრება წარსულის გარეშეც, შენ!

-მე, მე სუსტი ვარ, წარსულით ვსულდგმულობ, თურმე როგორი ბედნიერი ვყოფილვარ და არ ვიცოდი.

-იქნებ, არც შენ ცხოვრობ წარსულით?

-არა, მე წარსულით, ბატონო ლადო.



-რაც თავს არ განებებს, არ გავინყდება, წარსულად არ ითვ-
ლება, ეგეც ანწყობა, ოღონდ შენში შემოსული, სხვათათვის შეუმ-
ჩნეველი და უხილავი.

ბარბარე გაირინდა.

-მეთანხმები?

- არ მაქვს პასუხი.

-მომნონს, პასუხების გაცემა რომ გიჭირს, ფრთხილი ადა-
მიანი ჩანხარ. მოდი, ბაღში გადავიდეთ?

-კი ბატონო.

ხელკავი გაუკეთა ბარბარემ ლადოს, ზებრაც დინჯად გადა-
იარეს, დასხდნენ პარკში. კაცმა ფეხი- ფეხზე გადაიდო, ორივე
ხელით ჯოხს დაეყრდნო.

-ბატონო ლადო, თავის შეკავება ხომ არ სჯობს ახლა, ამ ვი-
თარებაში?

-არანაირი ვითარება... გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს, აგერ
ვარ მე! კორონა თუ რაღაც ჯანდაბაა, დაგვანებებს თავს,.

-და, რომ არ დაგვანებოს...

კაცმა ირონიულად შეხედა ქალს:- კარგი რა, არ დაგვანე-
ბებს და მოუწევს ჩვენთან ერთად ცხოვრება, აბა, რა ვქნათ... გა-
მოცვტე, დადგება დრო, ღირსეულად წარუდგენ შენს ქმნილებას
საზოგადოებას. მაგაშიც დაგეხმარები.

გული მაღლიერების გრძნობით ალევსო ბარბარეს.

-ვინ ავიყვანო რედაქტორად?

-მაგაზეც ნუ იდარდებ, ნურც ყდის დიზაინზე.

-მაქვს უკვე.

-ვინ გაგიკეთა?

-მაზლის ცოლმა, პროფესიონალი ფოტოგრაფია, ყდების გა-
კეთებაც იცის, მაკეტიც მაქვს.

- აგაშენა ღმერთმა, რომელ გამომცემლობაში მივიდეთ?

ბარბარეს გაელიმა და კვლავ მხრები აიჩქრა.

-მირზა ბეთანელი გაგიგია?

-როგორ არა, ცნობილი ლიტერატორია, კრიტიკოსი.



-ბავშვობიდან ვმეგობრობთ. მაგის ვაჟს გამომცემლობა და სტამბა აქვს, შენს სახლთან ახლოსაა.

-„ადამიერი?“

-ზუსტად.

-მაშინ, დღესვე გადავხედავ ნანარმოებს.

-ჰო, დღესვე მოასწარი ყველაფერი, რაც ტექსტს, დიზაინს ეხება, გადანერე ფლეშკაზე, შენი რედაქტორი მირზა იქნება, გპირდები. ხვალვე შევუდგეთ საქმეს, გამომცემლობაში დაგელოდები, რომელ საათზე მოხვალ?

-როცა მეტყვით.

-მაშინ, ორ საათზე იყოს. მირზას თუ იცნობ?

უარის ნიშნად, ბარბარემ თავი გააქნია:-მაგრამ ხშირად მიწახავს მწერლის სახლში ლიტსალამოებზე.

-ჰო, და ხვალ გაიცნობ.

-კეთილი,-უპასუხა ბარბარემ და ჩამოსართმევად ხელი გაუნოდა, ლადომ გაუღიმა:-ყველაფერი კარგად იქნება, ნავალ ახლა.

ბარბარეს ხელის მტევანს ჩაბლაუჭებული ნამოდგა ლადო, ჯოხს დაეყრდნო. ტროტუარისკენ აიღო გეზი. ჯიბიდან სავიზიტო ბარათი ამოიღო და ბარბარეს გაუნოდა, ქაღალდი გამოართვა და ჩანთაში ჩადო, მერე, მარჯვენა ხელი ასწია და ტაქსი გააჩერა. ლადო მძღოლის გვერდით დაჯდა, ღვედი შეიკრა და მანქანა რომ დაიძრა, ქალს გაუღიმა, ხელი დაუქნია და მიაძახა:- ორზე გელოდები იქ!

ბარბარე პარკისკენ შეტრიალდა, იმავე სკამზე ჩამოჯდა, სადაც ორიოდ წუთის წინ ბატონ ლადოს ესაუბრებოდა და ჟოზეფინას დაურეკა, მაგრამ გოგონას მაგივრად სხვამ უპასუხა, კაცის ხმა იყო, გათიშა მობილური ტელეფონი. ეკრანზე დროს დახედა, ორი საათი გამხდარიყო. რედაქციაში მისვლამდე ოცდაოთხი საათი ქონდა დარჩენილი. შინ წასვლა დააპირა, ნამოდგა კიდევ, მაგრამ ისევ დაჯდა, ჟოზეფინამ დაურეკა.

-გამარჯობათ, ქალბატონო ბარბარე.

-გაგიმარჯოს, ლუკა დაბრუნდა და რაც მითხრა მართალია?



-დაშორების ამბავი?

-დიახ!

- მართალია, თქვენ ალბათ მიზეზი გაინტერესებთ.

- მაინტერესებს, ჩემი შვილის ბრალია თუ არა, რაც მოხდა, მეტი არაფერი.

- ჩემი ბრალია, გადავეყარე სხვას და აღმოვაჩინე, რომ შემიყვარდა. ასაკითაც დიდია, დაღვინებული, ზეგ ვთხოვდები.

-და ლუკამ რამე ხომ არ განწყენინა, მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ...

-არა, თანამედროვე ადამიანები ვართ, მაგაზე არ იღარდოთ...

-კარგი, არ ვიდარდებ, მაგრამ ლუკა დარდობს, ბედნიერებას გისურვებ.

ბარბარემ ამოშალა მობილური ტელეფონის სიიდან ჟოზეფინას ნომერი. წამოდგა დამძიმებული სულით და იმედი ჰქონდა, საკუთარი ქმნილება, მინი-რომანი, რომელიც შინ, ნოუთბუქის ეკრანზე, ფაილში, ვარსკვლავით მოციმციმე, როგორც ცოცხალი, ღვიძლი შვილივით ელოდა შემქმნელისგან თვალის შევლებას, გასადავებას, დახვენას, გალამაზებას, განწყობას გამოუკეთებდა.

ქალმა ღრმად ამოისუნთქა, მიმოიხედა, არვინ იყო, გაზონზე განოლილი უპატრონო ძაღლის გარდა, ამიტომ ზეცას ახედა და წარმოთქვა:- გმადლობ მამა, შენი დამსახურება იქნება, ხვალ თუ ის მოხდება, რასაც დამპირდნენ.

პირველად გადაისახა და თავჩაქინდრული გაემართა შინისკენ.

გათენდა. ბარბარე გულისფანცქალით ელოდა შუადღეს, რომ დათქმულ დროს გამომცემლობაში მისულიყო. შავი, პატარა ფლეშკა, მუჭში ჰქონდა მომწყვდეული, წარამარა მკერდთან მიქონდა, თითქოს გულში იკრავდა და ლოცვას ამბობდა. არ სჯეროდა, რომანი წიგნად რომ უნდა ექციათ. წინასწარი სიხარულის განცდა არ ჰქონდა, მხოლოდ შიში და იმედი. ხელჩანთის საიმედოდ ნაწილში მოათავსა ფლეშკა და მოჰყვა აქეთ-იქით სიარულს.

...

თხუთმეტი წუთით ადრე მიადგა გამომცემლობის კარს, მაგ-



რამ დაკაკუნება ვერ გაბედა, გაირინდა. ზუსტად ორ საათზე დააკაკუნა, მობრძანდითო, გაისმა კარის უკან მამაკაცის ხმა. ბარბარემ რკინის კარის სახელური ჩამონია, გაალო და ოთახში მარჯვენა ფეხი შედგა.

ხელმარცხნივ, წიგნების თაროების წინ, რომლებზეც აქ გამოცემული წიგნების ეგზემპლარები ელაგა, მაგიდასთან ორი მელოტი კაცი იჯდა, შედარებით სრული, ფერხორციანი, ბატონი მირზა, მის გვერდით კი ლადო, ორივე ინტერესით შესცქეროდა ქალს და უღიმოდა. ფანჯარასთან ზურგით ახალგაზრდა კაცი იჯდა, წამოდგა, გაუღიმა, ხელში სიცხის გასაზომი პისტოლეტის მსგავსი თეთრი თერმომეტრით, ბოდისის მოხდით მიუახლოვდა ბარბარეს, შუბლზე დაუმიზნა, ჩვენებას დახედა და წარმოსთქვა: -უი, საერთოდ არ აქვს სიცხე, ოცდათხუთმეტ გრადუსს აჩვენებს, მობრძანდით, -კვლავ გაუღიმა კაცმა: -ამ გამომცემლობის მეპატრონე გახლავართ, ლევანი.

ბარბარემ ხელი გაუწოდა, გაიცნეს ერთმანეთი.

ლადო და მირზაც წამოდგნენ და ბარბარეს მიუახლოვდნენ. მირზამაც ხელი გაუწოდა ქალს: -ესე იგი თქვენ ბრძანდებით ბარბარე?

ქალმა თავი დაუქნია.

მირზამ მეგობარს შეხედა: - რა კარგი ქალბატონი მოგვიყვანე, ლადო.

- აბა, ცუდს მოვიყვანდი?! - გაიკვირვა ლადომ და ბარბარეს თვალი ჩაუკრა.

- მობრძანდით, გეთაყვა, დაბრძანდით! - თავაზიანად მიუთითა მირზამ ქალს სკამისკენ. ლევანმა გამოართვა შავი, პანია ფლეშკა ბარბარეს, ტექსტი და ყდებიც კომპიუტერის ეკრანზე გადაიტანა, მაშინვე ფორმა მისცა ნაბეჭდს, ყდების წინა და უკანა მხარე გულწრფელად მოეწონა, მირზასა და ლადოს მიმართა, მოდით, ნახეთ, რა დახვეწილიაო. ისინიც, სათვალეებმომარჯვებულები მიადგნენ ლევანის მაგიდას, ნახრილები მიაშტერდნენ ეკრანს და აღფრთოვანება ვერ დამალეს. მირზას ვაჭი ყოფილა



ლევანი, მამამ რომანის ამობეჭდვა მოითხოვა, რომ წაეკითხა. მერე, ბარბარეს უთხრეს, მალე შეგეხმებიანებითო და დაემშვიდობნენ.

სულ ეს იყო?! გაუკვირდა ბარბარეს, არადა, როგორ დელავდა. გზად მიმავალმა ვაჟიშვილს დაურეკა.

-როგორ ხარ, დედი!-უპასუხა ლუკამ.

-ჯერ შენ მითხარი, როგორ ხარ და ჩემსას მერე გეტყვი.

-კარგად, დედიკო!

-ლუკა, ახლა გამოვედი გამომცემლობიდან. ჩემი რომანი ნიგნად გამოდის.

-ჰოო?! გილოცავ!-უპასუხა შვილმა, გაკვირვება იყო, სიხარულის ემოცია არა შვილის მოლოცვაში, რამაც შეაძრწუნა ბარბარე, მაგრამ არ შეიმჩნია:-მიფინანსებს პაპაშენის ნაცნობი, უარი ვერ ვუთხარი და თან გამიხარდა, რა თქმა უნდა.

-დე, აქ მდგმურებს გაუნადგურებიათ სველი წერტილები, ყველა ონკანი მოშლილია, ტრაპიდან წყალი ამოდის, გაჭედლილია.

-რას ამბობ, კი არ გადამიმონმებია.

-ხელოსანი გვინდა.

-და ფული რომ არ მაქვს...

-დედა, ხელოსანს დაურეკე, მოვიდეს, დანარჩენზე არ იფიქრო.

-კარგი, დავურეკავ.

-დე, ხომ არ ჯობდა, მამაშენის ბინა გაგვექირავებინა და ჩვენ ისევ ერთად გვეცხოვრა?

-გინდა ჩემთან ერთად ყოფნა?

-რა სულელური შეკითხვაა, რას ქვია მინდა...

-კარგი, ოღონდ, ხანდახან აქაც დავრჩეთ ხოლმე, ძველ ქალაქში.

-შენ დარჩი ხანდახან მანდ, მამაჩემის სახლში უფრო კარგად ვგრძნობ თავს.

-მეც ეგრე ვარ, მშობლების ბინაში მიჯობს ყოფნა!-უპასუხა ბარბარემ.



...

90-იან წლებში ლადო რუსეთში ცხოვრობდა და იცოდა, რა მძიმე ვითარება იყო ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოში. ცხოვრებას ვინ ჩივის, სუნთქვა ჭირდა ქვეყანაში. მშობლებს ფულს უგზავნიდა. ანგარიში გახსნა, რომელზეც ყოველთვიურად დიდ თანხას რიცხავდა და ქართული ფულის გაჩენამდე გაუკუპონ-გაუფასურდა რუსული რუბლი ოჯახს. გამწარდა ლადო, მაგრამ გააგრძელა ოჯახზე ზრუნვა. არასდროს ივინყებდა ერთადერთ მეგობარს მირზას, რომელსაც საყვარელ ხიზილალას უგზავნიდა რუსეთიდან, საჩუქრებს-ბავშვებისთვისაც. მირზას გოგონას ლამაზ კაბებს, თოჯინებს, ბიჭს კი პატარა საკოლექციო მანქანებს. ლევანი ბეჯითი ბიჭუნა იყო და თვეში ერთხელ რუსული, ინგლისური წიგნებითაც ასაჩუქრებდა. ბოლოს ყვითელი, დიდი საბავშვო, ავტომობილი გაუგზავნა, რომელშიც ორი ბავშვი ეტეოდა. აღფრთოვანებულმა ბიჭუნამ თავად დაურეკა ლადოს და მადლობა გადაუხადა, აღნიშნა,- არ გიცნობთ, მაგრამ მამაჩემივით მიყვარხართო. გული აუჩუყა ბავშვის ნათქვამმა ლადოს.

გავიდა დრო, ლადო სამშობლოში საკმაოდ მოტეხილი და ნაადრევად დაბერებული დაბრუნდა. ეს მოხდა 2007 წელს. მშობლები ცოცხლები აღარ იყვნენ, დას და სიძეს, აქაოდა ლადო უკან დამბრუნებელი აღარააო, მშობლების ბინა, რომელიც ლადოსიც იყო, გაეყიდათ. გაუნაწყენდა სიძეს და დას, რომლებიც ევედრებოდნენ, დარჩი, ჩვენთან იცხოვრეო, მაგრამ გაბრაზებულმა ღვიძლ დას ცისმარს ზურგი აქცია. უმადურებს ლადოს მიერ ნაგზავნი ფულიც ბოლომდე დაეხარჯათ.

ახლად დაბრუნებულმა ბინა კი არა, სახლის ასაშენებლად მიწა იყიდა. ჩამოტანილი, ხელთ დარჩენილი ფულით ავტომობილი შეიძინა და ტაქსისტად გადაიქცა. მანქანაში ცხოვრობდა, ბინაც კი არ იქირავა თანხა რომ დაეზოგა. ნაშოვნს მირზას აბარებდა, ის კი უნახავდა. სწორედაც რომ მირზა იყო ის კაცი, ვინც ოჯახში შეუშვა. იქ ჭამდა, სვამდა, ბანაობდა. მირზას მეუღლეს



თბილი და სანდომიანი დიასახლისი აღმოჩნდა. ამ და სხვა ათასი მიზეზის გამო, ლადო მირზას ოჯახში თავს შინაურად გრძნობდა, თუმცა ზღვარს არასდროს გადადიოდა. შუადღით შეივლიდა მეგობართან და იმის სამუშაო ოთახში ტახტზე მიწვებოდა, წაუძინებდა. ლამით არ აწუხებდა ოჯახს, მუშაობდა. დალლილობას რომ იგრძნობდა, მანქანას მიაყენებდა სადმე მოფარებულში და შიგვე იძინებდა. დაგროვილი თანხით პერიოდულად სახლის საშენ მასალას ყიდულობდა, აგროვებდა. შენობის დაპროექტებაში მირზა დაეხმარა, მან ირბინა, ინვალა ლადოსთვის, მოუგვარა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული საკითხები და ბოლოსდაბოლოს აშენდა, რომელშიც 2012 წელს დამკვიდრდა ლადო.

არვინ იცის, რამდენ ხანს იქნებოდა გაბუტული, გულნატკენი, როდის შეურიგდებოდა ერთადერთ დას.

ფილტვების ანთება დაემართა და საავადმყოფოს პალატაში ამოყო თავი. საავადმყოფოშიც და იქიდან გამოსვლის შემდეგაც ცისმარი ზრუნავდა ძმაზე. მიდიოდა, სახლს ულაგებდა, ურეცხავდა, უუთოვებდა, საჭმელს უმზადებდა, მეუღლის სოფლიდან ჩამოტანილი საკვები პროდუქტებით ამარაგებდა. სიძეც დარცხვენილი ჩანდა, ვერ ბედავდა ცოლის ძმასთან დალაპარაკებას, მაგრამ როცა დისშვილმა სოსომ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა, ბიძას გული სიამაყით აევსო, მივიდა დის ოჯახში და რეზოს ფული აჩუქა, ბიჭს გადაეხვია და ატირდა. სკოლის მოსწავლე ანარმაც გაბედა ბიძასთან მიახლოება, თავი მხარზე მიადო, ლადო მასაც მოეხვია და ბავშვები მაგრად მიიკრა მკერდზე. ეს ამბავი 2017 წელს მოხდა. მას შემდეგ გვერდიდან არ მოუცილებია დის შვილები, სიძეც თავის პატარ-პატარა ბიზნესებში ჩართო, მაგრამ ვერ შეიყვარა, როგორც კაცი, აღარც დის მიმართ გრძნობდა ლადო სიყვარულს, თუმცა დისშვილებზე ზრუნავდა.

პანდემიის დაწყებამდე სამი თვით ადრე ანდერძი შეადგინა. უძრავი ქონება დის შვილებს თანაბრად გაუყო და ამოისუნთქა. მონმედ ნოტარიუსთან გვერდითა სახლიდან მეზობლის ქალი და რა თქმა უნდა, მირზა წაიყვანა, ერთადერთი კაცი, რომელსაც



მისთვის არასდროს უღალატია, მაგრამ რა მოხდებოდა ახლა, ამ კონკრეტულ ვითარებასა და ბარბარესთან მიმართებაში?

გამოხდა ხანი, მირზა კი არ რეკავდა, ალბათ არ მოეწონა ნაწარმოებო და დარდობდა ლადო. გადიოდა დრო და ლადოს მით მეტად ენატრებოდა ბარბარე, სიყვარულის პატარა, ნაზი ყვავილი აღმოუცენდა გულში, რომლის ფერიც ჯერ არ იცოდა, მაგრამ ქვეყნად ყველა ფერს იტყვდა, სურნელად სითბოს, სიყვარულს აფრქვევდა ლადოს სხეულსა და სულში, ცოტა კი ააფორიაქა ამ ყვავილმა, მაგრამ შფოთვა ბარბარეს მიმართ რომ გაუჩნდა, სასიამოვნო იყო, წარსულში განცდილს ახსენებდა ეს სიყვარული, განსაკუთრებულად თბილს, ალალს, ბროლივით მბრწყინავს, მაგრამ მაინც მკვეთრად სხვანაირს. ეს გრძნობა მამობრივ სიყვარულს ჰგავდა, იმ გრძნობას, ცხოვრებაში რომ არ აღირსა. ეს არსება ყვავილი, ბარბარეს გამო აღმოცენებული გულში, დიდ ადგილს იკავებდა ისე, რომ გულს არ უმძიმებდა, ამ ქალი-გოგონას კარგად დასანახად აღმოცენდა, რომელსაც თავისი ბიოლოგიური მამის თვალ-წარბი, გამოხედვა, ღიმილი და ალბათ ხასიათიც გამოჰყვა. ლადომ ბარბარე დაინახა, როგორც განონასწორებული, მშვიდი, ფრთხილი, უბოროტო, ჭკვიანი ქალი და რა კარგი, საამო იქნებოდა, მართლა რომ ყოლოდა ამგვარი ქალიშვილი.

მოუსვენრად ელოდა მირზას ზარს, რას ეტყოდა ნეტა, მოეწონა თუ არ მოეწონა? მკითხაობდა. ხანდახან ბრაზი მოერეოდა და დაემუქრებოდა, მაინც გაიძულებ ბარბარეს რედაქტორი გახდეს, ვინაიდან მირზა ლადოსთვის იყო მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო რედაქტორი, მეგობარი და ადამიანიც. საკმაოდ სიტყვაძუნწი იყო და იოლად არვის აქებდა. ადამიანთა ამომწურავად გაცნობა, ნაკითხვა უყვარდა, ნაკლოვანებათა აღმოჩენა, გაანალიზება. ასეთი რამეების კეთება საკუთარი თავისთვის სჭირდებოდა, რომ ყველას, ვინც გაეკარებოდა, ისე მოქცეოდა, როგორსაც იმსახურებდა. ეს არ იყო მირზას ამაყი ბუნების ბრალი, ეს იყო საღი აზროვნება, ვინაიდან მრავალი უმადურ-დაუ-



ნახავისთვის ამოუდენია ძმრად ცხვირში თავისი სიკეთე, თანადგომა, დახმარება, ოსტატურადაც ამოუპანლურებია და ამას ყოველივეს აკეთებდა მარტო, სხვების დაუხმარებლად, განსაკუთრებით ვერ იტანდა უნიჭო, თავწვერა ვაი-მწერლებსა თუ ლექსთა მწერებს, ის იყო ქვეყნის საუკეთესო ლიტერატორი, კრიტიკოსი, ისეთი, რომ მომდურავი არვინ ყავდა, უღირსებიც პატივს სცემდნენ, თან ერიდებოდნენ, ისეთები, რომლებმაც უკვე კარგად იცოდნენ, მწერლები, პოეტები რომ ერქვათ, მაგრამ შნო არ ჰქონდათ და ნამდვილი მუზა მათთან მიკარებას არ კადრულობდა. საზოგადოებაში, რომელშიც მირზა ერია, ამგვარნი თავმოწონებასა და ტრაბახს ვერ ბედავდნენ, ზოგნი საერთოდ გარბოდნენ იმ ადგილიდან, ეშინოდათ, იცოდნენ, სათოფეზე არ უნდა გაჰკარებოდნენ. მირზას გვერდით ნამდვილი შემოქმედი ადამიანები გრძნობდნენ თავს მშვიდად.

ლადო მადლობელი იყო მირზასი, რომელმაც რაღაც დიდი, სულიერი, უხილავი ძალა მიანოდა, თუმც ლადოს ეს მისთვის არასდროს უთქვამს, არასდროს, არც არაფერი ყოფილა მათ შორის მეგობრობის, არდავინწყების გარდა. მირზაც ემადლიერებოდა ლადოს, როგორც „ძველი ბიჭის“ ქმედებებს, ადამიანებთან დამოკიდებულებებს აკვირდებოდა, ლადოს შეცდომებს, გამარჯვებებს, წაგებებს აანალიზებდა, რატომ იყო, რომ ბევრი პატივს სცემდა, ზოგსაც დასანახად ეჯავრებოდა, ბევრმაც დაუშავა მტრობისა თუ შურის გამო. მოკლედ, მირზა უმეტესად შინ მჯდომი ახალგაზრდა გახლდათ, რომელსაც გასართობად და აქეთ-იქით საყილოდ დრო არ ჰქონდა. სწავლობდა, რომ სკოლის დამთავრებისას ოქროს მედალი მოეპოვებინა, რაც მოხდა კიდევ და მირზას ეჩვენებოდა, რომ ეს ამბავი ყველაზე მეტად ლადოს უხაროდა, თავად მედლის პატრონზე ძლიერადაც კი. ლადო იმდენად ენდობოდა მირზას, რომ არაფერს უმაღავდა, ვის რატომ დაუშავა ან არგო და ლადო მირზასთვის გადაიქცა ცხოვრების წიგნ-ადამიანად. მირზა ლადოს ცხოვრების თვალყურის მდვენელი და გარკვეულ წილად მონაწილეც გახდა. ლა-



დო არანორმალურად ემოციური ჭაბუკი იყო, გონიერიც, ავკარგიანიც, მაგრამ გაცეცხლებულს შეეძლო გამოუსწორებელი შეცდომების დაშვება, ისეთ კაცად ჩამოყალიბდა, რომელიც პატარა თუ დიდ წყენას ერთნაირი სიმძაფრით განიცდიდა. ზრდილობიანიც იყო, ქალებს, მოხუცებს პატივს სცემდა, ბავშვების მიმართაც უსაზღვრო სიყვარულსა და სითბოს გამოხატავდა, მათთან თამაშიც უყვარდა. სიამაყისა და პატივმოყვარეობის, მოუთმენლობის გამო, ბევრს ეშინოდა მისი. მირზა ჭკვიანი და ფრთხილი ჭაბუკი იყო, რომელიც პირად ცხოვრებაში ითვალისწინებდა ლადოს მიერ დაშვებულ შეცდომებს.

ლადო სასჯელს რომ იხდიდა, მეგობარი წიგნებს უგზავნიდა, ქართველი ავტორების ნამუშევრებს, კლასიკას, თანამედროვე მწერალ-პოეტთა შემოქმედებას, რაც ლადოს ციხეში ყოფნას უმსუბუქებდა, მთლიანად მეგობრის მიერ გამოგზავნილ წიგნებში ჩაფლული, ველარ ფიქრობდა იმ ცოდვაზე, რომელიც ჩაიდინა, ისე შევიდა და გამოვიდა ციხიდან, ერთ წუთს არ უნანია, არ გამოსტყდომია თავს იმ ქმედების სისასტიკეში, რაც ჩაიდინა, აღსარებაც არ უთქვამს, თავი ყოველთვის მართლად მიაჩნდა, რომ უსამართლოდ წაართვეს ცხოვრების თოთხმეტი წელი, გამოკეტეს საკანში, მზის სხივთა ქვეშ ძვლების გათბობის საშუალება წაართვეს, ჯანმრთელობა ააცალეს, ცემეს, აწვალეს, სიბნელეში ამყოფეს, ჰო, და რისთვის?!..

მირზას მიერ გამოგზავნილმა წიგნებმა ის ჭკვიან, მოაზროვნე კაცად აქცია. პატიმრებს სხვადასხვა თემებზე ესაუბრებოდა და ყველა მონუსხული უსმენდა, ბევრზე დატოვა წარუშლელი შთაბეჭდილება, თვით ციხის თანამშრომლებისთვისაც ავტორიტეტად იქცა, პატივს სცემდნენ და მის წინაშე თავს ხრიდნენ. იგრძნო შინაგანი სიძლიერე, ინტელექტი, რომელიც თითქოს საიდანღაც ამოიზარდა. სულ ცდილობდა, ზემოდან არ ეცქირა უბირთათვის. ასეა, როცა ადამიანი საკუთარ თავზე მუშაობს, როცა კაცს დედის მუცლიდან დაჰყვება გარკვეული დონის შეგნება, სურვილები, ინტერესები. ასეთები ინტერეს-



დებიან სიახლეებით, ინტუიციით მოქმედებენ, გააჩნიათ უნარი, კარგი დაიტოვონ, ცუდი არ გაიკარონ. ყველაფერი იზიდავთ, რაც სულიერებას მაღლა სწევს, უყვართ ხელოვნების ყველა დარგი, მედიცინა, მეცნიერება, იოლად იგებენ და ალღოს უღებენ ყოველივე კარგს, ისრუტავენ და სულს საშუალებას აძლევენ გაზრდისა და გაფურჩქვნისა. ასეთნი რელიგიათა სიბრძნით ინტერესდებიან, როცა ბიბლია სულის მთავარი მკვებავი ხდება, თვალსაწიერიც გიფართოვდება ნებისმიერი რაკურსით, იხვენები, სხვათაგან გამორჩეული ხდები. ციხეში დაკაცდა, ის აღარ იყო რიგითი ადამიანი, ჩამოყალიბდა, როგორც პიროვნება და ბევრსაც დაეხმარა სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში. სიბერემდე სიქაჩლეო, ნათქვამი რომაა, ეს სიტყვები გახდა ლადოს ცხოვრების მთავარი სლოგანი, ცდილობდა შეცდომები აღარ დაეშვა, მაგრამ ადამიანი იყო და იცოდა, ამ პრობლემისგან ბოლომდე ვერ გათავისუფლდებოდა. ნეტა ადრევე მიეხედა თავისთვის, როგორც ეს მირზამ გააკეთა, მაგრამ არა უშავსო, ფიქრობდა, სულისთვის ზრუნვა და განათლების მიღებისთვის შრომა არასდროსაა გვიანი, მთავარია კაცმა დაიწყო და არასდროს დაასრულოს. ციხეში მეტსახელად წიგნიერი შეარქვეს და ამ მეტსახელის შესანარჩუნებლად, გასამართლებლად მუდმივად წინ მიიწევდა, ვითარდებოდა.

როგორც იქნა, დარეკა მირზამ. „ მირზა, ოხერო, ცუდი არ მითხრა ბარბარეზე,“ გაიფიქრა ლადომ.

-ჩემო ლადო, ნავიკითხე.

-და რას მეტყვი?

-იმას, რომ კარგია, ძალიან კარგი და საინტერესოა, მოაზროვნე ქალბატონი ჩანს. გამოხვალ რედაქციაში?

- აუცილებლად ძვირფასო, -მირზას სიტყვებმა გული აუკანკალა ლადოს, აფართხუნდა, აღელვებული დაიარებოდა აქეთ-იქით და მოზღვავებულ სიხარულს ვერ იოკებდა.

შუადღისას ეახლა რედაქციას ლადო. მოითხოვა ჩასწორებული-ჩარედაქტირებული ფურცლები, მეგობარს გვერდით მიუჯდა და კითხვას შეუდგა. ორ საათნახევარი თავჩაქინდრული



იჯდა, ბოლო თაბახის ფურცელი რომ გადადო, თავი ასწია, თვალები კედელზე მიმაგრებულ პლაკატს მიაპყრო. ხმას არ იღებდა, მირზამ მხარი გაჰკრა ძმობილს.

- მომენონა, მირზა, მართლაც რომ უცნაური და დამაფიქრებელი ნაწარმოებია.

- რალაცნაირია, თითქოს სამყარო თავისკენ მოაქვს და ეხუტება, არა?

-ჰო, შენ ზუსტად თქვი, სევდა დამიტოვა, იცი?- თქვა და უცბად ლადოს კუჭმა შეახსენა თავი, ახლალა გაახსენდა დილიდან მშიერი რომ იყო. ძმობილს გაუკეთა ხელკავი და წავიდნენ რესტორანში სავახშმოდ, ქართული კერძები შეუკვთეს. ნოყიერი ვახშმის მორთმევამდე რამე ხომ უნდა ეთქვათ? ჰო, და ლადომ აღნიშნა, რომ ბარბარე აქვე, ახლოს ცხოვრობს. მირზა დაინტერესდა თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა ბარბარე კონკრეტულად ლადოსთვის, ისიც კი ჰკითხა, მშვენიერი ქალია და შეგიყვარდაო? მაგრამ ლადომ ისეთი თვალებით შეხედა, მირზამ ხუმრობა ველარ გააგრძელა. ლადოსგან ამ ქალზე ისეთი რამ მოისმინა, რასაც ვერასდროს წარმოიდგენდა.

- ისე ძლიერ მიყვარს, სურვილი მაქვს, ყველაფერი, რაც გამაჩნია, ჩემი გარდაცვალების შემდეგ მას დარჩეს, მაგრამ ანდერძი შედგა და ყველაფერს დისშვილებს ვუტოვებ, მაგრამ ბარბარე, ოჰ, ბარბარე!... მოგიყვანე, მიხედე, როგორც შემოქმედს, გთხოვ! ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ეს უკანასკნელი ვახშამია...

-უჰ, გაჩუმდი თუ ღმერთი გნამს!

-ჰო, იქნებ, არცაა ბოლო, მაგრამ ჩემგან ქმნილი ბოლო სიკეთე ნამდვილადაა, დამეხმარე, მიხედე იმ გოგოს...

-ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში კი ბატონო, მაგრამ ნიჭიერია, ისედაც გაიკვლევს გზას, მთავარია დაინყო, თუ გააგრძელებს, დაიხვეწება და კარგი მწერალიც გახდება.

- მოვესწრები მაგას? და რომ არ მოისურვოს მწერლობა!- ხმამალლა გაიფიქრა ლადომ.

-აუ, ბიჭოოო!- გაბეზრებით ხელი აუქნია მირზამ.

ამასობაში ხინკალიც მოიტანეს და შეუდგნენ ვახშმობას.



...

ბარბარე ჩემოდანში ტანსაცმელს ალაგებდა, შვილთან გადასასვლელად ემზადებოდა, უხაროდა, ლუკაზე იზრუნებდა, ცხოვრებაც უფრო ხალისიანი გახდებოდა, მაგრამ ცისფერი, ბებერი სახლის ბინის გამოკეცვა აღონებდა. მიეშურებოდა მეუღლის საცხოვრისისკენ, კომუნისტების დროს აშენებულ უბანში, რომელიც არ იყო პატარა, მეტისმეტად შეკრული, კომფორტული, ზამთარში თბილი, მაგრამ ბარბარეს იქ სული ეხუთებოდა, მას შემდეგ, რაც მეუღლე დაკარგა, თანაც ლილი, საყვარელი, ნაზი, კეთილშობილი გოგონაც აღარ დახვდებოდა შინ, შვილი-გოგონა, დედის სინაზე, დედის პირველი სიხარული, საჩუქარი და ბარბარეს ცხოვრების მუდმივი, დაუკარგავი მეგობარი.

ტაქსიმ, რომლის უკანა სავარძელზეც ბარბარე იჯდა, მოედანს წრე დაარტყა. ქალმა თვალი მოჰკრა ნაცნობ სახეებს, მირზასა და ლადოს, მშრალი ხიდისკენ მიიწევდნენ ნელა, ზოზინით. მირზას ლოყები კეხურა ჯიშის ვაშლივით აწითლებოდა და ლადოს, როგორც პატარა ბავშვს ტუქსავდა. ერთი ფუმფულა, მეორე მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი, ხელჯოხს დაყრდნობილი, სიფრიფანა, მიდიოდნენ გზაზე მეგობრები და ეტყობოდათ, არ იყვნენ უბრალონი. მათმა დანახვამ გაახარა დასვედიანებული ბარბარე, ესენი ხომ არაჩვეულებრივი კაცები იყვნენ.

ელოდა ზარს რედაქციიდან ბარბარე. რამდენჯერმე ბატონ ლადოსთან დარეკა, მაგრამ არ უპასუხა. რვა დღის შემდეგ, თავად მირზამ დაურეკა ბარბარეს, მობრძანდით, გადახედეთ თქვენს ნაშრომს, ან ჩასწორებულს, თუ არ მეთანხმებით, შეგიძლიათ შეცვალოთ ტექსტში შეტანილი ცვლილებები ან კვლავ ძველი დააბრუნოთ.

გაიხარა ბარბარემ, თავისი პირველი წიგნის ყდაც აჩვენეს, ხელშიც კი ეკავა. რა თქმა უნდა, ბატონი მირზას შენიშვნები და ცვლილებები მოეწონა და დატოვა. ტირაჟის რაოდენობით დაინტერესდა, უთხრეს, ხუთასი ეგზემპლარი იქნებაო. ესიამოვნა. პატარა ქვეყნის კვალობაზე, სადაც წიგნის მოყვარულთა რაოდენობა



დენობა მცირეა, ბევრიც კია, შესაბამისად, უამრავის გაჩუქებასაც მოახერხებდა.

რედაქციიდან წამოვიდა, ცისფერ სახლში შეიარა, ფანჯრები გააღო, სუფთა ჰაერი შემოიჭრა და მიტოვებული სახლის სუნი გააბათილა, მაგრამ უეცრად პირკატა ეცა, ეზოს მშვენიება, ნაძვის ხე მოეჭრათ. ეს რომ ოდესმე მოხდებოდა იცოდა, ვინაიდან სახლის ამხანაგობის თავმჯდომარე ეახლა და ხელი მოაწერინა, რომ ბარბარე თანახმა იყო ხე ეზოდან მოეშორებინათ. ელოდა ბარბარე ამ ძვირფასი ნაძვის მოშორებას, მაგრამ ასე მალე არა და გული ეტკინა. წამოწვა ამოჩემებულ ტახტზე, ჩაეძინა. შესცივდა, თვალი რომ გაახილა, უკვე საღამო იყო, ფანჯრები ჩარაზა და კვლავ ლადოსთან დარეკა მადლობის სათქმელად. უცხომ უპასუხა და ბარბარე შეკრთა მოულოდნელობისგან, დაბნეულმა ყურმილი გათიშა.

პირველ ოქტომბერს დაიბადა ბარბარეს პირველი ნიგნი, დაურეკეს და უთხრეს, მობრძანდით, წაიღეთ თქვენი ნიგნებიო. აფორიაქდა, ლუკას გაუზიარა სიხარული, ეგონა შვილი საწოლიდან წამოხტებოდა და დედას გაჰყვებოდა ნიგნების წამოსაღებად, მაგრამ არ განძრეულა, სკამზე გადაკიდებული შარვლისკენ გაიწვდინა საჩვენებელი თითი, დედას ანიშნა, მომანოდეო. ჯიბიდან საფულე ამოიღო, გახსნა, ფული მიანოდა, რომ შინ უწვალებლად მოეტანა ნიგნები. გული ეტკინა ქალს, მაგრამ არ შეიმჩნია. ჩაიცვა და სახლიდან გავიდა. ავტობუსს დაელოდა, მიაღწია გამომცემლობამდეც. იქ მირზა და ლევანი დახვდნენ. კარებთან მდგარს სიცხე არვინ გაუზომა, მირზა იჯდა, თავს შვილი ადგა და ზურგზე ხელის თათუნით ამხნევებდა: -დანყნარდი მამა, რას ვიზამთ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ზოგი ასე მოვკვდებით და ზოგი ისე.

ბარბარე შეცბა, დააკვირდა მირზას მწუხარებით აღსავსე გამომეტყველებას, ჩანითლებულ, ნამტირალევ თვალებს.

-შენ არ იცი?! -მიმართა ქალს რედაქტორმა.

-რა უნდა ვიცოდე, ბატონო მირზა!



-ლადო აღარ გეყავს!

-რაა?!"- ელდა ეცა ბარბარეს და ნაბარბაცდა.

ლევანი ადგილს მოსწყდა, ქალს ხელი შეაშველა, სავარძელში ჩასვა და ჭიქით წყალი მიანოდა. ბარბარეს ხელები აუკანკალდა: -რა მოუვიდა?!"-იკითხა გაოცებულმა.

- კორონამ მოკლა!"-უპასუხა მირზამ და აქვითინდა.

აღარ სურდა ბარბარეს თავისი წიგნების დანახვა, საერთოდ აღარაფერი უნდოდა. რატომ ვერ უთხრა, ვერ მოასწრო მადლობის თქმა?! ეს რა დროება დადგა, მადლობის თქმაც უნდა დააჩქარო, ისიც მაშინვე უნდა უთხრა ადამიანს, არ უნდა შეეყოვნდე, რომ ხვალ გვიანი არ იყოს, შესაძლოა მეორე დღეს აღარც იყო, გაქრე ან იმან გაგასწროს ამ ქვეყნიდან, ვისიც მადლიერი ხარ და ვერთქმულმა გაგტანჯოს. ო, რა რთულია ცხოვრება ჩვენსავე გამო, როგორი აზრიანია და თან უაზრო ყოფა და ყოფნა!

მირზამ ლადოს დას ცისმარს დაურეკა. ბარბარემ ქალის სიტყვები ვერ გაიგო. ჩქარა, სულმოუთქმელად, ხმამაღლა ლაპარაკობდა, ეს ყვირილს ჰგავდა მგლოვიარის კი არა, განრისხებულისას. კიოდა და ტელეფონიდან კაკოფონიურად აუტანელი გამოძახილები ოთახში იფანტებოდა, ერთი კი არა, თითქოს რამდენიმე ჯოჯოხეთურხმიანი ქალი რითმში შეთანხმებულად ხაოდა. მირზამ მობილური ტელეფონი მაგიდაზე დაახეთქა და ყურებზე ხელის გულები აიკრა, თვალები მილულა და ისე უსმენდა სულის გამყინავ ხმას, თუმც მასაც ისევე არ ესმოდა ცისმარის გაგულისებული, მწარე სიტყვების ბგერათა თანწყობა, როგორც ლევანსა და ბარბარეს. ზუმის ჩართვა არც იყო საჭირო, მთელი ენერჯითა და ძალით ღრიალებდა, ბოლოს კი ასეთი რამ თქვა, რაც ყველამ გარკვევით გაიგო: ცოცხალმა ხომ გაგეტანჯა, გვანამა, სიკვდილით კიდევ დაგვანგრია. მირზამ სასწრაფოდ გათიშა მობილური ტელეფონი და წარმოსთქვა: - ქალია ახლა ეს?! რეებს ამბობს გარდაცვლილზე, ფუი, შეგივცხვა თავი!!!

მირზა და ლევანი რომ მიდიოდნენ ლადოსთან გამოსამშვიდობებლად ბარბარესთვის არ უთქვამთ, წამოდო.



ქალი პარკის ჩუქურთმიან სკამთან შეჩერდა და გზის მეორე მხარეს, კაფესკენ გაექცა თვალი, სადაც ლადოსთან ერთად ისაუბმა. ლადო მოელანდა, ბარბარეს უყურებდა და მადლიანად უღიმოდა. ნაცრისფერი ქუდი ეხურა, მოიხადა და ქალს თავი დაუკრა. ბარბარეს შეეშინდა, წამოდგა და სირბილით, უკანმოუხედავად მოკურცხლა ავტობუსის გაჩერებისკენ. ასეთი რამ ადრე არასდროს მომხდარა მის ცხოვრებაში, პირველად დაინახა ცხადად გარდაცვლილი.

რამდენიმე ადამიანი იჯდა ავტობუსში. ბილეთს რომ იღებდა, კონტროლიორმა შენიშვნა მისცა, პირბადით ცხვირი წესიერად დაიფარე და დაჯექი, რას დგახარო! უკმეხი მეთვალყურის ბრძანება შეასრულა, დაჯდა და გულში თქვა:- ვაი სოფელო, კორონათი მოცულო...

ბარბარეს თვალებიდან ცრემლმა ამოხეთქა, ღანვები დაენვა. მოპირდაპირედ მჯდომნი გაოცებულნი შესცქეროდნენ. ბარბარემ პირბადით დაფარულ სახის ქვედა ნაწილში სისველე იგრძნო, ნიკაპი, ტუჩები დაეშუშხა, სუნთქვა შეეკრა, შემალღებულ ადგილას იჯდა, იფიქრა ავდგები და ჩავალო, მაგრამ სკამიდან ადგომისას ორი საფეხური უნდა ჩაევლო უსაშველოდ მაღალი მოეჩვენა, შესაძლოა ავტობუსის კარამდეც ვერ მიეღწია, ამიტომ არ ადგა, ერთი-ორჯერ წამოახველა, თავისდაუნებურად გადაიზინიქა, თავი ჩამოუვარდა, შემალღებული ადგილიდან მონყვევით გვერდით რიგში მჯდომ კაცს დაასკდა. გონება არ დაუკარგავს, მაგრამ განძრევა არ შეეძლო, წამით დადამბლავდა.

კაცი შეკრთა, გაშეშდა. ჩოჩქოლი ატყდა ავტობუსში, მოასულიერეს ბარბარე. ქალმა მოუბოდიშა შენუხებისთვის იმას, ვისმა მუცელმაც ფაქტიურად თავი დაზიანებას გადაურჩინა, კაცმა ღიმილით უპასუხა:- არაუშავს, არაუშავს, ახლა ხომ კარგად ხართ?

-გული განუხებთ? - ჰკითხა ერთ-ერთმა მგზავრმა ქალბატონმა, რომელიც ექიმი აღმოჩნდა. ბარბარემ თავი გააქნია.

- რაიმე ქრონიკული დაავადება გაქვთ? - დაინტერესდა მგზავრი.



-არანაირი, ხშირად წნევაც კი არ მანუხებს! - მიუგო ბარბარემ.

-ვფიქრობ, მექანიკური ობსტრუქცია დაგემართათ, მალე ჩადიხართ?

-ორი გაჩერების შემდეგ.

-პირბადე მოიხსენით, ღრმად ისუნთქეთ, რომ ჩახვალთ ავტობუსიდან გაიარ-გამოიარეთ ჩქარი ნაბიჯებით და წნევა გაიზომეთ ყოველი შემთხვევისთვის.

-გმადლობთ!-უპასუხა ბარბარემ.

სახლთან ახლოს, არჩევნების წინ სასწრაფოდ მონყობილ სკვერში შეყვონდა, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და ლიფტით ავიდა თავის სართულზე, კარი ლუკამ გაუღო, დედას შეხედა და შემოფოთებულმა ჰკითხა:- რა გჭირს, ცუდად ხარ?

-მოკვდა!-უპასუხა სასონარკვეთილმა ბარბარემ.

-შემოდი, ვინ მოკვდა?!

-ის, ლადო, ვინც დამაფინანსა,-მერე, შვილს სთხოვა წნევა გამიზომეო და მისდა გასაოცრად, მაღალი ჰქონდა. ლუკა აფთიაქში გაიქცა დედისთვის წნევის დასაწვევი წამლის საყიდლად.

უცხო ზარი შემოვიდა ბარბარეს მობილურ ტელეფონში, მირზა იყო, შინ მშვიდობით მიხვედითო? ჰკითხა. დიახო, უპასუხა ბარბარემ, ესამოვნა ყურადღება მირზას მხრიდან, მაგრამ ბარბარე ვერ გარკვეულიყო, წასულიყო თუ არა დაკრძალვაზე . არც ლადოს მისამართი იცოდა. მერე შვილს გაუზიარა დარღები.

-კაცმა ამხელა სიკეთე გამიკეთა კრიზისის ჟამს, არ ვიცი ნავიდე თუ არა პანაშვიდზე, გასვენებაზე, არ ვიცი სად ცხოვრობს, შემრცხვა მეკითხა, დღეს ელდანაცემმა წიგნებიც ვერ წამოვიღე, უცხო ვარ, წესიერად ვერ გავიცანი ადამიანი, მადლობაც ვერ ვუთხარი.

-გაკვრითაც არ გითქვამს?!

-არა!

კომპიუტერთან მჯდომმა ლუკამ თავი ჩალუნა:-წამოგყვები წიგნების წამოსაღებად.



-გმადლობ, შვილო! -თქვა ბარბარემ და საძინებელ ოთახში შევიდა.

შუალამით გაელვოდა, ლადოსთან შეხვედრის ეპიზოდი გაახსენდა, გული დასწყდა, ამ ადამიანის სუნთქვა რომ შეწყდა. მისი დის ცისმარის დანახვაც არ სურდა. გულის სიღრმეში არც სჯეროდა ლადოს სიკვდილის და არ სურდა ეს ადამიანი სასახლეში ეხილა, რომ სამომავლოდ, როცა კი გაახსენდებოდა, როგორც ცოცხალზე ისე ეფიქრა, ვითომც სადღაც წავიდა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სამოგზაუროდ, დედამიწის ულამაზესი ადგილების მოსანახულებლად. მტკიცედ გადაწყვიტა, არ მისულიყო დაკრძალვაზე და სასტუმრო ოთახში გავიდა. ლუკა კვლავ კომპიუტერის წინ იჯდა და ომობანას თამაშობდა, ბარბარე შეეყოვნდა და სინანულით თავი გააქნია, რა სისულელეზე ხარჯავს დროს ამხელა ბიჭო, მაგრამ არაფერი უთხრა. მხარზე ხელი დაადო, ლუკამ დედისკენ მოიხედა:-როგორ ხარ?

გაულიმა შვილს:-წიგნების წამოსაღებად როდის წავიდეთ?

- როცა მოგესურვება.

ბიჭმა გაბეზრებით ხელი ჩაიქნია და წარმოსთქვა:- სამუშაო უნდა მოვძებნო. აღარ შემიძლია, ნუთუ იმისთვის გავჩნდი, რომ შინ პატიმარივით ვიჯდე?! იმედი მაქვს, კიდევ მოაწყობენ დებილურ ლოკდაუნებს!!!

-ჩუ, ღმერთმა არ ქნას, ყველაფერი კარგად იქნება, უსაშველო არაფერია!

-უსაშველოა დედა, როცა გრიპი ცვლის ადამიანთა ცხოვრებას, ბედს, დროზე ადრე ერთმევათ სიცოცხლე თუნდაც მოხუცებს, აი, რატომ?!

ბარბარემ თავი ჩაღუნა, დუმილით უპასუხა ლუკას შეკითხვას.

სავარძელში ჩაფლულ ბარბარეს შვება მოჰგვარა შვილის ხმის გაგონებამ, რამდენი ხანია არაფერზე ულაპარაკიათ. სამზარეულოს დაზიანებული ონკანიდან წყლის წვეთები ჩამოდიოდა, ხმა სასტუმრო ოთახშიც აღწევდა. დაუსრულებელი წკაპ, წკუპ, წკაპ ჩაქუჩივით ურტყამდა ბარბარეს ტვინს. გაღიზიანებული ბუზღუნით წამოხტა სავარძლიდან. ყავის მოდულებას



შეუდგა. ფინჯნები ცხელი, სურნელოვანი სითხით შეავსო. ფიქრობდა, როგორ აეყოლიებინა შვილი საუბარში. ჟოზეფინაზეც ვერაფერს ეკითხებოდა. ლუკა თავს არიდებდა საუბარს და საკუთარი ძალისხმევით ცდილობდა ჟოზეფინას დავინწყებას. რაც მთვარია გაიგო, წვრილ-წვრილი რამეებისგან რომ იქმნება ნამდვილი ცხოვრება.

მშობელი თავისი არსებობით შველოდა ლუკას ტკივილების, სირთულეების გადალახვაში ისე, უბრალოდ, მარტივად. დედა ხომ იმედია, დედა ხომ ყოვლის შემძლესავითაა. მომდევნო დღეებში კომუნიკაცია დედა-შვილს შორის გაცხოველდა. გადანწყვიტეს შექსპირის ნაწარმოებების ეკრანიზაციებისთვის ეცქირათ. დაიწყეს „რომეო და ჯულიეტატი“. ერთიდაიგივე პიესის მრავალჯერ ნახვა უწევდათ, ვინაიდან ფილმებად ქცეული პიესები სხვადასხვა წელს, სხვადასხვა რეჟისორების მიერ იყო ეკრანიზებული, ზოგ ვარიანტში მოქმედება ახლანდელ დროშიც ხდებოდა და ამიტომ იყო საინტერესო. ლუკას ყველაზე მეტად „მეფე ლირი“ და „მაკბეტი“ მოეწონა. ლუკას დასკვნითი სიტყვა ყველაზე მეტად მოეწონა ბარბარეს.

-ყველა სფეროს დარხეული აქვს, განსაკუთრებით მწერლობას, თეატრს, კინომატოგრაფიას. ყველა რომ იუღიამ შექსპირს დასტრიალებს, თანამედროვე ავტორები ამოწყდნენ თუ სათქმელს ამ ბრიტანელზე უკეთ ვერვინ ამბობს?!

-უილიამი მაინც კლასიკაა.

-მერე, რა საჭიროა ერთიდაიგივეს ასჯერ გადაღება?!

- ალარ კითხულობენ, ეზარებათ შენსავით.

-არაა აუცილებელი მხატვრული ლიტერატურის კითხვა, რატომ დავკარგო დებილ ოტელოზე დრო, მეზღაპრე იაგოს მონა და შემდგომ ცოლის მკვლეელი რომ გახდა! ნამდვილ ისტორიებს წავიკითხავ, და ჩემი პროფესია რომ კარგად ავითვისო, იცი რამდენი მაქვს წაკითხული და რამდენიც წასაკითხი? ცხოვრება არ მეყოფა...

-დაჯექი და იკითხე, გიშლის ვინმე?!



-უილიამ შექსპირი მაგარია! ბევრი წერა, რომ ხალხის სული-ერება, კეთილშობილება აქმაღლებინა და მაინც, პრობლემები არ შემცირებულა, იგივენი დარჩნენ ადამიანები.

...

31 ოქტომბერი, საპარლამენტო არჩევნების დღე. ლუკა ხმის მისაცემად სახლიდან გავიდა, ბარბარეც ძველ უბანში უნდა წასულიყო არჩევნებზე, ვინაიდან მშობლების ბინაში იყო ჩანერილი, საიდანაც არც არასდროს ამოწერილა, მაგრამ არ იცოდა ვისთვის და რომელი პარტიისთვის მიეცა ხმა. ლუკას მივბაძავო გაიფიქრა. შვილმა ურჩია წინვი.

-წინვი?! ჩემს თაობას ეგ პარტია არ მოსწონს!

- პარტია არაა, მოძრაობაა, მეორეც, მათ უარი თქვეს ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე, უფულოები არიან. კარგ საქმეებს აკეთებენ, ახალგაზრდებს იზიდავენ, ოფისიც კი აღარ აქვთ, ხან სად იკრიბებიან და ხან სად, ჭკვიანები არიან და პატრიოტებიც, რასაც აკეთებენ გულით და თავდადებით. ამასწინათ ბარის ერთმა მეპატრონემ სივრცე დაუთმო ამათ, მოვიდა საგადასახადო სამსახური და ბარის მეპატრონე დააჯარიმა, ათი საათის შემდეგ რესტორნები, კვების ობიექტები არ მუშაობენ, აკრძალულია და თქვენ ხალხი გყავთ, კანონი დაარღვიეთო. არადა, იქ ამათ მოსასმენად მივიდა ახალგაზრდობა, არავის უჭამ-უსვია, აინტერესებდათ, გამარჯვების შემთხვევაში რას გააკეთებდნენ პარლამენტში. მოკლედ, სხვანაირად მუშაობენ, ფეისბუქზე გვერდიც აქვთ, თვალყურს ვადევნებ, შედი და ნახე, შენ პროგრესულად მოაზროვნე დედიკო ხარ, გირჩევ წინვი შემოხაზო, თანაც მაგათი ლიდერი მაჟორიტარად შენს უბანში იყრის კენჭს. კიდევ გეუბნები, არც ნარკომანებს უჭერენ მხარს და არც თავად არიან ეგეთები, ხალხმა არასწორად გაიგო...

- წავალ და მაგათ შემოვხაზავ, გენდობი, ვინაიდან ჭკვიანი მყავხარ.

ლუკა დედას ჩაეხუტა.



...

ბარბარეს სკოლაში მოეწყობოთ საარჩევნო უბანი. მეზობლებსაც მოჰკრა თვალი და მათთან ერთად რიგშიც ჩადგა. გარეთ გამოსულს ერთმა თანაუბნელმა კაცმა ჰკითხა:-ვის უყარე კენჭი?

-ნინვს.

ამის გაგონებაზე კაცი დაიჭყანა:-უი, უი, რამ გადაგრია შექალო, შენგან ამას არ მოველოდი, ნარკომანებს მიეცი ხმა?!

ბარბარე გაშეშდა, მაგრამ მაინც უპასუხა:-თავად არ მოველოდი თქვენგან ჩემს მიმართ ამგვარ უპატივცემულობას!

კაცი აჯაჯღანდა, ქოქოლა დააყარა, ბარბარე კი დაბნეული იდგა. ვილაც სხვა კაცმა ქალს მაჯაზე ხელი წაავლო და გამოექომაგა:-გიყურებდით, ჯერ რას ეკითხებით, ხომ არის დემოკრატია?!- აშკარად არ იყო ქართველი, უცნაური ინტონაცია ჰქონდა. ახლა ამ უცნობს გადასწვდა ბარბარეს უბნელი: - ეს არაქართველებიც ხართ მოღალატეები!

- ქართველი არ ვარ, მაგრამ საქართველო მიყვარს, ჩემი სამშობლოცაა!..

ბარბარემ სიტყვა არ დაასრულებინა უცნობს, აქეთ წაავლო ხელი: - ნამოდით, შარზეა.

უცნობმა ქალს დაუჯერა, ბავშვივით, ჩქარი ნაბიჯებით მისდევდა ბარბარეს და აღშფოთებული გაიძახოდა: - ეს რა მითხრა, როგორ მაკადრა ე!

ბარბარემ გახედა უცნობს:-ნუ ნერვიულობთ, რეგვენს არ უნდა აჰყვეთ, სჯობს გაეცალოთ, მაგრამ მე ვიცნობ მას და უკეთესი აზრისა ვიყავი, იმიტომ დავიბენი.

-ეგ თვითონ მოღალატე, ალბათ ფულები აიღო და უხარია!- აკანკალებული ხელებით სათვალე გაისწორა სამოციდან სამოცდახუთ წლამდე ასაკის მამაკაცმა. მუქი თაფლისფერი, თბილი, დიდი თვალები ჰქონდა. ბარბარემ გაუღიმა.

-თქვენ სად ცხოვრობთ?- ჰკითხა კაცმა.

-აქვე, ამ სკოლასთან ახლოს, თქვენ!

-მე მეტროს ცოტა იქით, ძან შორს არა! არტემი მქვია,- კაც-



მა ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა ბარბარეს, ბარბარემაც ღიმილით ჩამოართვა ხელი და თავისი სახელი უთხრა.

-ძალიან კარგი, ხომ იცით, როცა რომ მიდიხარ და გზად რომ ქვა გდია, ისიც უმიზნოდ რომ არ გდია და ღმერთმა „ზნაჩიტ“ რომ შენთვის დააგდო არა?!

-რა თქმა უნდა, ნუ ჯავრობთ მაგ კაცზე, არ ღირს!

-აი, მე გეპეი დავამთავრე, მშენებელ-ინჟინერი გახლავარ, მაგრამ პოეტი და მწერალი ვარ, რუსულენოვანი, ქართულიდან რუსულად ვთარგმნი კარგ ლექსებს, აი, პირიქით არ შემიძლია, იმიტომ, რომ რუსული განათლება მაქვს.

-სასიამოვნოა. სომხურიც გეცოდინებათ.

-არა, სომხური ისე რა, „კამაც-კამაც“-არტემი გაჩუმდა, აღარ იცოდა რა ეთქვა და ბარბარეს დააკვირდა.

-ისე, მეც ვარ ერთი პატარა რომანის ავტორი, ახლახანს გამოიცა წიგნად.

-სად ვიყიდო?-ისევ გაისწორა სათვალე რუსულენოვანმა პოეტმა.

-არსად, ჯერ ისევ სტამბაშია, ახლო მომავალში გამოვიტან და გაჩუქებთ.

-ვახ, რა კარგია, თუ მომეწონა და თუ შევძლებ გადავთარგმნი, ხომ შეიძლება?

-უი, ბატონო, არა, ახლა მე მიჭირს ეკონომიურად.

-ვახ, ფულზე საერთოდ არ მიფიქრია ტო! მინდა ნავიკითხო, გადავთარგმნო, რა ჰქვია, დიდია?

-არაა დიდი, თორმეტი ჰქვია.

-ვახ, კარგით, ბარბარე, ნავალ, ოღონდ თუ შეიძლება თქვენი მობილის ნომერი მიბოძეთ.

-კეთილი, მეც ჩავინერ თქვენსას.

ქალმა ტელეფონშივე ჩაწერა არტემის ნომერი, იმან კი შარვლის ჯიბიდან ბლოკნოტი და კალამი ამოიღო, თან დასძინა: -ეს მობილები კარგია, მაგრამ ფურცელს და კალამს არაფერი სჯობს, უფრო „ნადიოჟნია“, იქ მერე ჩავნერ.

ერთუროს დაემშვიდობნენ, ფეხით ბევრი იარა ბარბარემ,



ვინაიდან პანდემიამ მრავალ უცნაურობასთან ერთად უმოძრაოდ ყოფნის პრობლემაც შექმნა და უხაროდა გზა, რომელიც ავტობუსის გაჩერებამდე უნდა გაევილო.

მარგოტმა დაურეკა, რომელმაც ბარბარეზე ყოველთვის ყველაფერი იცოდა. აინტერესებდა, წიგნებს როდის გამოიტანდა და სტამბიდან, ერთი სული ჰქონდა, როდის წაიკითხავდა რომანს, ოღონდ დღეს საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად წასვლას არ აპირებდა, მაგრამ თუ ბარბარე ძველ უბანში დარჩებოდა, გამოისეირნებდა და შინ შეუვილიდა. ბარბარეს გული დასწყდა, უნდოდა მეგობრის გვერდით მცირე ხნით ყოფნა, მაგრამ უკან გაბრუნებას წინსვლა ამჯობინა, შვილისკენ.

ორშაბათიც გათენდა. ისევ დარეკა მარგოტმა, წიგნების გამოსატანად არ წავიდეთო? მაგრამ ბარბარემ უკან დაიხია, უმჯობესია, დავრეკო, დღე და დრო შევუთანხმო რედაქტორს და მერეო, მაგრამ დანაქადები ვერ შეასრულა, რაღაც ძალამ შეაჩერა.

ლუკა უძილობამ გასტანჯა, ლამლამობით მოუსვენრად, ნერვიულად სცემდა ბოლთას. დარდობდა, ხელმოკლეობა რომ დაეტყო ოჯახს. უხეირო ვაკანსიები გულს უხეთქავდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და უცბადვე რესტორნში მიმტანად მოეწყო. ეთაკილებოდა ეს საქმე, მაგრამ იქ კარგი ახალგაზრდები მუაობდნენ. გალიზიანებული ძალზედ ხშირად და ლამაზად ამბობდა სიტყვა „დებილურს“, „დებილს“, ყველაფერს, რაც დებილიზმს უკავშირდება. ყოველ ღამით შინ ფული მიჰქონდა. ამისუნთქა ბარბარემ, საკვებისა და კომუნალური გადასახადებისთვის ოჯახში სახსარი გაჩნდა.

ოქტომბრის თვეში კვლავ კომენდატის საათი დაინიშნა, ღამის ათი საათიდან დილის ხუთ საათამდე გარეთ ცხვირსაც ვერ გაყოფდი და ლუკა უკვე საღამოს ათ საათამდეც შინ მოდიოდა და დედას თავის პოლიტიკურ შეხედულებებს უზიარებდა.



ამბავი მისამ

ბალუმპულაზი

გადიოდა დღეები მძიმედ, უღიმღამოდ, უფერულად. ბარბარეს ერვენებოდა, რომ მსოფლიოს ადამიანური სული გაექცა და თვალს მიეფარა, არადა სულია ფიქრების წარმოშობის, განჭვრეტის, დაგეგმვის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ძრავაა გონიერებისა. სულიდან მოედინება ფიქრები, რომელიც ადამიანთა ხასიათსაც განსაზღვრავს, ზნის სირბილეს და სიხისტესაც. ღმერთის ცეცხლის პანია ნაპერწკალია სული ადამიანის არსში ჩაბუდებული, იმიტომაც ვართ ღვთის შვილები. აქამდე ჩვენი ნება იყო ნაპერწკალს ავაგიზგიზებდით, ჩავაქრობდით თუ ხელუხლებლად დავტოვებდით და ახლა ბოროტ ძალებს განეზრახათ ძალით ჩაექროთ ადამიანებისთვის ღვთის მიერ ნაბოძები ნაპერწკალი.

სული გონის მმართველია და თუ მას ჩააქრობ ან ჩაგიქრობენ, დაცარიელებულ ფიტულად იქცევი, ამგვარნი პირველ რიგში ნამუსს კარგავენ, უნამუსოს კი სიყვარულის უნარი ერთმევა. უნამუსოთა, ცბიერთა, უსირცხვილოთა და დამნაშავეთა დროება დადგა, მაგრამ როდემდე?! დიდი მნიშვნელობა აქვს, სად, რანაირ და როგორ გარემოში სუნთქავს ადამიანი, რა გვარნი არიან მის გვერდით, როგორი ზნის ხალხი. სულში კი ხან დარია, ხანაც ავდარი. ადამიანი დედამიწის მცირე ზომის მოდელია, შინაგანი თუ გარეგანი პროცესების, ცვლილებების მიმდინარეობით. ერთგვარი კოქტილია ადამიანი, ზოგი გემრიელი, ზოგიც უგემური, ტკბილ-მწარეცა და მლაშე-სუნელებიანი და თავზე სულიც ადგას, ზოგს მბუჟთავი, ზოგსაც აგიზგიზებული, ზოგსაც კვალი აჩნია, რომ მის თავზედ ოდესღაც სულის ღვთიური ნაპერწკალი კიაფობდა. ბარბარე ფხიზლობდა, საკუთარ თავსაც აკონტროლებდა და შვილსაც, რომ სულდაკარგულებად არ ქცეულიყვნენ. შესაძლოა, იპოვო ქვეყნად იდენტური გარეგნობის ადამიანე-



ბი, იმდენად ერთნაირნი, როგორებიც ერთი კვერცხუჯრედიდან გაჩენილი ტყუპები არიან, მაგრამ ადამიანი სულიერ ორეულს ვერსად მოძებნის, მსგავსს კი ბატონო. მსგავსი უმეტეს შემთხვევაში მსგავს შობს და ზრდის, მსგავსი მსგავსს ეძებს, რომ მოერგოს და თავისიანად აღიქვას, გულში ჩაიკრას, შეითვისოს. შეუთავსებლობა უბედურებაა. ვერანაირი ძალა ვერ შეძლებს ადამიანთა ბუნების შეცვლას, გაერთფეროვნებას, ამის გაკეთება ისევ მამა ღმერთს ხელენიფება, მაგრამ მას არ სურს ადამიანები ერთნაირები იყვნენ, მოსაწყენია, უაზრობაც კია. სანამ კაცი ცოცხალია, ნიავიც უნდა იყოს, ქარბუქიც, მზეც, ზღვასაც უნდა ჰგავდეს, ოკეანესაც, ტბასაც, მდინარესაც და წყაროსაც, რაც მოძრაობს და რაც მშვენიერია, ყველაფერს უნდა ჰგავდეს ადამიანი. ზოგჯერ რალაცის დანგრევასაც ითხოვს ყოფიერება, მაგრამ რასაც სპობ, უკეთესით ჩანაცვლებაც უნდა შეგეძლოს, რაც ერთობ რთულია.

ბარბარეს ეგონა, არჩევნები მშვიდობიანად დასრულდებოდა, მაგრამ ოპოზიციური პარტიების პროტესტი სერიოზულ სახეს იღებდა, მოსახლეობის ნაწილიც მათ ემხრობოდა, ამიტომ დაიგეგმა მთავრობის სახლის წინ საპროტესტო აქცია მოთხოვნით, თავიდან დანიშნულიყო არჩევნები, ვინაიდან ლიდერი პარტიის მესვეურებმა ხმები მოჰპარეს ამომრჩევლებს და შეურაცხჰყვეს ერიო.

აქციის დღეს ლუკამ დაიგვიანა, აფორიაქდა ბარბარე, ურეკავდა, ის არ პასუხობდა. დედას შეეშინდა, შინ ველარ გაჩერდა...

ამდენ ხალხში ღვთის შეწევნით შვილი უნდა ეპოვნა. სიტყვით გამომსვლელები არჩევნების თავიდან დანიშვნას ითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს ვამბობთ დეპუტატობაზეო. ვილაც ქალი მივიდა მიკროფონთან და ანივლდა, წადი! წადი! მას სხვებიც აჰყვნენ, თითქოს ბარბარესაც აგდებდნენ ამ სივრციდან. ზოგი გარბოდა, ზოგიც გამორბოდა, ვილაცები მღეროდნენ, უნესრიგობა, არეულ-დარეულობა, ხმაური...

გრძელთმიანი გოგონა წახრილიყო და თავს შეშლილივით



აქეთ-იქით, მარცხნივ-მარჯვნივ აქნევდა. ინდაურივით აფხო-რილი ბიჭი გარს უვლიდა თავტრიალა გოგოს აჭარული ცეკვის ორი ილეთის დაუსრულებელი გამეორებით, ორივეს უთუოდ თავბრუ ეხვეოდა და ზღართანსაც მოადენდნენ ცივ ასფალტზე... არასერიოზულები და სასაცილოები იყვნენ. რა უნდა ჩემს შვილს ამ არანორმალურებთან?! - გაიფიქრა ბარბარემ. ლუკას ეძებდა თვალებით.

მოვიდნენ ჩაფხუტიანი, ფარებმომარჯვებული პოლიციელები. ქალი ხალხის ნაკადს გვერდულად მიარღვევდა, იქნებ ლუკა დავინახოო, მაგრამ შვილს თვალი ვერ მოჰკრა, ვაჟის ძახილი ჩაესმა:- დედაა! -ბარბარე შეჩერდა, მიხვდა, ცრუ ხმა იყო, ყურმა მოატყუა.

მთავრობის სასახლიანად ატორტმანდა ულამაზესი ქუჩა, წყლის ძლიერი ნაკადი პოლიციელებმა ხალხისკენ მიმართეს, მშიშრები მაშინვე გაეცალნენ იქაურობას, ახალგაზრდების დიდი ჯგუფი ადგილიდან არ იძვროდა, მათ შორის ლუკა არ ჩანდა, ბარბარე მაინც გაფაციცებით ეძებდა. გაუკვირდა, პანდემიის დროს ადამიანები რომ დაასველეს, ციოდა. ვილაცამ მხარზე ხელი მოუთათუნა, შეხედა გვერდით მდგარ მომღიმარ ქალს, დიდ მკერდიანს, ტანად სრულს, ჩამოშლილი თმა უფარავდა შუბლსა და ნარბებს, მაგრამ გამოხედვით იცნო, ეს ხომ ბავშვობის მეგობარი ქოთქოთაა, ციდან ჩამოვარდნილივით ბარბარეს გვერდით აღმოჩენილი.

-რა გინდა გოგო აქ, ახალგაზრდობას იხსენებ?

ბარბარემ უარის ნიშნად თავი გააქნია და უთხრა:- შვილს ვეძებ, აქაა, ვიცი, ვერ ვხედავ.

-შეხედე ბარბარე!- საჩვენებელი თითი გაიშვირა ქუჩისკენ, სადაც პოლიციელები რამდენიმე რიგად ჩამწკრივებულიყვნენ, მათ წინ ბიჭი იდგა და ძლიერ, ადამიანის ნამქცევ წყლის ნაკადს ვერცხლისფერი, გორგოლაჭებიანი ნაგვის ურნით ეწინააღმდეგებოდა:-ჩვენი დროის დონკიხოტი!-გადაიხარხარა ქოთქოთამ. ბარბარე ბიჭს დააკვირდა, რომელსაც წყლის ჭავლით უკან ახევიანებდნენ, მაგრამ ყმანვილი ურნას ფარად იყენებდა და გა-



გულისებული, ჯიუტად წინ მიიწევიდა: - ეგ დონკიხოტი ჩემი ბიჭია! - წამოიძახა ბარბარემ და წინ გაიჭრა, ქოთქოთა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ქალს და აკვირდებოდა ყმანვილის შეუპოვრობას. ხალხიც ინტერესით უმზერდა უცნაურ სანახაობას, ახალგაზრდა კაცის ჭიდილს პოლიციელებთან. ჭალარათმიანმა კაცმა ტაში შემოჰკრა, სხვებიც აყვნენ, ლუკას ეკუთვნოდა აპლოდისმენტები, მარტო იყო, მაგრამ სულაც არ ჰგავდა სუსტსა და უსუსურს, დედას გიტირებთო, დაიღრიალა და წინ გაიჭრა, ახალგაზრდები, სახეზე ხელებაფარებულნი, უკან მიჰყვნენ, მაგრამ წყლის ძლიერმა ნაკადმა ნაგვის ურნა ხელიდან გააგდებინა, ლუკას ზურგს უკან მდგარი გოგო-ბიჭებიც მიმოიფანტნენ სრულიად გალუმპულნი, მარჯვნივ გასრიალდა ურნა, ამოტრიალდა, ჰაერში აინია და ასფალტზე დაენარცხა, ამ დროს ლუკაც სადღაც მიფრინავდა. ბიჭი წაიქცა, სასონარკვეთილმა თავი მუხლებში ჩარგო, დანებდა წყლის ძალას. ხელებს ისვამდა დასველებულ წვივებზე, დედის სუნამოს სურნელი შეიყნოსა, თავი ასნია და დაჩოქილი ბარბარე დაინახა, ის არ იყო შეშინებული, არც გაბრაზებული, უღიმოდა გალუმპულს, რომელსაც თხელი, სწორი ცხვირის წვერზე წყლის მსხვილი წვეთი დაკიდებოდა, ბარბარემ პეშვი შეუშვირა, ბროლივით კრიალა წვეთი ხელის გულზე დაეცა, თბილი იყო. გაბრაზებულ ლუკას თვალები ჩასისხლიანებოდა, სიცივისგან აკანკალებულმა კბილების კრაჭუნით გარშემორტყმულ ადამიანებს შეხედა.

- კარგად ხარ, გტკივა რამე? - მშვიდად ჰკითხა დედამ.

- არაფერი, მხოლოდ სული! - ამოსუნთქვა ვერ მოასწრო ლუკამ, ვიღაცამ იღლიებში ხელის მტევნები ამოსდო და წამოაყენა, გოცებით შეხედა ზურგსუკან მდგომ ზორბა, მომღიმარ ქალს, რომელმაც უთხრა: - წამომყევი ლუკა, გაგიყვანთ სახლში!

ლუკამ დედას შეხედა.

- ჩემი მეგობარია, ქეთევანი!

- ჰო, პატარა რომ იყავი, მიცნობდი, ახლა ისევ გაგახსენებ თავს!



-ვერ შეგანუხებთ, გალუმპული ვარ, მანქანას დაგისველებთ!

-მერე რა, ნამო, ნამო!- მანქანის გასაღები ხელში აათამაშა ქოთქოთამ. ბარბარე და ლუკა გაჰყვნენ ზორბას, ხალხი ლოცავდა ლუკას, აქებდნენ, კარგი და შეუპოვარი ადამიანი ხარო. გალუმპულმა მორცხვად დახარა თავი და ცოცხალი კორიდორი გაიარა. ვერაფერს გრძნობდა და არც არაფერი ესმოდა, მხოლოდ ბრაზი ახრჩობდა..

ქაშუეთის ტაძრის ეზოს ჭიშკართან მდგარ შინდისფერ ჯიპში ჩასხდნენ, ლუკა უკან, ქალები წინ და ცისფერ სახლთან მისულები მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, ბარბარეს ვაჟმა უკანა სავარძელს შეხედა, დაესველებინა, მანქანის სალონის იატაკზე ბიჭის სხეულიდან ჩამონაყური წყლის გუბე იდგა. შინ შევიდნენ. ბარბარემ თბილი, მამაკაცის ხალათი გამოიღო კარადიდან, დიდი და პატარა პირსახოცებიც, შვილს უბრძანა, სასწრაფოდ ცხელი შხაპი მიეღო. აკანკალებულმა ლუკამ დაუჯერა დედას. ქოთქოთა დაბორიალებდა სახლში, რომელიც თითქოს გამოეცვალათ, აღფრთოვანებული გაიძახოდა, რა კარგი რემონტი გააკეთებია, ყოჩალო.

ორცხობილები იპოვა კარადაში, ელექტროჩაიდანნი ჩართო, რომ ჩაი დაეყენებინა. ქოთქოთა წასვლას აპირებდა, მაგრამ კომენდატის საათი დანყებული იყო, აქ უნდა დარჩენილიყო ბარბარეს ოჯახში, მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს ცისფერი სახლის მოპირდაპირედ, სადარბაზოს ლამაზ კარებიან სახლში ცხოვრობდა, მაგრამ დიდი ხნის წინ გადავიდა აქედან.

ლუკას ცხელი ჩაი დაალევინეს და სასწრაფოდ ლოგინში ჩაანვინეს. ნანერვიულებ ქალებსაც შესცივდათ, ჯერ სტუმარმა, შემდგომ ბარბარემაც მიიღო შხაპი და ჩანწენ უზარმაზარ, ორადგილიან საწოლში, ლაპარაკის თავი არ ჰქონდათ. ბარბარე ჩაეხუტა ქოთქოთას, მის მკერდზე დადო თავი. ქეთომ მკლავი მოჰხვია მეგობარს, თავზე აკოცა, მიადო ტუჩები შუბლზე და თვალები დახუჭა.



დედის გული დაღლილობას არ ეპუებოდა. დარდმა და შფოთვამ შუალამით წამოახტუნა, იმ ოთახში შევიდა, სადაც ლუკას ეძინა, დღის ფარდა კედლისკენ მიწეულიყო და ფანჯრიდან მთვარის მკვეთრი შუქი შემოდისოდა, შვილის სახეს დააცქერდა, წარბშეკრული იწვა. დედამ შუბლზე ხელი დაადო, სიცხე არ ჰქონდა, მაგრამ მრავალჯერ ნაცად ხერხს მიმართა. დაიხარა, შვილის დახუჭულ თვალებს ტუჩებით შეეხო, დამშვიდდა, გადაურჩა ბიჭი გაციებას. ლუკა შეიშმუნა და გვერდი იცვალა. ისევ დაიხარა ბარბარე, ყურით მის ფილტვებს მოუსმინა, ისინიც ჯანსაღ ხმას გამოსცემდნენ. საბანი გაუსწორა, სავარძლიდან ოთხად მოკეცილი მწვანე პლედი აიღო და შვილს გადააფარა ყოველი შემთხვევისთვის, რომ არ შესცივნოდა. გულდამშვიდებული გამოვიდა საძინებლიდან, ახლა ქოთქოთას დაჰყურებდა და ახსენებოდა ბავშვობის უდარდელი და მშვენიერი წამები, წუთები, საათები. სხვა ყველა ბავშვი გაუფერულდა ბარბარეს გონებაში, ქოთქოთა იყო მთავარი მას შემდეგ, რაც მის ცხოვრებაში შემოვიდა, გაიზარდნენ და უცხად გაჰქრა. აი, დაბრუნებულს ბარბარეს საწოლში ეძინა, ან სად იყო აქამდე, რატომ არ ახსოვდა ბარბარე, სად წავიდა ისეთ ადგილას, რომ ვერასდროს გამოიხედა მეგობრისკენ, ბარბარე ხომ იქ დარჩა, სადაც წლების წინ დატოვა, მეტიც, მან სებასტიანეს მისამართიც იცოდა.

ცხოვრება დროს გვტაცებს და საყვარელ ადამიანებსაც გვავინწყებს. გაახსენდა, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ცისფერი სახლის ცარიელ ეზოში რომ შემოტანტალდა ფუმფულა უცნობი გოგონა, ბარბარემ კი ფანჯრიდან მოჰკრა თვალი. ხუჭუჭას ხელში ბებოს ნაჩუქარი შავთმიანი გერმანული თოჯინა ეკავა. იმ დღეს არცერთი გოგონა გამოსულა ეზოში, ვინმესთან თავი რომ მოეწონებინა ამ ლამაზი თოჯინათი. დაღონებული ქოთქოთა კი დაბნეული იდგა შუა ეზოში, აქეთ- იქით იცქირებოდა, მაგრამ არვინ იყო, რომ დალაპარაკებოდა, ზემოთ არ აუხედავს, ამიტომაც ვერ დაინახა ის ერთადერთი ბავშვი, ცხრა წლის მოთვალთვალე ბარბარე, რომელმაც გადმოსძახა: -ეი, გოგონა, ვინ ხარ?



ეზოში მდგარმა ზემოთ აიხედა და გახარებულმა უპასუხა:-
ქეთო ვარ, სათამაშოდ მოვედი და...

-ამოდი, ვითამაშოთ!-გაუღიმა ბარბარემ და თავისი თოჯინა დაანახა, მაგრამ ქეთომ არ იცოდა, როგორ მიეღწია ბარბარემ-დე. ფანჯარასთან ლამაზი ქალბატონი მოვიდა, რომელმაც უთხრა: - დამიცადე პატარავ, მე ამოგიყვან!

აგვისტოს ცხელი დილა იდგა, როცა ბარბარეს წინ დააყენა დედამ ქეთო. სუფრა გაშალა, ახალი, ნელთბილი ზებრა ნამცხვრითა და ცხელი კაკაოთი გაუმასპინძლდა ბავშვებს. ქეთოს გზის მოპირდაპირედ, სადარბაზოს ლამაზ კარიან სახლში უცხოვრია, რომლის ეზოშიც კინოთეატრის შენობა იდგა. ბარბარე მამასთან ერთად ხშირად შედიოდა საყვარელ მულტფილმ „ნუ პაგადის“ ახალი სერიების სანახავად, მაგრამ იქ ქეთო არასდროს დაუნახავს, არადა, მხოლოდ უბნელები კი არა, მეზობლებიც ყოფილან. საღამოს სენსების წინ ბავშვები არც იყვნენ, კინოთეატრის თანამშრომლები უშლიდნენ თამაშს, ჟრიამულს. შენობას დიდი ადგილი ეკავა, ბავშვები კი ფეხებში არ უნდა გაბლანდვოდნენ მაყურებლებს. ქუჩის რეაბილიტაციის დროს გაირკვა, რომ გასაბჭოებულ საქართველოში ტაძარი კინოთეატრად გადაუკეთებიათ, შიგნით ისე მოაწყეს და გარედანაც იმგვარად შეფუთეს, რომ ეჭვი ვერ შეგეპარებოდა, კინოთეატრად რომ იყო გადაკეთებული. წითელი აგურით ნაგები მშვენიერი, ერთ დროს ორნავიანი ბაზილიკა ყოფილა. ახლა იდგა ქოთქოთას ეზოში უჭერო, უთავსახურო, საკურთხეველჩამონგრეული ტაძარი, რომელიც აღდგენას საჭიროებდა. ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია მოვიდა, დაიწყეს მუშებმა ფუსფუსი, მაგრამ მალევე შეჩერდნენ, არვინ იცოდა რა მოხდა და რატომ დაიბლოკა ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები...

ბარბარემ შხაპი მიიღო. სხეული გაუთბა. ლუკას კვლავ ეძინა, ქოთქოთაც სადღაც წასულიყო. ბარბარემ თმა გაიშრო, სახეზე მკვებავი კრემი წაისვა, ტანთ ჩაიცვა და სადარბაზოს კიბეები ჩაირბინა. ქუჩაში გასული შეყოვნდა, გაიხედ-გამოიხე-



და, მოპიდაპირე სახლთან დაწვენილი რვიანის ფორმის სკამზე მოკუნტული იჯდა ქოთქოთა, გვერდით პროდუქტებით სავსე ჩანთაც ედო. ბარბარე მეგობრისკენ გაექანა, ის ტიროდა. თავს წამომდგარ ბარბარეს ახედა, თეძოებზე მკლავები მოხვია და ტირილი გააგრძელა. ბარბარემ თავზე აკოცა:-იტირე ქოთქოთ, იტირე, გული მოიოხე!

-ბავშვობა გამახსენდა...

ბარბარე მეგობარს გვერდით მიუჯდა, ერთმანეთს ეკვროდნენ, მერე წამოდგნენ და ცისფერი სახლისკენ გასწიეს.

ლუკა მაგიდასთან იჯდა და თავისი ხელით მოდულეზულ ყავას სვამდა. ქეთო რომ დაინახა ფეხზე წამოდგა, მიესალმა დედის ბავშვობის მეგობარს და ბარბარეს მიმართა:-დე, გავცივდი, გემოს შეგრძნება დავკარგე.

ქოთქოთა აქოთქოთდა, ზუსტად ისე, როგორც ადრე, ბავშვობაში:-ბარბარე ზომეზია სასწრაფოდ მისაღები, ოჯახის ექიმს დაურეკეთ.

-თავიც მტკივა,-საფეთქლებზე ხელები მიიჭირა ლუკამ:-დე-და, ჩამოგინერ წამლების დასახელებებს...

-შენ ჩამონერე, წამში გაგიჩენ, მანამდე სუფრა გაშალე ბარბარე, აი, პროდუქტები.

ლუკამ წამლების სია ჩამონერა. ქოთქოთამ ხელიდან გამოსტაცა ბიჭს ფურცელი და კარი გაიჯახუნა.

-რა მაგარი ტიპია!-წამოიძახა ლუკამ:- ამას ვიცნობდი?!

-ჰო, ხანდახან გვსტუმრობდა. კევის ლეჭვა უყვარდა ქეთოს, სულ პირში შესცქეროდი, ამიტომ ის პირიდან კევის ბუშტებს ბერავდა და შენ ამის შემხედვარე კისკისებდი.

-არ მახსოვს ეს ქალი, დედი.

-ძალიან პატარა იყავი, ამ უბნიდან რომ წავიდა, მოპირდაპირე სახლში, კინოთეატრის ეზოში ცხოვრობდა.

-გასაგებია.

მოვიდა ქეთო, ხელში წამლებით სავსე აფთიაქის ეტიკეტიანი ქალაღლის პარკი სათუთად ეკავა. ლუკას გაუღიმა და პრეპა-

რატები სიასთან ერთად მაგიდაზე დაუდო:- გადახედე, რამე ხომ არ აკლიაო.

გემრიელად ისაუბმეს. ლუკამ წამლები მიიღო, იმის გამო, რომ თავს სუსტად გრძნობდა, ბოდში მოიხადა და საძინებელში შევიდა.

- მეშინია, კოვიდი არ იყოს!

- არ მგონია გოგო, გაცივდა ბავშვი. გინდ იყოს, ფეხებს ვერ მოსჭამს!- გაამხნევა ქეთომ მეგობარი:- ახლა წავალ და არ დაიკარგო, ბარბარე.

-მეე?! ჩემი შენ გითხარო, რა!

-ჰო, კაი, კაი, მე ვიყავი დაკარგული და დავბრუნდი, მერე მომიყევი შენი ამბები, ჩემსასაც გეტყვი,-თქვა ქეთომ და წავიდა.

ბარბარემ ლუკას საძინებლის კარი შეაღო, ჩაძინებული გააღვიძა და თერმომეტრი მიაწოდა, სიცხე გაიზომეო. ზუსტად ოცდაჩვიდმეტი გრადუსი ჰქონდა. შეშინდა ბარბარე, მაგრამ ლუკამ დაამშვიდა, კარგიც კია პატარა სიცხე რომ მაქვს, ესე იგი ორგანიზმი იბრძვის. ბარბარემაც იცოდა, ასეთ დაბალ ტემპერატურაზე სიცხის დამწვევი პრეპარატი რომ არ უნდა მიიღოს ადამიანი.

-ნუ გეშინია, დედა, გემოს შეგრძნება რომ დამიბრუნდება, სიცხეც დამინევს,-კოვიდზე არ უეჭვიანია ბარბარესავით. ქალი გულდამძიმებული გამოვიდა შვილის საძინებლიდან, ცოტა ხანში ისევ შევიდა, ლუკა გულაღმა იწვა, საბანი ფრთხილად გადასწია, მიუწვა, მაისური აუნია და მუცელზე დახედა, გული შეეკუმშა, მუცელი ლურჯ წინწკლებს დაეფარა, სისხლჩაქცევები იყო, წყლის ჭავლის ძლიერი წვეთებისგან მიყენებული. ლუკა შეიშმუნა, საბანი კარგად დაიფარა, გადაბრუნებისას ამოიკვნესა. მის ზურგს მკერდით მიეკრა დედა. ღმერთს სთხოვდა, ამისი ყველა სატკივარი ჩემზე გადმოვიდეს, ოღონდ ეს მყავდეს კარგადო.



...

საჭესთან მჯდარ ქოთქოთას სილამაზის სალონისკენ მიეჩქარებოდა, მაგრამ ტრასაზე საცობი იყო და დიდხანს მოუწია შეყოვნებამ, ხუჭუჭა ბარბარე ხუჭუჭადვე დარჩენილა. იყო დრო, როცა გოგონას სნობი მეზობელი მეგობრები ჰყავდა. გააცნო ბარბარემ ქეთო ეზოს ამხანაგებს, მაგრამ ბავშვებმა რატომღაც არ მიიღეს, აითვალწუნეს, ბარბარეს თვალწინ ეთამაშებოდნენ, მის გარეშე კი არა, ამიტომ ქეთო თავს გარიყულად გრძნობდა. ჩვენიათი არ ხარო, ჩასისინებდნენ. ითმინა, ითმინა ქეთომ და ერთ დღეს ალაპარაკდა:- ცუდ ბავშვებთან მეგობრობ, ბარბარე, ისინი შენ არ გგვანან, შენ კარგი ხარ, ისინი ცუდები არიან!

-რატომ?!-- გაუკვირდა გოგონას:-ხომ გეამხანაგებიან?!

- შენ გგონია ასე!-უბასუხა ქეთომ:-როცა არ ხარ, მჩაგრავენ, ხელს მკრავენ, მერე რა, რომ ამ სახლის მობინადრე არ ვარ, ან რას მიწუნებენ, ვინმეზე ნაკლები მეგობრობა ვიცი, თუ რამეს ვერ ვთამაშობ კარგად?!

-აქამდე რატომ არ მითხარი ეს!-აღშფოთდა ბარბარე:-მაგათ ვაჩვენებ, როგორ უნდა ჩემი მეგობრის დაჩაგვრა.

-და რას იზამ?

-ეგ მე ვიცი, რასაც!..

-მაინც, მაინც! იმ უტვინოებს რა უნდა მოსთხოვო?!

-ხისთავიანები კი არა, მეტიჩრები და ტუტუცები არიან, მეტი არაფერი.

-ისევ ისე გაარძელებენ, შესაძლოა შენც აგითვალწუნონ, როგორც მე.

-ძალიანაც კარგი, დავრჩებით მე და შენ.

-მაგრამ ისინი ამბობენ, რომ შენი მეგობრები არიან.

-არ მჭირდება ცრუ მეგობრები. მე მესმის ასე, თუ შენს ვინმე მეგობარს გამაცნობ, მას შენდამი პატივისცემის ნიშნად კარგად მოვექცევი და იქნებ ისიც მეგობარი გახდეს. ეს ხომ კარგია, ქეთ!

-კიი, მერე ერთად ვივლით ყველგან, ერთმანეთს დავენმარებით!

-სწორედაც, შევიკვრებით!



მეორე დღეს ქეთო ცისფერი სახლის სადარბაზოში შევიდა, ზარის ღილაკს თითი დააჭირა, დარეკა, ნიკოლოზ ბიძიამ გააღო კარი და უთხრა: - ეზოში შედი, ბარბარე იქაა. ქეთო გამოვიდა სადარბაზოდან, ეზოში შევიდა და ასეთ რამეს შეესწრო.

ეზოს ბავშვების წინ იდგა დოინჯუმორტყმული ბარბარე და სიტყვას ამბობდა. გოგონები პირდაღებულნი შესცქეროდნენ, ბიჭებიც იყვნენ იქ და ბარბარეს აღფრთოვანებულები უღიმოდნენ. ქეთო თუთის ხეს ამოეფარა, ყურები დაცქვიტა და გაინაბა, ბარბარე ასრულებდა თავის გამოსვლას: - არ მეგონა ასეთი ცუდი ბავშვები თუ იყავით, რას უნუნებთ იმ გოგოს რა, ცუდად გეთამაშებათ?

-მსუქანია! -გამოსძახა ერთმა.

ბარბარე გაოცდა, წარბები ზემოთ აზიდა.

-აბა, კიდევ გაქვთ უკეთესი მიზეზები, რის გამოც აგითვალნუნებიათ ეს ბავშვი?

ბებერი დედა ყავსო, თქვა მეორემ, ჩვენს სახლში არ ცხოვრობსო, ერთმაც, ვერ ვიტან და იმიტომო, საერთო განაჩენი ამგვარად გამოხატეს: „არ მოგვწონს!“

ბარბარე ცოტახანს ჩუმად იდგა, ბავშვი იყო და გაუჭირდა მათთვის პასუხის გაცემა, გოგონას მაინც ეყო სიტყვათა მარაგი, გამწარებულმა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ცისკენ აღმართა: - ეგ თქვენი მიზეზები უაზროა. სიყვარულს მეფიცებით, სინამდვილეში მეც ვერ მიტანთ, ამიტომ, ვრჩები ჩემს ქეთოსთან. ხვალიდან ამ ეზოში აღარ ვითამაშებ, იხარეთ უჩემოდ და ჩემი მეგობრის გარეშე, მშვიდობით!-თავი დახარა ბარბარემ და ჭიშკრისკენ აიღო გეზი, მიმავალს ცრემლები გადმოუგორდა თვალებიდან.

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს, ქეთოს კი სიხარულის ცრემლები წამოსცვივდა, უყვარდა ბარბარე. დედისერთა იყო და დღეიდან იცოდა, რომ ახლა დაც ჰყავდა ბარბარეს სახით. ქვაზე ჩამოჯდა და ტირილით გული იჯერა. გაეკიდნენ ბარბარეს მეზობელი ბავშვები, სახლის კარამდე სდიეს, მაგრამ გო-



გონამ მათ კარი ცხვირწინ მოუჯახუნა. არ ეგონათ ბავშვებს ბარბარე სიტყვას თუ შეასრულებდა, მეორე, მესამე და არც სხვა დღეებში გაკარებია ეზოს. იჯდა შინ, უკრავდა პიანინოს, კითხულობდა წიგნებს, უსმენდა დედის მიერ შერჩეულ ვინილის ფირფიტებს, კლასიკური მუსიკის ხმა ეზოშიც გამოდიოდა. ბავშვები მშვიდად იყვნენ, ვერ გაძლებს სახლში და დაგვიბრუნდებო, მაგრამ დემონსტრაციულად ქეთოს გვერდით იჯდა ფანჯარასთან და ემუხაიფებოდა, ოღონდ რაზე, ეს არ იცოდნენ ბავშვებმა, ძალიანაც აინტერესებდათ, მაგრამ რა უნდა ექნათ?!. მოსვენება დაკარგეს, ბარბარეს გარეშეც ველარ თამაშობდნენ კლასობანას, წრეში ბურთს, დაჭერობანას, ექიმობანას და ვერც სახლობანას. ბიჭები კიდეც უფრო მეტად დანადვლიანდნენ, ვიდრე გოგონები, ვინაიდან ყველა მათგანი თავის გულში ეპრანჭებოდა ხუჭუჭას. ასე ველარ გაგრძელდებოდა, ამიტომაც შეიკრიბნენ ეზოს ბავშვები, მოილაპარაკეს და სამი ადამიანისგან შემდგარი დელეგაცია მიუგზავნეს ბარბარეს. აქედან ორი ბიჭი იყო, ერთი გოგონა, თან ისეთი დრო შეარჩიეს, როცა ქეთო ბარბარესთან იყო. ერთმა ბიჭმა, სახელად ამირანმა, ასაკით ყველაზე უფროსმა, დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ბარბარეს კი არა, ქეთოს მიმართა: -ქეთო, ძვირფასო, მგონი ჩემგან არაფერი გწყენია, მხოლოდ ფეხბურთისა და კალათბურთის სათამაშოდ გამოვდივარ. ბარბარე ძალიან კარგი გოგოა, ბავშვებმა კი არა და, უმისოდ ეზოს კატებმაც მოიწყინეს. მართალია, ჩვენ არ გიცნობთ ჯერ კარგად, მაგრამ ვიცით, რომ ბარბარე მხოლოდ შენ გინოდებს მეგობარს.

-ბარბარე ჩემთვის მარტო მეგობარი კი არ არის, დასავით მიყვარს, ამირან!

-ძალიან კარგი. გვინდა, ეზოში ბარბარესთან ერთად და მის გარეშეც მოხვიდე. ბავშვებმა დაასკვნეს, რომ არ შეიძლება ბარბარეს ცუდი მეგობარი ყავდეს, ამიტომ, მიღებული ხარ ჩვენი ეზოს წევრად და ბოდიშს გიხდინ ვინც გული გატკინა ან რამე განწყინა. მოსულა?-ხელი გაუნოდა ამირანმა ქეთოს, მაგრამ



გოგონამ დამოუკიდებლად ვერაფერი გადაწყვიტა, ბარბარეს გახედა, ის ილიმოდა..

-შენ რას იტყვი ბარბარე? - კითხა ქეთომ.

-თუ ფიქრობ, რომ მისაღებია ბოდიში, უნდა მიიღო, მე კი უშენოდ მანდ არ მივალ, ეზოს გარემეც მშვენივრად ვატარებ არდადეგებს.

დელეგაციამ ბარბარე და ქეთო წინ წარიმძღვარა, ჭიშკართან ბავშვები შეკრებილიყვნენ, ბარბარე რომ დაინახეს, კოცნიდნენ და ქეთოც ეზოს ამხანაგობის სრულუფლებიანი წევრი გახდა. თურმე მართლა კარგი ბავშვი ყოფილაო, ამბობდნენ. ქეთო გულუხვი და მეგობრებისთვის თავდადებული გოგონა აღმოჩნდა, ვერ იტანდა უსამართლობასა და მჩაგვრელებს. ბიჭებს ემეგობრებოდა, მათთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა და უბნის ცნობილი მეკარეც გახდა. ემოციური იყო და მეტსახელად ქოთქოთა შეარქვეს. მისი ერთადერთი მესაიდუმლე კი ბარბარე. ისე დაახლოვდნენ, სკოლებიდან მოსულები უერთმანეთოდ დიდხანს ვერ ძლებდნენ. იზრდებოდნენ, საგნები ემატებოდათ, სხვადასხვა სახელოვნებო და სპორტულ წრეებზე დადიოდნენ, უკვე ეზოშიც იშვიათად შედიოდნენ. ისინი კლასელები არ იყვნენ, არც სკოლელები. ქეთო ჩვეულებრივ სკოლაში დადიოდა, ბარბარე კი იმგვარ საშუალო სასწავლებელში, სადაც ფრანგულ ენას გაძლიერებული პროგრამით ასწავლიდნენ. ქეთო ვერ გადავიდოდა ბარბარეს სკოლაში, ფრანგული არ იცოდა, ვერც ბარბარე ქეთოსთან, ვინაიდან იმ სკოლაში გერმანულსა და ინგლისურს ასწავლიდნენ. ქეთო ნატრობდა, ნეტა მოხდებოდეს ისე, რომ მეც შემეძლოს ბარბარეს დაცვა, როგორც მან დამიცვა თავისი ამხანაგების წინაშეო. რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ, ქეთომ ბარბარესთან და უკვე თავის ამხანაგებთან ერთად ეზოს წყლის ონკანის საშუალებით განუწობანა ითამაშა და შინ გალუმპული მივიდა.



ამბავი მეოთხე

ყველანი გავშვოზიდან მოვდივართ

ვასილი ათი წლის, ძალზედ გამხდარი ბიჭი იყო, მორიდებული, ლაპარაკი არ უყვარდა, გაკვეთილის მოყოლაც უჭირდა და ერჩივნა წერილობით ჩაებარებინა. არც ბეჯითი იყო, მაგრამ ცოტაცოტას ყველაფერში მეცადინეობდა. ვენერამ სთხოვა პედაგოგებს, ხმის ამოღებას ნუ აძალებთ, ხელი შეუწყეთ, რომ ცოდნა წერილობით ჩაებაროთ, უცოდინარი არააო. ჰუმანიტარული საგნების მასწავლებლებმა ანგარიში გაუწიეს მშობლის თხოვნას. როცა დაფასთან გამოძახება უნევდა, კითხვებს ჩამოუწერდნენ, დასვამდნენ პედაგოგის მაგიდასთან და ამგვარად ამონებდნენ მის ცოდნას, თავს იზღვევდნენ მასწავლებლები, ბავშვმა „შპარგალკა“ არ გამოიყენოს ან რომელიმე კლასელი არ დაეხმაროს პასუხების გაცემაშიო.

სასწავლი მოხდა, ვასილი ალაპარაკდა. ქეთოს უთხრა, შენი დახმარება მჭირდება, მარტო თავს ვერ ვაბამ პრობლემას. ერთ ვილაცას ჩემი და უპატრონო ჰგონია და ჭკუა უნდა ვასწავლოთ მე და შენო. ვერ ხვდებოდა ქეთო, რა ხდებოდა ბარბარეს თავს, ვერ წარმოიდგენდა, თუ ვინმე ერჩოდა, არადა, გადაკიდებია კლასელი ზურიკელა. თხას ეძახდა, გაბუნულს, ბაფთიან დიდ-თავას, გაკვეთილებს შორის შესვენებებზე აწვალვდა, ხელებს უგრეხდა, მაგიდიდან წიგნებსა და რვეულებს აცლიდა, ბარბარეს კი ეგონა დავკარგეო. ყველაფერი იცოდა ვასილმა და სიმორცხვის გამო ვერ ახერხებდა დას გამოქომაგებოდა, მაგრამ ბოლო ფაქტმა გაამწარა. გაკვეთილების დასრულების შემდეგ და-ძმა სკოლიდან ერთად გამოვიდნენ. ბარბარე ძლივს მოდიოდა და წუნუნებდა, ასე მგონია, ჩანთაში წიგნები კი არა ბომბი მიდევსო. ვასილმა ჩამოართვა დას სკოლის ჩანთა, გახსნა და შიგ სასკოლო ნივთებს შორის ჩადებული აგური აღმოაჩინა. ამ აგურით ზურიკელას ცემის სურვილი გაუჩნდა, მაგრამ ვინ გა-



აბედინებდა?! ქეთო გააბრაზა ვასილის ნათქვამმა. ერთ დღეს სკოლაში არ წავიდა, ბარბარეს სასწავლებელს ეახლა. ვასილი გამოიყვანა გაკვეთილიდან, მივიდნენ სპორტულ დარბაზთან, სადაც ბარბარეს კლასს ფიზკულტურის გაკვეთილი უტარდებოდა. ქეთომ ბარბარეს ძმა შეაგზავნა გაკვეთილზე, ზურიკო გამოიხმეო. ბარბარეს მასწავლებელი ვასილის მასწავლებელიც იყო, გაუკვირდა, ბავშვმა რომ თხოვა, ზურიკო ერთი წუთით გარეთ გამოუშვითო. რახან შენ ხმა ამოგიღია, როგორ არ გამოვუშვებო, უპასუხა პედაგოგმა და ზურიკოს დაუძახა, ამ ბიჭს გაჰყევით. გამოვიდნენ სპორტდარბაზის ფოიეში და ზურიკომ კითხა ვასილს:-რა პონტია, გაკვეთილიდან რომ გამოგყავარ... ამ დროს გამოჩნდა ქოთქოთაც, იქვე ჩასაფრებული, სიტყვა არ დაასრულებინა:-ეი, ბიჭო, რომ ბლატაობ და ბავშვს ებღინძები, გამომხედე აქეთ!

-ეს ვილაა?!-იკითხა გოცებულმა ბარბარეს კლასელმა.

-ვინ ვარ და შენი მუშტი !-უპასუხა ქეთომ და მუშტი გლიჯა ყბაში, ზურაბი წაიქცა და აყვირდა:-ვინ ხარ, რას მერჩი!

ქეთომ ფეხი მხარზე დააჭირა.

ვასილმაც ამოიღო ხმა:- ბარბარეს ძმა ვარ და გაფრთხილებ, ჩემს დას თავი დაანებე, ნუ აწვალე, გასაგებია?

-ვახ, ჩემი კაი, თქვენთან მიჩივლა?!

ქეთომ საშუალება მისცა ზურაბს წამომდგარიყო:-არავისთან უჩივლია, ყველა ხედავს, როგორ აწვალე და აგურებს ულაგებ ჩანთაში!

-მერე რა, ვეხუმრები.

ქეთო საშინლად გაბრაზდა, შეტრიალებული მოუბრუნდა ზურაბს, თვალები დაუბრიალა, მკერდზე მარჯვენა ხელი კრა და კვლავ წააქცია, ზურაბი აფართხალდა.

-არ გეგონოს მეორედ მარტო მოვალ!-დაემუქრა ქეთო:-ათი წლის ბავშვთან ერთად კი არ გეახლები, სერიოზულ ტიპებთან ერთად, ბიჭო, და მერე ვნახავ როგორ იბლატავებ, აბა ახლავებ ბოდიში მოიხადე და დაგვპირდი, რომ ბარბარეს აღარ გაეკარები!



-არა, ვერ ვიზამ მაგას!- ატირდა ზურიკელა.
 -ანუ, გაეკარება?!-იკითხა გაოცებულმა ვასილმა.
 -მიყვარს!-აღიარა ზურიკელამ.
 -ტვინნალრძობო, გოგო თუ გიყვარს, უნდა აწვალო?!-მივი-
 და და ზურიკელას წამოდგომაში დაეხმარა, რომელსაც მუშტ-
 მოხვედრილი ყვრიმალე შენითლებოდა.

-ისედაც ხვდებიან ზოგიერთები, რომ მიყვარს...
 ქეთო ახარხარდა:-სხვათა აზრის გასაფანტად ექცევი გო-
 გოს სადისტურად?!

-არ გაბედო ჩემი დის სიყვარული!- გაბრაზდა ვასილი,-გე-
 უბნები, შეეშვი-მეთქი, გასაგებია? ავადმყოფი ესა!

ზურაბმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ორივეს და სპორ-
 ტდარბაზში შევარდა.

ძმას და ქოთქოთას არ უთქვამთ ბარბარესთვის, რა დღეც
 დაანიეს მტანჯველ ზურას და ბარბარესაც უკვირდა ზურიკელა
 სათოფეზე რომ აღარ ეკარებოდა, არც კი ესალმებოდა. ცულ-
 ლუტმა გოგომ იცოდა ზურიკელას რომ მოსწონდა და გრძნო-
 ბებს თავისებურად გამოხატავდა. ბარბარემ დააკვნა, რომ არ-
 სებობს ხალხი, რომლებსაც შეუძლიათ უმიზეზოდ სიყვარულიც
 და გადაყვარებაცო. ზურიკელას გამო რამდენიმე დღით იდარ-
 და, მაგრამ მალევე მოინელა მისგან წამოსული გულგრილობა.
 ზურიკო კი სიმხდალის გამო შეეშვა გოგოს.

...

მშობლებმა გოგონებზე კონტროლი გააძლიერეს. ქეთოს
 მამამ, ნოდარი ბიძიამ ვიდეომაგნიტოფონი შეიძინა, კინოს მოყ-
 ვარული იყო და ვიდეოკასეტებიც ბლომად ქონდა, რაც შინ მოე-
 ძეგებოდათ ყველაფერი ნახა ოჯახმა, მოზეზრდათ და მოიწყი-
 ნეს, მაგრამ აბა ქეთო რის ქოთქოთა იყო, უბანში ახალი ვიდეო-
 კასეტები რომ ვერ ეშოვა. სულ მალე, ქეთოს ოჯახის სასტუმრო
 ოთახი ვიდეო ჩვენების დარბაზად იქცა, ქეთოს ნათხოვარ კასე-
 ტებს მოყვებოდნენ კასეტის პატრონები, მათი და ქეთოს ამხანა-
 გები, სხვა უბნებიდან გადმოსულები. ბევრს კი ჰქონდა კასეტა,



მაგრამ ვიდეომაგნიტოფონი - არა. ძვირი იყო, ძნელად საშოვნელიც, ვინაიდან გადამყოფელები ყიდნენ, მალაზიებშიც დახლქვეშიდან ასალებდნენ ორმაგ, სამმაგ ფასად. იმის გამო, რომ ნიკოლოზსაც უყვარდა კინო, შვილთან ერთად ვიდეოჩვენებების სანახავად ხშირად დადიოდა. აღფრთოვანებულები იყვნენ ბავშვების გონიერებით ნოდარი და ნიკოლოზი, მოზარდები ნანახს განიხილავდნენ, მსჯელობდნენ, ანალიზებდნენ. ეს ორი მამიკო ისეთი მომზადებული მოდიოდა, რომ ყმანვილებს კინომცოდნეები ეგონათ. კარგმა ფილმებმა თაობები დაახლოვა. მამებს გაუთამამდნენ ბავშვები, ბარბარეს და ქეთოს ხშირად ეუბნებოდნენ, ჯიგარი მამები გყავთ, ნეტა ჩვენც ეგეთები გვყავდესო... კონკრეტული ეპიზოდებიც გაახსენდა ქეთოს და გაელიმა.

ბარბარეც ფიქრობდა ქეთოზე და მასაც ახსენდებოდა რამერუმები. ქეთოს დაბადების დღეზე მისი მამიდაშვილი მიშო გაიცნო. მიშოს ძლიერ მოეწონა ხუჭუჭა, მთელი საღამო გაიძახოდა, ასეთი ლამაზი გოგო ცხოვრებაში არ მინახავსო. მიშო დიდი ბიჭი იყო, ოცდაორი წლისა, არსად სწავლობდა, არც მუშაობდა, მაგრამ ფული ყოველთვის ქონდა, მშვენივრად ეცვა, სრულიად ახალი, გასისინებული საბჭოთა ჯიპი“ ნივა“ ყავდა და დაქროდა აღმა-დაღმა, ქალაქს წრეს უვლიდა, სადაც სურდა და უნდოდა ყოფნა, იქ იყო ამ მანქანის წყალობით, მაგრამ ბარბარემ ქოთქოთასგან შეიტყო, რომ მიშო „რამკიანი“ ქურდია და საქმეებს არჩევსო.

-რახან მიშოს მოეწონე, ჩათვალე, ხმას ველარავინ გაგცემს...

ბარბარეს გაუკვირდა, რატომ არ უნდა გამცენ ხმა, არაფერს ვაშავებ, არვის ვეჩხუბები, არავინ მტრობს და არც სიძულვილი ვიცი, რა არის, რატომ?! ქოთქოთამ უპასუხა:- ეს შენ გგონია, რომ არვინ გერჩის, ბევრს შურიანი დადის, დამიჯერე!

ქეთოს ნათქვამმა გააოცა ბარბარე:- რა მაქვს შესაშური, ჩვეულებრივი ოჯახის შვილი ვარ ქოთქოთ!

-შენ რა, ვერაფერს ამჩნევ?!
- რა უნდა შევამჩნიო ქოთქოთ!



-ლამაზი ხარ!

-ლამაზი არა, ის კიდევ!... - გაელიმა ბარბარეს.

-შენი ძმა პატარაა, ვერ დაგიცავს ნაძირლებისგან, ჩათვალე უფროსი ძმა შეიძინე მიშოს სახით, აწი დაცული იქნები.

-არ მინდა ქოთქოთ, არ ვსაჭიროებ დაცვას და შეზღუდვებს, მამაჩემისგანაც შენუხებული ვარ, არსად მიშვევს, კლასელების დაბადების დღეებზე ვერ წავსულვარ, სალამოს ცხრაზე შინ უნდა იყო მუხბუნება, არ ვიქნები და ერთ ამბავს ამიტეხს, ამიტომ არსად დავდივარ, მხოლოდ შენთან მიშვებენ. პიონერთა ბანაკშიც არ ვყოფილვარ, ისე გავიზარდე. ახლა მიშომაც უნდა შემზღუდოს?! არ მინდა!

-მიშო არ შეგზღუდავს, შენ ვერაფერს იგრძნობ, უბრალოდ დაცული იქნები, მაგრამ თუ ვინმე რამეს განწყენინებს მითხარი, კაი?-ჩასჩურჩულა ქოთქოთამ.

-მტყუანიც რომ ვიყო, მაინც გითხრა?

-აბა რა, ვინც შეურაცხყოფს, მოვა და დაგიჩოქებს!

-ვაა, რა საინტერესოა?!- გაუკვირდა ბარბარეს.

მიშომ მოუხშირა ქოთქოთას ოჯახში სტუმრობას, ბარბარესაც ნახულობდა და მანქანით ასეირნებდა ორივეს, მუშტაიდის პარკში, ატრაქციონზე დადიოდნენ, ხშირად ასაჩუქრებდა მათ ბავშვური რამეებით. მიშოს გამოჩენის შემდეგ სკოლაში უფროსკლასელი „მაგარი“ ბიჭები, ისეთები, რომლებსაც წესიერად არც კი იცნობდა, ღიმილით, თავდაკვრით ესალმებოდნენ, გზას უთმობდნენ დერეფნებში, სკოლაში შესვლისთანავე ბიჭები ხელიდან ჩანთას სტაცებდნენ და კლასამდე აცილებდნენ. ჯგუფელების დამოკიდებულება ბარბარეს მიმართ რადიკალურად შეიცვალა, თავს დედოფლად გრძნობდა. გაკვეთილების დასრულების შემდეგ, ერთიორჯერ მიშოც დახვდა სკოლის შენობასთან, გაყვა ბარბარეს და სახლამდე მიაცილა, ეს მიზნობრივად გაუკეთებია, რომ მთელი უბნის მოძველებიჭო საზოგადოებას შეემჩნია ბარბარე ვის გვერდით იდგა. ეგრეთ წოდებული „ბირჟავიკები“ ხუჭუჭას რომ დაინახავდნენ სახეები ებადრებოდათ,



სიგარეტის მოწვევას წყვეტდნენ, პაპიროსს ძირს აგდებდნენ ან ზურგს უკან მალავდნენ, რაც ბარბარესთვის ერთობ სასიამოვნო იყო. არასდროს არაფერი უთხოვია მიშოსთვის, მხოლოდ მადლიერების და მისდამი პატივისცემის გრძნობა უღვივებოდა, არც მიშო ითხოვდა ბევრს, მხოლოდ კოცნას, ბარბარეს რომ დაინახავდა, ხელის აწევით ესალმებოდა, გოგონა მისკენ გაიქცეოდა და ჩაეხუტებოდა, მერე, მიშო ლოყას მიუშვერდა და საჩვენებელ თითს ლოყაზე მიიდებდა, ახლა მაკოცეო და ბარბარეც კოცნიდა, სიმაღლე რომ მოემატა, უკვე მიშოს შუბლსაც წვდებოდა და წარბებს შუა კოცნიდა, სიხარულით წამოიყვირებდა, ჩემი მფარველი ანგელოზი მოსულაო და მკერდში ეკვროდა, მიშო ღიმილით თავზე ეფერებოდა და გაიძახოდა, ჩემი ბუჩქი, ბუჩქიო!

ბარბარეს მამა ნიკოლოზი, უმეტესად უქმე დღეებში სიგარეტით ხელში ღია ფანჯარასთან იდგა და შვილს თვალს ადევნებდა. ერთხელაც დაინახა, ამხანაგებშემოხვეულ ბარბარეს როგორ მიუახლოვდა ახალგაზრდა სიმპათიური, შავგვრემანი, კაფანდარა კაცი, კეხიანი ცხვირი პროფილში არწივის ნისკარტს მიუგავდა. ორივე ხელით ტკბილეულით სავსე მუყაოს ქალაქდის პარკი ეკავა, ამ ბიჭის დანახვისას ბარბარეს სახე გაუნათდა, მეგობრები გვერდზე განია და იმისკენ გაიქცა, მკლავები მხრებზე შემოაჭლო. ეს ჩემგან შენ და შენს ამხანაგებსო, უთხრა კაცმა, თავზე ხელი გადაუსვა, საჩვენებელი თითი ბარბარეს ცხვირს მიაჭირა, შეტრიალდა და გავიდა ეზოდან. მამას წარბები შეეჭმუხნა, ნანახი არ მოეწონა, თუმც ბავშვებმა გაიხარეს, ბევრი „დათუნია“ შოკოლადი რომ უნდა ეჭამათ.

სალამოს, შინ ამოსულმა ბარბარემ „დათუნია“ კანფეტები მრგვალი მაგიდის ცენტრში მდგარ ნავის ფორმიან ბროლის ვაზაში ჩაყარა, უპირველესად ძმისთვის, რომელიც ცურვის გაკვეთილზე იყო და შინ ჯერ არ მოსულიყო. მამა შემოვიდა სასტუმრო ოთახში, ბარბარეს მკაცრად შეხედა.

-რა არის მამა, დავაშავე რამე?

-რა არის ეს!-მიუთითა შოკოლადებზე:- საიდან მოიტანე?



- ეზოდან.
- ვინ მოგართვა!
- უჰ, იმდენი მქონდა, მთელ ეზოს ეყო და...
- ჰო, და საიდან მერე, ვინ მოგცა?
- ქეთოს მამიდაშვილმა მიშომ.
- გასაგებია, მაგრამ რატომ მოგცა ამდენი „დათუნია“, რა ხდება თქვენს შორის?!
- არაფერი მამა, ჩემი ძმობილია!
- ძმობილი?!-გაიკვირვა ნიკოლოზმა:-ამხელა კაცი დაგიძმობილდა?!
- რა ამხელა, შვიდი წლით უფროსია.
- მეც მაგას გეუბნები, თხუთმეტი წლის ხარ, ეგ ბიჭი არც ისე დიდია... დედაშენზე თერთმეტი წლით დიდი ვარ შვილო!
- ჩემი ძმობილია და ძალიან მიყვარს.
- იქნებ მოსწონხარ და უნდა ცოლადაც მოგიყვანოს!
- რას ამბობ მამა!-აღშფოთდა ბარბარე.
- დიხაც, უკვე დიდი გოგო ხარ და იაზროვნე, შეგიძლია გააგრძელო მასთან მეგობრობა, რახან ქოთქოთას მამიდაშვილი ყოფილა, იმედია, არ მატყუებ, ეგ გოგო მეც მიყვარს, კარგი და წესიერი ახალგაზრდაა, შენგან განსხვავებით ზედმეტად ვაჟკაცურიც, ოღონდ იმ ბიჭს კისერზე ნულარ ჩამოეკიდები, დაიცავი დისტანცია!- ხმას აუნია ნიკოლოზმა, თავი დახარა და შარვლის ჯიბეში ხელებჩანყობილი ოთახიდან გავიდა.
- ბარბარე გაშრა, სხეულში ცივმა ჟრუანტელმა გაუარა, შეგრძნებამ შეიპყრო, თითქოს უზნეობა ჩაიდინა და ახლა რცხვენიაო, სასწრაფოდ ქეთოს დაურეკა:-ქეთ, შეგიძლია გარეთ გამოხვიდე?
- ახლა თავად ვაპირებდი შენთან დარეკვას, ფული მაქვს, სადაცინეში გპატიჟებ.
- ახლავე ჩამოვალ, რაღაც მოხდა და უნდა ვითხრა!
- კარგი, სადარბაზოსთან დაგელოდები.
- ბარბარე სულმოუთქმელად მოუყვა, რაც მამამ თავს დაატეხა, ქოთქოთას გაეცინა:-მამაშენი თავის მხრივ მართალია და



გგონია ამას მიშო ვერ გაიგებს?! მას მხოლოდ შენი კარგად ყოფნა უნდა, მეტი არაფერი.

- ვაფასებ, ჩემი ძამიკოა და როგორი სირცხვილია, როცა მამაჩემს ეს არ ესმის!-ცრემლები წამოცვივდა ბარბარეს.

-სამწუხაროდ დიდები ვართ, შეიძლება ზოგმა სხვა სარჩული დაუდოს თქვენს ურთიერთობას, სხვანაირად რომც უყვარდე მიშოს, თავს არაფრისდიდებით მისცემს უფლებას ეს გაგრძნობინოს.

-რას მეუბნები, ქოთქოთ?!

-რას და სიმათლეს, შესაძლოა უყვარხარ კიდეც, მაგრამ მიშო ცხოვრებას არ გაგირთულებს, ქურდია, განსხვავებული გაგება აქვს, შენ გგონია ცოლის მომყვანია?! ხელს ვერავის მოუნერს და...

-რატომ?!-დაინტერესდა ბარბარე.

-მიშოსნაირებს ოჯახის შექმნის უფლება არ აქვთ და საერთოდ ხელს არაფერზე აწერენ!

-ეგ როგორ?!

- ასეა და რა ვქნა?!

ამ საუბრის შემდეგ, ბარბარეს მიშო აღარ დაუნახავს არც უბანში, არც ეზოში და არც ქეთოსთან შინ. მიხვდა ბარბარე, გაურბოდა მიშო და გული დაწყდა. მიშოს ტელეფონის ნომერი იცოდა, მაგრამ დარეკვისა რცხვენოდა, სამაგიეროდ, მიშომ დაურეკა, ახალი წელი მიულოცა ბარბარეს და უთხრა:-იცოდე, ყოველთვის მეყვარები. ბარბარემაც იგივე უთხრა, ოღონდ ერთი სიტყვა დაამატა, გულში. მიშომ არ უპასუხა, გაჩუმდა და ორიოდ წუთის შემდეგ ყურმილი გათიშა. ბარბარე კი პასუხს ელოდა. გული მოუვიდა მიშოზე. უჭირდა ბარბარეს მიშოს დავინყება. მხოლოდ ერთხელ კითხა ქოთქოთას, როგორაა? და იმან უპასუხა, არ ვიციო. ახლა რა მოხდება? კითხვა დაუსვა საკუთარ თავს ბარბარემ, ჩემი მიშო ჩემივე ნების გარეშე წარსულში დარჩება. ვინ იცის, სადმე რომ შემხვდეს, გადამეყაროს, ვერც კი მიცნოს ან გულგრილად მომესაღმოს, რა საშინელებაა!..



XX საუკუნის ოთხმოცეანი წლებში, რალაც ხდებოდა, მაგრამ რა, ყველამ არ იცოდა, ადამიანები ვერ ხედავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ძმობა-ერთობის ჩამოშლა მოხდა, სოციალისტურ-კომუნისტურ წყობილებასაც საძირკველი მორყეოდა. ეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში ხალხი პოლიტიკის გარეშე ცხოვრობდა, ამ საკითხთან დაკავშირებით ფიქრიც კი ეკრძალებოდათ. ცოტაც და, ახალი საუკუნეც დადგებოდა. სკოლის მერხიდან ცხოვრების გზაზე დამოუკიდებლად გასასვლელად ემზდებოდნენ ქოთქოთა და ხუჭუჭა. ნამდვილი ცხოვრება და საქმიანობა XXI საუკუნეში მოუწევდათ, თუ ოჯახებს შექმნიდნენ, შვილები მომდევნო საუკუნის ადამიანები უფრო იქნებოდნენ ვიდრე ამ საუკუნისა. ჯერ ისევ ის დრო იყო, როცა ხალხი ძველ უბნებში კომუნალურ ბინებში ცხოვრობდა, სადაც რამდენიმე ოჯახს საერთო სამზარეულო, აბაზანა და ტუალეტი ჰქონდა, მაგრამ ეგრეთ წოდებულ ხრუშჩოვკებში უკეთესი სიტუაცია იყო, უბრალოდ, ნორმაზე დაბალი ჭერის სიმაღლე მაღალი ადამიანებისთვის დისკომფორტის შეგრძნებას აღვივებდა. აი, 80-ნი წლების დასაწყისში უკეთესი პროექტების სახლების აშენება დაიწყო, მაგრამ ქალაქში გაჩნდა ახალი, პრესტიჟული და არაპრესტიჟული უბნები. ვაკე-საბურთალოზე აშენებულ ახალ კორპუსებში წარჩინებულ ადამიანებს აბინავებდნენ, ძირითადად მონინავე ინტელიგენციისა და მუშათა კლასის წარმომადგენლებს. იმ დროს უმუშევარი არვინ იყო. უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ მისაღები გამოცდებიც არ დაწყებულ იყო, ბარბარესა და ქეთოს ატესტატის აღების სიხარული არ განელებოდათ და რომელიღაც უწყების წარმომადგენლები ეწვივნენ გოგონებს, თუ ვერ გახდებოდნენ სტუდენტები, უნდა მისულიყვნენ ერთ ადგილას, საიდანაც გაამწესებდნენ სამუშაოდ. ბარბარე იმ წელსვე ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში, აი, ქოთქოთა კი გაითვალა, ქულები არ იყო. დიდად არ უნერვიულია, არაუშავს, მომავალ წელს სტაჟიც მექნება და ჩავირიცხებო, მაგრამ სტუდენტობა არ ეღირსა. ექვსი წელი აბარა გამოც-



დები, ქულა აკლდებოდა, მეშვიდე წელს კი საერთოდ ჩაიჭრა პირველსავე გამოცდაზე. ამის შემდგომ უმაღლესი განათლების მიღებაზე აღარც უფიქრია. მხოლოდ ის ფული უხაროდა, სამსახურში ხელფასის სახით რომ აძლევდნენ. ბარბარეს დაჟინებული მოთხოვნით კოსმეტოლოგის კურსზე ისწავლა, როგორც სერტიფიცირებულმა მაუდკომბინატიდან სილამაზის სალონში გადაინაცვლა და სამუდამოდ ამ სფეროში დამკვიდრდა.

მობილური ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა წარსულის მოგონება ბარბარეს, ქეთო იყო და ლუკას ამბავს კითხულობდა.

- სძინავს ქეთ, შენ რას შვებები?

-რას ვიზამ, სამსახურში ვარ!

-როდის მოხვალ ჩემთან?

-რა ვიცი, დასვენების დღეები არ მაქვს, მაგრამ მოვახერხებ ხოლმე, რომ გნახო.

-დილიდან საღამომდე მუშაობ?

-კი, გვიანობამდე. გეტყვი ყველაფერს, როცა გნახავ.

-კარგი, ჩემო კარგო, გელოდები, ოღონდ, წინასწარ დამირეკე, ყოველთვის აქ არ ვარ.

-გასაგებია ბარბარეკო.

ჰო, ორი წლის შემდეგ, ქეთოს მამამ ბინა გაყიდა და ძველი უბნიდან ძალიან შორს წაიყვანა ოჯახი, მაგრამ ქოთქოთას ისე უყვარდა ბარბარე, რომ ღამის თევით სტუმრობდა ხოლმე.

ბარბარემ უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, მაშინვე გათხოვდა. მესამე კურსის სტუდენტი იყო სებასტიანე რომ გაიცნო. ძალიან შეაყვარა ამ ბიჭმა თავი და სწავლაში ხელი რომ არ შეშლოდა დაპირდა, დიპლომს რომ აიღებ მერე დავექორწინდეთო, ოჯახშიც მივიდა ბარბარესთან, წესისამებრ, მშობლებისგან ქალიშვილის ხელი ითხოვა. ქეთოც იქ იჯდა, მის გვერდით კი ვასილი, ბარბარეს ძმა, რომელიც მტრულად ათვალიერებდა სასიძოს. შეხვედრა სებასტიანესთან ისე დაიწყო და დასრულდა, რომ ვასილს ხმა არ ამოუღია და გამჭოლი მზერით შეცქეროდა სასიძოს. მერე, ბარბარემ პიანინოზე



დაუკრა, სებასტიანე წამოხტა სკამიდან, მივარდა ბარბარეს და ლოყაზე აკოცა. ყველანი გაჩუმდნენ, ქეთომ კი ტირლი დაიწყო და თქვა: - ძალიან მომწონს ეს ბიჭი!

ვასილმა ქეთოს შეუბღვირა და რაღაც ჩაიბურღლუნა, მაგრამ ძმის ბუზლუნი არავის არაფრად ჩაუგდია.

ნიკოლოზმა კი თქვა: - თანახმა ვარ, წაიყვანე ჩემი გოგო!

ბარბარეს დედამ ქმარს ხელი ხელზე დაადო და მოუჭირა, ისიც გახარებული ჩანდა. ყველა დღესასწაულზე და ისე, უმიზეზოდ გაშლილ სუფრაზე სებასტიანე ეპატიჟებოდა ცოლის დობილს, არასდროს ავინყდებოდა ქეთოს გულწრფელი სიტყვები. სურდა ქოთქოთასთვის კარგი საქმრო მოეძებნა, მაგრამ ქეთო ამშვიდებდა, ჩემზე არ იდარდო. ბარბარეს გოგონა ლილი რომ წამოიზარდა, ქეთო მეგობრად გაიხადა და კარგი მეგობრობაც გამოუვიდათ.

ლუკაზე რომ მშობიარობდა, ქოთქოთაც ბარბარეს ოჯახის ნევრებთან ერთად იდგა სამშობიარო სახლის ეზოში და ნერვიულად ბოლთას სცემდა. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა და გადაირია ქეთო ლუკას დანახვისას, ბარბარეს ეუბნებოდა, ქართველი ალენ დელონი გააჩინეო და როცა ლუკა სამი წლის გახდა დაასკვნა, რომ ეს ბიჭი მომავალი დიდი კინოვარსკვლავი იქნებოდა.

ქეთომ ინდმენარმის სბუთი გააკეთა და საკუთარი სილამაზის სალონი გახსნა, ველარ მიდიოდა ბარბარესთან, დილიდან საღამომდე საქმით იყო დაკავებული და მეგობარსაც ეპატიჟებოდა თავის სალონში, თუმც ბარბარე არასდროს მისულა იქ გასალამაზებლად. დრომ თავისი გაიტანა, მეგობრები ერთურთს ნელ-ნელა დაშორდნენ.

საქმეს, საზრუნავს რა გამოუღევეს მშრომელებს და ბეჯითებს, მიზანდასახულებს. ათასი წვრილმანის და დიდი პრობლემების დაძლევა, ხარვეზების გამოსწორება უწევთ.

ცხოვრება გზად მრავალ ადამიანს გვახვედრებს, რაც მარტოობის განცდას გვიფერმკთალებს, ფუსფუსით გართულები ვილაცეებს ვუახლოვდებით ზოგსაც ვკარგავთ უდროობის ან



რაიმე სხვა მიზეზთა გამო. შეიძლება სრულიად უცხო ახლობლად გვექცეს გარკვეული დროით ან სამუდამოდ და პირიქით. გარბის წლები, ასაკი გვემატება, მაგრამ მივინყებულები ახლობელი ადამიანების მიმართ სიყვარული გულში რჩება ისე, რომ არ გვანვალებს, არც მონატრებით გეტანჯავს, დალლილებს მათ გასახსენებლად დრო არ გვრჩება, ვინაიდან ბევრია ყოველდღიური პრობლემა და ცვდება ადამიანი. ზოგი შინაგანი რესურსების ამონურვასაც ვერ ასწრებს, უცაბედად, ავადმყოფობით მიდის ზეცისკენ ან უბედურ შემთხვევას ეწირება. ყველა თავისი გზით მიდის საბოლოო დასასრულამდე. არ ვარსებობთ სხვა ადამიანების გარეშე და თან მარტონიც ვართ დარდთან, სიხარულთან, სიცოცხლესთან და სიკვდილთან ჭიდილის დროსაც, თუმც გარეშენიც გვეხმარებიან, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, ვის თავსაც რამე ხდება, კარგი ან ცუდი.

ლილიმ დედას ფეისბუქის გვერდი შეუქმნა და ასწავლა მოხმარების პრინციპები, ბარბარემ ვერც ფეისბუქით მოიძია ქეთოს ასავალ-დასავალი. უბანშიც გაიკითხა, ქეთოსთან ვინმეს კავშირი ხომ არ გაქვთო, მაგრამ ბავშვობის მეგობრის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, ზოგს აღარც ახსოვდა ქეთო. ისევ იღბალმა ისურვა მათი შეყრა.

უცნაურად განვითარდა მოვლენები, ეკონომიკურ კრიზისს დაერთო არჩევნების შემდგომი პოლიტიკურ არეულობა, იმატა კოვიდინფიცირებულთა რიცხვმა, საავადმყოფოებში ავადმყოფთათვის თავისუფალი საწოლები აღარ მოიძებნებოდა. მოსახლეობა უჩიოდა ოჯახის ექიმთა მხრიდან უყურადღებობას, გამოძახებული სასწრაფო დახმარების დაგვიანებას და არ მოსვლასაც. ნოემბრის თვეში ოცდათხუთმეტი ათასმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო. იმატა კრიმინალურმა შემთხვევებმა, ქურთაში ადამიანთა მკვლელობებმა, დაყაჩაღებებმა, ბანკების ძარცვამ, თვითმკვლელობებმაც.

ოცდაშვიდ ნოემბერს ლუკამ დედას ამცნო, რომ ხვალიდან მუნიციპალური ტრანსპორტი შეწყვეტდა მოძრაობას, კომენდა-



ტის საათი ათი საათის ნაცვლად იქნებოდა სალამოს ცხრა საათიდან დილის ხუთ საათამდე, კაფე-რესტორნებიც დახურესო, მაგრამ ბარბარეს არ შეშინებია, ლუკას ყოველდღიურად მოტანილი ფულის უმეტესი ნაწილი შენახული ქონდა, ლოკდაუნის დასრულების შემდგომ ისევ გამოჩნდებოდა თავის გატანის გზები.

გაბერილი, დაუსრულებელი უქმე დრო, უძილობა, ნევროზი, ათასი გიჟური ფიქრი, კოსმოსში გაგზავნილი, ბევრი ცრემლი და უიმედობა, რომლებიც ვერ ეტეოდნენ ადამიანთა სხეულებში და გადმოდიდნენ მრისხანებით, სიავით აოხშივარებულნი. ცოტა იყო ისეთი, ვინც სულიერ წონასწორობას ინარჩუნებდა.

ბატონმა მირზამ მოიკითხა ბარბარე, მისდამი პატივისცემის ნიშნად ქალი ფეხზე წამოდგა და ისე ესაუბრა თავისი წიგნის რედაქტორს. ბატონი მირზა დაინტერესდა, თუ რატომ არ მივიდა ლადოს სახლში სამძიმრის გამოსახატავად და ბარბარემ უპასუხა, რომ არ იცოდა სად ცხოვრობდა, ლადოს სინამდვილეში კარგად არც კი იცნობდა, რომ სულ ორჯერ ყავდა ეს ადამიანი ნანახი და მირზა გაოცებისგან გაშრა:- ახლობლები მეგონეთ!

-არა ბატონო მირზა, ასე არ ყოფილა და გული მტკივა, რომ ადამიანს მადლობა ვერ ვუთხარი, ვერ მოვასწარი! -ქალმა სული მოითქვა და გააგრძელა,- ხომ მიმიყვანთ მის საფლავთან, თუ არ შენუხდებით, რა თქმა უნდა!

-არ შევწუხდები, ჩემო კარგო! დამთავრდება ეს ჩაკეტვა-შეზღუდვები და მივიდეთ, მოვინახულოთ თავის მუდმივ სამყოფელში, ხშირად მივდივარ და ვესაუბრები, არა, უფრო სწორად ვეჩხუბები.

- თქვენ ის ძალიან გიყვართ და აგრძელებთ მასთან მეგობრობას!

- თანშეზრდილები... იცი, ჩვენ ერთ დროს, მე და ლადო, შენს უბანში ვცხოვრობდით და ვსწავლობდით, მტკვარშიც გვიცურავია!

- მემამაყება, ჩვენს უბანში თქვენნაირი დიდებული ადამიანები რომ გაზრდილან და საერთოდაც, კარგი ხალხი ცხოვრობდა აქ.

-გეთანხმები, ნამდვილი თბილისელები, არაფერი რომ არ



ემლებოდათ ადამიანურ ურთიერთობებში. დაგემშვიდობები დროებით და იმედია წიგნებსაც მალე გაიტან!

-იმედი მაქვს, მალე... დროებით გემშვიდობებით ბატონო მირზა!

მირზასთან საუბარმა ხალისი შეჰმატა ბარბარეს მოწყენილ, ერთფეროვან ყოფას, უკვე ელიღინებოდა, ვინაიდან სულში მზის სხივივით შემოჭრილ სითბოს გრძნობდა, თითქოს გაზაფხული ჩაუსახლდა დეკემბრის ცივ, ნალექით უხვ თვეში და ნატრობდა, თავისთან დიდხანს დაეტოვებინა სიხალისე, რომ მომდევნო ცარიელი, უმზეო და სველი დღეები მსუბუქად გადაეგორებინა.

მიაღწია ქოთქოთამ ბარბარემდე. ყოველ საღამოს სურდა მეგობარს სტუმრებოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ძველ უბანში მოინდომეს წასვლა. ლუკა შინ დატოვეს და ცისფერ სახლში მისულემა ვახშმის მომზადებისას დაიწყეს საუბარი. გაიხსენეს ბავშვობის წლები. ცხოვრება-გამოვლილები კორონას ეპიდემიასაც მოესწრნენ და ქოთქოთას სილამაზის სალონები ველარ მუშაობდნენ ძველებურად, განიცდიდა, ბიზნესი მიკვდებოდა და კიდევ კარგი, კვების ობიექტის გახსნა ვერ მოვასწარი, თორემ დავიღუპებოდიო. ბარბარემ კითხა, რა იყო მიზეზი ოჯახის ძველი უბნიდან გადასვლისა. სახლი, რომელშიც ქეთოს ოჯახი ცხოვრობდა, მამის მხრიდან დიდ პაპას აუშენებია. 1937 წელს ხელისუფლებამ სახლების მეპატრონეები შეავიწროვა და მათ საცხოვრებელ ოთახებში სხვა ოჯახებიც შეასახლა. ქეთოს ოჯახის საკუთრება დროთა განმავლობაში ინტერიერში ცვლილებებს განიცადა, აღმოჩნდა, რომ ქეთოს წინაპრებმა უძრავი ქონების დიდი ნაწილიც დაკარგეს, უფრო სწორად წაართვეს შემოსახლებულთა ხარჯზე, რომლებიც ცდილობდნენ საკუთარი სველი წერტილები მოეწყოთ, საბოლოოდ პატარა აბაზანა და ტუალეტი გააკეთა ქეთოს მამა ნოდარმა, მაგრამ სამზარეულოს ტერიტორია მეზობელმა შუაზე არ გაუყო, არადა ოჯახს სურდა იზოლირებულად სამზარეულოც ქონოდა საზიაროს შუაზე გაყოფაც ვერ ხერხდებოდა, ამიტომ გადასულან სხვა უბნის კეთილმოწყობილ ბინაში.



ბარბარემ მიშოს ამბავი იკითხა, რომელსაც ბიძასთან ბოლო წლებში ურთიერთობა გაენწყვიტა. დაუჭერიათ, დიდხანს მჯდა-რა ციხეში, იქიდან გამოსული კი რამდენიმე წელიწადში გარდაცვლილა. გული ეტკინა ბარბარეს და ქეთოს ამბავი მოუყვა მიშოსა და სებასტიანეს უცნაურ კავშირზე.

1998 წელს, სებასტიანეს ბანკირ მეგობარს გიორგის საკუთარ სახლთან შეიარაღებულმა ნიღბიანმა ტიპებმა ავტომობილი წაართვეს და გაიტაცეს. ეს ამბავი სებასტიანემ იმ დღესვე, რამდენიმე საათის შემდეგ გაიგო. გიორგის სურდა პოლიციისთვის მიემართა, თან ყველამ იცოდა, რომ პოლიციელები გატაცებულ ავტომობილს ვერ იპოვიდნენ, ამიტომ სებასტიანემ გადააფიქრებინა გიორგის პოლიციის განყოფილებაში მისვლა. საუკეთესო გამოსავალი იყო მოედებნათ შავი სამყაროს ავტორიტეტული პირი, რომელიც გიორგის მანქანის პოვნაში დაეხმარებოდა. ასეთს არც სებასტიანე იცნობდა და არც გიორგი, მაგრამ ბარბარეს გონება გაუნათდა და მიშო გაახსენდა. ბიჭები სადღაც წავიდნენ, დიდხანს ელოდა შეშინებული ბარბარე ქმარს. სებასტიანე შუალამით დაბრუნდა და ბარბარეს უთხრა, ეგ მიშო დიდი ხანია ციხეში ზის და ვერ დაგვეხმარებო, მაგრამ ბარბარეს იმედი არ დაუკარგავს, დილით მეუღლესთან ერთად მშობლებს ეახლა, გაგონილი ქონდა, მეზობელი ამირანი მიშოს ძმობილი გამხდარაო. ამირანი პირველ სართულზე ცხოვრობდა, ალექსანდრეს თქმით, ეს ბიჭი იატაკის მეზობელი და ახლობელი იყო. ბარბარე ქმართან ერთად ესტუმრა ამირანს და მოუყვა სებასტიანეს მეგობრის გასაჭირზე. იატაკის მეზობელმა კი ქალს მიშოს მობილური ტელეფონის ნომერი მისცა. სებასტიანეს გაუკვირდა, როგორ, პატიმარს მობილური ტელეფონი აქვსო?! ვინაიდან პრივილეგირებული ტუსადია, აქვსო, უპასუხა ამირანმა, მერე ბარბარეს თხოვნით დაურეკა მიშოს:- დღეს ბარბარე დაგირეკავს, შენთან საქმე აქვს. აღელვებული ბარბარე რამდენიმე საათი ემზადებოდა მიშოსთან დასარეკად. დიდხანს უსმენდა მეუღლეს და იმახსოვრებდა თუ რა უნდა ეთქვა მისთვის. და-



რეკვის დროც დადგა და სებასტიანეს თხოვნით ბარბარემ სამკაულები მოიხსნა, მხოლოდ მობილური ტელეფონი გააყოფეს ხელს მდინარისპირა პარკში, იქ ვერავინ მოუხმენდათ, თან ამ ტერიტორიას პოლიციაც იცავდა და სებასტიანემ ღილაკებიანი და ანტენიანი მობილური ტელეფონი მოიმარჯვა, ასეთები გამოდიოდა თავიდან, ძვირიც ღირდა და ბევრსაც არ ქონდა. ნომერი აკრიფა და ბარბარეს გადასცა. აკანკალებული ხმით უპასუხა მიშომ ბარბარეს:- ჩემო საყვარელო ბუჩქო, როგორ ხარ, რასა იქმ, რა გაგჭირვებია?

- მიშო!-წამოიძახა ბარბარემ და თვალები აუწყლიანდა:- თავად როგორ გიკითხო, როგორ ხარ?

-ფაშასავით!- უპასუხა მიშომ:-აბა, დაინყე, რა გაგჭირვებია?

-მე არაფერი, მაგრამ ჩემი მეუღლის მეგობარს მანქანა წაართვეს და...

-შენ რა, გათხოვდი?!-გაიკვირვა მიშომ.

-ჰო, გავიზარდე, შვილიც მყავს!

-შენ?! ვინ გყავს, გოგო თუ ბიჭი?-გაუხარდა მიშოს.

-გოგონა,- უპასუხა ბარბარემ.

-გგავს?

-არა, მამაილაა.

-ო, ეგ ცუდია,-გულდანწყევით უპასუხა მიშომ.

-არა, რატომ, სიმპატიური ქმარი მყავს...

-დარწმუნებული ვარ. აბა, ახლა საქმეზე გადადი.

და ბარბარემ თქვა, როგორ წაართვეს საკუთარი სახლის წინ გიორგის მანქანა შეიარაღებულმა კაცებმა. მიშომ ავტომობილის მარკა, სერია, ნომერი ჩაინერა და ბარბარეს უთხრა, მაქსიმუმ ოთხი დღე მადროვეთო, დაპირდა, რომ მანქანას პატრონს დაუბრუნებდნენ, ოღონდ, რომ დავრეკავ შენმა მეუღლემ მიპასუხოსო.

მიშოსთან საუბრის შემდეგ, მეხუთე დღეს გამთენიისას მანქანა პატრონის სახლის წინ იდგა, გაიხარა გიორგიმ, მაგრამ კომპიუტერი, რომელიც მანქანაში დარჩა აღარ დახვდა, რამაც აღაშფოთა. საღამოს მიშომ დარეკა და იკითხა, მანქანა დააბრუნესო?



სებასტიანემ უპასუხა, ყველაფერი რიგზეა, ოღონდ ნოუთ-ბუქი მოუპარავთო.

მიშომ ღიმილით და გაკვირვებით უპასუხა: -თქვე კაი ხალხო, ამხელა ავტომობილი ხელუხლებლად დაუბრუნდა მფლობელს და კომპიუტერს მისტირით?!

-საქმე ისაა, რომ სამსახურის საბუთები, დოკუმენტები, საბუღალტრო ოქმები მანდ ქონდა შენახული და აღდგენა საკმაოდ ძნელია.

-მთავარი მანქანა იყო, დოკუმენტების და სხვა რამეების აღდგენაზე ცოტა თავი შეინუხოს იმ გიორგიმ! - იყო პასუხი.

თვალცრემლიანი უსმენდა ბარბარეს მონათხრობს ქეთო: - მერე რა მოხდა, ბარბარე?

-მერე მჭადები დავაცხე მიშოსთვის, ყველა სახის ფხალეულობა მოვამზადე, ხომ ვიცოდი რაც უყვარდა, სებასტიანემ სიგარეტ მარლბოროს ბლოკები იშოვა სადღაც და მივედით ციხეში, დავითრგუნე და ცოტათი შემაშინა იმ გარემომ, რომელშიც მოვხვდი, მაგრამ მიშოსთან შეხვედრა ძალიან გამიხარდა და ის გარეგნულად შეცვლილი დამხვდა.

-ალარ გავდა მიშოს?!

-კი, როგორ არა, მაგრამ თმა გათეთრებოდა, მოკლედ, ძალიან დიდი მომეჩვენა, დიდი კაცი იყო ქეთ!

- სებასტიანეც გახლდა?

- გარეთ მიცდიდა გიორგისთან ერთად.

- რა გითხრა მიშომ.

- მკითხა, ბავშვის სურათი არ გაქვსო? სამნუხაროდ, არ მქონდა. მაშინდელი მობილურები ხომ არ იღებდნენ ფოტოებს. საღამოს მიშომ დაურეკა სებასტიანეს და უთხრა, ვიცი, ბარბარე კარგი გოგოა, მაგრამ შენი თანადგომის გარეშე ასეთ დიდ სიხარულს ვერ მომანიჭებდა, არაფერი მითხოვია თქვენგან და მაინც შენუხდით, უღრმესი მადლობაო. იმ ღამით ბევრი ვიტირე, სებასტიანემ ძლივს დამამშვიდა, ეგონა, მიშო მეცოდებოდა, მაგრამ არ იყო ასე, არ ვიცი, რატომ ვტიროდი...

-გახსოვს, მე არასდროს არაფერს გეუბნებოდი მიშოზე.



-მახსოვს, არადა, მინდოდა, მასზე ყველაფერი მცოდნოდა, ძლივს დავივიწყე.

-ის ცოცხალი აღარაა და ახლა გეტყვი, მას უყვარდი და არ სურდა, ამის შესახებ გცოდნოდა.

ბარბარემ ხელები სახეზე აიფარა და აქვითინდა. ზურგზე ხელი მოუთათუნა ქეთომ, ჩაეხუტა და თქვა:-არა რა, ძალიან კარგი ბიჭი იყო ჩვენი მიშო, უფალმა აცხონოს!

-ვერც კი წარმოვიდგენდი ამას, ისე მექცეოდა...

-უყვარდი და დაგთმო შენსავე საკეთილდღეოდ...

მთელი ღამე საუბრობდნენ, არ ეძინებოდათ, ერთმანეთისთვის რაც ქონდათ სათქმელი ყველაფერი თქვეს, გულში არაფერი დაუტოვებიათ.

გათენებულიყო, ბარბარეს მეორე სახლში დაბრუნების და ქეთოს სამსახურში წასვლის დრო დამდგარიყო. ქეთომ ყავა მოაღულა. ბარბარეს შესთავაზა, წამომყევით, მაგრამ ბარბარემ არ მოინდომა. ქეთოს არ ერქარებოდა, დაგვიანებისთვის არავინ დასჯიდა, თავადვე იყო იქ ყველას უფროსი, ამიტომ ჯერ ბარბარეს გაიყვანდა შინ და მერე წავიდოდა სალონში და მანქანაში რომ ჩასხდნენ, ბარბარემ უთხრა, წიგნის ავტორი გავხდით და ქეთოს სიხარულისგან სიცილი აუტყდა, დაინტერესდა თუ რაზე ან ვისზე იყო წიგნი, ვერაფრით წარმოედგინა, რომ ბარბარე რომანს დანერდა:-მამ, მწერლის მეგობარი ვარ?

- ეგ თამამი ნათქვამია, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი წიგნის ავტორის...

- ახლა რომ მეუბნები, დროზე რატომ არ მითხარი?!

-ახლალა გამახსენდა და...

- აბა, უსმინეთ ამას! - ხუმრობით შეუბღვირა საჭესთან მჯდომმა ქეთომ ბარბარეს,-სადაა ეგ წიგნები!

- გამომცემლობაში, ლოკდაუნი რომ დასრულდება გამოვიტანოთ.

- აბა რააა! - ჟინიანად უპასუხა ქოთქოთამ:-იცი რა მიკვირს? სიხარულს დიდად ვერ გატყობ, ეგ რამხელა ამბავია, ხომ იცი...



- სიმართლე გითხრა, მართლა არაფერს ვგრძნობ.

-შენი სიხარულის ჩამკვლელთა დედა ვატირე!..

-ჰო, ქოთქოთ, ჩვენს იღბალს, ორივესას რალაც აკლია, გესმის?- ბარბარე ჩაფიქრდა, თვალეები გაუდიდდა, გაუბრწყინდა:-
იდეა მოვიდა, მოდი ჩვენზე დავწერ, ორი გოგონას მეგობრობაზე, საინტერესო იქნება.

-გეთანხმები, სოციალიზმში გავიზარდეთ, მაგრამ ამ ბავშვებზე უკეთესი ბავშვობა გვექონდა, ხომ ასეა!

-კი.

ხუმრობა-ხუმრობით იარეს და დაასკვნეს, რომ მთავარი მტერი ადამიანებისა ამ ეტაპზე კოვიდია და ვაი იმათ, ვინც ეს ვირუსი ხელოვნურად შექმნა!... ღმერთის იმედად დარჩენილებს სჯეროდათ, რომ სასტიკად დაისჯებოდნენ ადამიანთა მტრები. ბარბარემ თავის კორპუსს შეხედა და ნიკაპი აუკანკალდა: - ვაიმე, არ მინდა სახლში!

ქეთომ ავტომობილი მოატრიალა:-შე უჭმურო შენა, წამო მერე ჩემთან, ისეთს გაგხდი, ყველა მზეთუნახავს ჯობდე.

-მაშინ ავალ სახლში, ჩემს „კნიაზს“ დავხედავ და რამდენიმე ნუთში დავბრუნდები.

P.S ყმანვილობისას შეძენილი მეგობარი, მითუმეტეს, ერთ დროს დაკარგული და დაბრუნებული, ბავშვობასავით განუმეორებელია..



ამბავი მისუთი

მარტივი ოცნება

შობა-ახალი წელი ახლოვდებოდა, 2021 წლის მოლოდინში უხალისობა დაედარა ადამიანებს. ბარბარეს თავისი სახლი ენატრებოდა, ეზოს სურნელი, გაღებული ფანჯრებიდან ჰაერთან ერთად რომ შემოდოდა. ნაძვის ხე უყვარდა, ეზოში რომ ასვეტილიყო და სამი სახის სურნელს აფრქვევდა, საკუთრივ თავისას, არცერთ სეზონზე რომ არ ეცვლებოდა, კიდევ გირჩებისა, ჩამოცვენილებსა და მიწაზე დაყრილ-მოფენილებს მეზობლების ძაღლები რომ ერჩოდნენ.

ჟუჟუნა წვიმებს იასამნის ხეების სურნელიც შემოჰქონდა ბინაში. ერთი ლამაზი პალმის ხეც იდგა, ფარფლების მსგავს ფოთლებს ამრიალებდა და ზაფხულობით დილის ნიავი ფარდას ოდნავ რომ გადაწვედა, პალმის ნაზი, საამო, სხვა ხეებისგან განსხვავებული ხმა ჩუჩუნისა მკვეთრად ესმოდა, თითქოს მეგობარს უხმობს, ზღვას, მარილიანს და ისიც მოკითხვას უგზავნი სო. ბარბარეს ყოველ დილით ზღვის ნაპირთა ხმაური ჩაესმოდა, ერვენებოდა, თითქოს ზღვა მოსულიყო პალმის ხის მოსანახულებლად. მონატრებამ ცისფერ სახლში მისვლა გადააწყვეტინა შუა დეკემბერში, ველო -ბილიკის მწვანე გზით იარა, მაგრამ შესცივდა. ზამთრის სუსხიანმა დღემ მოძრაობა გაუძნელა, შეაშინა და გამოტრიალდა.

...

უძილობას ებრძოდა ლუკა. ერთხელაც, დილის ხუთზე კი არა, ათ საათზე გაეღვიძა, კარგ ხასიათზე იყო. დედას დაუძახა, მაგრამ ის არ გამოეხმაურა. ქალი შეიცვალა, გულჩათხრობილობა შეეტყო, მაგრამ ლუკამ არ იცოდა, როგორ მიდგომოდა ბარბარეს, არ მოწონდა გამკაცრებული დედა.

ბარბარემ სუპერმარკეტამდე მიაღწია, რომელიც სახლიდან საკმაოდ შორს იყო, იქ კარგ ხორცს ყიდნენ. ცოტა საქონლის,



ცოტაც ღორის ფარში და გოზინაყი იყიდა. ახალ წელს მხოლოდ ტოლმის მოამზადებას აპირებდა, მერე სხვადასხვა ნამცხვრის ნაჭრებს შეიძენდა და ეგ იყო. ადრინდელივით თავს აღარ გადაილლიდა, სტუმარსაც არ ელოდა პირველ იანვარს. გზად ველოსიპედისტმა ჩაუქროლა, ლუკას ტოლი ბიჭი იქნებოდა, ლოყები გავარდისფერებოდა და ბარბარემ ინატრა, ნეტა ლუკასაც ქონდეს ველოსიპედი, გაერთობოდა და სუფთა ჰაერზე ვარჯიშიც გამოუვიდოდაო, მაგრამ სად უნდა ეშოვა ახლა ველოსიპედი? უსახსროდ დარჩენილი ველოსიპედს ვერც იყიდა. ამოიოხრა, მერე ისევ შეეკვნდა ავტობუსის გაჩერებასთან. ტაქსის გავაჩერებო იფიქრა, მაგრამ მცირედს ვინ დასჯერდებოდა?! არადა, შინამდე არც ისე შორი იყო. თავს მივაყვანინებ და თანხას მერე მივცემ მძღოლსო, ვინაიდან იცოდა, ტაქსისტებს ფასები გაორმაგებული ქონდათ, ზოგი სამმაგსაც ითხოვდა, თვალები დახუჭა. სებასტიანეს სახე წამოელანდა, წარმოსახვით მეუღლის თვალების დანახვა ყოველთვის ამშვიდებდა.

-ქალბატონო, ქალბატონო!-გამოაფხიზლა მამაკაცის ხმამ, ჭაღარა თმიანი, მუქ სათვალისანი:- წამომყევით, მაინც გზის ბოლომდე მივდივარ!

ბარბარემ უხერხულობა იგრძნო, მაგრამ მაინც გაყვა. თეთრ მანქანასთან შეჩერდა:-უი, ტაქსია?-იკითხა შენუხებულმა ბარბარემ.

-ვტაქსაობ, მაგრამ ამჯერად არაა ტაქსი, დაბრძანდით!-თავაზიანად გაულო მძღოლმა ქალს მარჯვნივ უკანა კარი. ბარბარემ სურსათით სავსე ჩანთა დადო სავარძელზე და მერე თავად ჩაჯდა ტაქსიში. მძღოლმა მანქანა დაძრა და ქალს კითხა:-სად გაგიჩეროთ?

-გზის ბოლოს ჩასახვევთან, მერე ფეხით მივალ.

-როგორ გეკადრებათ, სახლთან მიგიყვანთ, მითხარით ზუსტად.

-მაშინ, რეფერალურ საავადმყოფოსთან.

-კეთილი, რაფაელი მქვია, თქვენ!



-ბარბარე.

-გადავიღალე დღეს, მანდ შევჩერდი დასასვენებლად, თვალი მოგკარით და ვიფიქრე გავიყოლებო.

-გაიხარეთ, გმადლობთ.

- ცოტა შორს ვარ თქვენგან, კერძო სახლების დასახლება რომაა იქ ვცხოვრობ.

-რა კარგია, ალბათ ეზოიანი სახლი გაქვთ.

- ეზო დიდი არაა, მაგრამ მაქვს დაფნის, ვაშლის, ხურმის და სომხური გარგარის ხე.

სომხური გარგარი რომ ახსენა, ბარბარეს გაელიმა, ესე იგი სომეხ კაცს გადაეყარა. გარგარი გარგარია, სომხური გარგარი, როგორც რამე განსხვავებული, აქამდე არც გაუგია. სომხური ტოლმა, ერევნული ჩურჩხელა და მსგავსი რამეები ამ ხალხისთვის აქცენტებია. პატრიოტიზმს, თავიანთ გამორჩეულობას გამონახავენ...

მიუახლოვდნენ ჩასახვევს, რაფაელმა ავტომობილი გააჩერა, ბარბარესკენ მოატრიალა თავი და უთხრა:-ცოტა ხნით შეიძლება გესაუბროთ, გეჩქარებათ?

ბარბარემ თავი ასწია და რაფაელს თვალეში ჩახედა, კაცი გამომცდელად უყურებდა, ქალმა ჩემი ნათქვამი ცუდად ხომ არ გაიგო, ბარბარემ კი მეგობრულად გაუღიმა:-არ მეჩქარება, ბრძანეთ.

-დიახ, დიახ! ქვრივი კაცი ვარ, მარტო ვცხოვრობ, ამ ბოლო დროს მოვიწყინე, ვწრიალებ, ადგილს ვერ ვპოულობ, არ ვიცი რა ვქნა, რა გავაკეთო, სად წავიდე, სად მივიდე!....

-მესმის!

-ეს რა უბედური დროება დადგა...

-შვილები არ გყავთ?

- ქალიშვილი მყავს!

-მერე!

- თხუთმეტი წლისა გათხოვდა და წავიდა.

-ურთიერთობა არ გაქვთ შვილთან?!

რაფაელი ისევ შემოტრიალდა და კვლავ გამომცდელად შე-



ხედა, გაუღიმა:-იცით, ის ჩემი ნამდვილი შვილი არაა, ავიყვანეთ მე და ჩემმა ცოლმა სამი წლისა და გავზარდეთ, ერევიდან წამოვიყვანეთ, ჩემი გოგო მაგარი გოგოა, მაგრამ არ ველაპარაკებთ ერთმანეთს!

-რატომ?!-გაოცდა ბარბარე.

- ჩემი ცოლი გადაყვა, გაზარდა, მან კი შავიც არ ჩაიცვა და დამარხვის დღის მერე საფლავს არ გაკარებია.

-უიმე, დედაა!-აღმოხდა ბარბარეს.

-თქვენ შვილები გყავთ?-კითხა კაცმა.

-დიახ, ქალ-ვაჟი.

-რამხელები არიან?

-ბიჭი 20 წლისაა, გოგონა 31-ის გახდება მალე.

-კი, მაგრამ თავად რამდენისა ხართ?!

-ორმოცდაცამეტის.

-უფრო პატარა მეგონეთ, ჩემი გოგო 30 წლისაა.

-ბავშვობაშივე გათხოვილა.

- პირველ ქმართან ბიჭი გაუჩნდა, მეორესთან გოგონა.

-დიდი ხანია ქვრივი ხართ?

-ორი წელი ხდება და სულ მეტირება, ისეთი კარგი ქალი მყავდა, საწყალი!-სინანულით წარმოთქვა:- ოთხი შვილი ყავს ჩემი გოგოს ბიოლოგიურ დედას, იმხანად ქმარს გაშორებული იყო და ვერ უვლიდა ბავშვებს. ეს ისეთი ლამაზი იყო, მოგვცა და წამოვიყვანეთ, თან ყველაზე პატარაა და-ძმებს შორის, ოღონდ ჩემი გვარი ვერ მივეცი, თავისაზე დარჩა. სომხური „ზაკონით“ ნაშვილები ბავშვები სომხეთის გარეთ არ გაიშვებიან და იმიტომ. ახლაც სომხეთის მოქალაქედ ითვლება. ძალიან გაბრაზებული ვარ ჩემს გოგოზე, ძალიან, მეტი რომ არ შეიძლება!

-უმადურობას ვერ პატიობთ.

-გული ვერ პატიობს!

-მესმის!

-თქვენ გაიხარეთ ბარბარე ჯან, ისე მინდოდა ვინმეს დავლაპარაკებოდი!-მანქანა დაძრა.



- გმადლობთ.
- რისთვის?!-გაუკვირდა მძღოლს.
- რომ მომიყვანეთ და გულიც გადამიშაღეთ.
- აი, გაჩერებასთან რომ დაგინახეთ, ისე მომეწონეთ, მაშინვე ვიგრძენი, რა კარგ ადამიანს გადავანწყდი. აი, მოვედით.
- ულრმესი მადლობა.
- ტელეფონის ნომერს არ მომცემთ? რამე რომ დაგჭირდეთ, ჩემი თავი გენაცვალოთ, ბარბარე ჯან!
- მითხარით თქვენი ნომერი, ზარს გამოგიშვებთ და დააფიქსირებთ!-უპასუხა ბარბარემ მანქანიდან გადმოსვლამდე და ასეც მოიქცნენ. სადარბაზოს რომ მიუახლოვდა შემოტრიალდა, რაფაელი უყურებდა და უღიმოდა, ბარბარემ ხელი აუწია, დაემშვიდობა, იმანაც იგივე გააკეთა და გასრიალდა თეთრი ტაქსის კეთილი მძღოლი, მაგრამ ეს დღე დამშვიდობებით არ დასრულებულა.
- შევიდა შინ ბარბარე და რამდენიმე წუთში ესემესი მოვიდა, რომ ამ ნომერზე ჩაირიცხა 5 ლარი. მიხვდა ვისი ნამოქმედარიც იქნებოდა, გულწრფელად შეწუხდა, ქვეყანა რომ თავზე დამხობოდა, ბარბარე მანაც ავსებდა ანგარიშს, უღიმიტო მომსახურება რომ ქონოდა, ვისთანაც მოესურვებოდა იმასთან რომ დაერეკა. ამიტომაც უთხრა:-ბატონო რაფაელ, რატომ ჩამირიცხეთ თანხა, გეგონათ ვერ მიხვდებოდით?
- კაცი დაიბნა. ბარბარემ კი გააგრძელა:- მეორედ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამაყენოთ, შევთანხმდით?
- კარგით, ღამე მშვიდობისა!
- მეც იგივეს გისურვებთ და ულრმესი მადლობა ყველაფრისთვის.
- ბარბარემ გათიშა მობილური ტელეფონი და მაგიდაზე დადო, რომ ნავაჭრი ამოელაგებინა, მაგრამ ისევ დარეკა ტელეფონმა, დახედა ეკრანს, რომელზეც დაენერა სახელი არტემი. ქალს გაელღიმა, ვინაიდან არტემი თითქმის ყოველ კვირას რეკავდა, თავს ახსენებდა რუსულენოვანი პოეტი და აღმოჩნდა, რომ არტემს მუსიკაც განსაკუთრებულად ყვარებია. უნიჭიერესი ადამიანი გაუც-



ვნია არჩევნების დღეს:-მოგესალმებით, ბატონო არტემ!

-გამარჯობა, როგორ ხართ?

-დროის და ვითარების შესაბამისად, ჯერ კორონა არ დაგვ-
სხმია თავს, თქვენ როგორ ბრძანდებით?

-მეც არა მიშავს რა, ბოლოსდაბოლოს, გამოიტანეთ წიგნები?

-არა, სამწუხაროდ, მაგრამ როგორც კი გამოვიტან, შე-
გატყობინებთ.

-ძალიან კარგი, წინასწარ მადლობა, კარგ საღამოს გისურ-
ვებთ!

-თქვენც ასევე, ბატონო არტემ!-ღიმილით უპასუხა ბარბარემ.

ლუკა შემოვიდა სამზარეულოში:-ვინ კაცებს ელაპარაკები?

-ამ ბოლო დროს ბედი მწყალობს, ორი კარგი თბილისელი
სომეხი კაცი გავიცანი, ერთი ამ ახლო წარსულში, მეორე კიდევ
დღეს, ტაქსისტი,ორივე ძალიან კარგი ადამიანია.

-კაი რა, დე, როგორ შეგიძლია უცნობებზე ამდენი კარგის თქმა?

- შენ მასწავლი ადამიანების ცნობას?!-გაიკვირვა ქალმა.

ლუკას მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა:-ველობილიკზე ვი-
სეირნე ფეხით და ველოსიპედი მომინდა, მაგრამ ვერ ვიყიდით,
ძვირია.

ბარბარეს გული მოეწურა, შეუძლებელს არ ნატრობდა ბი-
ჭი და დედას ამ ეტაპზე არ შეელო შემველებოდ შვილს, მაგრამ
ინტუიციით გრძნობდა, რომ ველოსიპედი გაჩნდებოდა ლუკას
ცხოვრებაში.

-რამეს მოვიფიქრებთ შვილო!

-მართლა? - გაუხარდა ლუკას.

-გული მიგრძნობს, ველოსიპედი გვექნება.

-რა ვიცი, - უიმედოდ წარმოთქვა ბიჭმა:-წავალ დავწვეები,
მეძინება.

ღამით ბარბარეს ძილი გაუტყდა. ლუკას საძინებლიდან შუ-
ქი გამოდიოდა. ბარბარემ ოთახის კარი შეაღო, შვილს ჩასძინე-
ბოდა, შუქი ჩააქრო და გამოვიდა, ყავა მოიდულა. ლუკას ისევ
აენთო სინათლე.

მეორე დღეს ლუკამ ლოჯიაში დივანი გაშალა, ლოგინი გა-



მოიტანა და განაცხადა, ამიერიდან აქ დავიძინებო. დედა დაინტერესდა თუ რატომ გადმოვიდა ლუკა ლოჯიაში, ნუთუ იმიტომ, რომ ბარბარეს ოთახთან ახლოს ყოფილიყო?! დიდი ბიჭი იყო უკვე, მაგრამ არც ისე დამოუკიდებელი, ამას თვალნათლივ ხედავდა დედა. ან იქნებ, ცუდი შინაარსის სიზმრებმა შეაწუხეს ან ინტერნეტი საძინებელში მთელი სიმძლავრით არ მიენოდებოდა? როცა არ სძინავს მუდმივად ტელეფონს დასცქერის, არვის ეკონტაქტება, არავისთან აღარ მეგობრობს, რატომ? ფიქრობდა შემფოთებული ბარბარე. ღამით ქალს კვნესა შემოესმა, ლუკას თავს დაადგა, თვალეზახუჭული იტანჯებოდა, ცუდ სიზმარს ხედავდა და ვერ იღვიძებდა, შეეხო, გააღვიძა, დაბნეულმა შვებით ამოისუნთქა.

- ცუდ სიზმრებს ხედავ?-ჩამოჯდა გაშლილ დივანზე ბარბარე, შვილისთვის თვალი არ მოუცილებია.

- საშინელებებს ვხედავ, დედა!- თვალები მოისრისა ლუკამ.

- გეშინია?

- რასაც ვხედავ, რეალობა მგონია და მეშინია, კი.

- მომიყვები?

უარის ნიშნად თავი გააქნია ყმანვილმა და დასძინა:- მოგიყვებოდი, მაგრამ შენზეა სიზმრები, გვერდით მყავხარ და მეკარგები, მე კიდევ გეძებ, გეძებ, გპოულობ, ვხედავ გატაცებული ხარ და ვერ გაბრუნებ შინ.. მეტს ველარ გეტყვი...

- მე კარგად ვარ, შეეცადე ისევ დაიძინო.

- ველარ დავიძინებ.

- რომ გათენდება, ქეთოს დავურეკავ, იქნებ გამოვიდეს და ერთად შევხვდეთ 2021 წელს.

- კარგი იქნება, დაურეკე.

- ლუკა, გინდა ზურგი მოგფხანო, როგორც ადრე, ბავშვობაში? ბიჭმა გაიცინა, დანვა და დედას ზურგი მიუშვირა.



ამბავი მამა

მისტერიუზი

სიზმარმა უცნაურ სამყაროში შეიყვანა ბარბარე, ვერ მიხვდა, ახლებური ყაიდის ციხე იყო თუ სამედიცინო დაწესებულება. ლურჯ სამოსში გამოწყობილმა პირბადიანმა კაცმა მაჯებზე ბორკილი დაადო. დაბინდულ შუშის კედლებიან დერეფანში იდგნენ, ქალი გაოცებული დაჰყურებდა საკუთარ ხელებს, მერე მეორე კაციც გამოჩნდა, გვერდით ამოუდგნენ, მკლავებზე თითები შემოაჭდეს, ატკინეს. ქალი გაურკვევლობამ, უპატივცემულო მოპყრობამ შეაშფოთა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, პატიმარვით ბორკილდადებულს სადღაც მიაპროწიალებდნენ. დერეფანი ვერცხლისფერ ღილაკებიანი კარით სრულდებოდა. ერთ-ერთმა ლურჯ სამოსიანმა ბარბარეს ცერა თითი კარის ოქროსფერ ფირფიტაზე მიადებინა და ისიც თავისით გაიღო. ინტიერიერში ყველაფერი თეთრი და ვერცხლისფერი იყო, უცნაური, სხვადასხვა ფერის სითხეებით სავსე კოლბებით, შუშის მილებით, სამედიცინო აპარატურით გაძეძგილი. იქაც ლურჯ ტანსაცმლიანი ადამიანები დაფუსფუსებდნენ, ბარბარეს ზედაც არ უყურებდნენ, თითქოს არც არსებობდა.

მართკუთხა, უზარმაზარი ოთახის ცენტრში სავარძელი იდგა, სტომატოლოგები რომ ხმარობენ იმის მსგავსი, მაგრამ ეს სტანდარტულზე ბევრად დიდი, მასიური, განიერი და მაღალი იყო, თეთრტყავადაკრული, რომელზეც ღია ცისფერი ერთჯერადი ზენარი გადაეფარებინათ. ბარბარე მიხვდა, მისთვის მოემზადებინათ უცნაური სკამი, ვინაიდან გააფრთხილეს, ცოტა გეტკინება, მაგრამ არ შეშინდეთ. ქალმა ხმა ვერ ამოიღო, ფიზიკურ უძლურებას გრძნობდა, მუხლებიც აუკანკალდა და ტერფებში ძალანართმეულმა წაიჩოქა, გონება არ დაუკარგავს, ბუმბულივით აიტაცა იმ ორმა, გააქანეს და სავარძელში ჩასვეს, ბორკილიც მოხსნეს, ბარბარე მოიკუნტა. ჭკვიანმა სავარძელ-



მა ქალს წვივებზე სარტყელები შემოაჭდო. გაყინული ხელები დაუბუჟდა და უცებ მაჯებზეც იგივე დაემართა, სახელურებს მიეჯაჭვა. რას მერჩიან, რატომ მბორკავენო, გაიფიქრა ქალმა და შეამჩნია, ერთადერთი იყო იმ ადამიანთა შორის, რომელსაც პირბადე არ ეკეთა, სამაგიეროდ, თავზე სკაფანდრი ჩამოაცვეს, ზედა ნაწილი ლითონისა იყო, დანარჩენი, რამაც სახე დაუფარა მინისა. სკაფანდრმა საფეთქლებზე მოუჭირა, აწივლდა. ქალი თავს ველარ ამოძრავებდა. ყველა უზარმაზარი კომპიუტერის მონიტორს მიაჩერდა და ბარბარე მიხვდა, იქ მისი მონაცემები აისახებოდა, მაგრამ რა?! კეფაზე უხილავი ჭიანჭველები ამოძრავდნენ, ზემოთ და ზემოთ მიცოცავდნენ, მოგვიანებით კბენაც დაუწყეს, წვის შეგრძნებამ შეაწუხა. დაყვირება უნდოდა, მაგრამ ძალა არ ჰქონდა, მხოლოდ კენესოდა და ნატრობდა, მალე შეეჩერებინათ წამება. ვიღაც თათმანინი, შუბლზე საჩვენებელი თითით მიაწვა. მეორე, შპრიციანი ხელიც გამოჩნდა, თითქოს ჩხვლეტას უპირებდა. ძალზედ ახლოდან ხედავდა ყოველივეს და შეეშინდა, გამოეღვიძა. გულისცემა აჩქარებოდა და გაუსაძლის თავის ტკივილს გრძნობდა. საწოლზე წამოჯდა და დარწმუნდა, რომ სიზმარი ლუკასგან გადმოეცა. ამ ჩვენებას დასაწყისი ჰქონდა ლუკას სიზმრებში და გაგრძელდა ბარბარესთან, შვილისგან გადაედო უცნაური სიზმარი და სიზმრები, რომლებსაც იმეღია, გაუმკლავდებოდა. ახლა ლუკა მშვიდად სუნთქავდა.

დანაპირების ხორცშესხმის დრო დადგა, ამბავი ორი გოგონას მეგობრობაზე. გამოღვიძებულს თავადვე, ძალდაუტანებლად ენის წვერზე მოადგნენ წინადადებები. ადგა, კალამი და რვეული აიღო, შევიდა თავის ოთახში და წერას შეუდგა, მერე ქეთოსთან ლაპარაკი მოუნდა, ქოთქოთა, ბავშვობაშიც კეთილი, გულუხვი, მეგობრული, ავკარგიანი, საიმედო გოგონა, ყამირ მინაზე რომ დაგეტოვებინა იქაც თავს რომ გაიტანდა, გოგონა, სიტყვითაც რომ ძალას გმატებდა, ნაქცეულს წამოდგომაში გეხმარებოდა, წელში გამართულს რომ შეგძლებოდა ცხოვრების გზებზე სიარული.



წლების წინ, ახალგაზრდობაში ქეთომ ბარბარეს უთხრა, თანაგრძნობა შენთან მეგობრობამ მასწავლაო, არადა, ბარბარეს ქეთოს გვერდით თავი ჩერჩეტი რომანტიკოსი ეგონა, ხანდახან ზედმეტად რომ დაფრინავდა ცაში, მაგრამ ქეთო გვერდით ჰყავდა, კარგად რომ შეენჯღრია, აზრზე მოეყვანა ვარდისფერსათვალისანი მეგობარი. ქეთომ ბარბარესგან განსხვავებით იცოდა, ცხოვრება ბრძოლის ველი რომ იყო და ზოგჯერ სიკეთე მარცხდებოდა კიდევ. აქ, დედამინაზე ადამიანი-მგლები, ტურები და აფთრები ჯგუფ-ჯგუფად თავს ესხმიან მსხვერპლად შერჩეულებს, მათ შორის მარტო მოარულ ლომებსაც... აფთართა ჯგუფს ხომ იოლად შეუძლია მისი შეჭმა?! ქეთოს თვალში ბარბარე მიმზიდველი კრავი იყო, რომელიც ბევრს ხიბლავდა, იზიდავდა, ამგვარი არსების შეჭმაზე ნადირებად და მტაცებლებად გარდაქცეული ადამიანები უარს არ იტყოდნენ, ამიტომ, როგორც ლომი ისე დარაჯობდა მეგობარს და სებასტიანემ რომ შეიყვარა ბარბარე, ქეთომ ამოისუნთქა, ხელი გაუშვა და თვალის მოაცილა მეგობარს, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად. ორი გოგოს მეგობრობაზე წერდა ბარბარე, გადაიკითხა, მოეწონა მოთხრობის შესავალი. გაიფიქრა, ქეთოს დავურეკავ, ვეტყვი, წერა რომ დავინწყეო და ქოთქოთამ დაასწრო. ბარბარეს არ მოეწონა მეგობრის ხმა.

-ჩემო საყვარელო, ახლა შენზე ვფიქრობდი, როგორ ხარ, ქეთ!

-ბარბარიკო, შენთან ერთად მინდოდა 2021-ს შევგებებოდი...

-მეც ეგ მინდა, -გაუხარდა ბარბარეს.

- არ გამოვა ბარბარიკო, -სევდიანად უპასუხა ქეთომ.

ბარბარე ფეხზე წამოდგა, ელდა ეცა, ქეთომ გააგრძელა ლაპარაკი: -კოვიდი მაქვს!

-რაა?!

-ჰო, თანამშრომელმა გადაგვდო კოლექტივს. სახლში ვარ, ოჯახის ექიმი მესმარება.

-ჰო, და, მარტო რომ ხარ საკვებს ვინ განვდის, წამლებს...

-კარის მეზობელი.



-ქეთ, მოვალ შენთან!

- არ გაბედო, დაეტიე სახლში.

- შენთან რომ მინდა!-ატირდა ბარბარე.

-არ გაგიღებ კარს, ბავშვები მომიკითხე, არაფერი მაკლია. გახსოვს, ბავშვობაში რომ მიმტკიცებდი, ადამიანების მიმართ სიყვარულის ფიქრებით გაგზავნა ვიციო და ვერ მასწავლე. გიგზავნი სიყვარულს გულიდან, არ ვიცი სხვაგვარად როგორ გამოგიგზავნო.

ბარბარე აღელდა, არ ახსოვდა ბავშვური ცხოვრების ეს მომენტი:-რომ ვერ ისწავლე, მე რა გითხარი? ან მაშინ საიდან მომაფიქრდა...

- მითხარი, რომ უნიჭო ვარ, ისიც გალიზიანებდა, სიმღერის დროს რომ ვერ აგყვებოდი, ნერვიულობდი, გინდოდა ორ ხმაში გვემღერა, მაგრამ სმენა არ მაქვს, შენი მოსმენა კი მსიამოვნებდა და მეამაყებოდი.

-ქეთ, რას გრძნობ ახლა.

-კოვიდს ვგრძნობ, უცნაურად არასასიამოვნო, არასასურველი ურჩხულივით შემოსახლებულ უცხო სხეულს ჩემს შიგნით, რომელიც მანვალებს და მჯიჯგნის, მაგრამ ეს ვირუსი არაა სასიკვდილო განაჩენი...

-არა, არა!...-წამოიყვირა ბარბარემ:- არც მიფიქრია!

-დავიღალე, ბარბარიკო, აბა, დროებით.

ბარბარემ გათიშა ტელეფონი და წარმოთქვა:-ესეც ჩემი სიზმარი, მგონი ამიხდა!

იმ დღეს კიდევ მოხდა რალაცები, თუნდაც ის, რომ ბატონმა მირზამ დარეკა და მოიკითხა ბარბარე, ურჩია, ძველით ახალი წლის მერე გაეტანა წიგნები. მოგვიანებით რაფაელიც შეეხმინა, ისევ თავის გულისტკივილებზე ესაუბრა ქალს.

ბარბარემ ველოსიპედების შესახებ კითხა, სად შეიძლება შევიძინო? შექნილი ვითარებიდან გამომდინარე, ლუკასთვის ველოსიპედი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ბაზრობაზე მოხვედრას ნატრობდა ქალი, იქნებ, რამენაირად შეეძინა.ფა-



სებით დაინტერესდა. რაფაელმა მოუსმინა და დინჯად უპასუხა: - ბარბარეჯან, ახალ ველოსიპედს არ გირჩევთ, სჯობს ნახმარი, მაგრამ გერმანული წარმოების შეიძინოთ. ახლა ბაზარზე მხოლოდ კორეული, უკრაინული და თურქული ველოსიპედებია, არ ვარგა, მალე ფუჭდება, ეგ ველოსიპედები მძიმეებია, მეტალი ტყდება, აი, გერმანულები კლასია რა!

-დაგიჯერებთ, ბატონო რაფაელ. თანხა რამდენია საჭირო, რომ შევიძინო?

-ოთხასიდან ჰა, ჰა, შევიდას ლარამდე, მეტი არა, მაგრამ სანამ შეიძენთ, შემოძლია გათხოვოთ. მიყვარს ველოსიპედი, ხშირად გამოვდივარ სალამოობით სასაქონლოდ იმ ველობილიკზე. დღესვე მოგიტანთ, ცოდოა ბიჭი.

ბარბარე აღფრთოვანდა: -და მერე თქვენ...

- მოვითმენ უველოსიპედობას, დღესვე მოგიტანთ.

-უღრმესი მადლობა, ბატონო რაფაელ!

ლუკას თავს დაადგა:-გაიღვიძე, კარგი ამბავი მაქვს, ხომ გითხარი ველოსიპედი გექნებაო, ვიცოდი, ვიცოდი, გული მიგრძნობდა...

ლუკა გამოფხიზლდა და სიცილი აუტყდა. შუადღით რაფაელმა დარეკა, კორპუსთან ვდგავარ, ველოსიპედი თან მაქვსო.

დედა-შვილს რაფაელიც დაეხმარა ველოსიპედის ლიფტში მოთავსებაში. შესასვლელიშივე, კარებთან, დააყენეს. შეიპატიჟეს რაფაელიც, მასპინძლებს შინ შეჰყვავა, მაგრამ ზედმეტად ერთნუთსაც არ გაჩერებულა, ყავის მირთმევაზეც უარი თქვა. ლუკას დააკვირდა, სიხარული შეამჩნია, გაელიმა და წავიდა.

ბარაქიანად წვიმდა, მაგრამ სალამოსვე გაიყვანა ლუკამ ველობილიკზე ველოსიპედი. ბარბარეც იქვე სეირნობდა და ყურსასმენით კლასიკურ მუსიკას უსმენდა. იმ ღამეს დედა-შვილს მშვიდად, ღრმად ჩაეძინათ.

ველოსიპედით სიარული სიხარულს ანიჭებდა ლუკას, 31 დეკემბრის ღამესაც იარა ველობილიკზე. ბარბარესაც მოსწონდა, სკამებით, სკვერებით, ბავშვთა გასართობი ადგილებით,



დასალევი შადრევნებით, მაღალი ნაძვებით, ულამაზესი ბუჩქებით, ვიდუოთვალეებით მორთული, ლამპიონებით გაჩირაღდებული ბილიკი, ამ გზას რომანტიულ ელფერს რომ სძენდა, რომელიც თითქოს სადღაც შორს, უსასრულობაში მიდიოდა, თორემ სინამდვილეში გზა იქვე, ახლოშივე წყდება.

ღამის 12 საათიც ჩვეულებრივი იყო, არასადღესასწაულო, უსტუმრო და უღიმღამო, გარეთ კი ბათქა-ბუთქის ხმა ისმოდა, სალუტებით ცა გაანითლეს. ადამიანები არ იყვნენ აივნებსა და ეზოებში, არც ქუჩებში. ყველა თავისთვის შეეყუყულიყო ამ დედაშვილივით, მაგრამ ნატვრა ერთი ჰქონდა მსოფლიოს, ჯანმრთელი, უკორონო, უინფექციო 2021 წელი... მედიცინის და ადამიანის გამარჯვება უნდოდა ყველას, მარტივი თავისუფლება სწყუროდათ ადამიანებს! კარჩაკეტილობა, შიში და ძრწოლა ბევრი იყო გასულ წელს, დარდი, სინანული, მრავალი უსიხარულო, სიკვდილის გამარჯვების დღეები და ღამეები. დაკარგული დრო და საყოველთაო პატიმრობა საკუთარსავე სივრცეში. ასე ველარ გაგრძელდებოდა, შეიშლებოდა მსოფლიო, მაგრამ ითმენდა კაცობრიობა, იმიტომ, რომ უფლის მიმართ რწმენა შერჩენოდა.

თვრამეტ იანვარს უნდა გამოჩენილიყო საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ასე იცოდა ყველამ და თერთმეტ იანვარს მთავრობამ გამოაცხადა, დანაპირებს შეასრულებდა პირველი მარტისთვის. ხალხი დუმდა, მაგრამ ზოგმა ექიმმა, რომლებიც მანამდე მკაცრ ლოკდაუნებს ითხოვდნენ, აზრი შეიცვალეს, საკმარისია, გამოუშვით ტრანსპორტით, ამგვარ რამეებზე ამბობენ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო!

გაცვეთილი წინადადებაა, ადამიანის გასახარად მცირედიც საკმარისიაო, მაგრამ გულის სატკენადაც საკმარისია დანაპირების შეუსრულებლობაც. დედა, რა იყო ეს! უმნიშვნელო რამ შეიძლებოდა გაჰხარებოდა გამომწყვდეულ ბარბარეს და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოჩენაც უსაშველო გახადეს. რამდენი ადამიანი გრძნობდა თავს ბარბარეს მსგავსად, ღმერთმა უწყის. ბავშვივით ატირდა. ლუკასაც მობეზრდა ველოსი-



პედით ყიალი და შვილის გარეშე გარეთ გასვლა ეზარებოდა. ოც იანვარს პატრონმა წაიღო გასაკეთებლად, უკანა მუხრუჭი გაფუჭებული ჰქონდა.

ზოგი შიშით, უმრავლესობა კი სიხარულით ელოდა კოვიდ ვირუსის სანინალმდეგო ვაქცინის ქვეყანაში შემოტანას, რომ ერთმა ქართველმა ექიმმა ინფორმაცია გაავრცელა, არსებობს წამალი, სახელად მოლნუპირავირი, რომელიც დიდ ბრიტანეთში ემორის უნივერსიტეტში შექმნეს. 2020 წლის დეკემბრის თვეში გაიარა გამოცდა ქრცვინებზე. ახლა პრეპარატი გამოცდის მეორე, მესამე ფაზას გადის და უნიკალური იმიტომაცაა, რომ ოცდაოთხ საათში ვირუსს დაბლა წევს. აღარავისთვის ხარ საშიში, არც შენ მოკვდები და აღარც არავის გადასდებ, არც თოთხმეტი დღით მოგინვეთ გამოკეტვა და დასრულდება ორ სამ თვეში ეს კომპარიო.

სხვა წამლების შესახებაც წაიკითხა ბარბარემ სოციალურ ქსელში. ტოცილიზებამი დაამახსოვრდა, რომელსაც თურმე უკვე იყენებდნენ კრიტიკულად მძიმე პაციენტების საშველად. სამკურნალო საშუალებამ ოცდაოთხი პროცენტით შეამცირა ლეტალობის მაჩვენებელი და დაახლოებით ათი დღით ნაკლებად დაავადებულთა ჰოსპიტალში დაყოვნებაცო. ის წამალი, რომელზეც ლუკა იმედებს ამყარებდა არ გაამართლა და ბარბარე გულმოდგინედ ევედრებოდა უფალს სამყაროს გადარჩენას, ლოცავდა მეცნიერებს, რომლებიც ცდილობდნენ მოუშორებელი ჭირის წინააღმდეგ შნო, ცოდნა და ხერხი მოემარჯვებინათ.

ძველით ახალი წელიც გათენდა, ისევ ააბათქუნეს შუშხუნები, რომლებიც სულაც არ ქმნიდნენ სადღესასწაულო განწყობას, გეგონებოდა ქალაქს ბომბავენო. ვინ იცის, ძველით ახალი წლის ღამეს რამდენ ჩიტს თუ ციყვს შიშით გული გაუსკდა.

წიგნების სტამბიდან წამოღება გადაწყვიტა, რაფაელმა წაიყვანა გამომცემლობაში. ოთახი დაკეტილი იყო, მაგრამ სტამბა მუშაობდა. ცისფერ სახლში მიიტანეს დიდ პაკეტებად შეკრული წიგნები. ბარბარე ხილითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდა



სტუმარს. პირველად რომანი რაფაელს აჩუქა, წარწერაც გაუკეთა და უცნაური სიხარულის შეგრძნება დაეუფლა. არტემსაც დაურეკა, წიგნები გამოვიტანე და მესტუმრეთ, რომ გაჩუქოთო. ისიც თხუთმეტი წუთში გაჩნდა ბარბარესთან და, რა თქმა უნდა, რაფაელიც გაიცნო, როგორც ბარბარეს კარგი ამხანაგი. სუფრას შემოუსხდნენ, კონიაკით დალოცეს ახალი უხილავი წელი. ერთურთის მიმართ კეთილი სურვილები გაუჩნდათ და ერთი-საერთო ნატვრა, მალე დასრულებულიყო პანდემია, ბოლო მოღებოდა გაუსაძლის კარჩაკეტილობასა და მარტოობას. ტკბილად დაიშალნენ. ძველებურად უნდა გაეგრძელებინათ შინ ჯდომა გაზაფხულამდე, მაგრამ ბარბარე ცდილობდა დრო უქმად არ დაეკარგა, ის წერდა ქალაქურ, ოთხმოც და ოთხმოცდაათიან წლებში დატრიალებულ ძველი უბნის გახმაურებულ და გაუხმაურებულ ამბებს, წერდა ახალგაზრდებზე, ბავშვებზეც. რაფაელის დახმარებით ცისფერ სახლშიც მიდიოდა ხოლმე, სადაც მუზეუმს ელაციციებოდა, მათ მხოლოდ ბარბარე ხედავდა, ვინაიდან დიასახლისის დასახმარებლად იყვნენ მობრძანებულები.

საკუთარ სახლში სტუმრად მოსულს ხშირად ხილული, ხორციელი სტუმრებიც შემოუერთდებოდნენ, მიუსხდებოდნენ მრგვალ მაგიდას და ბაასობდნენ სხვადასხვა საკითხებზე. დღის ბოლოს რაფაელიც გამოჩნდებოდა. თითქოს არაფერი ხდებოდა, მაგრამ პატარ-პატარა სასიხარულო ამბებიც იყო. მაგალითად, მარგოტმა მეორე ლოკდაუნის დროს ახალი რომანის წერა დაიწყო და დაასრულა, რედაქტორს გადაუგზავნა ნამუშევარი და ახლა მის შეფასებას ელოდა. არტემიც შეუდგა ბარბარეს რომანის რუსულად თარგმნას. ბარბარესთვის 2021 წლის იანვრის თვე ზომაზე მეტად გაიჭიმ-გაიწელა და ქალი ფიქრობდა, შემდეგი წლის იანვარს უნდა დავაკვირდე, მალე განილევა თუ ნელაო.

ბარბარემ მოთხრობები ქეთოსაც გადაუგზავნა. ღამით წაიკითხა მეგობრის ათი მოთხრობა, რომელმაც წარსულში დააბრუნა. სიხარულითა და ენერგიით აღივსო. ქეთო კორონა ვირუსისგან დატოვებულ სისუსტეს აღარ გრძნობდა. წიგნი „12“-იც



გადაშალა, გადაათვალიერა, თავდაპირველად დასასრული წაიკითხა, აღფრთოვანდა. დასაწყისს დაუბრუნდა, მაგრამ წინასიტყვაობითა და რეცენზიით დაინტერესდა. ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა ტექსტი, უნდოდა ავტორისთვის დაერეკა და შეეეკო, მაგრამ გრძნობა იმაზე მეტი იყო, ვიდრე ამას სიტყვებით გამოხატავდა ფაქტია, წიგნმა მომაბეზრებელი უღონობისგან საბოლოოდ გაათავისუფლა.

...

ბარბარემ გადანყვიტა ლუკასთვის გერმანული წარმოების ველოსიპედი შეეძინა, რალა თქმა უნდა, ნახმარი. დათომ ნაცნობი ველოსიპედების მოვაჭრისგან ლუკასთვის ექსტრემალური მოდელი წამოიღო. გერმანული წარმოების ველოსიპედი ძველი იყო, შოკოლადისფრად გამოიყურებოდა, ფასიც მისაღები ჰქონდა, მაგრამ ხელის შეველება საჭიროებდა. ლუკამ უბანში აღმოაჩინა სახელოსნო, რომელსაც ორი უზარმაზარი ბოქლომი ედო. ყოველ დღე მიდიოდა ოსტატთან შესახვედრად ბარბარე და ვერ ნახულობდა. ველოსიპედი იდგა კუთხეში თავისთვის, თითქოს ახალ თავშესაფარს ეჩვეოდა და კითხვას სვამდა, სად ვარო?

ველოსიპედების შემკეთებელიც გამოჩნდა და პაციენტივით მიიღო გრეგორი: -დაუდევარი პატრონები ჰყოლია, ზედვე ეტყობა საცოდავს.

ლუკამ და ბარბარემ გადანყვიტეს ხანდაზმული, დაჩაგრული და დაზიანებული გრეგორი გაელამაზებინათ, გაეახალგაზრდავებინათ. ხელოსანი პატრონთა თვალწინ საქმეს შეუდგა. გრეგორს ბევრი რამ აკლდა და ახალ დეტალებს უმატებდა. ლუკა თავს ადგა ახალგაზრდა მანქანის და ბავშვივით უხაროდა, რომ მალე საკუთარ ველოსიპედს მოაჯდებოდა.

უცნაური სიზმრები დაუბრუნდა ბარბარეს. მათი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ლამის შრომის უუნარო გახდა. მძიმე შთაბეჭდილებებით ძალაგამოცლილმა წერაც შეწყვიტა. დარწმუნებული იყო, სიზმრები შვილიდან ჩემში გადმოვიდაო. არც



ფსიქოლოგი იყო და არც მეცნიერი, მაგრამ სიზმარი რომ უბრალო რამ არაა, ეს იცოდა.

მკვდარი ბელურები და ცოცხალი ყვავები იხილა, ეს ჩვენება მრავალჯერ გამეორდა და ერთიდაიმავე სურათის ნახვამ ლამის შეშალა. ადრე დაწყებული სიზმარი, სადღაც, უცნაურ დაწესებულებაში რომ აღმოჩნდა ლურჯ სამოსიან ხალხთან და აშკარად, რაღაც ექსპერიმენტს ატარებდნენ ბარბარეზე, ამაში დარწმუნებული იყო. საქმე ისაა, რომ სიზმარი გაგრძელდა, პატარ-პატარა ნაკვეთებად დაყოფილი სერიებივით და იქ მთავარ პერსონაჟად იქცა, თუმც არც ბედნიერი, არც უბედური, არც პატრონიანი, არც უპატრონო იყო. ისიც არ იცოდა, ვინმემ შეამჩნია თუ არა მისი გაუჩინარება, ან ვისლა ემახსოვრებოდა პანდემიის ყამს, როცა ყველა თავისთვის შეეყუყულ-შემალულიყო, მაგრამ ლუკამ ხომ უთხრა მთავარი ფრაგმენტი სიზმრებისა, დედა ხომ უცნაურმა ადამიანებმა თვალწინ გაუქრეს და სასონარკვეთილი დაეძებდა, იპოვა და მშობელს არ უბრუნებდნენ?

ნისლის სითეთრეში გახვეულმა გამოიარა მშრალი ხიდი, რომ შინ მისულიყო, მოედანთან ახლოს, შავ ბოძებთან შეჩერდა, რომლის იქითაც იწყებოდა ბარბარეს ქუჩა, ბოძებს შუა გაძვრა, ცისფერი სახლიც გამოჩნდა, დახედა ასფალტზე დაწერილ ლათინურ წარწერას „Salve“, მაგრამ ქვაფენილი გაშავებულიყო, ბურუსმა ხელი შეუშალა გაერკვია, რა მოხდა. ნისლი გაფერმკრთალდა და ბარბარემ მკვდარი ბელურების ზედახორა დაინახა, შეკრთა, წინ ვერ წავიდა. ბურუსი ნელ-ნელა ზემოთ ავიდა და ღრუბლებს შეერწყა. ყვავებიც მოფრინდნენ, ბელურებს ახტებოდნენ ან გადაალაჯებდნენ, მათ შეჭმასაც არ კადრულობდნენ, ხმასაც არ იღებდნენ. შეძრწუნებული გამოტრიალდა, გადაწყვიტა ახალ უბანში წასულიყო, მოედნამდე მივიდა, მაგრამ იქ არსებული ქალაქი აღარ დახვდა. დაიბნა, ვერ გაერკვა საითკენ აელო გეზი, უცნაური შენობები, ვინრო, მიკლაკნილ-მოკლაკნილი გზებით, ამგვარი მკვეთრი ბარბაროსული არქიტექტურა უცხო იყო ბარბარეს მშობლიური ქალაქისთვის. არცერთ



შენობას არ აჩნდა რომაული არქიტექტურის კვალი, მაგრამ არც მთლად რომანულ სტილს იყო მოწყვეტილი. მან დაინახა ადამიანისთვის საზეიმო განწყობის შემქმნელი რატუმებიანი შენობები, მონუსხულმა გაიარა გზა და დააკვირდა უცნობ არქიტექტურულ ფორმებს, აქ იყო არკბუტანი, კონტრაფოსი, ნედრვიურიანი კამარა, საუცხოო ვიტრაჟები. ვერ მიხვდა სად მოხვდა, გერმანულ, ფრანგულ, ავსტრიულ ქალაქში?! იქნებ ინგლისშია? ძველებური, მაღალი კლასის საცხოვრებელი სახლებიც აღემართათ და უამრავი ტაძარიც, მართლმადიდებლურს არცერთი ჰგავდა, უფრო პროტესტანტულს და კათოლიკურს.

ბარბარე გოთიკაში ჩაიძირა, აქაურობა იმავდროულად პირქუშიც იყო, ნატიფიც, ოლონდ ცარიელი, ქუჩაში ვერავის შეხვდა, რომ ეკითხა საით წასულიყო, როგორ გამოსულიყო ლაბირინთიდან და გზა გაეკვლია მშობლიური ქალაქისკენ. მერე ფეხსაცმელებმა მოუჭირა, ორივე გაიხადა, ნეკა თითებზე მტკივანი გასჩენოდა. გაელვოდა, ტუმბოზე შუშის ბოთლით წყალი იდგა, წყურვილი მოიკლა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა, თბილისის ნისლიან ახალ უბანში იყო, რომელიც სიზმრიდან გამოქცეულიყო და რეალობაში დამკვიდრებულიყო.

ისევ დაღამდა. თვალეები დახუჭა, მშვიდად სუნთქავდა და სიზმარსაც მეტი რა უნდოდა?! მოვიდა, ბარბარეს ტვინში შეძვრა და ფირიც დატრიალდა.

ბარბარე მშობლიურ სახლში ტახტზე წევს, ღვიძავს და წამოდგომა ეზარება, მაგრამ უნდა ადგეს, შვილთან მივიდეს ახალი უბნის სახლში, საუზმე მოუმზადოს, იქ ბევრი რამ დარჩა დაწყებული და დაუმთავრებელი. აბაზანისკენ გარბის, ხელპირს იბანს, მერე წყალს გადაკეტავს, დენს გამორთავს, ბინას დაათვალიერებს, მარტოს ტოვებს და უსაფრთხოდ უნდა იყოს სახლი დიასახლისის დაბრუნებამდე, რომელიც მოლოდინისას მეტ დადებით ენერგეტიკას შეინახავს. ბარბარე დაბრუნდება, კარს შეაღებს და ინტერიერის სივრცეც გაიხარებს, იფიქრებს, ღირდა ლოდინადო და კვლავ ახალი ენერგიით აღივსება.



ძველისძველ ბინას ბარბარეს სტუმრებიც უყვარს, ზოგს კარგადაც იცნობს და წასასვლელად შემზადებულს წინ ელობება. სტუმარს სახლის ხმა არ ესმის, მაგრამ მოსულს გულში სევდა ეპარება, საკუთარ ან იჯარით აღებულ ციხე-სიმაგრეში რომ უნდა დაბრუნდეს, სხვა რა გზა აქვს და მიდის თავისაში.

კეთილი სახლები თავიანთ პატრონებს დაუყვედრებლად ეხმარებიან ყოველდღიურ საქმიანობაში, კარგ მეგობრებს, ნათესავებს, კეთილისმყოფელებს უხილავად მკერდში იკრავენ, ზოგჯერ მისდევენ კიდევც, სანამდეც შეუძლიათ, თითქოს აცილებენ გარკვეულ ადგილამდე და ისევ ბრუნდებიან უჩინრად, აჩრდილივით. საკუთარ თავს ათვალეირებენ, სადმე ბნელმა ხომ არ მოიკალათაო და ხშირად შესწევთ უნარი ბოროტი გააძევონ.

სახლები თავიანთი მოსახლეების წინაპართა სულესაც მასპინძლობენ, ის საცხოვრებელი შენობები კი მოწყენილები არიან, რომლებსაც სულების მიღება ჯერ არ სძალუძთ, ვინაიდან ახალგაზრდები არიან, დაძველება კი დიდ დროს მოითხოვს. ჰო, და ბარბარეს სახლი ძალიან ძველია, ძლიერია, სხვადასხვა თაობის სასულიერო პირთაგან ნაკურთხი, განწმენდილი და ამალლებული, შარმიანი, დიდებული. ზოგჯერ კედლები საკმევლის სუნს გამოყოფენ, რომლიდანაც ღვთიური სურნელის ნაწილაკებს იტაცებენ და შავი დღისთვის ინახავენ საკუთარი თავის და ამ სახლში მცხოვრები ადამიანების დასახმარებლად, ბნელი ძალების განსაფენად. ბარბარეს ბინა ძლიერია, ყოველთვის იმარჯვებს ბინდსა და ბურუსზე, მას სიმშვიდე, სილაღე, სინყნარე უყვარს, საჭირო დროს სასიხარულო ჟრიამულიც და მას შემდეგ, რაც აშენდა, ის ახლაც, ამხელა დროის გასვლის შემდეგ დაუმეგობრდა მუზებს, გაუგო, შეითვისა, შეიყვარა. ზამთრის ცივ დღეებში მუზებსაც მოეწონათ მის ჭერქვეშ ყოფნა, თავისუფლად იყვნენ, ნიავევით ნავარდობდნენ უზარმაზარ სივრცეში და ფანტაზიორობდნენ, აგროვებდნენ მასალებს, საკუთარ სახლში სტუმრად მოსული დიასახლისისთვის რომ შეეფრქვიათ.

მოვიდოდა ბარბარე და მუზებიც გარშემოვლებოდნენ, ბარბარე რვეულსა და კალამს მოიმარჯვებდა, დიდხანს წერდა



და სახლიც კითხულობდა ქალაქდზე გადმოტანილ წინადადებად ქცეულ ფიქრებს.

...

ბარბარე სამშობიარო სახლში დაიბადა, მაგრამ მუცლად ყოფნის დროსაც ძველი უბნის და ძველი სახლის ჟანგბადით გაჟღენთილს უვითარდებოდა ტვინი, ამ სახლის, უბნის ჰაერს სუნთქავდა, იქავე ესახებოდა აქაურობის სიყვარული და სახლს სჯეროდა მუცლად მყოფი გოგოს ერთგულების.

ბინას არ სურდა გაქირავებულიყო, უცხოების ეშინოდა. ვინც ფეხი შემოდგა, გასვლა გაუჭირდა. თუ ეს ბინა მოსწონდათ და ეძვირფასებოდათ მაშ, რატომღა ანადგურებდნენ, უშავებდნენ, სტკენდნენ, როგორც უსულოს ისე ეპყრობოდნენ და სახლიც ბრაზობდა, თავადვე აგებდა მათ, ბარბარეს კი ეგონა, მე ვაკეთებ ყველაფერსო, მაგრამ დამქირავებლებს მაინც აქ დარჩენა უნდოდათ, ხელშეკრულების გაგრძელებას ითხოვდნენ და აწვალებდნენ დიასახლისს. ყველანაირი მდგმურული ხრიკებითა და სისასტიკით ცდილობდნენ რამენაირად არ გამოემშვიდებოდნენ აქაურობას, მაგრამ მართალი ბარბარე ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. დააზიანეს სახლი უცხოებმა, თითქოს მურვან ყრუმ ააოხრაო და ბარბარეს მისი შველა მარტოს არ შეეძლო. დათო მოვიდა და ძმობა გაუნია დიასახლისს, დათო, რომელიც მხოლოდ დასახმარებლად გამოჩნდებოდა, მაგრამ ახლა სახლი ყველამ მიატოვა ისე, რომ ის აბეზარი დამქირავებლებიც მოენატრა. ზამთრისა და კოვიდ-19-ის ბრალი იყო. ადამიანივით ისიც თავს მარტოდ და უმწეოდ გრძნობდა, ყველა ენატრებოდა, ვინც მის კედლებში ოდესმე ცხოვრობდა, ვინც მის იატაკზე დადიოდა. წინაპართა სულებიც შემოირბენდნენ და სახლსაც უხაროდა. რალაცებს ეკითხებოდნენ, ისინი კეთილი სულები იყვნენ და შთამომავლებზე დარდობდნენ. სახლს უყვარდა წინაპარები, მაგრამ ცოცხალი ადამიანის ენერგეტიკა უფრო აძლიერებდა, ვიდრე გარდაცვლილთა სულებისა, მათ მიწიერი ენერგია აღარ აქვთ და არც მათი ფიქრებია ამქვეყნიური, სახლი კი ყველაზე მატერიალური რამაა, რომელიც ხორციელს სჭირდება.



სახლები ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე ამ ცხოვრებაში. უჭირდა ცისფერი სახლის მწვანედ შეფერილ კედლებს, ისტორია რომ აღარ იწერებოდა, შეჩერებული დრო ენანებოდა. ბარბარეს ციხესიმაგრედ გადაქცევა მოახერხა, მაგრამ მაინც ნუხდა კედლები, ქერი, ფანჯრები... დარდობდა სახლი, ქალი თავს ობლად რომ გრძნობდა, ბინა ფიქრობდა, განა მეც არ ვარ მშობელი?! ამ კედლებში არ გაიზარდე? ამ ბინის ქერი და სახურავი არ გიცავდა?! არ იდარდო ბარბარევ, მე შენი დედაც ვარ და მამაც, აშენებულ-აღმართული, შენი მოკეთე! მოძრაობა არ შემიძლია, თორემ სული მეც მაქვს, ბარბარე. სადაც არ უნდა იყო აქ თუ იქ, ზეცაში თუ მიწაზე, მაინც მოხვალ ჩემთან და შესძლებ, ჩამეხუტო, მაშინ დაინახავ ჩემში მთავარს-სულს, ფიქრობდა მარტოდ დარჩენილი ბინა.

ძველი სახლები უცხო ადამიანებსაც ელაპარაკებიან, მაგრამ უმრავლესობას არ ესმის მათი, ვერ გრძნობენ კარგი არქიტექტურის ზემოქმედებას. ბარბარე იმ უმცირესთაგანთა წარმომადგენელი იყო, რომელიც გრძნობდა, მაგრამ ვერ აცნობიერებდა... შენობები ხომ მუზებსაც ჰგვანან და ადამიანების ესთეტიურ განვითარებაში უანგაროდ იღებენ მონაწილეობას. ისინი გვესაუბრებიან, ასეა. ის კი არადა, არიან ნივთები, რომლებსაც ძალუძთ თავიც შეგაყვარონ, ასეთები მანქანებიც არიან, უკვე კომპიუტერებიც, ჩასაცმელ-დასახურიც, ფეხსაცმელ-ფაჩუჩები, სუნამოებიც კი, ვინაიდან იმათაც ნიჭიერი ადამიანები ქმნიან და სულს უდგავენ. ნივთები პატრონთა სივრცეს ეგუებიან და მასთან მეგობრობას იწყებენ.

სახლი ეძახდა დიასახლისს, მიუხედავად იმისა, რომ მოვლილი და განკურნებული იყო. სითბო აკლდა, ბარბარესგან უნდა მიელო მისთვის განკუთვნილი ენერჯის ნაპერწკლები და სანაცვლოდ თავისიც ებოძებინა, სახლებს უყვართ გაცვლა-გამოცვლები მანამ, სანამ არ დაანგრევენ ან თავისით არ ჩამოიშლებიან.

ახალ სიზმარში ბარბარემ ისევ ძირს მოფენილი ბელურები იხილა, შინაარსი შეცვლოდა ჩვენებას. ქალი სახლს გამოემშვი-



დობა, კარები გარედან ჩაკეცა, გოგონასავით ჩაირბინა სადარბაზოს ძველი კიბის საფეხურები, კარიც გამოალო, მაგრამ ვერ გავიდა, გზა მკვდარ ბელურებს გაეშავებინა, ყვავებიც არსად ჩანდნენ, მაგრამ ბელურებმა გაცოცხლება დაიწყეს, ახტუნავდნენ, როგორც ბატიბუტის მარცვლები. სამი ცალი ბარბარეს ფეხებთან დაეცა. მათ რომ დააკვირდა, ბელურები კი არა, ღამურები აღმოჩნდნენ, მოხტუნავე მომაკვდავი ღამურები, შეეზიზლა და ფეხი ჰკრა სამთავეს, მოისროლა, ღამურები ბელურებს დაეცნენ და ჩიტებთან მოხვედრილები თავადაც ბელურებს დაემსგავსნენ, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდით, მიხვდებოდით, რომ ესენი იმათგან განსხვავდებოდნენ და სხვა ჯიშისანი იყვნენ. ვერ გააღწია სადარბაზოდან, ღამურებს შენახები ჩექმის წვერები შეეზიზლა, შემოტრიალდა, სახლში დაბრუნდა...

ამ სიზმრის შესახებ მარგოტს მოუყვა, მეგობარმა ჩათვალა, რომ რალაც წინასწარმეტყველური სიზმარია და დასძინა, რომ ბარბარესთან ერთად სახლი ძველ უბანშიც ძლიერ მოენატრა.

...

დროში განვლილი, პირქუში იანვარიც დასასრულს მიუახლოვდა. ბარბარემ ტაქსი გააჩერა, ცისფერ სახლში მივიდა ბედად, რადგანაც მალევე იქ ბატონი მირზაც გამოჩნდა. ორივე ხელით ნამცხვრებით სავსე ყუთი ეკავა, მხიარული, სიტყვაუხვი და მადლით სავსე ადამიანი. დასაყენებელი ძვირფასი ჩაი კი ჰქონდა ბარბარეს, მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ, ჭერმაც გაიხარა და დიდი სახლის პატარა დიასახლისმაც. ისაუბრეს, როგორც ყოველთვის, საინტერესოდ მოუთხრობდა სტუმარი ბარბარეს ლიტერატურის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე, გულდანყვევით აღიარა სტუმარმა, რომ პოეზიას არაუშავს, მაგრამ პროზას კვლავ უჭირს, გალაკტიონის მხიარული ლექსიც გაახსენდა, რომ ამბობს:

„ჩვენს გაჭირვებულ პროზას,
 თუ გამოვაკლებთ ოზას
 და დავუმატებთ უნუნს,
 მივიღებთ პრუნუნ-პრუნუნს“-ო.



გულიანად გაეცინათ, გალაკტიონის სხვა ლექსებიც გაიხსენეს და დაიქანცნენ, მსოფლიოც გადაღლილი იყო შინაპატიმრობით. ბარბარეც, მირზაც მსოფლიოს მოსახლეობის წევრები იყვნენ და ამათაც უჭირდათ შავსა და ნცრისფერში ყოფნა. ჟურნალის მაგიდასთან დივანზე გვერდიგვერდ მოკალათდნენ. ბარბარეს რომ სცოდნოდა ბატონი მირზა ეახლებოდა, ახალ მოთხრობებსაც წამოიღებდა, მაგრამ მოკლედ მოუყვა, რა და როგორ დაწერა, რა ხერხები გამოიყენა. ბატონ მირზას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ უსმენდა. ბარბარემ მაგიდა ააღაგა, ნამცხვრების ნაჭრებიც დარჩენილიყო. ჭურჭელი გარეცხა სამზარეულოში და სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, რედაქტორს მჯდომარეს ჩასძინებოდა, ცოტა ციოდა და ქალმა ფრთხილად, მზრუნველად გადააფარა კაცს მწვანე პლედი, თავადაც მიუცუცქადა, ზუსტად ის პოზა მიიღო, როგორადაც მირზა იჯდა და მასაც ძილი მოეძალა.

ერთდროულად გაელვიძათ, თავები უნებლიედ ერთმანეთისთვის მიედოთ. ქალმა უხერხულობა იგრძნო, მაგრამ მირზამ მკლავი გადახვია და შუბლზე აკოცა, თან დასძინა: - უძილობა მჭირს ზოგადად, მას მერე რაც შინ ვართ გამოკეტილები, მაგრამ აქ იმგვარი სიმშვიდეა, რომ დამძინებია, შენც გიზრუნია ჩემზე, ძალიან თბილად ვარ და გმადლობ ამ კომფორტისთვის.

- ახლა უფრო დათბება, გათბობა ჩართულია, ბატონო მირზა.
- ჰოო?! შენთან ყოფნა კარგია, მაგრამ უნდა წავიდე.

პლედი გადაიძრო, დივანზე დადო, წამოდგა. გულდანყვეტილი ბარბარე რედაქტორს პალტოს ჩაცმაში დაეხმარა.

- ტრანსპორტი რომ ამუშავდება, წავიდეთ სასაფლაოზე და მოგიყვები მასზე, მახსოვს, დაგპირდი.

- დიას! - უპასუხა ბარბარემ და სტუმარი კარამდე მიაცილა.

სადარბაზოდან გამოსულ მირზას მოეჩვენა, რომ ბარბარეს სახლი გამოეკიდა, ერთი ტროტუარიდან მეორეზე გადაინაცვლა და ჩუქურთმებიანი, ჩამწკრივებული აივნებით მოკაზმული შენობა გულდასმით შეათვალიერა: -მშვენიერია, დიდებულია!

ბარბარემ ტაქსი გამოიძახა, გზაზე საცობები იყო. შინ რომ



მივიდა საღამოს ცხრის ნახევარი სრულდებოდა, ძილი მოეძალა, ხომაა ნათქვამი, ძილმა ძილი იცისო ან ძილს ძილი მოსდევსო...

ლუკას მიეხედა საკუთარი თავისთვის და გასარეცხი თეფშები ნიჟარაში ჩაელაგებინა. ბარბარემ ხელ-პირი დაიბანა, მკვეზავი კრემი სახეზე წაისვა და ლოგინში ჩანვა, ეშინოდა ძილი სადმე არ გაქცეოდა, თანაც სიზმრის მომდევნო სერიაც აინტერესებდა, ახსოვს სახლში შებრუნდა და მერე...

აი, მერეც! კარები გააღო, შინ შევიდა, ხელებზე სამედიცინო თათმანები ჩამოიცვა, სასწრაფოდ გაიხადა ჩექმები და ფეხები ფაჩუჩებში შეყო. თასში ჩაალაგა ჩექმები, საგულდაგულოდ გარეცხა, ეჩვენებოდა, რომ ბოროტი, მკვლელი ბაქტერიები შეასხდნენ ჩექმებს. თასი პარკში ჩადო, კარები ღიად დატოვა, სადარბაზოს კიბეებზე დაეშვა და თასი ბუნკერში მოისროლა, გამობრუნდა, კარი შეაღო და სასტუმრო ოთახში ლურჯსამოსიანები დახვდნენ, თამამად დაბორილებდნენ, ნივთებს დაუკითხავად იღებდნენ, ათვალიერებდნენ და ადგილებზე აბრუნებდნენ, ზუზუნებდნენ. ბარბარე გაოცებისგან ადგილზე გაქვავდა. სტუმარ-მასპინძლობის წესის დარღვევა ვერ შესძლო, თორემ იკითხავდა, რას ეძებდნენ, რამ დააინტერესათ. მაგრამ მხრებანურული იდგა და ვერაფერს ამბობდა. კარზე ვილაცამ დააკაკუნა, მოგვიანებით, სახელური ჩამოინია და ოთახში თავი შემოყო ბატონმა მირზამ, კარი მიხურა და გაოცებით შეხედა ბარბარეს: ესენი ვინ არიან?

ბარბარემ უპასუხა: - არ ვიცი, დაუკითხავად შემოვიდნენ!

მირზას სახე წამოუწითლდა და უცხოებს შეუტია. ბარბარეს გასაკვირად უკანმოუხედავად გაცვივდნენ, მიიმაღნენ.

ბარბარემ თვალები გაახილა და გაელიმა, სიზმარში მირზას გამოჩენამ გაახარა. ფიქრები მოეძალა, დიდი ხანია, თავზე არ უფიქრია და გაახსენდა მიძინებული მირზა, რაც ნამდვილად მოხდა... ისევ რომ მოვიდეს, კვლავ დაიძინებს? კი, ალბათ, და ზუსტად ისე მოიქცევა, როგორც მაშინ, გვერდით მიუჯდება და სულაც არ შერცხვება. სურდა, ეს სცენა მრავალჯერ გამეორე-



ბულიყო და რატომ? იმიტომ, რომ სასიამოვნო იყო ის, რაც უკვე გამოსცადა. მხარი იცვალა და ლოყის ქვეშ ხელები ამოიდო, გაღიმებულს ნაზად მიეღულა თვალები, ძილბურანში გაეხვა. შეწყვეტილი სიზმარი უცნაურად გაგრძელდა.

გულაღმა ინვა რაღაც ცივსა და მაგარზე, ახალგაზრდა კაცი დაჰყურებდა, ქალი მის შუბლსა და თვალ-წარბს ხედავდა მხოლოდ. თავზე საექიმო ცისფერი ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული და მასაც ლურჯი ფორმა ეცვა, ერთ-ერთი იმ უცხოთაგანი იყო, მაგრამ სასტიკ კაცს არ ჰგავდა. ბარბარემ ხელები მუცელზე დაილაგა და თვალი გააპარა უცხოს ხელებისკენ, მუშტად შეკრული, უხეში, დაუხვეწელი ხელებით ბარბარეს უცნაურ საწოლთან ოდნავ წახრილიყო, ქალს თვალებში დაჟინებით ჩასცქეროდა. ბარბარემ სახე მოარიდა, ბოლოს გადაწყვიტა თავადაც შეეხედა ახალგაზრდისთვის და თვალი თვალში გაუყარა, გაუღიმა, გამარჯობაო, უთხრა, იმანაც თავი დაუკრა, მერე, ბარბარემ ერთ მუშტზე ხელი დაადო. ახალგაზრდამ გაოცებით დახედა ქალის ხელს, მისას რომ ეხებოდა და იმანაც მეორე ხელი ბარბარეს ხელს შეახო, უხეშად მოუთათუნა, თითქოს ამხნევესო. კაცმა აშკარად გაუღიმა, პირბადის ზემოთ მოქცეული თვალები მოეჭურჭა და უპეებზე ნაოჭების ღარები გამოეკვეთა. ბარბარემ ვედრებით შეხედა და კითხა:-გამიშვებთ?

მამაკაცმა არ უპასუხა, თავი დახარა.

-გამიშვებთ?-ისევ იკითხა და წამოჯდომას შეეცადა, ვინაიდან წელი ასტიკვდა, ახალგაზრდა მიეხმარა. ბარბარეს საშინლად მოუნდა კაცის სახის სრულად ხილვა, სწვდა პირბადეს და ჩამოუნია. თავდახრილმა ლურჯფორმიანმა ქალის შუბლს შუბლი მიაბჯინა. ბარბარე გაირინდა, მერე დაცვარულ, ნოტიო ლოყაზე ხელის გულები ჩამოუსვა. ახალგაზრდამ თავი ასწია და გაუღიმა.

-გაგიშვათ?

ქალმა თავი დაუქნია:- გააკეთებთ ამას?

უცნობმა ქალს ზურგი აქცია, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, კოჭლობდა, წინ მიინევდა და მარცხენა, უმოქმედო ფეხს მიათ-



რევდა. ქალი მიხვდა, რომ მას სტკიოდა და გული დაეფუფქა, რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ თქვა, გაუჭირდა სიტყვების პოვნა. თანაგრძნობა გაუჩნდა და მკერდზე ხელები მიიღო. კაცმა ლურჯი სამოსის ჯიბიდან პულტი ამოიღო და კედელს მიუშვირა, რომელმაც მალლა აზიდვა დაიწყო, იატაკს ნელ-ნელა შორდებოდა. ბარბარეს გული სიხარულით აბაგუნდა და გაიფიქრა, მიშვებს, მათავისუფლებს! უნდოდა წამომხტარიყო და უცნობს ჩახუტებოდა, მერე კი, უკანმოუხედავად მოეკურცხლა აქედან, თუმც არ განძრეულა, თავდახრილი იჯდა.

-ნადით!-წარმოსთქვა ზურგშექცევით მდგარმა კაცმა.

ბარბარე დინჯად მიუახლოვდა ლურჯსამოსიანს და შეხედა, მისი სახის დამახსოვრება უნდოდა.

- ნადით! - მკაცრად გაუმეორა:-ნადი ბარბარე, ოღონდ არ დაგავინყდე!

ბარბარემ თავი დაუქნია, შეტრიალდა და გარეთ გამოვიდა. კედელმა კვლავ დაბლა დაშვება დაიწყო. ბუნკერში ყოფილან ლურჯსამოსიანები. კი ბატონო, იყვნენ, მაგრამ ნეტავ, ბარბარესგან რა უნდოდათ, რად ერჩოდნენ?! ან ამ ბიჭმა რატომ გაათავისუფლა, იქნებ არ ჰქონდა ამისი უფლება?! შეეშინდა ბარბარეს, ვაითუ ჩემს გამო დასაჯონ!..

ეზოს ჭიშკარს მიუახლოვდა, გაალო და ქუჩაში გამოვიდა. მიიხედ-მოიხედა, აღფრთოვანდა, თავის უბანში აღმოჩნდა ცისფერ სახლთან ძალზედ ახლოს და მართლაც მოჰკურცხლა შინისკენ.

ლუკას ძახილი შემოესმა, მშიაო. თითქმის თვალეზახუ-ჭული წამოხტა სანოლიდან და თავბრუდახვეული წაბარბაცდა, წაიქცა ისე ხმამაღლად, რომ ოთახიდან გამოსულმა ბრაგუნის ხმამ ლუკას ლამის გული გაუხეთქა, დედის საძინებელში შევარდა, ბარბარე ხალიჩაზე გაშოლტილიყო, ხელები სახეზე აეფარა და კისკისებდა. ლუკას კი შერცხვა, კუჭის გვრემის გამო რომ აღრიალდა, თავადაც ხომ შეეძლო რამე ეჭამა?!

დედას წამოდგომაში დაეხმარა და ბოდიშიც მოუხადა. ქალი კი საკუთარ მარცხს დასცინოდა და ლუკას ჰპირდებოდა, ახლა-



ვე ფაფას მოგიმზადებ, მადროვე, აზრზე მოვიდე, დედა, ეს რა დამემართა?!

...

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ შეეხმიანა ბატონი მირზა ბარბარეს, ჯერ ისევ დილა იყო და უთხრა, სამსახურში მოვდივარ და შეიძლება შუადღით გესტუმროო?

კაი ხანია ასე ძლიერ არაფერი გახარებია ბარბარეს, მოდუნებულს წამსვე თვალები გაუბრწყინდა, დაბზრიალდა, ტაქსი გამოიძახა და ცისფერი სახლისკენ გაექანა...

კარი ურდულით არ ჩაურაზავს, ვინაიდან ზუსტად არ იცოდა, როდის მოვიდოდა სტუმარი, სამზარეულოში შეეყოვნდა, სადაც ზარის ან კაკუნის ხმა არ ისმოდა. სასტუმრო ოთახში რომ დაბრუნდა მირზა იქ დახვდა. კაცმა გაულიმა, დინჯად მიუახლოვდა ქალს და ჩაეხუტა, უთხრა მომენატრეო. ბარბარესაც ენატრებოდა ბატონი მირზა. გვერდით ედგა ადამიანი და მაინც ენატრებოდა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. მირზამ ყურნალის მაგიდაზე დალაგებულ თაბახის ფურცლებს გახედა, ბარბარეს დაწერილი მოთხრობები იყო, საგულდაგულოდ მოხვეტა და პორთველში ჩაალაგა, რომელიც ყოველთვის ხელთ ეკავა, იმ ჩანთაში სხვა ავტორთა ნამუშევრებიც ეწყო. მუცელი გამოებერა ჩაკეტილ პორთველს.

ჩაი დალიეს, ისხდნენ პირისპირ მრგვალ მაგიდასთან და ერთ-ერთს უღიმოდნენ. ბარბარე სამზარეულოში გავიდა, რომ დაბრუნდა, მირზა მაგიდასთან აღარ იჯდა, დივანზე გადაბრძანებულიყო და ისევ ჩასძინებოდა. ქალმა მწვანე პლედი მოიტანა და სტუმარს მზრუნველად გადააფარა, მერე გვერდით მიუჯდა, ხუჭუჭა თავი მიადო მირზას საფეთქელს და მასაც ჩაეძინა. ტახტზე მჯდომს წვივები, მოგვიანებით, მთლიანად ფეხები დაუბუჟდა. რბილ ბალიშს გრძნობდა თავქვეშ, დაენანა იქიდან თავის აღება. თვალები გაახილა, რომ ბალიში გაესწორებინა. კომფორტის შეგრძნებას თურმე მირზას მუცელი უქმნიდა. თავი იქ დაუდევს, სადაც ახლა ედო და თავისდაუნებურად მკლავებით მირ-



ზას წელს მოხვეოდა. შეიშმუშნა. კაცმაც გაახილა თვალები და ქალს თავზე მოეფერა, თმაზე აკოცა. ბარბარეს გული აუჩუყდა, მაგრამ სასწრაფოდ გასწორდა და მაშინვე გაეცალა კაცს.

- რა გეჭირს?! - წარმოსთქვა მირზამ.

ბარბარემ თავი ჩაღუნა და მხრები აიჩეჩა. თავადაც არ იცოდა რატომ იძინებდნენ გვერდიგვერდ მსხდომნი, მხოლოდ ის იცოდა, რომ სიამოვნებდა მირზასთან ფიზიკური სიახლოვე. ახლა ის წავიდოდა და ბარბარეს გული დასწყდებოდა. იმას კი მიხვდა, რომ შეუყვარდა ეს ადამიანი, ოღონდ ვერ ხსნიდა რაგვარად, რატომ იყო ეს გრძნობა უთარგმნელი, სასიამოვნო, ბედნიერების მომნიჭებელი. სურდა ეთქვა, რასაც გრძნობდა მის გვერდით, იცოდა, მირზა გაუგებდა, არ გაიკვირებდა და როგორც კაცი, არ გამოიყენებდა ბარბარეს გრძნობას თავის-და სასარგებლოდ, მაგრამ თითქოს ინტელექტი არ ყოფნიდა, გაეცნობიერებინა ვერგამოსათქმელი თუ რატომ აღმოჩნდა ეს სიყვარული ამგვარად უცხო და გაუგებარი?! რაც არის, არის, კარგიაო, გაიფიქრა და მირზას შეხედა. იმან საჩვენებელი თითი ბარბარეს ლოყისკენ მიმართა და წარმოსთქვა: -სახეზე ჩემი სვიტერის ნაჭდევი გაჩნია. არ მომწონს, ხომ გაგივლის?!

ბარბარემ ისევ მხრები აიჩეჩა: -ნუ გამივლის, მინდა კიდევ, რომ დარჩეს.

შეიძლება მოგეხვიო? - შეეკითხა მირზა ქალს. ბარბარეს არაფერი უთქვამს, თავად მოეხვია, ლოყა ლოყაზე მიადო, მირზას არ უკოცნია ბარბარესთვის, ტუჩები დაადო ნაჭდევზე და გაიტრუნა, მერე უცაბედად დაფაცურდა, უნდა წავიდეო. ჩაიცვა პალტო და პორთფელს სწვდა.

-ამას რომ წავიკითხავ და ჩავასწორებ, დაგირეკავ და შეეხვდეთ, ვისაუბროთ!

-და, ლადოზე როდის მომიყვებით? - პორტფელს შურით გახედა, ვინაიდან ის მირზას საკუთრება იყო, მუდმივად მასთან მყოფი, სამსახურში, შინ, ვინმესთან სტუმრობისას, ყველგან!... შეშურდა მირზას ქუდის, სვიტერის, მთლიანად ყველაფრის, რაც



მის სხეულს მოსავდა, ეკვროდა, ფარავდა. უთარგმნელი აგრძნობინებდა ყოველივე ამას, თორემ, როდის იყო ბარბარეს ვინმესი შურდა, მითუმეტეს ტანსაცმლის და პორთფელის?!.. გასაგებია, რომ მირზასგან შორს ყოფნა ეძნელებოდა, მაგრამ განა უცნაური არ არის, პორთფელის გშურდეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენს საყვარელ ადამიანს ხელთ უკავია?!

კარი გაიხურა მირზამ და დარჩა ბარბარე ადგილზე გაქვავებული. მირზამაც იგრძნო, ბარბარეს რომ გაუჭირდა შინ მარტო დარჩენა და გაუხარდა. უკვე მეორედ, კონკრეტულად სასტუმრო ოთახი, რომელშიც მჯდომარეს ეძინა, გამოჰყვა. ცარიელ ქუჩაზე შედგა, უკან მიიხედა, მაგრამ დიდი ოთახი არ ჩანდა. შინაგანად დამშვიდებული და რალაცნაირი, სასიამოვნო სისავსის გრძნობით აღვსილი მიუყვებოდა გზას რედაქციისკენ, სადაც ვაჟიშვილი ელოდა, შინ ერთად რომ წასულიყვნენ .

...

ზამთრის ბოლო თვეს საქართველოს მოსახლეობა ოდნავ გამოცოცხლდა, ხალხს დანაზოგი გამოეღია, ცხოვრება გაძვირდა, შემოსავლები იგივე დარჩა, ზოგს რაც ჰქონდა, ისიც შეუმცირდა ან შეუნყდა, სულ მალე სილატაკე გამეფდებოდა. ეს ზემოთ მყოფმა მაღალჩინოსნებმაც იცოდნენ და თავს იმართლებდნენ, აბა რას მოელოდით, ასე იცის ეპიდემიამ და პანდემიამო. თავის დროზე ესპანურმა ვირუსმაც დააბრკოლა და გაალატაკა მსოფლიო, მაგრამ მაშინ ანტიბიოტიკები და ვაქცინები არ იყო, ახლა ნამდვილად გადავრჩებით ვაქცინების გამოჩენისთანავეო.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი ქვეყნის გახსნას მოითხოვდა, ბიზნესი ჩაკვდა, საქმის მკეთებელნი შველას ითხოვდნენ, ცოტაოდენ ხელის ნაშველებას, მიზერულ სუბსიდიებს, ხელისუფალთა მხრიდან შესაძლებლობების ფარგლებში თანადგომას, მაგრამ მათ ღალადს ძლიერნი ამა სოფლისანი არად აგდებდნენ. ამიტომ, ექვსი თებერვლისთვის აქცია დაანონსდა მთავრობის სახლთან, მაგრამ ბარბარემ დრო ვერ დაადგინა. ამასობაში პრემიერ-მინისტრმა მოსახლეობას ამცნო, ტრანს-



პორტი პირველი მარტიდან კი არა, რვა თებერვლისთვის ქვეყნის დიდ ქალაქებში გამოჩნდებაო. თხუთმეტი თებერვლიდან სკოლის კარებიც გაიღება მოსწავლეებისთვის, სტუდენტებზე არაფერი უთქვამს. ბაგა-ბალების გახსნაზე ჯერჯერობით თავს ვიკავებთ და მუშაობას განაახლებენ კვების ობიექტებიც, გარკვეული წესების დაცვითო, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ აქციის ორგანიზატორები ვერ შეაჩერა. ექვს თებერვალს ეძახდნენ მოსახლეობას მთავრობის სახლთან დღის ორ საათზე შესაკრებად. აქტიურობდნენ ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები. თავდაპირველად დილის თერთმეტზე მოიყრიდნენ თავს მეტეხის ტაძრის ეზოში, მოაწყობდნენ უფასო ტურს იმ მოქალაქეებისთვის, ვისაც დედაქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ისტორიების მოსმენა სურდა, შემდგომ დაიძვრებოდნენ მთავრობის სახლისკენ, იქ კი დღის ორ საათზე საზოგადოების სხვადასხვა წრის, ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები შემოუერთდებოდნენ. ამ ინფორმაციამ ბარბარე დააინტერესა და გადაწყვიტა აქციაზე წასულიყო.

მივიდა, მაგრამ ის არ დახვდა, რასაც ელოდა, შეკრების ორგანიზატორები კი არ მოითხოვდნენ, იხვეწებოდნენ...

მთავრობის სახლის კიბეებზე დაეფინათ საქართველოს დროშა, დაელაგებინათ თხილამურები, ჰანტელები, სპორტული სავარჯიშო ინვენტარი. ახალგაზრდები ველოსიპედებით მობრძანებულყვნენ და იდგნენ მშვიდად, ზოგს ეროვნული სამოსი ეცვა და ძალზედ უხდებოდა. ბარბარემ თვალი მოჰკრა “სპაიდერმენს,” „ლამურა-კაცს“, „ქალ-კაცას“ და გაეღიმა. პოლიციელებიც იქვე ტრიალებდნენ და იღიმებოდნენ.

ახალგაზრდა გიტარით ხელში ტრიბუნასთან იდგა და ამბობდა სიტყვას:- გართობა აუცილებელია და ბიზნესზეა მიბმული, აქ მდგომი პოლიციელები, რომლებიც ჩვენს უსაფრთხოებას იცავენ, შესაძლოა სულ მალე უხელფასოდ დარჩნენ, ვინაიდან ბიუჯეტი იწურება! - მშვენივრად იმღერა, თავი დახარა და მას სხვა გამომსვლელი ჩაენაცვლა, ისიც ითხოვდა გახსნილიყო



კურორტები, სავარჯიშო კლუბები, ან კიდევ ეს კაფე-რესტორნები რომ იხსნება თხუთმეტი თებერვლიდან მხოლოდ ღია სივრცეებში რა ბედენაა, ჯერ ხომ ისევ ცივა, ამ ყინვაში როგორ უნდა იკვებონ ადამიანებმა, ან რაგვარად გაერთონო?!

მესამე გამომსვლელმა თქვა:- ჩვენ არ გვჭირდება სახელმწიფოსგან ორას და სამას ლარიანი სუბსიდია, მუშაობის საშუალება მოგვეცით, მაგაზე მეტსაც გამოვიმუშავებთ და ბიუჯეტსაც შევავსებთ!- ეს ახალგაზრდაც მუსიკოსი აღმოჩნდა. არც ხალხი იყო ბევრი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ისაა, რომ ბარბარე განბილებული დარჩა, ის სხვაგვარ აქციებს იყო ნაჩვევი, ძარღვიანს, კატეგორიულს, ემოციურს. მხრებანურული გამოიძიურნა. უხაროდა ღია ცის ქვეშ ყოფნა, მისეინობდა, ქაშუეთის ტაძართან შეჩერდა, პირფვარი გადაისახა და 9 აპრილის პარკით სანაპიროსკენ დაეშვა. სხვადასხვა ადგილას ჯდებოდა, გაზაფხულის სურნელ -შეპარულ ჰაერს ისრუტავდა, გაფაციცებით ატრიალებდა თვალებს, კაცი იფიქრებდა ჟანგბადს იპარავს და შიშობს, ქურდობაზე არ წაასწრონო. ოდნავ პირბადე-ჩამონეული, ნესტოებ-გაფართოებული, თავბრუდახვეული, ფიზიკურ სისუსტეს გრძნობდა და ნელ-ნელა ცისფერ სახლსაც უახლოვდებოდა, რომ უცაბედად რაფაელმა დაურეკა, შენტან საქმე მაქვსო. ის მოვიდა და სიმართლე უთხრა ქალს, რომ მარტო ცხოვრებისგან გატანჯულია და სურს ბარბარეს თავის ეზო-კარში მიყვანა, ცოლად შერთვა. მინდა ყოველ დილით ლოგინში შენს გვერდით გავიღვიძოო. მოულოდნელმა განაცხადმა ქალი დააბნია. აკი ვიძმაკაცოთო?! ამ მომენტამდე ტაქსისტს პირობა არ დაურღვევია, ბარბარეს მეგობრობას უწევდა. ვაჟისთვის ველოსიპედიც ათხოვა, ერთურთს ენდობოდნენ, ბარბარე დროს ელოდა, რომ თავადაც რაიმეში გამოსდგომოდა გვერდში მდგომს და რაფაელმა იჩქარა, ეს კარგიც კი იყო. მიხვდა, მხოლოდ ბარბარეს დასაკუთრების სურვილი ამოძრავებდა. ითხოვა რაც სურდა, ვერ მიიღო და არც კი შეეყოვნებულა, მტკიცე არა თქვა. ცოლად მომყვები, ან შენ შენთვის, მე კი ჩემთვისო. ჰო,



და მაშინ მიბრძანდითო, მოახსენა გაგულისებულმა ბარბარემ. რაფაელი წავიდა და ბარბარეს სულს უხილავი ბორკილები აეხსნა. ლაგამამოდებულივით ყოფილა ამ კაცთან ურთიერთობისას და ვერ გრძნობდა, გათავისუფლებულს არ გაკვირვებია რაფაელის საქციელი, უკვე იმ ასაკში იყო, ძნელად რომ უკვირთ... ის წავიდა უკანმოუხედავად, როგორც მონადირე, სხვა ქალის მოსანადირებლად, რომ საკუთარი მარტოობისთვის ბოლო მოეღო. ბარბარე თითქოს მოიშინაურა, მაგრამ ვერ დაისაკუთრა და გაათავისუფლა...



აზგაპი მუშვიდი

ბრაზიკოს-ზერმენარი და საქსოფონისტი

მეც ცისფერ სახლში ვცხოვრობ, მეორე მისამართზე, ეზოს კარიბჭის გვერდითა სადარბაზოში. ჩემი ბინის ფანჯრები და ჩუქურთმიანი ორი აივანი ამოსახვევ ქუჩას დასცქერის. მხატვარი ვარ, პედაგოგად ვმუშაობ სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ ამ ეტაპზე სამსახურში არ დავდივარ, ნამდვილი ლექციები არ ტარდება და სტუდენტებს ხატვა ინტერნეტით როგორ ვასწავლო არ ვიცი... მათ ყოველ დღე ვესაუბრები სახვით ხელოვნებაზე, ზოგადად სხვადასხვა მიმდინარეობებზე, ლიტერატურასა და მუსიკასაც ვეხებით, სტუდენტებისგანაც ბევრს ვგებულობ, ჩემი ჭკვიანი და ნიჭიერი ახალგაზრდები სიცოცხლეს მილამაზებენ, ვიცი, მრავალი მათგანი საბოლოოდ ჭემმარიტ ხელოვნად ჩამოყალიბდება, საინტერესო, ორიგინალური ხედვებიც აქვთ, მოაზროვნეები არიან, ესთეტიურად განვითარებულნი, რაც ძალზედ მახარებს.

ახლა არდადეგებია და დილით სასეირნოდ გავდივარ, ფურცლები და უბრალო ფანქარი მიმაქვს ჩანახატების გასაკეთებლად, აქცენტებს არქიტექტურაზე გავაკეთებ და ვისიამოვნებ.

გზად მეზობელ ბარბარეს გადავეყარე, ერთმანეთს კორონულად მივესალმეთ, მუშტი მოვიღერე, იმანაც იგივე გააკეთა და ვაჯახეთ ერთმანეთს, უცნაურ დროებაში აღმოვჩნდით, კოცნას კი არა, ლაპარაკსაც გვიშლიან და რა ვქნათ, სხვაგვარად ვერ მოვესიყვარულებით ერთურთს, ვითმენთ, ასე ცხოვრობენ დღეს მსოფლიოში, უკარებლებისა და ხელშეუხებლების როლებს ვირგებთ, არადა, ჩახუტება არ გვანყენდა. საინტერესოდ გამოიყურებოდა ბარბარიკო. მისი პორტრეტის შექმნის სურვილი გამიჩინდა. დღეს თავი შევიკავოთო მითხრა, შინ შესვლას ეშურებოდა. გადავწყვიტეთ თხუთმეტ თებერვალს ჩვენს საყვარელ კაფეში ფინჯანი ყავა დაგველია, თავად დამპატიჟა და დავთანხმდი.



მეც მომნატრებია ბავშვობის მეგობართან და მეზობელთან საუბარი. კაფეში ყველაფერი გემრიელია. სამწუხაროა, ბარბარეს ამოჩემებული კაფის ინტერიერში არ შეგვიშვებენ, არ შეიძლება. ბარბარემ რატომღაც კოქტოს კაფე შეარქვა, ოფიციალურად მოდილიანი ქვია, ისიც არ ვიცი, რატომ. იდეალისტია ბარბარე, მეოცნებე და დაფრინავს, ადრეც ამ აზრისა ვიყავი მასზე და მომწონს ეს ადამიანი. გული მწყდებოდა, გარეთ რომ მოგვინევდა დასხდომა და მეღიმებოდა იმაზედ, რომ თუ ერთად ვიყავით, ყოველთვის დები ვეგონეთ, ახლაც დედამამიშვილებივით გამოვიყურებით. ჩვენი მამებიც ერთ თაობას ეკუთვნოდნენ, მამაკაცები მსგავსი გარეგნობისა და სტილისანი. მე და ბარბარეც თანატოლები ვართ. მეც შემომრჩა ხუჭუჭა თმა და ბარბარესაც. ეგაა მხოლოდ, შედარებით მაღალი ვარ.

ბარბარეს ესკიზი რომ ვერ გავაკეთე ხასიათი გამიფუჭდა. ამ ბოლო დროს ყველა წვრილმანი საშინლად მანერვიულებს და ხელის გულები მიოფლიანდება, მარტოობა მინდა, სიჩუმე, რომელიც ჩვენს ქუჩაზეა გამეფებული. ნავსაყუდელს ვეძებ და ვერ ვპოულობ, ვერ ვმშვიდდები, რამე უნდა დავხატო!.. ახლა ნაცრისფერ შუქს ვხედავ, ბოლო დროს ჩემს ნახატებში ბევრი ნაცრისფერია, პირქუში პეიზაჟები გამომდის. ახალი სინათლის ძიებაში დამიღამდა. დღემ დროის არცერთ მონაკვეთში ახალი შუქი არ დამანახა, რომ ხატვისას გამომეყენებინა. ახლებური შუქი, ჩემი თვალისჩინის პერსონალური სინათლე მინდა!

ვორონცოვზე გავედი, აუ, რამდენი მანქანაა! ავტობუსების ზუზუნმა ჩემს ყურებში საშინელი კაკაფონია გამოიწვია, მაგრამ მაინც დავხატე იქვე, უცბად, ფანქრით. ჩემი თავი, წითელ ველოსიპედზე რომ ვიყავი ამხედრებული და უკან ბარბარე მეჯდა. მკლავები ჰქონდა ჩემს წელზე შემოხვეული. ისე ძლიერ მეკვროდა პაპანაქებაში, რომ ორმაგად ვხურდებოდი, მაინცდამაინც მოედანს ვარტყამდით წრეებს და მილიციელებს ვაბრაზებდით. ბარბარეს კისკისი ახლაც ჩამესმის ყურში. ერთი მილიციელი ახალგაზრდა იყო და მგონი ორივეს გვეპრანჭებოდა, გამოგვე-



ჭიმებოდა და ლექციას გვიკითხავდა თემაზე:- საშიშია, არ მოკვდეთ! დასკვნითი ნაწილი მოთქმითი შინაარსისა ჰქონდა: - მანქანა რომ დაგეჯახოთ, მეც დავიღუპები თქვენთან ერთად, გავთავდები კაცი!

რამდენი მეგობარი მყავდა ბავშვობაში, ახლა კლასელებსაც დავეშორდი, მეგობრებსაც, აღარაფერი მაქვს მათთან საერთო. ჩვენში დარჩეს და არც ბარბარეს ვეხმიანები, მაგრამ მასთან სულიერ სიახლოვეს მაინც ვგრძნობ სხვათაგან განსხვავებით. ჩემთვის ვარ, ყველაც ეგრეა. დროება შეიცვალა, ცივი გახდა ურთიერთობები და რატომ? განვმარტოვდით და დავიჯერო ისე გავძლიერდით, რომ ერთმანეთი აღარ გვჭირდება?!

დავხედე ნამუშევარს და მომენონა სურათი. ტილოზე გადატანა რომც ვერ მოვახერხო, ბარბარეს მაინც ვაჩვენებ. ნეტავ რას მეტყვის? ამ და იმ სახლს შორის მიდი-მოდის. არ ვიცი ბოლო დროს ცისფერ სახლში ღამით თუ რჩება, ვერც გაამტყუნებ, თუ აქ აღარ ცხოვრობს, რა უნდა აკეთოს მარტომ?! მისი ვაჟიშვილიც ალბათ ამ დაცარიელებულ უბანს ვერ ეგუება, ქალიშვილი ქმართან ერთად უცხოეთშია წასული, არ ჩამოდიან და დედასაც ვაჟიშვილთან ურჩევნია ყოფნა დღეცა და ღამეც.

თხუთმეტი დეკემბერიც გათენდა, გვეშველა, გაიხსნება დღეს კვების ობიექტები, სავარჯიშო კლუბები... ძველი უბნისკენ გასწია ბარბარემ. უხაროდა, ვინაიდან ფინჯან ყავაზე დაპატიჟა მეზობელი მხატვარი, წიგნიც ჩანთაში ედო, რომ მისთვის ესახსოვრა. კაფე კოქტოს ვიტრინის წინ შეჩერდა. დილაუთენია აღარ ითქმოდა, მზე უკვე ამოსულიყო, მაგრამ კაფე ჯერ არ გაეღოთ, ინტერიერში ფუსფუსებდნენ, ემზადებოდნენ სტუმრების მისაღებად... ვიტრინის უკან მაღალი, გამხდარი კაცი იდგა საქსოფონით ხელში, შეჩერდა ქალი, გაეღიმა, თვალი მიაპყრო მაღალყელიან ღუნღულა, თეთრ, ქათქათა სვიტერს, რომელიც მუსიკოსს ეცვა, ზედ გამოსახული პატარა ქორბუდა ირმების გამოსახულებების ფონზე ოქროსფერი საქსოფონი მიმზიდველად გამოიყურებოდა. ამ საკრავის ხმა ყოველთვის მოსწონდა



ბარბარეს, მაგრამ ახლა ჩასაბერის დიზაინმა მოხიბლა, კვიციის თავს მიამსგავსა, გარეგნულადაც როგორი დახვეწილია საქსოფონო გაიფიქრა და მერე შეხედა იმას, ვისაც ეკავა... თავჩაქინდრული კაცი ცალ ხელს უსვამდა საქსოფონს, თითქოს ეფერებო. ვიტრინაში ქუჩიდან შეჭრილი მზის სხივები საქსოფონს ეფინებოდა. სათუთად ეკავა მუსიკოსს საკრავი, მონდომებული მუნდშტუკს არგებდა. თავი ასწია და მომხიბლავად გაუღიმა ბარბარეს, როგორც ნაცნობს, მაგრამ ბარბარე მას არ იცნობდა, გზა გააგრძელა. იგრძნო, ვილაც დაჟინებით უმზერდა, უკან მიიხედა, მუსიკოსი გარეთ გამოსულიყო, ინტერესით შესცქეროდა, მან ქალს ხელი აუწია, როგორც ახლობელს. ბარბარემ იფიქრა, უთუოდ ვილაც ნაცნობში ავერიე. თეთრსვიტერიანმა ნიკაპი მოისრისა, თითქოს რალაცამ დააეჭვავო. ბარბარემ ჩამონეული პირბადე ისევ ცხვირამდე აიწია, სახე დაიფარა. ტელეფონი ხელთ ეკავა, რომ მხატვრის ზარის ხმა გაეგო. იცოდა ბარბარემ, რომ შინ არ ესტუმრებოდა, ეს იყო ადამიანი, რომელიც სტუმრად არავისთან მიდიოდა, მაგრამ მასპინძლის ამპლუას ჯადოსნური მომხიბვლევობით ირგებდა. ბავშვობაშიც ასეთი იყო, არაფრის დიდებით სხვის სახლში არ შევიდოდა. ახალგაზრდობისას ამხანაგობდნენ და არანაირი ხვენწა-მუდარა არ ჭრიდა მასზე, სადარბაზოში კარებთან ატუზვა ერჩივნა და ასე დალოდება ამხანაგებისა. სამაგიეროდ, ბარბარეს მოსწონდა მასთან სტუმრობა, საინტერესო მასპინძელი იყო, აუცილებლად ახალ ნახატებს გაჩვენებდა, რომ შეგეფასებინა, თუ ეტყოდი კარგია, მომწონსო, სიხარულით თვალები გაუფართოვდებოდა, მურაბად ქცეული კაკალივით აუბრწყვიალდებოდა. ბარბარე გრძნობდა, მხატვარს შექებისას ძალა ემატებოდა, ახალი, შემოქმედებითი ენერგიით ივსებოდა. ბარბარეს მამაც ამბობდა, ეს ბავშვი მხატვრად დაბადებულიო.

მარტოობა უყვარდა მხატვარს, ოჯახის წევრებსაც არ ელაპარაკებოდა და ისინიც მუშაობაში ხელს არ უშლიდნენ. მის ოთახში მხოლოდ ბებოს ჰქონდა შესვლის უფლება, ვინაიდან



შვილიშვილის გვერდით ეძინა. ბინის კედლები პატარა მხატვრის შესრულებული ნამუშევრებით იყო მორთული. კარებზეც კი სურათები ეკიდა.

ტელევიზორს არ უყურებდა, დროს მაკარგვინებსო. აპოლიტიკური იყო ყოველთვის, თუმცა ისტორიას კარგად სწავლობდა. ბარბარეს პარალელური კლასელი იყო და შატალოებს აწყობდა. წინ გაუძღვებოდა კლასელებს, ხან მითანმინდაზე გარბოდნენ, ხანაც სამხატვრო გალერეებში, მერე „ლალიძის ნყლებში“ ნაირნაირ ლიმონათებს აგემოვნებდნენ ხაჭაპურებთან ერთად და ნაყრდებოდნენ. ყველა კმაყოფილი რჩებოდა, ვინაიდან, მერეც, როცა ყველაფერი ჩაივლიდა, ზრუნავდა, კლასი რომ არ დასჯილიყო. ყველას მაგივრად დანაშაულზე პასუხისმგებელი შატალოების ორგანიზატორი ხდებოდა შინაც და გარეთაც, მხოლოდ ბებო არ უბრაზდებოდა. ჯერ დედ-მამა გაუბურლავდა ტვინს, მერე კლასის დამრიგებელი დატუქსავდა, მერე კაბინეტში საქმის გასარჩევად დაიბარებდა თეთრთმიანი და მწვანე-თვალეზა დირექტორი სულიკო, რომელსაც ბავშვი-მხატვრის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებული საკუთარი პორტრეტი კედელზე ჩამოეკიდა და ამაცობდა, დარწმუნებული, რომ სკოლის კედლებში მეორე ვან გოგი იზრდებო, მაგრამ“ ხულიგანიც“ იყო პატარა ვან გოგი, ამიტომ მის ოთახში მონინებით თავდახრილ ბავშვს წარბს აუნევდა და როგორც კი კაკლის მურაბასავით მბრწყინავი თვალეზით ამოხედავდა მხატვარი ბავშვი, მაშინვე მოლბებოდა დირექტორი, ხუჭუჭა თავზე ხელს დაადებდა, აკოცებდა და ეტყოდა, აღარ ქნა ეგ, აღარ ქნაო, ღიმილიანი გამომეტყველებით ევედრებოდა. აბა, სკოლიდან გარიცხვას როგორ გაუბედავდა შემოქმედ, კარგ მოსწავლეს, სხვადასხვა კონკურსებზე მრავალგზის გამარჯვებულს, სკოლის სტენდებისა და კედლის გაზეთების უბადლო გამფორმებელს?!

სკოლა დაამთავრა, სტუდენტიც გახდა. ცდილობდა, რაც შეიძლება გვიან შესულიყო შინ. ბავშვობაში სულ ბებიასთან ერთად იყო, ქუჩაშიც ერთად გადიოდნენ ხელიხელჩაკიდებულ-



ნი. ბებო მშობელიც იყო და მეგობარიც, მხოლოდ მას უყვებოდა შთაბეჭდილებებზე, ემოციებზე, ან როგორ ჩაიარა დღემ, ვის დაელაპარაკა, სად იყო და ვინ გაიცნო. ბებოს ესმოდა მისი. აღმერთებდა შვილიშვილს. რომ გარდაიცვალა, გარდაცვლილიც კი ამაყად იწვა სასახლეში. დიდხანს იდარდა შვილიშვილმა, ბებოს გარეშე სუნთქვაც უჭირდა და რომ შეეგუა მის არყოფნას, მარტოსულად გადაიქცა. დღემდე ისე მოვიდა, ვერავის დაუახლოვდა, თუმცა ყოველთვის უამრავი ნაცნობი ჰყავდა, ბევრსაც ეგონა, რომ მხატვრის მეგობარი იყო, მაგრამ სინამდვილეში ის არავისთან მეგობრობდა, კეთილ და სასიამოვნო ადამიანად დარჩა, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების თვალში ასეთად აღიქმებოდა. მხოლოდ ხელოვნებაზე ლაპარაკობდა, არაფერს საკუთარ თავზე, და ისინი, ვინც ხელოვნების დარგებში ვერ ერკვეოდნენ გაუბოდიშდნენ. მხატვარი იმათზეც საუბრობდა, ვინც მოსწონდა და უყვარდა, განსაზღვრავდა, როგორ, რატომ, რისთვის ალაფრთოვანა მავანმა. ურთიერთობებში დელიკატური, ზომიერი და ფრთხილი იყო, ადამიანებზე მხოლოდ კარგის თქმა შეეძლო, ცუდის არა. დადებითის დანახვა იცოდა, უარყოფითს თითქოს ვერ ამჩნევდა. ასაკში შესული, მაგრამ ჯერ ისევ ახალგაზრდა, შარმიანი, ენერგიული, მხიარული მარტო ცხოვრობდა, დამხმარეც კი არ ჰყავდა, თავად იყო მზარეულიც, დამლაგებელიც. უბნელებმა მეტსახელად ასკეტა შეარქვეს. ბარბარესაც ცოტახნით ჰქონდა მეტსახელი-ბუსა, მაგრამ ვერ მოარგეს და მალევე დაივიწყეს. დარჩა ასე უთიკუნოდ, უბანში ბარბარედ, მხატვარს კიდევ ორი მეტსახელი შემორჩა, სკოლაში ვან გოგა და უბანში ასკეტა, ისე ანა ერქვა.

...

კაფე „მოდელიანის“ ვერანდაზე მაგიდასთან მოხერხებულად მოკალათდნენ ბარბარე და ასკეტა. ოფიციალტმა ყავა და ალუბლის წვენი მოიტანა თან საწრუპები მოაყოლა. ბარბარემ თავისი წიგნი მაგიდაზე დადო. ასკეტამ წიგნს დახედა, სკამის საზურგეზე ჩამოკიდებული ნაჭრის ჩანთიდან თავისი ბოლო ნა-



მუშევარი ამოიღო და ბარბარეს გაუნოდა. ქალი დაინტერესდა, სასწრაფოდ სათვალე მოირგო ცხვირზე და ესკიზს დახედა, თვალები აუნწყლიანდა: - ჩვენ ვართ?

პასუხის გაცემა ვერ მოასწრო მხატვარმა, რომ საქსოფონისტი კაფეს კარიდან გამოვიდა და გახევედა.. ასკეტამ გვერდით გაიხედა, დაინახა და მაშინვე ფეხზე წამოდგა. კაცმა მკლავები გაშალა და მხატვარს მოეხვია, თან ბუტბუტებდა:-შე მაიმუნო შენა, მაიმუნო!...

მხატვარიც ლამის ატირდა:-კაი, ჰო, მორჩი ნუნუნს, გეყოფა!-ბარბარეს გამოხედა, რომელიც საქსოფონისტს მისჩერებოდა და კაცმა არ იცის რას ფიქრობდა. მხატვარმა საქსოფონისტს ხელი ჩასჭიდა, ანას ნაცნობი სკამზე ჩამოჯდა და იქვე მდგარ ოფიცინტს, სიგარეტს რომ ეწეოდა, ანიშნა, ყავა მომიტანეო. საქსოფონისტი ჯერ მხატვარს დააკვირდა, მერე ბარბარეს ჩაამტერდა და მიმართა:- თქვენ ის ხართ ხომ, ამ დილით რომ... და დადუმდა.

-გაიცანი ბარბარე, ეს მერაბია!

-ჰო! -თავი დაუკრა კაცმა ბარბარეს, მერე მხატვარს მიმართა:- თქვენ ნათესავები ხართ?

-მეგობრები!-უპასუხა მხატვარმა.

-ამ დილით ეს ქალბატონი შენში ამერია, მგონი გავაოცე კიდეც ჩემი საქციელით.

-მივხვდი! ლამაზად გამოიყურებოდით საქსოფონით ხელში, იმიტომ შევჩერდი, გიყურებდით. ასკეტას რომ დაენახეთ, აუცილებლად დაგხატავდათ.

- რახან მეგობრები ხართ, გეტყვით, რომ უკვე დამხატა დიდი ხნის წინ.

-მერე, ცუდი გამოვიდა?!-იკითხა ასკეტამ.

-შესანიშნავი! -დაადასტურა საქსოფონისტმა.

ბარბარეს ეშმაკურად ჩაეცინა: - და, ამ დროს შეგიყვარდათ?

კაცმა თავი გააქნია: - მანამდეც მიყვარდა ეს მაიმუნი გოგო!

-მიიღი!-გაბრაზდა ასკეტა.



-რატომ უბრაზდები გოგო, საინტერესოა,-დაამშვიდა ბარბარემ მხატვარი:- შენც გიყვარდა?

ასკეტამ თავი ჩაღუნა და წარმოსთქვა:-რა ვქნა ახლა, გული გადაგიშალოთ?

- რატომაც არა! - უპასუხა ბარბარემ.

- აბა რა გითხრა, ცოლობას მთხოვდა და...

- აბა, სხვა რა უნდა მომეთხოვა, მაიმუნო!-საქსოფონისტ-მა ხელები უმწეოდ გაშალა და ბარბარეს გამოხედა:-გამაოგნა, მორჩა სამუშაოს, აილო ჩემი ტანსაცმელი, შემომაჩერა ხელებში და ცივად, მბრძანებლურად მითხრა, ახლა წადიო!

- მერეო! - დაინტერესდა ბარბარე.

- მერე რა, ვურეკავდი და მპასუხობდა, თავი დამანებეო, დავანებე მეც... - მრავალმნიშვნელოვნად დაასრულა მერაბმა.

- ძალიანაც კარგი, რომ დამანებე!-დაადასტურა ასკეტამ:- არ ხარ შენ ის კაცი, მე რომ მეყვარებოდა.

სიჩუმე გამეფდა სამს შორის და ბარბარე ხან ერთს მიაჩერებოდა, ხან მეორეს. კაცი უყურებდა ყოფილ შეყვარებულს, ის კიდევე წვეწვს წრუპავდა და ცას შეჰყურებდა.

- მაინტერესებს, ვინმე თუ გყვარებია საერთოდ! - ბარბარემ მხატვრის ხელს ხელი დაადო: - მართლა ოღონდ!

- კი, როგორ არა, მაგრამ არცერთთან გამიმართლა...

- და სულ რამდენი გიყვარდა? - დაინტერესდა ბარბარე.

მხატვარმა ოთხი თითი აჩვენა ორთავეს.

-ყველას მიმართ ერთიდაიგივე გრძნობა გქონდა?

-როგორც მწერალს, ისე გაინტერესებს, თუ...

-მაინტერესებს, როგორც ადამიანს, ქალს, სხვა თუ შემეყვარდება, როგორი იქნება ეს სიყვარული, იმის მსგავსი, როგორიც მქონდა?

-ეგ არ ვიცი, მაგრამ მე ოთხივე სხვადასხვანაირად მიყვარდა.

მერაბს გაელიმა და ბარბარეს მიმართა:-აი, ხომაა ახლა ეს წმინდა წყლის მაიმუნი?!

-თქვენ როგორ გააგრძელეთ ცხოვრება, ამას რომ დაშორ-



დით?-ახლა მერაბის ყოფით დაინტერესდა ბარბარე.

-ამას თუ გაგრძელება ჰქვია არ ვიცი, უცოლოდ დავრჩი.

მხატვარმაც ამოიღო ხმა:-იქნებ მე მაბრალე მამასაც, მოგეყვანა, თუ ასე გინდოდა, დაგიშალა ვინმემ?!

-შენ არაფერს გაბრალე მაიმუნო... მაგრამ მიყვარდი!

-ეს კაფე-ბარი ვისია?-იკითხა ბარბარემ.

-ეს კაფე ჩემია, საქსოფონზეც დავუკრავ და გავაგრძელებ ასე ცხოვრებას.

-არენდით გაქვთ ალებული?

-არა, ფართი შევისყიდე და შეგიძლიათ მობრძანდეთ ხოლმე.

-დიდი ხანია?-დაინტერესდა ბარბარე.

-შარშან გაზაფხულზე და მერე რაც მოხდა, თქვენც იცით, მომავალი მიჩვენებს რას და როგორ გავაკეთებ...-მერე მხატვარს შეხედა და უთხრა:-მაიმუნო, შემომყევით კაფეში, რალაც უნდა გაჩვენოთ.

ქალები შეეყვნენ მერაბს, ცარიელ სივრცეში ერთი მაგიდა იდგა. რომელზეც შემოდებული იყო განიერი ლითონის მილი, კედლის კუთხეში წითელ სკამზე საქსოფონი იდო. მერაბმა ხელი ნაავლო საკრავს, მილთან მივიდა, წაიხარა და ჩაბერვა დაიწყო. გოგოებმა გაოცებით შეხედეს ერთმანეთს. დაიწყო, მარა რა დაიწყო, ეს იყო ვირტუოზული შესრულება რომელიღაც პიესისა, უცბად საქსოფონი მილს მიუშვირა და ჯაზზე გადავიდა, იქიდან სხვა საქსოფონმა უპასუხა, ეს ექო იყო, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მილში სხვა მუსიკოსი ზის და ამ საქსოფონისტს ეპაექრებაო. აღფრთოვანებულმა ბარბარემ სხეული აამოძრავა, აცეკვდა, თავსაც მიმზიდველად იქნევდა, რითმს ცალი ფეხით, ენერგიულად აჰყვა, კაფეს თანამშრომლები გარს შემოერთყნენ მოცეკვავეს. მხატვარი ატორტმანდა, ტაშით, რითმულად, საქსოფონის კეთილხმოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, ამ ხმამ ააცეკვა ყველა, თორემ ცეკვის დრო იყო?! არავინ არავის ელაპარაკებოდა, მხოლოდ ცეკვავენენ. ის დღე შთაბეჭდავად დასრულდა.



ა, ბატონო, გაიხსნა კაფე-ბარ-რესტორნები, მაგრამ ძველი უბნის ქუჩა უმნიშვნელოდ გამოცოცხლდა. კაფე-ბარებმა კლიენტთა სიმცირის გამო ძველებური პენი ვერ დაიბრუნა. ციოდა იმ დღეს, ჩვიდმეტ თებერვალს თოვლი მოვიდა.

თაბახის ფურცლები რომ წაიღო, მას შემდეგ არ შეხმიანებია ბატონი მირზა ბარბარეს. საქსოფონი და მირზა ერთდროულად გაახსენდა, გარეთ თოვდა და თოვდა...

მსხვილი თოვლის ფანტელები ეფინებოდა ქალაქს და სპეტაკ სითეთრეში ახვევდა. ბარბარეს არ უყვარდა თოვლი, არც ზამთარი. რატომღაც აწრიალდა, გარეთ გასვლა მოუნდა, თითქოს ცისფერი სახლი ეძახდა, მხოლოდ ბინა კი არა, მთლიანად შენობა. ლუკა წინ აღუდგა დედის ნებას, ეჩხუბა კიდეც, რას დაიარები აქეთ-იქით, გუშინწინ არ იყავიო?! მაგრამ ბარბარემ არ დაუფერა, თბილად ჩაიცვა და გაიქცა სახლიდან. ავტობუსში ცოტა მგზავრი იყო. ფანჯარასთან დაჯდა, მოდუნდა, ჩაეძინა კიდეც და როცა გამოეღვიძა ქაშუეთის ტაძარიც დაინახა, უნდა ჩამოსულიყო ავტობუსიდან და ბალებით მიეღწია ცისფერ სახლამდე. ციოდა, ვერც თოვლი დაფენვოდა ქალაქის მიწას, წყლის გუბებზე კქეულიყო და ალაგ-ალაგ დარჩენილ თოვლსაც ფერი დაჰკარგვოდა, მისი სითეთრე ტალახს შეებლალა, ბინძური და განაცრისფერებული იყო. ფრთხილად მიდიოდა, რომ არ ნაქცეულიყო.

სადარბაზოში შევიდა და გაოცდა. ბარბარეს გარდა არავინ ასუფთავებდა იქაურობას, ეგონა რომელიმე მეზობელმა მიჰბაძა სისუფთავის დაცვაში, ბოლო დროს ცისფერი სახლის სადარბაზოში უცხოები შემოდიოდნენ და გარდა იმისა, რომ ანაგვიანებდნენ სივრცეს, ტოვებდნენ თავიანთი ნამუსრევის ნარჩენებს, სიგარეტის ნამწვავებს, უსირცხვილოდ შარდავდნენ კიდეც... სადარბაზოს სიბინძურე თითქოს არავის ადარდებდა, ბარბარე იქცა ამ სივრცის დამლაგებლად. ახლა გუბე და ზემოდან ჩამოდენილი წყლის წვეთები რომ დაინახა გაეხარდა, აქ რომ აღარ ვცხოვრობ, როგორც ჩანს, სიბინძურემ შეანუხა ვილაცაო,



მაგრამ ასე არ ყოფილა. ნყლად ქცეულ თოვლს სახურავი დაე-ზიანებინა, ჭერზე პატარა ღრმული და გრძელი ბზარიც გაეჩინა. გული მოეწურა, სადარბაზო ზიანდებოდა და ეს არცერთ მოსახლეს ადარდებდა.

...

ბარბარეს გვერდით, მარჯვენა მხარეს ორ ბინაში არაბები ცხოვრობდნენ, რა თქმა უნდა, მათ ეს არ ააღელვებდათ, თავადაც მავნებლობდნენ, ერთმა სადარბაზოში გამომავალი კედლის უკან სველი წერტილები გააკეთა და კაცმა არ იცის რა და როგორ დაზიანდა იმ ბინაში, სადარბაზოს კედელი გარედან დანესტიანდა, სოკო გაუჩნდა, კედელი იშლებოდა და წითელი, ძველებური აგურები აქა-იქ მოსჩანდნენ. მეზობლები თხოვდნენ არაბს ზომების მიღებას, მაგრამ მას მხოლოდ ირონიული ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, კედელი კი განაგრძობდა შლას. ხელმარცხნივ კარის მიღმა კორიდორი იწყებოდა, იმ კორიდორს ერთ დროს კარები არ ჰქონდა და როცა ბარბარემ თავისი ბინის ხის კარები რკინით შეცვალა, ამ კარების ნალევა დათოს მოუხდა რაიონში, მაგრამ სახლის ამხანაგობის თავჯდომარემ სთხოვა, ხის კარი სადარბაზოსთვის ეჩუქებინა. დათოს ხმა არ ამოუღია, დასთმო ძველებური კარები და შეაბეს ხუთნახნაგიანი კორიდორის შესასვლელს. ბარბარეს გარდა რვა ოჯახი სარგებლობდა ამ სადარბაზოთი, ამხანაგობის თავმჯდომარეც, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო შინ ეზოდან ხვეული კიბით ასულიყო. იმ ფლიგელში რამდენიმე ოჯახს, ჯერ კიდევ საზიარო ტულაეტი და სამზარეულო ჰქონდა.

ერთ ოთახიანი ბინა მეზობელმა კოტემ ჰანდემიის დანყებამდე რამდენიმე თვით ადრე გაყიდა. კარგი კაცი იყო, ერთადერთი მეზობელი, რომლის კარიც ბარბარესთვის ყოველთვის ღია იყო, ის სებასტიანესაც იცნობდა და პატივს სცემდა, ზოგჯერ ერთად ქეიფობდნენ ხან ბარბარეს მშობლების ბინაში, ხანაც კოტე შეიპატიჟებდა შინ სებასტიანეს, თუ კარგი ღვინო ან არაყი მოეძეებოდა, ისხდნენ, სვამდნენ, საუბრობდნენ. ახალმა მეპატრონემ



ბინა გადაასხვაფერა, გაალამაზა და მშვენიერ სასტუმრო ნომრად აქცია, უცხოელებზე დღიურად აქირავებდა. პანდემიის დროს იმ ბინაში ორი რუსი გოგონა ცხოვრობდა, როგორც ჩანს სამშობლოში ვერ ან არ ბრუნდებოდნენ.

მეზობელ გიას ცოლმა კი უზარმაზარი კრედიტი აიღო. ბინა ათ ნომრიან საოჯახო სასტუმროდ აქცია. ქალი დასაქმდა სახლშივე, გადასახადს პროცენტითურთ იხდიდა ბანკში, მაგრამ გადაიღალა, სასტუმრო გააქირავა და თავად იქვე, უბანში ოჯახით ქირით გადავიდა, მაგრამ 2020 წლის გაზაფხულზე, კორონული კომმარის დასაწყისშივე, გიას ბინის დამქირავებელი დროზე ადრე გავიდა ფართიდან, ის ველარ მუშაობდა გასაგები ხელის შემშლელი მიზეზების გამო. ხელმეორედ, ძლივს გააქირავეს, მასაჟისტები შევიდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, მათ შორის ბარბარე-მაც, რომ სინამდვილეში იქ სამასაჟო კი არა, ფარული საროსკიპო გაიხსნა. კიდევ იყო ბავშვობაში გონებრივად ჩამორჩენილი, სასტიკი და მოძალადე ბექა, რომელიც ცდილობდა ყველასთვის დაეშავებინა. ერთხელ, ეზოში ჩასულ ბარბარეს ძმასაც მიეპარა და ყურის ბიბილო აახია. ოჯახს ხმა არ ამოუღია, მიხედვს ბავშვს, უმკურნალებს, არადა დედამისი, ფარმაცევტი ლამარა, ბარბარეს მამის თანამშრომელი იყო. ბექას მკვეთრად შესამჩნევი სიჩლუნგე ნელ-ნელა ალაგდა. სკოლაც ძლივს, მაგრამ დაამთავრა, თავზე ხელალებული აგრესიულობა და ბოროტებაც აღარ ემჩნეოდა, გაიზარდა, ეკლესიაში დაიწყო სიარული, სულიერი მოძღვარიც გაიჩინა. როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა სწავლა ვერსად გააგრძელა, არც არასდროს უმუშავია, სამაგიეროდ პენსია დაენიშნა, დედამისიც პენსიონერი იყო, როგორღაც თავი გაჰქონდათ. ლამარა ისე მოხუცდა, რომ ზოგჯერ საკუთარ შვილსაც ვერ სცნობდა. ბექა შეიცვალა, მოხუც დედას უვლიდა, მაგრამ როცა ბარბარეს ელაპარაკებოდა, ქალი გრძნობდა, რომ ბექა ისევ ბოროტი და მავნებლობისკენ მიდრეკილი იყო, მაგრამ სხვა მეზობლებისგან იმითი განსხვავდებოდა, რომ ნაკლებად კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ასე



თუ ისე, იმდენი კულტურა ჰქონდა, მეზობელი შინ შეეპატიჟებინა. დანარჩენები შეიცვალნენ, საუბრისას ერთ ორ სიტყვას გესროდნენ და კარსაც ცხვირწინ მოგიჯახუნებდნენ. უკვირდა ბარბარეს, სად გაქრა ძველებური, კეთილმეზობლური ურთიერთობები. იქნებ არც ადრე უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ შურს, ბოლმას, ბოროტ სურვილებს საჯაროდ არ უძღვნიდნენ ერთურთს, შეგნებულად არ ამზეურებდნენ შურ-ბოლმიანობას და თამაშობდნენ კარგ მეზობლობანას... უცნაური დროება დადგა, ცისფერი სახლის ბინადრები გათითოვაცდნენ, შეიკეტნენ ისე, რომ ერთურთის მოკითხვას ვილა ჩივის, ერთმანეთის სიკეთე, პატარა კეთილდღეობა, წარმატება, წინსვლა აღიზიანებდათ და წარმატებულის მიმართ ზიზლით იმსჭვალებოდნენ. ბარბარეს დაქვრივება ზოგს გაუხარდა კიდეც. მეზობელთაგან ვილაცამ ბარბარეზე ჭორი ააგორა, ვითომც ასაკით უფროს კაცს ცოლად სიმდიდრის გამო გაჰყვაო, არადა, სებასტიანე ბარბარეზე მხოლოდ ექვსი წლით იყო უფროსი. გული უარესად რომ არ სტკეუნოდა, არ მოინდომა სიბინძურების გამავრცელებლის ვინაობის გაგება. ზოგადად, ვითარება ასეთი იყო, მეზობლები ერთმანეთს ჭორავდნენ, ერთურთზე იგონებდნენ არარსებულ ისტორიებს, არსებულებსაც ბოროტ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ და ავრცელებდნენ. ვისთანაც შეხება არ ჰქონდათ, იმათი ინტერესი სტანჯავდათ და გაგულისებულებს ასეთებისთვის გამარჯობის თქმაც ეზარებოდათ. მეტი რა გზა ჰქონდა ბარბარეს, თავადაც განცალკევდა, მეზობლებისთვის უჩინარი გახდა, მაგრამ ის ყველას თვალში მაინც მეგობრულ, სტუმართმოყვარე ადამიანად რჩებოდა, თუმცა ჰყავდა მოდარაჯე, ჩასაფრებული მეზობლებიც, რაიმე ცუდი დაებრალეზინათ მისთვის. დაუოკებლად აინტერესებდათ ბარბარეს სტუმრები და ასეთებად იქცნენ სწორედაც რომ ამხანაგობის თავჯდომარე მეგი და მისი და ეკატერინე, რომელიც შეთავსებით დის მოადგილედ იყო სახლის მართვის საქმეში. მეგი ვერ გათხოვდა, ალხანასი არ იყოს, მასაც გამოუჩნდებოდა თავისი ჩალხანა, მაგრამ უმეტეს წილად შინ იჯდა. უფროსი და ეკატერინე კი ოცდაცამეტი წლისა გათხოვდა, როცა



ქუთაისის პოლიტიკური ინსტიტუტის, ქიმიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გახდა, ძლივს ეღიროსა ოცნებად ქცეულ სტუდენტობას, ყოველ წელს გადიოდა გამოცდებზე, იჭრებოდა ან ქულა აკლდებოდა, ბოლოს და ბოლოს, რომ ამოისუნთქა, პირად ცხოვრებასაც მიხედა. გოგონა გააჩინა და ქმართან ერთად შინ დაბრუნდა. ეკატერინე შეუხედავი იყო, მაგრამ თავისზე ასაკით ბევრად უმცროსი ბიჭი დაისვა ქმრად. რამდენიმე წლის შემდეგ, უმცროსმა, შავყვითელა დამ მეგომ სიძე სახლიდან გააგდო, ის მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდა და, როგორც ეკატერინე ამბობდა, არასდროს მიუღია მონაწილეობა ქალიშვილის აღზრდაში. ცუდი ზნის კაცი იყო, მეზობლებს ქურდავდა. ბარბარეს ოჯახს სადარბაზოში კარებთან დაყენებული დენის მრიცხველი მოჰარა, ბაზრობაზე რომ გაეტანა და გაეყიდა. მოკლედ, წვრილმანი ქურდობა იყო მისი პროფესია, იმიტომაც მოისროლეს და თავის სარჩენად ოჯახს ფინანსურად ეკატერინე უზრუნველჰყოფდა. ყოველთვის სადღაც მუშაობდა, 90-ნი წლების ბოლოს კი უმუშევარი გახდა და სკოლის მოსწავლეების ფიზიკასა და ქიმიაში მომზადებას მიჰყო ხელი, შიგადაშიგ ძიძადაც მუშაობდა, მის ქალიშვილს ხატობს დეიდა უვლიდა.

მეგომ და ეკატერინემ კლანჭები გამოაჩინეს, საშინლად გაავდნენ, გაამაყდნენ, აქაოდა ამხანაგობის თავჯდომარეები გავხდითო და ცხვირანულებმა დაინყეს სიარული. საბოლოოდ ისე გაკადნიერდნენ, რომ ჩუმად ვიღაც-ვიღაცებისგან ქრთამებს იღებდნენ, ეს ვიღაც-ვიღაცები კი ძირითადად ახალი მეზობლები იყვნენ, გარკვეული ფართების, სარდაფების უკანონოდ დაკანონებაში რომ იშველიებდნენ ამხანაგობის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს. ასე დაკარგა ბარბარემ სხვენში ასასვლელი მეზობელთან საზიარო კიბე. ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ მეორე მეზობელს კანონით გაუთავისებია ისე, რომ ბარბარესთვის არაფერი უკითხავს, მშვენივრად მიხვდა ქალი, ვისი წაქეზებით გაბედა ეს კარის მეზობელმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, მეზობლების წყენინება არ სურდა. მერე, იმ კარის მეზობელმა სახლი გაარემონტა, ერთი ბინა ორად აქცია და არაბებს მიჰყიდა.



ბევრმა მეზობელმა, რომლებსაც ბარბარე ბავშვობაშიც იცნობდა, 90-იან წლებში ბინები გაყიდეს და გარეუბნებში გადავიდნენ საცხოვრებლად. ყველა ბინის ახალი მეპატრონის მიმართ დები თავიდან აგრესიას და სიძულვილს გამოხატავდნენ, მოგვიანებით უახლოვდებოდნენ ზოგიერთს, როცა მათგან რაიმე საბუთზე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ხელის მოწერა იყო საჭირო... დები ძალზედ ინფორმირებული იყვნენ, ზოგჯერ საკუთარ თავზე მათგან ისეთ რამეებს გებულობდნენ ადამიანები, თავადაც რომ არ იცოდნენ.

ძველ მოსახლეთაგან ბარბარე იყო ერთადერთი, რომელთანაც დებს ჩხუბი არ მოსვლიათ, მაგრამ როცა ადამიანი შარზეა, მიზეზსაც იოლად იპოვის. დაქვრივებული ბარბარეც აითვალნუნეს მას შემდეგ, როცა თხოვნით მიმართეს, ბავშვის უმაღლესში სწავლის გადასახადის დასაფარად ფული გვჭირდება, შენ მუშაობ, მაღალი ხელფასიც გაქვს და ბანკში წამოგვყევი, თავდებად დაგვიდექიო, მაგრამ ბარბარეს შეეშინდა და უარი უთხრა. ამის შემდეგ წლების მანძილზე, დები ხან ესალმებოდნენ და ხან არა, გააჩნია, როგორ გუნებაზე იყვნენ და ახლა ბარბარეს ამნაირი დებისთვის უნდა მიემართა სადარბაზოში წარმოქმნილი პრობლემის გამო. ეძნელებოდა მათთან შეხვედრა, მაგრამ მაინც გაიარა ხუთნახნაგოვანი დერეფანი, გზად ბექას შეეყარა. იდგა შუშაბანდში მეზობლის გვერდით შენუხებული ქალი, ის საზიარო მოშვებულ ონკანთან მწვანილს რეცხდა. ბარბარემ უთხრა ბექას, რაც ხდებოდა სადარბაზოში. ვიციო, მშვიდად უპასუხა კაცმა, - მაგრამ რა ვქნა, რა შემიძლია?!

ამასობაში ლამარაც გამოვიდა ბინიდან, მიუახლოვდა ბარბარეს, გაუღიმა და კითხა: - ვისი გოგო ხარ?

- ნიკოლოზის, - უპასუხა ბარბარემ.

იმას აშკარად სარძლოდ მოუნდა ბარბარე: - ნახე, ანგელოზივით ბიჭი მყავს, ცოლად გაყვები?

ბექამ და ბარბარემ ერთმანეთს შეხედეს და ახარხარდნენ.

- მეზობელია, დედა, ცოლად ვერ მოვიყვან.



ლამარა თავისას არ იშლიდა,- მერე რა, ახლა მაგას ვინ აქცევს ყურადღებას, მომწონს ეს გოგო, კარგი პატრონი გეყოლება.

მოხუცმა ხელკავი გაუკეთა ბარბარეს, - ნამოდი ბინას გაჩვენებ, ეს რა არის, კახეთში ჩემს ბექას იცი რამხელა სახლი და ვენახები აქვს?

მეზობელმა მანანამაც გამოალო ბინის კარი საერთო შუშაბანდის დასაზვერად. ის ადრე ბარბარეს დედის მშობლების მეზობელი და ნათლული იყო. ამ ქალს ოჯახი რომ ჰყავდა ვენერას მონადინების შედეგი იყო.

მამის მხრიდან ბარბარეს ბებია და მეზობელი ბონდოს, რომელიც კარგა ხნის გარდაცვლილი გახლდათ, მამიდები მეზობლობის გარდა მეგობრობდნენ ბარბარეს ბებოსთან და ყოველთვის წუხდნენ იმაზედ, რომ ბონდო 45 წლისა შესრულდა და დაოჯახებაზე არც კი ფიქრობდა.

ბარბარეს დაბადების დღეზე ბონდო და მანანა სუფრასთან პირისპირ აღმოჩნდნენ და ბერბიჭამ ინტერესი გამოიჩინა მანანას მიმართ, შიგადაშიგ თვალს აპარებდა ახალგაზრდა ქალს. ეს არ გამოჰპარვია ვენერას და გადანყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ესენი დაენყვილებინა. მხარი დედამთილმაც აუბა და ბიჭის მამიდებსაც მიაწოდეს იდეა, დაექორწინებინათ მანანა და ბონდო. ყველა ერთად შეუჩნდა ბერბიჭას, ისიც ადგა და მოიყვანა. მანანა შევიდა ოჯახში და დასაწყისშივე ვერ გამოიჩინა კარგი ქალობა. გულს შემოეყარა, როცა შინ ბონდოს მამიდების სახით ორი ქალი გაუდემამთილდა, თორემ ისე, ბონდო აბსოლუტურად ობოლი და ბუნჩულა კაცი იყო. ბარბარეს ახსოვდა მომენტები, როცა რძალზე განაწყენებული დები ბებიას თავს დაადგნენ და მოახსენეს,- რა დაგიშავეთ, რომ შენ და შენმა რძალმა ქალის მაგივრად გველი შემოგვიგდეთ სახლშიო.

მაშინ ბარბარე პატარა გოგონა იყო და მანანას ამგვარი შეფასება პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. დააკვირდა მანანას ფიზიკურ მონაცემებს და გველს კი არა, ზაყაყს მიაშვავსა, ხმაც ყიყინა ჰქონდა. ბარბარეს ბებია დარდობდა, რომ მეგო-



ბარი მეზობლები დააკარგვინა მანანამ. ის ველარ სტუმრობდა ბონდოს მამიდებს, სრცხვენოდა და აღარც ისინი შემოდოდნენ, მაგრამ მანანას წყალობით ბონდო ქალ-ვაჟის მამა გახდა. ბებიები შეჭხაროდნენ შვილიშვილებს, მაგრამ რძალს არ ელაპარაკებოდნენ. მამიდები რამდენიმე წლის შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ და ბარბარეს მოეჩვენა, რომ მანანას ეს ამბავი ესიამოვნა, პანაშვიდებზე თვალთაგან კურცხალიც არ გადმოგორებია, გამოპრანჭული და გაბრწყინებული იჯდა ჭირისუფლის როლში და ასეთი ლამაზი არც მანამდე ყოფილა და არც ქმრის მამიდების დასაფლავების შემდეგ. დროთა განმავლობაში მეზობლებსაც შეაძულა თავი. თითქმის ყველას ემდუროდა, თავად ვენერასაც. ბარბარეს დედას კი მანანა ეცოდებოდა, უღმერთოდ უმადური რომ აღმოჩნდა. მოხუცებული მანანა ახლა უფრო მეტად ჰგავდა გომბეშოს უზარმაზარი გავითა და დაგრეხილი, ბოძებივით სქელი ფეხებით. ის მოემართებოდა ბარბარესკენ მძიმედ, აინტერესებდა თუ რა ხდებოდა და რატომ იყო შემოსული ვენერას ქალიშვილი ამათ სივრცეში. შეკრების მიზეზი გაიგო, აიმრიზა, აიბურძგლა და მოალო პირი, - რა ვიცი რად ჩამოდის სადარბაზოში წყალი, თავჯდომარე ყავს ამ სახლს და იმან მიხედოს, მე მაინც არსად დავდივარ უკვე, დავბერდი!

- ნუ ღელავთ, სწორედაც რომ მასთან მივდივარ,- უპასუხა ბარბარემ.

ბექამ ზიზლით განაცხადა, - მაგ დებს, დიდი ხანია, აღარ ველაპარაკები, თორემ შეგყვებოდი.

ბარბარემ თავი ჩალუნა, ესიკვდილებოდა შავყვითელა, უხემ და ხისტ მეგისტან შეხვედრა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. ხის თეთრად შელებილ კარზე დააკაკუნა.

-და დაა! შემოდით!!!-მბრძანებლური ტონით დაიყვირა მეგიმ.

ბარბარემ კარი შეაღო და ოთახში თავი შეყო. მეგი სავარძელში იჯდა და ტელევიზორს უყურებდა, ირიბად გამოხედა ბარბარეს და მიმართა:-რა გინდა!



-არაფერი მეგი, სადარბაზო გაივსო გამდნარი თოვლით, ჭერი უკვე გაფუჭებულია და რა გავაკეთოთ, რომ უარესად არ დაზიანდეს?

მეგი დაიჭყანა, ხელი ჩაიქნია:- არ კიდია ყველას?!

-რას ქვია კიდიათ, აქ ხომ ჩვენ ვცხოვრობთ. ვის მივმართოთ, ეგეც არ იყოს, შენობა კულტურული მემკვიდრეობაა!

-გადი ქალო იქით, რა დროს კულტურულ მემკვიდრეობაზეა ლაპარაკი, იჭაჭე რამდენიც გინდა, მაინც არავინ მოვა.

მეტის მოსმენა აღარ სურდა ბარბარეს, კარი გამოხურა და გამოტრიალდა, გზად ისევ ბექა შეეფეთა:- რაო, რა გითხრა?

ბარბარემ ხელი ჩაიქნია:- რა ვიცი ბექა, ჩემსას ვეცდები, ოღონდ არ ვიცი ვის მივმართო, სად მივიდე, მაგრამ არაუშავს, გავერკვევი, დღესვე.

შინ შევიდა, მობილური ტელეფონი მოიმარჯვა და 112-ში დარეკა, ხან სად გადართეს და ხან სად, აუხსნა ვითარება ოპერატორს, თუ რა ხდებოდა არქიტექტურული ძეგლის შიგნით და როგორ ზიანდებოდა სახლის ულამაზესი სადარბაზო. იქიდან უპასუხეს, შეგვიძლია სამაშველო რაზმი გამოგვზავნოთო, ან მიმართეთ ჩუღურეთის რაიონის გამგეობას, ჩიტაიას 21-ში, რომელიც სოციალურად დაუცველთა სასაფლაოს მოპირდაპირედ მდებარეობსო.

დიდი ხანი არ იყო გასული, რაც ქალაქში ქუჩებს სახელები შეუცვალეს, ამიტომაც დაიბნა ქალი, დღის სამი საათი იყო, საფულეში ორმოცდაათი ლარი ედო და გადანყვიტა ტაქსით მისუფიყო რაიონის გამგეობასთან. გაახსენდა, ერთხელ რომ დაინუნუნა, ლოჯი აშკარად დაქანებულიაო და პირველი სართულის მეზობელმა უთხრა, ჩვენს ქვემოთ საძირკველში ხის კოჭებია ჩალენილი, ქვესკნელისკენ მივექანები, შენც ზემოდან მომყვები და პატრონი, მომხედავი არავინააო. სად მივიდეო? - იკითხა ბარბარემ. მეგიმ და ეკატერინემ იციან, იმათ კითხეო, ამოსძახა მეზობელმა, მაგრამ ბარბარეს ეჭვი შეეპარა უჟმური დები კითხვაზე პასუხს რომ გასცემდნენ და არაფერი უკითხავს მათთვის.



ძალზედ აღელვებული ქუჩაში გავიდა, მოსახვევში იმ ქუჩას აუყვავა, სადაც მანქანები დადიოდნენ. კეპიანმა ბიჭმა გაუჩერა ტაქსი, ქალი ჩაჯდა, უთხრა, ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან მიმიყვანეო. ბიჭმა გაოცებით გამოხედა და უპასუხა: - ქალბატონო, ეს ხომ აქვეა?!

- არაუშავს, მიმიყვანე, თუ დამიცდით, მერე კიდევ წამიყვანსხვავან.

კარგო, უპასუხა ბიჭმა და ორ წუთში მიიყვანა დანიშნულ ადგილას. ბარბარეს განცხადება დაანერინეს, მაგრამ ისიც უთხრეს, რომ ამხანაგობის თავჯდომარემ ამ ორ პრობლემასთან დაკავშირებით ოქმი უნდა წარმოგვიდგინოსო. ბარბარე შეევედრა მათ, იქნებ ოქმის გარეშე მოაგვაროთ ეს პრობლემები და მე გადაგიხდით სიკეთეს სიკეთით. კიდევ რაღაცები თქვა, თვალცრემლიანს ემოციური გამოსვლა ქონდა. პირდაღებულები იდგნენ გამგეობის თანამშრომლები, ვინაიდან ის ცისფერ სახლზე ისე ლაპარაკობდა, როგორც დაავადებულ, მომაკვდავ ადამიანზე, რომელიც აუცილებლად უნდა გადარჩენილიყო. ტაქსისტი ერთგულად ელოდებოდა ბარბარეს. დაბრუნდა კლიენტი, უკანა სავარძელზე დაჯდა მარჯვნივ. ბიჭმა გამოხედა, ბარბარემაც შეხედა და გული შეუკრთა, ეცნო უცნობი ტაქსის მძღოლი. მისამართი უთხრა. ახალგაზრდა დაინტერესდა, რა საქმე ქონდა ქალს გამგეობაში და რად იყო ასე აღელვებული. ბარბარემ ყველა კითხვაზე უპასუხა. ქუდიანს გაეღიმა, მესმის თქვენი, მეც პლებანოველი ვარო. ბარბარეს გული გაუთბა, გეტყობაო, უპასუხა. რანაირადო? დაინტერესდა ახალგაზრდა. გულისხმიერი და ელეგანტური ბიჭი ხარო. მძღოლმა მანქანა გააჩერა, კვლავ ბარბარესკენ მოიხედა, დააკვირდა, გაუღიმა.

- მაქვს შეგრძნება, რომ გიცნობდით ბავშვობაში.

ბარბარეს კვლავ შეუკრთა გული, თვალები ეცნო, მერე მონინებით მიმართა:- თუ შეიძლება პირბადე ჩამოიწიეთ.

ბიჭი დაემორჩილა, სახე დაანახა, სიმპათიური იყო და ცნო-



ბილ ამერიკელ მსახიობსაც გავდა, რომლის სახელიც ბარბარემ ვერ გაიხსენა, სწორად მოიქცა პირდაპირ რომ უთხრა რასაც ფიქრობდა:- საყვარელი ბიჭი ხარ!

კაცმა მანქანა დაძრა:-თქვენც ლამაზი ხართ!

- რა იცი, მე როგორი ვარ, სახეები აღარ გვიჩანს და...

- არ მჭირდება. ისე დარდობთ შენობაზე, როგორც ძვირფას ადამიანზე...

**ამბავი მარვა****მსბავსება**

საჭეს მოჭიდებული კაცის ხელები უხეში, მოუქნელი მსხვილი თითებით ბოლოვდებოდა, სამაგიეროდ კეთილი ღიმილი პირსახეს უმშვენებდა. გზა გრძელი იყო და მძლოლმა რატომღაც თქვა, რომ ამჟამად უსახლკაროა, წლების მანძილზე უკრაინაში, კერძოდ ოდესაში ცხოვრობდა და მას შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, რაც ცოლ-შვილი თვალწინ დაეღუპა. მართალია, სათქმელი დეტალების გარეშე, უცბად მოაყოლარა, მაგრამ ბარბარესთვის მოსასმენად მძიმე აღმოჩნდა. რა გქვიაო, ჰკითხა ტაქსისტს. აჩიო და მანქანა გააჩერა, ბარბარემ ფული მიაწოდა, მაგრამ მძლოლმა უპასუხა, არ გამოგართმევო. მაშინ დამიცადეო სთხოვა ბარბარემ და მანქანიდან გადავიდა. ავიდა მეექვსე სართულზე, თავის წიგნს დასტაცა ხელი და კვლავ ლიფტში შევარდა. სადარბაზოდან რომ გამოვიდა, აჩი მანქანიდან გადმოსულიყო და ბარბარეს ელოდებოდა, ქალისკენ წამოვიდა, მაგრამ მარცხენა ფეხს გაჭირვებით მოათრევდა. ქალი შეეცადა, გაოცება არ შეემჩნია, წიგნი ხელებში ჩაუდო და უთხრა: -მე დავწერე, ახალი გამოსულია.

-მწერალი ხართ?!-წიგნი გულზე მიიკრა, ქალს თავისი ტელეფონის ნომერი ჩაანერინა, ბარბარემაც მისცა თავისი და გამოტრიალდა, მაგრამ აჩის ამ ცხოვრებაში დაკარგულობამ, მისმა უბედურებამ შეაშინა და დახმარების სურვილი გაუჩნდა, მაგრამ უძლური იყო და გული დასწყდა. შინ დაბრუნებულმა დამამშვიდებელი პრეპარატი მიიღო, რომ აჩქარებული გულისცემა შეენელებინა. სანოლში ვერ მოისვენა. კაბინეტში შეიტანა საბანი და დივანზე მიწვა. ღამით ფიქრებმა ბატონ ლადომდე მიიყვანა, მისი ყოფა აჩისას შეადარა. ერთ დროს ისიც აჩივით უსახლკარო იყო, მაგრამ მოახერხა ცხოვრების გაგრძელება. აჩი მშრომელი და ძლიერი ბიჭი ჩანს, წინ ბედნიერებაც ელის, აუცილებლად.



ძილის წინ შვილები დალოცა, აჩივ მათთან ერთად მოიხსენია. გვერდი იცვალა და ერთერთი სიზმარიც გაახსენდა, უცნობი, რომელმაც უცნაური ტყვეობიდან გაათავისუფლა. აჩის ჰგავდა ან ნამდვილად ის იყო. დიდხანს იხსენებდა იმ ახალგაზრდას და ინამა, რომ აჩი იყო. ეს კონკრეტული სიზმარი სასწაულად მიიჩნია. აჩი ახლა მისთვის სიზმრიდან რეალურ ცხოვრებაში გადმოსულ ადამიანად იქცა.

დილით, პროდუქტების საყიდლად ქუჩაში გასულმა ნაძვის ხის ქვეშ, ჟურნალ-გაზეთების ჯიხურთან ახლოს მგდარ თეთრ პრიუსს მოჰკრა თვალი. თეთრი პრიუსის ნომრები არ იცოდა, მაგრამ აჩის მანქანას მიამსგავსა. მიუახლოვდა ავტომობილს და სალონში შეიხედა. უკანა სავარძელზე საბანში გახვეული კეპკიანი ბიჭი იწვა, ის იყო. გული სიბრაღულით აღევსო, არ გააღვიძა და მალაზიაში შევიდა. იყიდა პროდუქტები და შინ დაბრუნდა, ლუკას გაღვიძებამდე შეუდგა საქმეს და როცა შვილი საწოლიდან წამოდგა, სასაუზმოდ დასხდნენ. ბარბარემ გადანყვიტა გუშინდელი დღის შესახებ მოეთხრო შვილისთვის, ისიც სურდა, რომ აჩი დაეპატიჟა. ლუკას წინააღმდეგობა არ გაუწევია, ბარბარემ ვერ ისაუბმა, თქვა, აჩისთან ერთად ვჭამო. ლუკამ ვერ მოითმინა, შიოდა და, რომ დანაყრდა კომპიუტერს მიუჯდა. დედა ახლად გაცნობილ ტაქსისტზე ისე ლაპარაკობდა, როგორც ბავშვზე და ლუკამ აჩი ახალგაზრდად, თივისზე რამდენიმე წლით უფროსად წარმოიდგინა.

ბარბარემ აჩის დაურეკა და შინ მოიპატიჟა, ბიჭს გაუხარდა, მიიღო მონვევა, მაგრამ მაშინვე არ მოსულა, დაიგვიანა. ბარბარემ კარი რომ გააღო აჩი ტორტით ხელში იდგა და შინ შემოსვლას ვერ ბედავდა. ბარბარემ ლუკა გააცნო სტუმარს და უთხრა, - ესაა ჩემი ოჯახი, მხოლოდ ორნი დავრჩით.

ლუკა სასტუმრო ოთახში შებრუნდა, კვლავ კომპიუტერს მიუჯდა. აჩი სააბაზანოში ხელ-პირის დასაბანად შევიდა. სუფრა გაშლილი დახვდა. ყავაზე უარი თქვა, ჩაი ერჩივნა და ბარბარემაც ლამაზი ჭიქით მიართვა. სტუმარი დანაყრდა და ბარბა-



რემ სთხოვა მოეთხორო, რანაირად, რატომ, რა მიზეზით დაეღუპა ცოლ-შვილი. აჩის თხოვრების დაწყება გაუჭირდა, მაგრამ რამდენიმე წინადადებას თავი რომ მოუყარა, ემშში შევიდა. ოდესელი დედისერთა გოგონა შეჰყვარებია, ოჯახმა ქართველი ბიჭი ზედსიძედ სიხარულით მიიღო. ვიკა თურმე სილამაზის სალონში მუშაობდა, მანიკურის და პედიკურის სპეციალისტი ყოფილა. აჩიმ თქვა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე, რაც თავი ახსოვს მხოლოდ ექვსი წელი იყო ბედნიერი მოსიყვარულე ცოლისა და მისი მშობლების გვერდით. ვიკამ ცხოვრება შეაყვარა. იმდენი მოუხერხებია აჩის, რომ ქორწინებიდან ორი წლის თავზე მეუღლის მშობლების სახლთან ახლოს ბინა უყიდა. ცოლ-ქმარს საკუთარი გემოვნებით გაურემონტებია და მოურთავს საცხოვრისი. აჩი ცოტათი ეჭვიანი ქმარი ყოფილა, ვინაიდან ვიკაზე თორმეტი წლით უფროსი ყოფილა, მაგრამ ის გოგო ძალზედ წესიერი და ერთგულებით გამორჩეული ადამიანი აღმოჩენილა, საოცრად გულწრფელი, მეგობრული. დროთა განმავლობაში ვიკა სიკეთითა და მზრუნველობით აოცებდა მეუღლეს, რის გამოც აჩის სირცხვილის გრძნობა გასჩენია, უმიზეზოდ რომ ეჭვიანობდა. რაც დრო გადიოდა, მით მეტად უყვარდებოდათ ერთმანეთი. ქორწინებიდან ხუთი წლის თავზე ვაჟი შესძენიათ და ვიკას ბიჭუნასთვის მამის სახელი დაურქმევია, რომელსაც აჩი პატარას ეძახდა. ვიკას მშობლებიც უზომოდ ბედნიერები ყოფილან და მადლიერნი, თავიანთი გოგონა ასე ძლიერ რომ გააბედნიერა ქართველმა კაცმა. ისინი არა მხოლოდ აჩის, არამედ მთელ საქართველოს ლოცავდნენ. სიძის სიყვარულით აღტკინებულნი ოცნებოდნენ, ჩასულიყვნენ აჩის სამშობლოში. ვიკა და მისი მშობლები საქართველოში არასდროს ყოფილან და გეგმავდნენ სტუმრობას, მძახლების და სიძის ნათესავების გაცნობას, თუმც სკაიპით ყველა ერთმანეთს იცნობდა.

აჩის დედას მენინგიტი დამართნია, რის შედეგადაც ცნობიერება და მეტყველების უნარი დაუკარგავს. აჩი ვერ ჩადიოდა დედის სანახავად, ვინაიდან სამხედრო სამსახურში იყო,



თანაც, ჯარისკაცებს ქართულ ცეკვებს ასწავლიდა და როცა პენსიაზე გავიდოდა, გადამწყვეტილი ჰქონდა ოდესაში ცეკვის სტუდია გაეხსნა და საყვარელი საქმით დაკავებულიყო. ჯარში განწევამდე კი ცნობილ სახელმწიფო ხალხური ცეკვების ანსამბლის წევრი ყოფილა, იმავდროულად სამხედრო აკადემიის სტუდენტიც გამხდარა, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ომი რომ დაიწყო აფხაზეთში, ფრონტის ხაზზე დაუჭრიათ, მძიმე პაციენტს თვალი მხოლოდ კიევის რომელიღაც ცნობილი კლინიკის ქირურგიულ განყოფილებაში გაუხელია. აჩიმ არ იცოდა ვინ დაეხმარა და კიევის ჰოსპიტალში რანაირად აღმოჩნდა. გამოჯანმრთელების შემდეგ უკრაინაში დარჩა, ფული არ ჰქონდა, თავს ძლივს ირჩენდა. კეთილი და გულისხმიერი ადამიანები ყველგან ცხოვრობენ და ამგვარი ხალხი დახმარებია ცხოვრების გაგრძელებაში.

ვიკა სილამაზის სალონში გაიცნო და ისე მოეწონა, რომ იმ დღესვე რესტორანშიც დაპატიჟა. აჩიმ ხაზგასმით აღნიშნა, რამაც ალაფრთოვანა და ვიკას წესიერებაში დაარწმუნა. სანამ რესტორანში შევიდოდნენ, მამისთვის დაურეკავს და გაუფრთხილება, დამაგვიანდება, ქართველი გავიცანი, რომელმაც რესტორანში დამპატიჟა და მივყვებიო. მამამისს გახარებია და უთქვამს, კარგი, იმედია, შინამდეც მოგაცილებს, შენც დაპატიჟე ეგ კაცი, გაგვაცანი, გამიგია, ქართველები ნამდვილი „მუჟიკები“ არიანო. აჩის ვიკას ცოლად მოყვანის სურვილი გასჩენია, მაგრამ იმის გამო, რომ ბინა არ ჰქონდა და გოგონაზე 12 წლით უფროსი იყო, თავს იკავებდა, მაგრამ ყოველ დღე ხვდებოდნენ ერთმანეთს და ერთხელაც ვიკას თავად უთქვამს, მინდა შენი ცოლი გავხდეთ. აჩი სიხარულით დასთანხმდა.

უბედური კვირა დღე ამგვარად გათენებულა. აჩი ცოლ-შვილთან ერთად სიდედრ-სიმაძრს სტუმრებია, პატარა აჩი რვა თვისა ყოფილა. პაპა-შვილიშვილს უთამაშიათ. შინ დაბრუნებამდე სერიზოზდნენ, ბავშვს ეტლში მშვიდად ეძინა და ამ დროს სამანქანო გზიდან საფეხმავლოზე შავი „ბე ემ ვეს“ მარკის მანქანა შემოვარ-



დნილა და აჩის დასჯახებია. გონების დაკარგვამდე დაუნახავს, როგორ ამოხტა ბავშვი ეტლიდან და ცისკენ აფრინდა...

ექვსი თვის შემდეგ კომიდან გამოსულს ცოლ-შვილი მოუკითხავს, იქვე მყოფ მედდას პირდაპირ უთქვამს, თქვენი ოჯახი ადგილზე დაილუპა, ცოცხალი მხოლოდ თქვენ დარჩითო. ამ სიტყვების გაგონებაზე აჩის გული წასვლია. ამასობაში დედამისიც გარდაცვლილა. აჩის მონათხრობი სასტუმრო ოთახში მყოფ ბარბარეს ვაჟსაც ესმოდა, მაგრამ ქალმა არ იცოდა ლუკა რას გრძნობდა და ფიქრობდა.

როცა ბარბარემ სუფრის ალაგება დაიწყო, აჩიმ ლოჯში გადაინაცვლა და სავარძელში ჩაჯდა, მაშინვე ჩაეძინა.

ლუკა გაალიზიანა აჩის ჩაძინებამ, არც მისი მონათხრობის სჯეროდა, დაეჭვდა კიდეც, ნარკომანი ხომ არ არისო. ბარბარე მიხვდა, რომ აჩი და ლუკა ვერ დამეგობრდებოდნენ, უხერხულობა იგრძნო. არ იცოდა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, ბარბარეს სჯეროდა აჩის ტრაგედიის და სურდა რამენაირად დახმარებოდა ამ ადამიანს. თავის ოთახში შევიდა, უმიზეზოდ საგარეო სამოსში გამოენყო და გამოვიდა. გაბრაზებულმა ლუკამ ჩურჩულით ჰკითხა დედას, სად მიდიხარო, ბარბარემ უპასუხა: - რომ გაიღვიძებს ვეტყვი, რომ გავდივარ და წავა, შენ კიდეც ლელვის მიზეზი აღარ გექნება.

ლუკა ყოველ დღე კლუბში სავარჯიშოდ დადიოდა, ამიტომ სპორტულები ჩაიცვა. ბარბარე აჩის მხარზე შეეხო, კაცს გაელვიძა. დედა-შვილმა უთხრეს, რომ გასასვლელები იყვნენ. აჩი მაშინვე წამოდგა და ბარბარეს შესთავაზა, ორთავეს გაგიყვანთო, მაგრამ ლუკამ სასტიკი უარი განაცხადა, აქვეა კლუბი, ფეხით მისვლა მიჯობსო. ერთად გავიდნენ შინიდან, წარბშეკრულმა ლუკამ გზა გააგრძელა და ბარბარე აჩის შეატოვა, რომლებიც მანქანაში ჩასხდნენ. აჩიმ იგრძნო, რომ მისმა პერსონამ ლუკა გაალიზიანა, არ გაჰკვირვებია, გაელიმა კიდეც :-უკარება ბიჭი ჩანს, თქვენ არ გგავთ.

-ძნელად ენდობა ადამიანებს,-დაუდასტურა ბარბარემ.



-მომწონს, ძალიან კარგია, ცხოვრებაში სწორედ ასეთი ადამიანები ხდებიან წარმატებულები.

-მართლა?!-გაუკვირდა ბარბარეს.

-სად მივდივართ?-იკითხა აჩიმ. ბარბარე არსად მიდიოდა, მაგრამ მიხვდა, მანქანიდან არ უნდა გადმოსულიყო და უპასუხა:- სახლში.

აჩი წამით დაიბნა, მაგრამ მიხვდა, ქალაქის ძველი უბნისკენ უნდა აეღო გეზი, დაახლოებით იმ მიდამოებში, სადაც ქალმა გუშინ გააჩერა. სანამ მანქანას დაძრავდა, მობილური ტელეფონის ეკრანზე გამოსახული სლავური წარმომავლობის ახალგაზრდა ქალის ფოტო აჩვენა : -შეხედე, ესაა ჩემი ვიკა!

ბარბარემ მობილური ტელეფონი გამოართვა და ფოტოს დააკვირდა. ლამაზი იყო, მოგრძო ოვალი, ღია ნაბლისფერი,სწორი გაშლილი თმა, მომრგვალო ფორმის, დიდი, ლურჯი, სათნო თვალები, წითელი ტურნადაცხით შეფერილი თხელი ტუჩები და მოკლე, აპრეხილი ცხვირი. ბარბარეს გული დაეფუფქა. როგორც კი ჩაქრა ეკრანი, ტელეფონი პატრონს დაუბრუნა. აჩიმ დასძრა მანქანა, ქალი მძღოლის გვერდით იჯდა, მაშინვე გაიკეთა დამცავი ღვედი, შეეშინდა, უქამროდ არ დავრჩე, პატრულმა არ დამაჯარიმოსო. აჩის მიმართ დედობრივი გრძნობა გაუღვივდა. ეჩვენებოდა, რომ აჩი პატარა ბიჭი იყო, არადა, რომ გადათვალა, მხოლოდ შვიდი წლით გამოდიოდა მასზე უფროსი. აჩის მობილურის ზარის ხმა გაისმა, მძღოლმა მანქანა გააჩერა, უკრაინიდან ურეკავდა სიდედრი. რუსულად ისაუბრეს. ქალმა უთხრა სიძეს, რომ ქმართან ერთად მიიღო გადანყვეტილება, აჩის ანდერძით დაუტოვონ უძრავი ქონება. აჩი უარობდა, ის კი არადა, შეგიძლიათ ჩემი და ვიკას ბინა გაყიდოთ და ფული მოიხმაროთ. ვიკას დედამ ხმას აუწია:-ის ბინა შენი ნაყიდა! აჩიმ აღნიშნა, რომ ვიკას გარეშე იქ ველარ იცხოვრებდა. კი ბატონოო, უპასუხა ქალმა, შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ ჩვენ შენს გარდა აღარავინ გყავს, ჩვენი შვილის ქმარი ხარ და ამ სახლს შენ გიტოვებთო. დიალოგი სრულად მოისმინა ბარბარემ და გაიფიქრა, რა კარ-



გი ადამიანები ყოფილან ვიკას მშობლებიო. აღელვებულმა აჩიმ შუბლი საჭეს დაადო და თქვა:-იცი როგორ მოვიქცევი? მე თუ იმათზე ადრე არ მოვკვდი, როცა წავალ ოდესაში, ჩვენს ბინას გავყიდი, ვიკას სახლს ბავშვთა თავშესაფარს გადავცემ, ჩამოვალ, აქ შევიძენ ბინას და ცხოვრებას გავაგრძელებ!

-მშვენიერია!

აჩიმ მანქანა დაძრა. ბარბარემ მორიდებით ჰკითხა მტკივანი ფეხის შესახებ.

-ჰოო, ეს ფეხი მაშინ მომენგრა, როცა მანქანა დამეჯახა და ამიტომ აღმოვჩნდი საქართველოში.

-მომიყვები?

აჩიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია:- კომიდან რომ გამოვედი და გამოვჯანსაღდი გაირკვა, რომ სისხლის მიმოქცევა დამრღვევია. ვიკას მშობლებმა მომხედეს, უკრაინაში ერთი და პოლონეთში ორი ოპერაცია გამიკეთეს უშედეგოდ, ფეხის მოჭრა უნდოდათ, სხვა გზა აღარააო, მაგრამ ბიძაშვილმა, რომელიც პოლიტიკურად დევნილია, ჩემი აქ ჩამოყვანის ხარჯები გაიღო და ლუდუშაურის კლინიკაში ისევ ჩემიანმა, ქართველმა ექიმმა უფეხობისგან მიხსნა, ოღონდ გამაფრთხილა, კოჭი აღარ გაქვს, ამოგაცალე და ფეხიც შესაბამისად დაგიმოკლდაო. კოჭლი ვარ, ამის გარდა, რაღაც ცუდი დამემართა, ტკივილები მაქვს და ერთ თითზე ჩირქი მიგროვდება.

-მერე?-დაინტერესდა ბარბარე.

-ვხეტქავ, ფრჩხილი მძვრება, ახალი იწყებს ამოსვლას და ისევ მეწყება დაჩირქების პროცესი.

-ექიმის მიმართე?!

- როგორ არა, მაგრამ მეუბნება ეს რაღაც სხვააო.

-საყოველთაო დაზღვევა გაქვს?

აჩიმ თავი გააქნია.

-სად ხარ ჩანერილი, მამასთან?

კიდევ თავი გააქნია:-დროებით ვარ სადღაც, სამგორის რაიონში ჩანერილი.



აღელდა ბარბარე:-ხვალ მივიდეთ პოლიკლინიკაში, იქ დარეგისტრირდი და ოჯახის ექიმი საჭირო პროფილის ექიმთან გადაგამისამართებს, არა მგონია, რაიმე უსაშველო გჭირდეს. უკვე ვორონცოვის ხიდს გადიოდნენ, როცა ბარბარემ ზუსტი მისამართი უთხრა აჩის.

ქალი მანქანიდან გადმოვიდა, აჩისაც ანიშნა გადმოდიო. კაცს ხელი ჩაჰკიდა და ცისფერ სახლთან მიიყვანა. აჩიმ ცრემლები მაჯით მოიწმინდა.

-რატომ ტირი?

-რატომ და, ქალაქის მთავარ ფოსტას ხომ ხედავ.

-კი, მერე!

-ჩასახვევთან რომ პირველივე თეთრი ჩუქურთმებიანი სახლია, მანდ გავიზარდე!

-დედა, რას მეუბნები აჩი, მთლად მეზობლები არ ვყოფილვართ?!

-რუსული „ვრემიას“ კორესპონდენტმა ცოლ-ქმარმა იყიდა ჩვენი ბინა. მოხუცდებოდნენ, შვილიშვილებიც ეყოლებათ. ჩვენი აივანი და ფანჯრები ქუჩაში კი არა, ეზოში გადის.

-როგორც ჩემი, მაგრამ მე აივანიც არ მაქვს!- ბარბარემ სადარბაზოს კარი გააღო:- კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს სახლში აჩი!-თქვა და წინ გაუძღვა სტუმარს.

ბარბარეს ბინაში რომ აღმოჩნდა, კვლავ ტირილი დაიწყო სტუმარმა.

ისევ ჰკითხა ბარბარემ:- ახლა რატომღა ტირი აჩი?

-იმიტომ, რომ ეს სახლი ვიკას მშობლებისას ჰგავს! -თავისით მოიარა ყველა კუთხე კუნჭული და გამხიარულდა:- რა კარგი სახლია, ბარბარე, რა კარგი აუარა აქვს, თბილი და სასიამოვნო.

-მოგმივდებოდა, შემძლია კარტოფილი შეგინვა, შეჭამ?

აჩიმ დაიმორცხვა. ბარბარე სამზარეულოში გავიდა და საქმეს შეუდგა. კარტოფილი შეწვა, მაგიდასთან მიიტანა, მაგრამ რას ხედავს, აჩი მიწოლილა დივანზე, ორივე ხელი ლოყებ-ქვეშ ამოუდევს და კმაყოფილს სძინავს. როგორი გადაღლილი და გა-



დაქანცულია სანყალი ბიჭი, გაიფიქრა ბარბარემ, სადაც დროს მოიხელთებს, ყველგან იძინებს!

ფეხაკრეფით გავიდა ბინიდან, პური, კოკა-კოლა, ტყემლის სანებელი იყიდა და დაბრუნდა.

- აჩი! - დაუძახა ბიჭს, რომელსაც მაშინვე გაელვია.

- შენი შემწვარი კარტოფილი...

გემრიელად მიირთვა, მერე თქვა, წავალ, ვიმუშავებ, ფული ამოვიღო, რომ მანქანის პატრონს ორმოცი ლარი ჩავურიცხოო. ბარბარე ახალ უბანში დააბრუნა. შეთანხმდნენ დროსა და ადგილზე, სადაც ქალი დაელოდებოდა. მეორე დღეს აჩი პოლიკლინიკაში დარეგისტრირდა, ექიმს აჩვენა თავისი ფეხი და კონკრეტულად ის თითი, რომელზეც პერიოდულად ფრჩხილი სძვრებოდა. ოჯახის ექიმმა ქირურგთან გადაამისამართა, რომელმაც ბიჭი კანის ექიმთან გაუშვა. გაირკვა, რომ სოკო ენყებოდა და თუ ექიმის დანიშნულებას არ შეასრულებდა, საბოლოოდ სათითაოდ ყველა თითზე ფრჩხილს ააძრობდნენ, რაც ძალზედ მტკივნეული და ამასთანავე, ძვირი პროცედურაა. უამრავი წამალი გამოუწერა, დასალევი თუ ფრჩხილებზე წასასმელი. ექიმის მოთხოვნით პაციენტს მკაცრი ჰიგიენური წესებიც უნდა დაეცვა, შესაძენი ჰქონდა ახალი მაკრატელი, ქლიბი. აბა, ამას ყველაფერს როგორ შეასრულებდა ადამიანი, რომელიც მანქანაში ცხოვრობს?!

გალიზიანებულმა აჩიმ რეცეპტები ბარბარეს დაუტოვა. უსახლკარო ადამიანს სოციალურად დაუცველის სტატუსიც არ ჰქონდა, არც შშმ პირად იყო აღიარებული. გადარეკ-გადმორეკა ბარბარემ ნაცნობ ექიმებთან, აჩის მდგომარეობის შესახებ უყვებოდა მათ და ისინი ეუბნებოდნენ, რომ კაცი არის ფაქტიურად ჯანმრთელი და შრომის უნარიანი. არავინ ჩაგრავს, კანონით არ მიანიჭებენ ინვალიდის სტატუსს. აი, ძველი დრო რომ იყოს, მაშინ სხვა ამბავიაო, ან კომისიის წინაშე უნდა წარსდგეს და თქვას, რომ ხელ-ფეხი უბუყდება, გული უჩქარდება, ტუჩები ულურჯდება, შიგადაშიგ გონებას კარგავს, მაგრამ მძლოლად ვეღარ იმუშავებსო, აჩის სადარდებლად ისიც ყოფნიდა, სამხედ-



რო სამსახურისთვის და სცენისთვის რომ აღარ ვარგოდა, რა უნდა ექნა, როგორ ეარსება, თუ ტაქსის მძღოლობის უფლებასაც ჩამოართმევდნენ?! მოკლედ, გამოსავალი არ ჩანდა და რასაც სთავაზობდნენ, ხელსაყრელიც რომ ყოფილიყო არ მოინდომებდა:- როგორ ვთქვა, ხელ-ფეხი მიბუყდება ან გული მტკივა, როცა არ მტკივა?!

- როგორც აფხაზეთში ნაბრძოლები, ომის ვეტერანებთან ხომ არ მივიდეთ?!- იკითხა ბარბარემ, მაგრამ აჩიმ ხელი ჩაიქნია:-საბუთების შეგროვების თავი და ნერვები ნაღდად არ მაქვს. მხოლოდ ის ვიცი, ფეხს მომაჭრიან, მერე დავისვენებ ტკივილებისგან.

აჩის მომავლის ეშინოდა, ვინაიდან, მომდევნო კვირას მანქანის პატრონი, თავშესაფრად ქცეულ პრიუსს გაყიდვას უპირებდა. ესეც ახალი მოულოდნელობა და პრობლემა...

აჩი ბარბარეს ემადლიერებოდა ყურადღებისთვის, ზრუნვისთვის, იმ დროისთვის, მას რომ დაუთმო.

შინ მისულმა ქალმა ლუკას აჩის ახლანდელი პრობლემების შესახებ უამბო. შვილმა მოუსმინა დედას და უთხრა:- ცოდოა... სამწუხაროა... მესმის... მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი...

-აჩიმ კიდევ მითხრა, რომ ლუკას ჩემგან თუ რაიმე დახმარება დაჭირდება მის გვერდით ვიქნები და ძმობას გავუწევო. მჯერა, რომ ასეც იქნება.

-მე კი არ მჯერა. ვერ ვვლებულობ ძმად, იმიტომ, რომ არ არის ძმა. თითქოს შვილივით გიყვარს, მაგრამ არ მგონია ასე იყო, შეუძლებელია, მაინც ერთ თაობას ეკუთვნით!

ბარბარე დაფიქრდა, ის მართალი იყო, მაგრამ არ შეეძლო აჩის შეჭირვებაზე არ ეფიქრა. შვილს კი უთხრა:-წარმოიდგინე, ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ შენც რომ აჩივით მარტო დარჩე, მე აღარ გყავდე და ვინმე ჩემნაირი გულშემატკივარი შენც გამოგიჩნდეს, თუნდაც სუსტი და ვერაფრის შემძლებელი, მკვდარსაც გამეხარებოდა და დავლოცავდი, შვილო!

-ძალიან მიედ-მოედები, დედი...



აცვიდა. ბარბარეს გული შეეკუმშა, წარმოიდგინა მანქანის სალონში შეყუჟული აჩი, რომელიც სიცივისგან კანკალებს. ისევ ვერ ჩანვა თბილ ლოგინში, შერცხვა, წავიდა და ყველაზე პატარა ოთახში დივანზე მოიკუნტა, დიდხანს ვერ დაიძინა, ტაქსისტზე ფიქრობდა. პრინციპში არაა მარტო, მამა ჰყავს, ძმა, იმასაც აჩი რქმევია, კიდევ სათნო დედინაცვალიც, მაგრამ ის მამას არ ელაპარაკებოდა, თუმც სიგიჟემდე უყვარდა. აჩი ხასიათით და ქცევებით უხეში ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ალბათ, იმიტომ, რომ სამხედრო პირები ზოგადად ხისტებად გამოიყურებიან, მაგრამ მეომრებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. სინამდვილეში აჩის ფაქიზი სული ჰქონდა, ოღონდ ცდილობდა თანდაყოლილი გულჩვილობა სხვათათვის შესამჩნევი არ ყოფილიყო, მაგრამ ბარბარესთან აჩის ცრემლების დამალვის მცდელობა არასდროს გასჩენია, იცოდა, რომ ქალი არ დასცინებდა. აჩის საკუთარი ტრაგედიის თავადვე არ სჯეროდა და ცხოვრების დინებას შემართებით მიუყვებოდა. ბარბარე აჩისთვის ახლობელად იქცა, ჩაებლაუჭა, გაუთამამდა, დილით კორპუსთან დაყენებულ მანქანაში ეღვიძებოდა, სანამ საქმეს შეუდგებოდა, მანამდე ქალი მეორე სახლში მიჰყავდა. ნათლად დაინახა, რომ მშობლების ბინაში ის თავს უკეთ გრძნობდა და ფიქრობდა, ცისფერ სახლში რომ მიმყავს, დიდ სიკეთეს ვუკეთებო, გზად კარგ მელოდებსაც ასმენინებდა. იმ სახლში კი ბარბარე დედასავით იქცეოდა და აჩიც თავს ლალად გრძნობდა. შეეძლო ესაუზმა, ებანავა, ტანსაცმელი გაერეცხა. ჯერ ისევ ზამთარი იყო, ციოდა. ბარბარე ცდილობდა მისი სამოსი დროზე ადრე გაეშრო. გადაფენდა სკამების საზურგეებზე მის სამოსს და გაზის, ზოგჯერ დენის გამათბობელთანაც ახლოს დადგამდა, ამასობაში კი აჩი მიწვებოდა დივანზე და იძინებდა, შუადღისას გაიღვიძებდა და მიდიოდა სამუშაოდ, საღამოს ბრუნდებოდა და ბარბარეს ლუკას უბრუნებდა. თუ ფული გაუჩნდებოდა, საგაზაფხულოდ ნაცნობ ქალთან მეორად ხარისხიან ტანსაცმელს ყიდულობდა. მან არ იცოდა, როგორ დაეგეგმა მომავალი. ბარბარე კი ნერვიულობდა. აჩიმ ქალის მეგობრებიც გაიცნო, თუმც ზოგს გულში ეჭვი ეპა-



რებოდა ამათ გულწრფელ, დედაშვილურ დამოკიდებულებაზე და ბარბარე მიხვდა, რომ სიმართლე ყველას არ უნდა სცოდნოდა და ზოგს აჩი წარუდგინა, როგორც თავისი დედის ნათლული, რომელიც დიდი ხნით საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა, დაბრუნდა და პანდემიის მძვინვარების გამო უკან ვედარ ბრუნდებოდა.

ბარბარემ მარგოტს აჩის შესახებ უამბო, ქალს გული აუჩუყდა და გადანწყვიტა აჩის დახმარებოდა. ნაცნობები შეაწუხა და ტაქსების რომელიღაც კომპანიაში სამუშაოც აშოვნინა, მანამდე კი პრიუსის პატრონმა დაქირავებული მძღოლი დაითხოვა. უმანქანოდ დარჩენილი აჩი დასაქმდა და ბარბარეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აჩიმ თანამშრომლებს თავი შეაყვარა და კომპანიის ოფისში დროებითი თავშესაფარიც მისცევს. ახლა მას თავზე სახურავიც ჰქონდა, სითბოც და ლოგინიც, ადამიანურად რომ მოესვენა. აჩი თავდადებული მუშაკი იყო და ბარბარეს ფიზიკურად ისე ხშირად ვედარ ნახულობდა, მაგრამ ისინი მაინც მეგობრებად დარჩნენ და ერთურთის მოკითხვა უხაროდათ.

...

ლოკდაუნის შემდეგ ბარბარემ პირველად იმგზავრა მეტროთი, მარჯანიშვილის სადგურიდან ამოვიდა და გაბედა. თავის უბანში გაისეირნა. სუსხიანი დილა იყო. გულგრილად ვერ ჩაუარა პარკს, შესასვლელთან შეჩერდა, რომელსაც მრავალჯერ შეუცვალეს სახელი. ბარბარეს ბავშვობაში გორკის კლუბი ერქვა, ყმანვილ ქალობისას - ვარდების ბაღი, ახლა კი ილიას ბაღად მოიხსენიებდნენ. ბავშვობის მერე მხოლოდ ერთხელ იყო სებასტიანესთან ერთად. მაშინაც დილა იყო, ოღონდ ზაფხულის მზიანი დილა. ამბობდნენ, ახლა უკეთაა მოვლილი. შესვლა უნდოდა, მაგრამ მარტო იყო და ვერ გაბედა, ერიდებოდა, არადა სურვილი კლავდა. ვიღაც უკნიდან მოეხვია, ბარბრე შეცბა, შეტრიალდა, მის წინ საქსოფონისტი მერაბი იდგა და უღიმოდა: - შეგაშინე? - ბარბარემ თავი გააქნია. კაცმა ხელი ჩაჰკიდა და გეზი პარკისკენ აიღო, ბარბარეც ბავშვივით შეჰყვა. იქაურობა ადამიანების გარეშე უკაცრიელს ჰგავდა. სამაგიეროდ უპატრონო,



დიდი, ქუჩის ძაღლები დაძუნძულებდნენ, ესენი რომ დაინახეს, კუდის ქიცინით რატომღაც მხოლოდ ბარბარეს წინ დაცუცქედნენ, ყველას თავზე ხელი გადაუსვა. მერაბს მოეჩვენა, რომ ერთ-ერთმა მათგანმა ქალის გაცნობა გადანყვიტა, თითქოს ადამიანთან დალაპარაკება სურსო, ვინაიდან თათი ასწია და ხელის გულზე სათუთად დაადო, სინამდვილეში ცხოველი ისევ მოფერებას ითხოვდა. ქალიც მოეფერა ნაცრისფერ მეტისს, ამასობაში სხვა ძაღლებიც მიეცმასნენ: - რა გიყოთ, საჭმელი რომ არ მაქვს? - მაგრამ ძაღლები დიდხანს არ წავიდნენ, ყნოსავდნენ და კუდს უქიცინებდნენ, მერაბს კი ეშინოდა, რომელიმემ უცბად არ უკბინოსო. როგორღაც მიხვდნენ, რომ დადგა დრო, ქალს გაცლოდნენ.

საქსოფონისტს ქურთუკის ჯიბეში პატარა ბოთლით ანტი-სეპტიკური ხსნარი ედო, ამოიღო და ბარბარეს მიანოდა, რომ დაბინძურებული ხელები დაემუშავებინა.

ადრინდელთან შედარებით გაცილებით პატარა ჩანდა გორკის კლუბი. ძველი, ხის რამდენიმე შენობა დაენგრიათ და ახლებით ჩაენაცვლებინათ, აქ უკვე რესტორანიც იყო. საზაფხულო კინოთეატრიც მოეშალათ, მის მაგივრად უზარმაზარი შენობა აღემართათ, რომელსაც ეწერა- ტერმინალი. რისი ტერმინალიაო?! გაუკვირდა ბარბარეს. მერაბმა აუხსნა, აქ შესვლა ფასიანია, შეგიძლია იმუშაო, საქმიანი ვიზიტები დანიშნო, თან ნაიხემსო. შეგიძლია შეიტანო კომპიუტერი და წერო რომანები. ნავიკითხე „12,“ მაიმუნმა გოგომ მათხოვა და ძალიან მომეწონა.

ბარბარეს სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა და მერაბს დაჰპირდა, წიგნს გაჩუქებო.

წრიული ფორმის მოზრდილ, მწვანედ აბიზინებულ და შემოღობილ ტერიტორიაზე ახლაც ჰყვაოდა სხვადასხვა ფერის ვარდი. ბარბარე ღობეს მიუახლოვდა და გაშლილ კოკრებს დაყნოსა, სუნი არ ჰქონდათ და გული დასწყდა. გაახსენდა, რამდენ რამეს იტევდა ეს პარკი. ადრე, კომუნისტების დროს სხვადასვა სახელოვნებო სტუდიებში ბავშვები დადიოდნენ. პირველი ქართული როკ-ჯგუფი „ბერმუხაც“ ამ სივრცის ან დანგრეულ შენო-



ბაში ატარებდა რეპეტიციებს. კვირაში ორჯერ ადვენტიტები იკრიბებოდნენ და მათ შეკრებებს ამხანაგებთან ერთად ესწრებოდა ბარბარე, ვინაიდან ისინი მხოლოდ ქრისტიკულ საუბრობდნენ, უმღეროდნენ, ადიდებდნენ და ელოდნენ...

ხელუხლებლად დაეტოვებინათ ასევე მრგვალი ფორმის ნყლის აუზი შადრევნითურთ და ულამაზესი მუსკომედიის შენობა, რომელშიც ახლა სასტუმრო იყო განთავსებული. აუზსა და ახლანდელ სასტუმროს შუაში რეკვიზიტად იდგა ძველებური თეთრი გერმანული კოხტა ავტომობილი. გარეთ გამოეტანათ ასევე გერმანული ფუნქციონარული როიალი და პარკის სამშვენივრად გადაექციათ. ბარბარეს თავბრუ დაეხვა. აქ მართლაც ყველაფერი მოვლილი იყო, მზრუნველ ხელს ბუჩქებისთვის გაკრეჭის დროს გულის ფორმა მიეცა, ადამიანები სითბოთი და სიყვარულით რომ აღვსილიყვნენ.

სკამზე ჩამოსხდნენ და მერაბმა ბარბარეს ზურგზე ხელის გული დააჭირა და შეეცადა ბარბარე თავისკენ მოეზიდა, რომ ჩახუტებოდა, მაგრამ ქალმა თავი შორს დაიჭირა და ადგილი მოინაცვლა. ცოტა ხანში მერაბიც მიუცუცქდა და მოულოდნელად ყელზე ეამბორა. ბარბარეს არაფერი უთქვამს, აინტერესებდა, როგორ მოიქცეოდა კაცი, რომელმაც თვალები მილულა და მბრძანებლური ტონით მოითხოვა, მაკოცეო. წამონთებულ ბარბარეს საქსოფონისტზე სილის განწის სურვილმა წამოუარა, მაგრამ სურვილის სანინააღმდეგოდ მოიქცა, დინჯად ადგა და გაეცალა, მაგრამ მერაბი გამოედევნა, ბარბარემ ტემპს მოუმატა და პარკიდან გამოსული გარბოდა. გადაკეტილ ქუჩაზე, სახლთან აღმოჩნდა, პულსი ზღვარსგადასულად აჩქარებოდა, საქსოფონისტი სადღაც გამქრალიყო. შვებით ამოისუნთქა, სიბრაზემაც გადაუარა. ინტუიცია კარნახობდა, რომ დღეს ბატონ მირზას ნახავდა, ინტუიციას ენდო და მართლაც ესტუმრა ბარბარეს რედაქტორი. ფანქრით ჩასწორებული თაბახის ფურცლები დაუბრუნა. რედაქტორმა აღელვება შეამჩნია ბარბარეს, მაგრამ არაფერი ჰკითხა. წასვლისას ბარბარე სტუმარს ჩაეხუტა და გაახსენდა პაპა, მამა, სებასტიანეც კი. თითქოს მირზას სხეულში შემძვრალიყვნენ და იქიდან



სიყვარულის ნაზ ენერგეტიკას აფრქვევდნენ. რედაქტორი მორჩილად იდგა, არ განძრეულა, ვინაიდან ისიც რალაც კარგს, სასიამოვნოს გრძნობდა. არ მოინდომა თავად მოშორებოდა ქალს, უცდიდა, როდის გაათავისუფლებდა, მერე ვერ მოითმინა და ბარბარეს ვნებიანად აკოცა. ქალი არ განძრეულა, მეტისმეტად გაუფრძელდა სტუმრის გაცილება. უკან დაიხია. მირზას შინაგანი კოცონიდან ბარბარეში ძალზედ პანია ნაპერწკალი გადმოსახლდა. არავინ იყო ბარბარე მირზასი, არც ნათესავი, არც მეგობარი, სრულიად არვინ, მხოლოდ საქმე აკავშირებდათ, მაგრამ ბარბარე მიხვდა, რომ ეს ადამიანი მისთვის შვებად და იმედად იქცა, უპირობოდ უყვარდა, ეგ იყო და ეგ...

ზამთარმა კუდი მოიქნია, აცივდა, თოვლიც მოვიდა, მაგრამ ბარბარე ემზადებოდა პირველ, შედარებით თბილ მარტთან შესახვედრად.

ჩაკეტილ ქვეყანასა და ქალაქში გადასხვაფერებული საკუთარი ყოფის მთავარ მომენტებს აანალიზებდა. რაც მთავარია, სინდისი არსად დაჰკარგვია, ჭეშმარიტების სიყვარულმა გააძლვებინა და იმ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებთან კავშირმა, ვისთანაც მეგობრობდა.

P.S. კოვიდის სანინაალმდეგო ვაქცინა გამოჩნდა, ადვილად დასამახსოვრებელი სახელით, - ასტრაზენეკა. ევროპელებმა შექმნეს, მაგრამ ამბობდნენ, ინდოეთსა და კორეაშია დამზადებულიო. პრეპარატი საქართველოშიც ჩამოაბრძანეს, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ვირუსის ნინაალმდეგ საბრძოლველად.

მცირედი დროის გასვლის შემდგომ, მსოფლიოს ოცდაორმა ქვეყანამ ასტრაზენეკათი ვაქცინაცია შეაჩერა, იმიტომ, რომ აცრილთა გარკვეულ ნაწილს სისხლში თრომბოზი განუვითარდა, რამაც სიცოცხლისთვის საშიშ ნიშნულამდე მიაღწია. იყვნენ ისეთებიც, ვისაც ანაფლექსია დაემართა... ოფიციალურად, ასტრაზენეკა მხოლოდ სარგებლის მომტანად, პანდემიის დასასრულის დასაწყისად გამოცხადდა. ალბათ სხვა, გაუმჯობესებული, მშველელი ვაქცინებიც გამოჩნდებოდნენ, ვნახოთ, ამინ!



ამბავი მაცხრა

საბოდიშო

დილით მერაბმა დამირეკა და შეშფოთებულმა გული გადა-
მიშალა. თურმე ყოველ დღე დგას კაფეს ვიტრინასთან და ერთი
ქალის გამოჩენას ელის, მან კი არა და არ ჩამოიარა. ეჭვი ჰქონდა,
სხვა გზით ხომ არ დაიარებო. ვერ მივხვდი ვის გულისხმობდა,
თურმე ბარბარეზე მეუბნებოდა. შინ დავიბარე, დავინტერესდი,
რა მისი სადარდელი იყო, ბარბარე რა გზით მიდი-მოდიოდა?!

მოვიდა, ხელთ კოხტა კალათა ეკავა, სხვადასხვა ხილით სავ-
სე, შამპანურით დამშვენებული და ზემოდან გვირგვინად ბამბა-
ნერკაც დაედო. ისევ კარებთან იდგა, ფრანგული შოკოლადის
ფილა მაჩუქა და დასძინა, დანარჩენი ბარბარესიაო. გავვოცდი.
შემოვიდა, კალათა მაგიდაზე დადგა, სკამზე ჩამოჯდა:-ეს საბო-
დიშოა, ბარბარესთვის.

ვერ მივხვდი, რა ჰქონდა საბოდიშო ბარბარესთან. შემხედა,
გაელიმა:-მაიმუნო, შენი დახმარება მჭირდება, მიმიყვანე მას-
თან, საბოდიშო გადავცე.

-კი მარა, რას ნიშნავს საბოდიშო?!

-რას და, ჩვენთან, გურიაში ასეა მიღებული, როცა ვინმეს-
თან რამეს მიჰქარავ, ბოდიში ამგვარად უნდა მოუხადო.

-ბარბარეს აწყენინე?!

მერაბმა თავი გააქნია:-მეგონა გავახარე, მომწონს და...

-აჰა, წაელლაბუცე?

-მომწონს და პირდაპირ საქმეზე გადავედი, ის კიდევ გამექ-
ცა. მას შემდეგ აღარ მინახავს, ვფიქრობ, შემოვლითი გზით დაი-
არება, რომ არ გადამეყაროს.

-საოცრება ხარ მერაბ, სად, როდის, როგორ მოახერხე?!

-ილიას ბაღში შევედით და...

-რახან შემოგყვა, გადანყვიტე, რომ ასე მოქცევა შეიძლებო-
და?! თინეიჯერები ხომ არ ხართ...

-კაი, ჰო, ნულარ მამცირებ, შემეშალა და ბოდიში უნდა მო-



ვუხადო.

-დავურეკო?

-კი, ან აქ მოვიდეს, ან მასთან მივიდეთ, არ უთხრა, მეც რომ ვარ... ჰე, მიდი ახლა, რამე მოიფიქრე!

- სულსწრაფო, ერთად მოვიფიქროთ, -შოკოლადის ფილა გავხსენი, -ყავა დავლიოთ და მერე დავურეკავ!

-თუ იცი, ყავს ვინმე?

მხრები ავიჩეჩე:-ჩვენ ეგეთ რამეებზე არ ვსაუბრობთ, ასე რომ, არ ვიცი, მაგრამ შენი ჩანაფიქრი მომეწონა, მასაც მოეწონება, აუცილებლად გაპატიებს, დარწმუნებული ვარ.

-ვაიმე, თავზე რომ დამამხოს საბოდიშო, რა ვქნა?!

გამელიმა, სამზარეულოში გავედი ყავის მოსადუღებლად. შემომყვა.

-ხსნადი არ გააკეთო მაიმუნო, თურქული მინდა და ჩამიხედე ჭიქაში.

გამიკვირდა:-მე რა, სონა მკითხავი ვარ?!

-ადრე, ხომ მკითხაობდი!

-ვთამაშობდი!

-მხატვარი ხარ, ფიგურებს დაინახავ და მეტყვი, აზრს თავად გამოვიტან და გავიგებ რა მელის...

-მგონი შეგიყვარდა...

-შენ გგავს მაიმუნო, შენ და იმედია, ხასიათით არა.

შემეცოდა, გადავწყვიტე დავხმარებოდი. ვუმკითხავე კიდეც, ვუთხარი, საუბარი გექნება ქალთან და დიდი სიხარულიც გელის თქო. მანდ შენ არ ჩანხარო? - მკითხა. ვუპასუხე, რომ მეორე ქალი არ იყო ნალექზე გამოსახული, პირისპირ ხარ ერთთან მეთქი, ვინაიდან წინასწარ ვიცოდი, მათ საუბარს არ დავესწრებოდი.

დავურეკე ბარბარეს, მაშინვე მიპასუხა, გაახარა ჩემი ხმის გაგონებამ.

- იმედია, შენთან არ მიხმობ, თავად მობრძანდი, ეს წუთია შინ შემოვედი. ხომ იცი, არსად დავდივარ, მხოლოდ ჩემს ორ ბინას შორის დავდივარ.



-რატომ, ბარბარე?

-მეშინია და იმიტომ, რა ვიცი, ვინმეს რომ ვესტუმრო და მერე ავად გახდეს, მე არ დამბრალდეს, პანდემიაა მაინც, თანაც, არვინ მეუბნება მეწვიეო და არც მინდა!

-კარგი ბარბარიკო, ხუთ ნუთში შენთან ვიქნები.

-გელოდები.

...

მივედით, კართან ავიტუზეთ, მერაბს ორივე ხელით ეკავა საბოდიშო კალათა. პირფვარი გადაისახა, ჩურჩულით მითხრა:- მიდი, დააკაკუნე, მზად ვარ!

ფართოდ გააღო კარი მომლიმარე ბარბარემ. მერაბთან ერთად რომ მიხილა, გაუკვირდა, გვერდზე გადას, მერაბის ძღვენი ვერ დაინახა, მობრძანდითო, თავაზიანად შეგვიპატიჟა. მრგვალ მაგიდას მივუსხედით. მერაბმა კალათა იატაკზე დადო. ბარბარე ხან მე მიცქერდა, ხანაც მერაბს. სიჩუმე დავარღვიე:-მოკლედ, ჩემო ძვირფასო მეზობელო, ამ ბიჭს შენთან საბოდიშოდ ქონია საქმე, დახმარება მთხოვა, დავთანხმდი, ძალიან ნერვიულობს...

-რა აქვს სანერვიულო, სასიამოვნოა ნიჭიერი მუსიკოსის სტუმრად მიღება.

მერაბს გავხედე, რომელიც აღფრთოვანებული შესცქეროდა მასპინძელს. ვიგრძენი, ზედმეტი ვიყავი, სკამიდან წამოვდექი:-მაპატიე ბარბარიკო, უნდა დაგტოვოთ!

-არა, რატომ, დარჩი...

-ვერა, სტუმრებს ველი, დრო არ დაუზუსტებიათ, მითხრეს, რომ დილით მესტუმრებიან. გტოვებ მერაბთან, რომელიც ძალზედ წესიერი და კარგი ბიჭია, საქმე შენთან აქვს და, სჯობს წავიდე.

ბარბარე წამოდგა, თავი ჩალუნა:-კარგი, რა გაეწყობა!

მერაბი არ განძრეულა, სახეანითლებული იჯდა და ელოდა, როდის გავეტეოდი ამ სივრციდან.

...

პირისპირ ისხდნენ. მერაბი სკამიდან წამოდგა, კალათა მა-



გიდაზე დადგა:-ეს შენ და მაპატიე!

ბარბარე დაიბნა:-გაპატიე, მაგრამ ეს რა არის?!

-ნესია ასეთი გურიაში და გამოვიყენე.

-გასაგებია, -გაელიმა ბარბარეს:- და საპასუხოდ მე რა უნდა გავაკეთო, ნესის მიხედვით?

-არაფერი, უნდა დაივინყო წყენა. მომწონხარ და...

-მეც მომწონხარ, მაგრამ როგორც მუსიკოსი, მიყვარს ნიჭიერი ადამიანები.

-პირდაპირ მითხარი, მიმიღებ? იქნებ გვეცადა ჰა...

-ვერა.

-რატომ, შენ ხომ მარტო ხარ.

- და, გული რომ გამიტყდეს, ვაი, და ვერ მიგიღო! თანაც, ჩემი გული უკვე დაკავებულია.

- დავიგვიანე?

-მხოლოდ გულია დაკავებული, სხეული არა...

-ეს როგორ გავიგო...

-თავადაც გაუგებრობაში ვარ, დიდი ხანი არცაა გასული, რაც ღირებულებები გადავფასე. არაფერს ვითხოვ მისგან, უბრალოდ მიყვარს და მორჩა. იცი, რომ ქვრივი ვარ, ვინც მიყვარდა, იმისი საფლავიც არ მაქვს, გაქრა კაცი, დავიღალე! ახლა ის ადამიანი მიყვარს, ვინც მიყვარს და მან არ იცის, რომ მიყვარს, უბრალოდ მიყვარს, მორჩა და გათავდა!

-გასაგებია, დასანანიც.

- საქმე ისაა, რომ შენ რომ ყოფილიყავი იმ კაცის ადგილას ჩემი სიყვარული არაფერში წაგადგებოდა, გამექცეოდი...

-ჰო, შესაძლოა, კაცისთვის ინტიმი მნიშვნელოვანია.

-ვიცი. ჩემთვის არაა მნიშვნელოვანი, მთავარი ჩემი შინაგანი განცდებია. ღირებულებების გადაფასება მოხდა ჩემში და...- ბარბარემ ჟურნალის მაგიდაზე დადებულ თაბახის ფურცლებს გახედა:-შეხედე, ერთი კარგი მწერლის შემოქმედებას თვალყურს ვადევნებ, ეს რომანი მალე წიგნად იქცევა, ავტორმა დამიტოვა წასაკითხად, შევძელი რეცენზია დამეწერა, მაგრამ ეს



რომანი დამეხმარა გათავისუფლებაში, ამ ავტორის სხვა ნაწარმოებებიც მეხმარებოდნენ თურმე და არ ვიცოდი, მოკლედ, ყველა ერთად დამხმარებია.

-ვინაა ის ავტორი, კაცია?

-მარგოტია.

-და რას გეუბნება მარგოტის რომანები, მეც მითხარი, იქნებ დამეხმაროს, ქალი ავტორისგან ემოციების მიღება საინტერესო იქნებოდა.

- გეტყვი, მაგრამ უნდა წაიკითხო, ვაიდა, არ გვეთანხმები, მეც ხომ უკვე მისი თანამოაზრე ვარ.

- მათხოვე წიგნები, გამარკვიე, რა აზრზე დგახარ, იქნებ მეც გამოვიყენო პირად ცხოვრებაში.

ბარბარემ თავი დაუქნია, თაროდან სამი წიგნი გადმოიღო და მერაბს მიაწოდა. კაცმა წიგნებს დახედა, გადაფურცლა, გადაათვალიერა:- რა ჰქვია ბოლო რომანს?

-ლურჯი საკინძე.

ბარბარე სავარძელში ჩაჯდა, მერაბი მის მოპირდაპირედ დივანზე მოკალათდა და სმენად გადაიქცა.

-მარგოტი ამტკიცებს, რომ სიყვარული ალამაზებს, ამშვენს იერიებს ადამიანთა ცხოვრებას და ვინც გაბედავს ამ გრძნობის აბუჩად აგდებას, აუცილებლად დაისჯება თავად ცხოვრებისგან. სიყვარული არაა გართობა, ბოჰემა, გლამური და დროის მოკვლა. როცა გიყვარს, საკუთარი თავის სხვაგვარად შეცნობა-შეყვარებას იწყებ. ძალაუწებურად იწყებ ფიქრს მასზე და შენზეც, გინდა თუ არ გინდა, იწყება ის დიდებული ქმედება, რასაც სხვაზე ზრუნვა და დარდი ჰქვია. იწყება ამალღება და დაცემა, სირთულეები, ჩნდება პასუხისმგებლობის გრძნობა. შენ, როგორც ადამიანი მკვეთრდები და სულიც კათარზის განიცდის, თუ უფლებას მისცემ და გაზრდა-გაფურჩქვნას დააცდი, დიდი შანსი გაქვს გახდე პიროვნება. ადამიანები ვართ, მაგრამ უმრავლესობა იმგვარად მიდის ამ ქვეყნიდან, რომ პიროვნებად ვერ ყალიბდება. გამიჯნურებული ადამიანისთვის სამყარო გა-



ცილებით მშვენნიერია, მიუხედავად იმისა, რომ მწუხარება და შფოთვაც თან სდევს. მარგოტი მიმანიშნებს, რომ სიყვარული ავადმყოფობაცაა და ამაღლებაც. ვფიქრობთ, რომ საკუთარი თავი ჩვენზე მეტად არავის უყვარს, არადა, რამდენს ვუშავებთ საკუთარ მეს, როცა მარტონი ვრჩებით...

-რატომ გაჩუმდი...

ბარბარემ ამოისუნთქა და გააგრძელა:- ფუჭი ურთიერთობები ანადგურებს ადამიანს, მაგრამ როცა კაცი ან ქალი „თავის ადამიანს ელოდება“, ესაა სწორი და ადამიანური უნარი. და მე მარგოტმა მიმიითთა, ერთგულება გამქრალი ადამიანის წინაშე რა მოსატანია თუ ცოცხალი შეგიყვარდა, ჭეშმარიტი სიყვარული მთავარი ადამიანური ბედნიერებააო.

-და შენ ახლა მოპოვებული გაქვს ეს ბედნიერება?

-არ ვიცი მერაბ, ან ჰო, ან არა, ძალებს ვიკრებ, რომ ყველაფრისთვის მზად ვიყო. მე ის მიყვარს და მივეკედლე, თუმც მან ეს არ იცის.

მერაბს გაელიმა:-მესმის, და ის კაცი შენი თაობის წარმომადგენელია?

ბარბარემ თავი გააქნია:-ვგრძნობ, რომ არასწორად ვიცხოვრე, დრო დავკარგე, პირადი ცხოვრებისთვისაც უნდა მიმეხედა, აქამდე არ შემეძლო, დრო არ მქონდა თავისუფალი და ვცდილობ, ახლა მაინც შევძლო.

-ბარბარე, და გული რომ გაგიტყდეს...

- არაუშავს, მის გამოჩენამდე ხომ ვცხოვრობდი, მერეც გავაგრძელებ, როცა ნავა...

მერაბი ფეხზე წამოდგა, ბარბარეც. კაცი ქალს პატივისცემით ხელზე ეამბოროა:-გაგმართლებოდეს. მაგრამ მე მაპატიე?

-კი.

-ნავალ მაშინ და გვესტუმრე კაფეში, შენად მიჩნეულ მამაკაცთან ერთად.

ბარბარემ თავი გააქნია:-არასოდეს!



აზგაპი მათა

ანგელოზი

კვირა დღე იყო, ბარბარე მირზას უნდა შეჰხვედროდა, რომ კაფეში ყავა დაეღიათ, ესაუბრათ, მაგრამ შენუხებულმა მირზამ დარეკა და თქვა, რომ მეუღლეს უცაბედად ნათესავი გარდაცვლოდა და ოჯახმა შვილიშვილები დაუტოვა მისახედად, ამიტომ ვერ მოდიოდა. დაღონებული ბარბარე ილიას ბაღში შევიდა, ცარიელი იყო იქაურობა. ერთი ახალგაზრდა იჯდა უპირბადოდ, ბრტყელი, ფარფლებიანი ქუდი ეხურა. ბარბარე მის მოპირდაპირედ დაჯდა, ახალგაზრდას მიბაძა, პირბადე მოიგლიჯა და ჭაბუკს გაუღიმა, იმიტომ, რომ ქალს სიკეთით სავსე მწვანე ფერის თვალები შეაფეთა, აკვირდებოდა და ისიც უღიმოდა. ბიჭი ქართველს არ ჰგავდა, უღმერთოდ ლამაზი იყო, ისეთი, რომ ბარბარემ ღრმად ესთეტიკური სიამოვნება მიიღო, თითქოს ხელოვნების ნიმუშს უმზერდა, მაგრამ ბიჭის არაბუნებრივმა სითეთრემ ცოტა არ იყოს შეაკრთო, მისი ასაკის განსაზღვრაც გაუძნელდა, თითქოს ჭაბუკი იყო და არც იყო, ვერ გაიგებდი, იმგვარ ტიპს ჰგავდა, ძნელად რომ ბერდებოდა. თითქოს ფერუმარილი ესვა სახეზე, ან ეს უცნაური თვალის ფერის ხასხასა სიმწვანე... იქნებ, ხელოვნურია?

ახალგაზრდა კაცმა გვერდით გაიხედა და ფარფლებიანი ქუდიც მოიხადა. ბარბარე გააოცა ბიჭის საოცარმა პროფილმა, წვრილად დაკუნკუნებულმა შავმა თმამ. ახალგაზრდა ფეხზე წამოდგა და მისმა წარმოსადგობამ ლამის გული გაუჩერა, შემოსილსაც ეტყობოდა, რომ ანტიკური ქანდაკებასავით უნაკლო სხეული ჰქონდა. ახალგაზრდა კაცმა წასვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, ბარბარეს გამოხედა, გაუღიმა და ქართულად მიესალმა: - კაი გამარჯობა, თქვენა!

-მოგესალმებით!- ქართველია, თანაც, როგორი ხავერდოვანი ხმა აქვსო, თავისთვის გაიფიქრა ბარბარემ.



-შეიძლება, რომ თქვენს გვერდით დავჯდე და გესაუბროთ?

ბარბარეს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ სიხარული იგრძნო, ახალგაზრდა კაცი რომ უახლოვდებოდა და მის მშვენიერ სახეს ახლოდან დააკვირდებოდა. გვერდით მიუჯდა და ხელი გაუწოდა, ბარბარემ ჩამოართვა, საკმევლის სუნი დატრიალდა ჰაერში, ქალმა ჩამონართმევი ხელი ცხვირთან მიიტანა, გაოცდა, მირონის სურნელი უცნობს მთელს ხელის მტევანზე ასდიოდა. ინტუიციით იგრძნო, რომ ჩვეულებრივ ადამიანს არ ესაუბრებოდა.

-რა გქვიათ?-ჰკითხა ჭაბუკმა.

-ბარბარე, თქვენ!

-მერკური, ჰერმესი, რომელიც მოგწონთ იმ სახელით მომმართეთ.

- როგორც ზევსის ძეს?

-დიახ, დიახ, -დაადასტურა ახალგაზრდამ:- ზევსისა და მაიას შვილი ვარ.

ალბათ პიროვნული გაორება სჭირს, გაიფიქრა ბარბარემ, მაგრამ საუბარში აჰყვა ახალგაზრდას.

-და ვინაა დედაშენი, რას წარმოადგენს?

-დედაჩემი მიჩნეული იყო გაზაფხულის ქალღმერთად.

ბარბარეს სტუდენტობისას მითოლოგია ძალზედ უყვარდა და რაღაცები ახლაც ახსოვდა, ამიტომაც კითხა მერკურს:-და დედაშენის მამას რა ერქვა?

- ატლასი, - მერკური კარგად დააკვირდა ქალს, - გიჟი გგონივართ?

ბარბარემ თავი გააქნია:-არა, უბრალოდ არ მჯერა, ვერ ვიჯერებ!.. შენ ის ჰერმესი და მერკური ხარ, კუს ბაკნისგან ქნარი რომ დაამზადე და აპოლონმა წაგართვა?

-დიახ, სამაგიეროდ, ოქროს კვერთხი მაჩუქა.

ბარბარე წამოდგა, ხელი მკერდზე მიიდო, მერე ცხვირთან მიიტანა, ისევ მირონის სუნი ასდიოდა და ეჭვი შეეპარა, თავად რომ სრულ ჭკუაზე იყო:-მითხარი, ნამდვილი ხარ, მართლა არსებობ?!
 -



-ვარსებობ, მაგრამ შემიძლია გავქრე. მინდოდა ვინმეს დავ-
ლაპარაკებოდი და გელაპარაკებით!

-რომ დავრწმუნდე, მართლა არსებობ, შეიძლება აქ ახლობე-
ლი ვიხმო ვინმე, ძალიან სანდო ადამიანი, რომ დავრწმუნდეთ....

ახალგაზრდას გაელიმა, ფარფლებიანი შავი ქუდი თავზე ჩა-
მოიფხატა და მიუგო: - უხმე, მე ვარსებობ, ვარ!

-კარგი, მაშინ ჯერ არ გაქრე, კარგი?

მერკურმა თავი დაუქნია.

ბარბარემ ტელეფონში ჩამოწერილ სიას დახედა და მხატ-
ვარზე შეაჩერა ყურადღება, დაურეკა:-ასკეტ, გეხვეწები გამოდი
გორკის კლუბში, აქ საოცრებას გადავეყარე და სანამ გაქრება,
მოდის რა, მეც არ მჯერა, რაზეც გელაპარაკები, მაგრამ გამოდი,
მჭირდება, ცუდად ვარ!

-მოვდივარ, მერაბიც ჩემთანაა და წამოვიყვანო?

-წამოვიყვანე, იჩქარეთ!

ბარბარემ ჰერმეს-მერკური შეათვალაიერა, რომელიც დონ-
ჯშემორტყმული იდგა ბარბარეს წინ და გარემოს ათვალაიერებდა.

-შენ ის ღმერთი ხარ ხუმარა, ცელქი, მატყუარა, შიკრიკი
ღმერთებისა და ქურდიც...

-ქურდი ბავშვობაში ვყოფილვარ, ვითომც აპოლონის ძრო-
ხები მომეპაროს და ვითომ მას უნდოდა ზევსისთვის ეთქვა,
ქურდი შვილი გყავსო, მაგრამ არ გააკეთა, თუმც კვერთხი მარ-
თლა მაჩუქა, იმიტომ, რომ კარგი ტიპი ვარ.

-საყვარელი და ლამაზი!- დაასრულა ბარბარემ და გაიცინა.

ჰერმესმა თავი მორცხვად დახარა:- რა ვიცი, აბა!

ამასობაში მხატვარი და საქსოფონისტიც გამოჩნდნენ.

-აი, მოვიდნენ ჩემი მეგობრები! - წამოიძახა ბარბარემ. ჰერ-
მესმაც გახედა მათ იმდაგვარად, თითქოს რენტგენში გაატა-
როო:- შემოქმედები არიან? -იკითხა.

-დიახ, როგორ მიხვდი?! კაცი საქსოფონისტია, ქალი კიდეც
მხატვარი- ფერმწერი, გრაფიკაშიც ძლიერია.

-რა კარგია, გვიახლოვდებიან!- წამოიძახა მერკურმა.



ასკეტამ და მერაბმა ხელი დაუქნიეს ბარბარეს და ჰერმეს-მერკურის დანახვისას ისინიც შეცბნენ.

-ნამდვილად არსებობს ხომ ეს ბიჭი, ხომ არ მეჩვენება?- იკითხა ბარბარემ.

-დედა, რა კარგი ბიჭია!- წამოიძახა ვან-გოგამ.

- ეს ბიჭი ჰერმესია, იგივე მერკური!-გამოაცხადა ბარბარემ. ვან-გოგამ და მერაბმა გაოცებით ერთმანეთს შეხედეს.

-აი, გხედავენ და არ მიჯერებენ!-წარმოსთქვა ქალმა.

-რა გინდა თქვა, რომ ეს ლამაზი ბიჭი პირდაპირ მითოლოგიიდან გვესტუმრა, ბერძენთა და რომაელთა ერთერთი ღმერთი?!-ჩაეკითხა მხატვარი ბარბარეს.

-არა, მთლად მასეც არაა, ჩვენ არ ვართ ღმერთები, სინამდვილეში ანგელოზები ვართ, ღმერთებად ადამიანებმა შეგვრაცხეს ქრისტიანობამდე, ადამიანური თვისებები, მანკიერებები მოგვანებეს, ვინაიდან გვაადამიანურებდნენ, ანუ ადამიანურ ღმერთებად წარმოგვიდგენდნენ.

-ზევსი, მამაშენი, ვინ იყო სინამდვილეში?- იკითხა ბარბარემ.

-ანგელოზთა ანგელოზი, წინამძღვარი, მაშინდელ ადამიანებს ცხოვრების გაუმჯობესებაში რომ დახმარებოდნენ, იმ მთავარი, ერთადერთი ღმერთის დავალებებს ასრულებდნენ... მეგობრებო, ჩემი დრო იწურება, უნდა წავიდე.

-მართლა გაქვს ფრთიანი სანდლები? - ჰკითხა ვანგოგამ.

მერკურმა თავი გააქნია:- უარესი, თავად ქუსლებზე მაქვს ფრთები.

-გვაჩვენე რა!- სამივემ ერთხმად წარმოსთვა.

-წამოდით სადმე, მიყრუებულში. ფერხთ გავიხდი და ნახავთ.

მთელი ბალი ისედაც მიყრუებული არ იყო? ამ ხნის მანძილზე ერთი ადამიანიც არ შემოსულა პარკში, მაგრამ კიდევ უფრო მიფარებულისკენ გაჰყვნენ ჰერმეს-მერკურს. ორ შენობას შორის მდგარმა ფერხთ ულამაზესი ფეხსაცმელები გაიხადა, შავი წინდებიც გაიძრო და ცალ ფეხსაცმელში ჩაკუჭა:-ამათ თქვენ გიტოვებთ სამახსოვროდ!-ცალი ფეხი ასწია, ხელები ქუსლებისკენ წაიღო და თეთრი ფრთები გამოსწია, საკმაოდ დიდები ჩანდ-



ნენ. სამივე შეეხო ანგელოზებრივ თბილ, სასიამოვნოდ ფაფუკ ფრთებს. ბუმბული გასძვრა მარჯვენა ფრთას და მიწაზე ჰაეროვნად დავარდა. ბარბარეს სურვილი გაუჩნდა აელო და სამახსოვროდ დაეტოვებინა.

-აილე, ნუ გერიდება!-მიმართა ჰერმესმა ბარბარეს. ქალი დაიხარა და ბუმბული აილო, პალტოს ჯიბეში ჩაიდო. ჰერმესმა ღიმილით გადახედა სამთავეს, ხელები გაშალა, ქუსლებზე გამობმული ფრთებიც ააფარფატა, ნელა-ნელა ზემოთ აინია, ჯერ ისევ ოდნავ იყო მიწას აცილებული, რომ ბარბარემ ჰკითხა:-წასვლისას არაფერს გვეტყვი? ამდენ უსამართლობას, ბოროტებას გადავურჩებით?

-გადასარჩენი გადარჩება, ამოსანყვეტი ამოწყდება. დაიმახსოვრეთ, ყოველი ადამიანის სიცოცხლე მოიცავს მრავალ განზომილებას, ყოველი თქვენგანის შინაგანი გამოსახულება მრავალსახოვანია და განუმეორებელი, ეცადეთ, იყოთ მოაზროვნენი, კრიტიკულად მიუდევით ყველა ფაქტს, მოვლენას. თქვენი ფიქრები არავისას უნდა ჰგავდეს! ყველამ სათითაოდ, საკუთარი მზე შეიქმენით თქვენს შიგნით, სულში და ყველაფერი კარგად იქნება.

თქვა და გაქრა ჰერმეს-მერკური.

მხატვარი ფეხსაცმელებთან მივიდა:-ლმერთო, ყველაფერს მირონის სუნი ასდის, მაგრამ რა უნდა ფრთებს ქვემოთ, ეს ერთგვარი ზეციური აბომინაციაა...

ფეხსაცმელები მერაბის ფეხის ზომას დაემთხვა და თავისდაუნებურად იჩუქა.

მერაბი მხატვრის გვერდით დადგა, უკვე საღამოს ცხრის ოცი წუთი იყო, მალე კომენდატის საათი დაიწყებოდა.

- რამე, ჩასადები არ გაქვთ?

- მაქვს,-ბარბარემ ხელჩანთიდან პარკი ამოიღო და მერაბს მიანოდა.

საქსოფონისტი და მხატვარი ბარბარეს გვერდით ამოუდგნენ, ხელკავი გაუკეთეს, ბალიდან გაბრუნებულ-გაოგნებულნი გამოვიდნენ და არ იცოდნენ ლამით თუ დაეძინებოდათ...



ამბავი მეთერთმეტი

სიყვარულის ვარიანტი

სექტემბრის სუსხიან სალამოს ცისფერი სახლის ეზოს შეკედლებული ძაღლი აყეფდა. ბარბარემ შემწვარი ქათმის ნაჭრები მაცივრიდან გამოიღო. ჩაბნელებული დერეფნები გაიარა, ეზოში ხვეული კიბით ჩავიდა და ცხოველს საკვები დაუდო. ცუგამ დაყნოსა საჭმელს, კუდი ააქიცინა და თავი გვერდულად ბარბარეს რბილ ფაჩუჩებზე დადო. ესიამოვნა ბარბარეს ცხოველის შეხება, მაგრამ სურვილის მიუხედავად თავზე ხელი ვერ გადაუსვა, ბინძური, ტალახშემხმარი რუხი ბენვი სხეულზე მიკვროდა დადუმებულ, მადლიერ ცხოველს, რომელიც ჭამას შეუდგა.

- საყვარელო ცუგა, ნავედი და აღარ იყეფო ამაღამ!- გამომეშვიდობა ძაღლს, თითქოს ყველასი რომ იყო და არც არავისი.

მეორე დღეს, დღის თორმეტ საათზე, პოლიკლინიკაში უნდა მისულიყო ასაცრელად, ლუკას სურდა ასე, დარწმუნებული იყო, ვაქცინაცია ბარბარეს შესაძლო პრობლემებს აარიდებდა.

გამთენიისას ყელი ეტკინა, მაშინვე ზომები მიიღო, აბა, შვილს ხომ არ გაანზილვდა?! სიცივეში ამგვარად ყელის ტკივილი ბუნებრივი მდგომარეობა იყო ბარბარესთვის ამიტომ არ ეშინოდა ხვალინდელი დღისა.

მას შემდეგ, რაც ილიას ბაღში ჰერმესი გაიცნეს, ბარბარე, მერაბი და ვან გოგა- ანა, უსაშველოდ დაახლოვდნენ. შეცვლილ რეალობაზე ბევრს ფიქრობდნენ, საუბრობდნენ. ამასობაში კი ურჩხულმა სახადმა დედამინაზე ოთხ მილიონ ნახევარი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. კოვიდ ცხრამეტის მუტაციების შედეგად წარმოიქმნენ ახალ შტამიანი ვირუსები, ინგლისური ალფა, ბეტა- აფრიკული წარმომავლობისა, გამა,- ბრაზილიელი და ინდოელი დელტა. დღიურად, ოთხიდან ექვსი ათასი ადამიანი ინფიცირდებოდა ინდური შტამით. პლანეტას მოედო ოხერი.



მეცნიერები ამბობდნენ, ინდურის გარდა არსებობს რუსულ-ევროპული, გამუტანტიებული დელტა შტამებიცო. ავადდებოდნენ აცრილებიც და ზოგი სიცოცხლესაც ემშვიდობებოდა. მეცნიერთა, ექიმთა შრომა და ღვაწლი, სიცოცხლის სასარგებლოდ წინ გადადგმული ნაბიჯები, ათასგვარი სიახლეების დანერგვა უმეტეს წილად იმედგაცრუებებით სრულდებოდა და სამველ-გამოსავალი არ ჩანდა.

პირველ ეტაპზე საქართველოს მხოლოდ ცოტა ასტრაზენეკა ჰქონდა. ჩინელებმა სინოფარმი და სინოვაკი აჩუქეს ქართველებს. ამერიკელებმა ფაიზერი, რომელსაც მოიხსენიებდნენ, როგორც მდიდრების ვაქცინას. ამბობდნენ, მალე მოდერნა და ჯონსონ-ჯონსონიც გამოჩნდებაო.

ვაქცინაციის პროცესი მძიმედ მიმდინარეობდა. ანტივაქსერული მოძრაობა დიდ გავლენას ახდენდა ადამიანთა გადაწყვეტილებაზე. ხალხი თავს იკავებდა, ორჭოფობდა, ქარიშხალს აყოლილი ლერწამივით ირხეოდა და არ იცოდა რა გზას დადგომოდა, ვაქსერულს თუ ანტივაქსერულს. ვაქცინაციასთან დაკავშირებული მითები და სინამდვილე ერთურთს შეერწყა. ერთნაირად გამაღიზიანებელი იყო დაძალებისა და ნახალისების მეთოდები. საქართველოში აცრილები და აუცრელები ერთურთს დაუპირისპირდნენ. ვაქცინირებულების უმეტესობა აცრის მოშიშთ ბნელებს, გაუნათლებლებს, იდიოტებს, მკვლელებს უწოდებდა, სიძულვილს ეგრეთ წოდებული ანტივაქსერებიც გამოხატავდნენ და ახალი შტამების წარმოქმნას აცრილებს აბრალებდნენ, ფიქრობდნენ, რომ ვაქცინირებულები უკვე მონამლულები და ბიოლოგიურად საშიშნი არიან აუცრელი ადამიანებისთვის. მათ სჯეროდათ, დადგებოდა დრო, როცა აცრილები აუცრელებს შველას სთხოვდნენ და ეგრეთ წოდებული ანტივაქსერების მისახედნი გახდებოდნენ. საქმე ისაა, რომ აცრილნიც ჩვეულებრივ ინფიცირდებოდნენ დელტა შტამით ანუ მიმღებებიც აღმოჩნდნენ და გადაამცემებიც, ვირუსის შეყრის შემთხვევაში ვაქცინირებულთა უმრავლესობის ცხოვრება ფატალურად



აღარ სრულდებოდა, მაგრამ ისინიც წვალობდნენ და ბევრ მათგანს სჯეროდა, სიკვდილისგან ვაქცინამ მიხსნაო, ზოგიც ნანობდა, რა ძალა მადგა, რად ავიცერი თუ მაინც ავად გავხდებოდიო. ეჰ, რას გაიგებ...

თავდაპირველად ვაქცინები ვუჭანურის სანინალმდეგოდ შექმნეს, რომლებიც დელტას შტამს აღარ ემთხვეოდნენ, მაგრამ მაინც ეხმარებოდნენ ადამიანებს ახალთავა უკულმართის დაძლევაში, თუმცა ის პირველი, ჩინური წარმომავლობის ვირუსიც გვარიანად მაკვარანცხი გახლდათ. ბარბარემ გადაწყვიტა, ფაიზერით აცრილიყო, ანა ჯონსონ-ჯონსონის გამოჩენას ელოდა. მერაბს კიდევ არ სჯეროდა ვაქცინაციით დედამინწელეს კოვიდვირუსების მიმართ ჯოგური იმუნიტეტი რომ გამოუმუშავდებოდათ. ნახევარ ძმის ნათქვამი ახსენდებოდა. თითქმის ყველამ უნდა მოიხადოს კოვიდ-ჭირი, რომ პანდემია შეჩერდესო. ის ალტერნატიული მედიცინის წარმომადგენელი გახლდათ და მერაბს სჯეროდა ძმის სიტყვებისა. ახსენდებოდა ჰერმეს-მერკურთან შეხვედრა, რომელიც უთუოდ ადამიანთა დასახმარებლად ჩამოფრინდა სამყაროს სხვა განზომილებიდან, ოღონდ ამ ეტაპზე მსოფლიო ამკითხავებული იყო. უიმე, ვაიმე, რას აღარ გაიგებდით კოვიდზე და აცრებზე, ყურებში არ შესაშვებს... ვაქცინაცია მოხუცებსა და შუა ხნის ადამიანებს დაშლის, დააქუცმაცებს, წამებით და ნელა მოკლავსო, ახალგაზრდებს ვერ მოერევა, მაგრამ ლეტალობაზე იმოქმედებს, მრავალი მათგანი უშვილო გახდებაო. იმასაც ამბობდნენ, სინამდვილეში არცერთი ვაქცინა არაა კოვიდსანინალმდეგო, გენური თერაპიააო. კოვიდი იმისთვის შექმნეს, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება რომ გაიოლებოდათო. ხალხის დამონების მეთოდები დაუძველდათ და ახალს თავს ამგვარად გვახვევენო. ზომაზე მეტად გამრავლდა მსოფლიოს მოსახლეობა და მასიური გამოხშირვით სურთ დედამინის გამსუბუქებაო...

კაცობრიობამ მრავალი დაბრკოლება გადალახა. დაპყრობები, ცივი და ცხელი ომები, პანდემიები... მიუხედავად ყველაფრი-



სა, ადამიანი განაგრძობდა განვითარებას, წინ სვლას, დედამიწა აღარ ყოფნიდა და სხვა პლანეტებზე სიცოცხლის ნიშანწყალს ეძებდა, რომ იქაც დასახლებულიყო. ეს ყველაფერი ახლო წარსულში ხდებოდა, მოკლე, სწრაფ, მოქნილ XX საუკუნეში, რომელმაც მსოფლიოს მრავალი საიდუმლო კარის გასაღები დაუტოვა და კაცობრიობამ ახალი ეპოქის დასაწყისის მაინც და მაინც შავბნელი გაუგებრობებით სავსე კარი შეაღო და არვინ იცოდა, როგორი იქნებოდა მომავალი, უარესი თუ უკეთესი.

მეგობრები ხშირად იკრიბებოდნენ ილიას პარკში, ჰერმესს ვერ პოულობდნენ, არა და აინტერესებდათ, რას იტყოდა, ბიოლოგიურ ომში ხართო? რომელიღაც ლაბორატორიიდან ახალი ავადმყოფობა თავისით გამოიქცაო? ხელოვნურად შექმნილ ვირუსს მსოფლიოს მართვის, ადამიანთა დამონების და ახლებური წესრიგის ჩამოსაყალიბებლად იყენებენო?! რა გამოდის, ფაშიზმი? არა, ფაშიზმი ახლა რა მოსატანია, არასწორად შეურჩიეს სახელი ახალ ყოფას, რაღაც სხვა უნდა ერქვას კოვიდ-ბოროტებას. კოვიდ-აცრების მოშიშთ ანტივაქსერებს რატომ უწოდებდნენ, მერაბისთვის გაუგებარი იყო, ანტივაქსერი ხომ ისაა, ვინც ყველანაირ ვაქცინას უარყოფს?!

კარგად გათენდა, ყველასი და არვის ძალლი კვლავ აყმუფლდა, ფანჯარა გამოალო ბარბარემ და დაუცაცხანა,- გაჩუმდი ძაღლის შვილო!

ცხოველმა სანყლად ამოხედა და დადუმდა.

ქალი ქუჩაში გავიდა. სტაფილოსფრად შემოსილი შუა ხნის მეეზოვე მამაკაცი შეგროვებულ ნაგავს უზარმაზარ აქანდაზზე ათავსებდა, ბარბარე რომ დაინახა შეყოვნდა, გაუღიმა, თავიც დაუკრა. დილა მშვიდობისაო, უთხრა ბარბარემაც და რვიანის ფორმის გრძელ სკამზე ჩამოჯდომა მოინდომა, მაგრამ თავი შეიკავა, სველი იყო. მეეზოვემ მსწრაფლ ჩვრით მოაცილა დილის ნამი ჩამოსაჯდომს და სინანულით თავი გააქნია, მრავალმნიშვნელოვნად ჩაიდუდუნა:- რა გვიქნა ამ კოვიდმა, ეს რა გვიქნა...

- არ იდარდოთ, ყველაფერს აქვს დასასრული...



-იცით რა არის?- სამი თითისგან კონა შეკრა მეეზოვემ და ვედრებით ბარბარესკენ მიმართა,-ორი შვილი მყავს, ერთი აიცრა კაი ხნის წინ, დარდით მოვკვდი და გავთავდი, უმცროსი არ იცრება და მაგასაც ვნერვიულობ, რომელი სჯობს თქვენი აზრით, იყო აუცრელი თუ აცრილი?

ბარბარემ მხრები აიჩეჩა, წამოდგა და გზას გაუყვა. მერაბის კავეს მიუახლოვდა, სადაც ცუდი ამბავი მოხდა. ერთდროულად რამდენიმე თანამშრომელი დელტა შტამით დაავადდა და კვების ობიექტი დროებით დაიხურა. მერაბს ვიტრინის შიგნით ხავერდის შავი ფარდა ჩამოეფარებინა, მაგრამ თავად სადღაც გამქრალიყო, მობილური ტელეფონიც გათიშული ჰქონდა.

ბარბარე მშრალ ხიღზე გავიდა, შორიდან დაინახა დოინჯშემორტყმული მერაბი ვან გოგას რომ ემუსაიფებოდა. ხელის აწევით მიესალმა მეგობრებს და მათკენ გაემართა, აძალებდა მათ, დედა ენის პარკში დავსხდეთო. აინტერესებდა, ამ ზაფხულს მერაბი თვალს რად მიეფარა.

ანა მერაბის მაგივრად ალაპარაკდა, გრძელი შესავალიც გამოუვიდა, მერაბს სახლ-კარი გაუქირავებია და კაფე დროებით თავის საცხოვრისად გადაუქცევია. უსულგულო ნათლულის გამო დარჩენილა გამოუვალ მდგომარეობაში, რომლის საქციელიც ჯიბის ქურდის ქმედებას წააგავდა. მერაბს ამ ეტაპზე თავის გატანა აღარ გაუჭირდებოდა, მაგრამ ნალალატევს, მიტოვებულს, დათრგუნულს, დაჭრილი გული ჯერაც არ განმრთელებოდა.

-როცა მარიკამ მერაბის სახლის კარზე დააკაკუნა, პირველმა მე გავიგე,-წარმოსთქვა ანამ, - მივიდა უპირობოდ, თითქოს და მხოლოდ იმისთვის, რომ ნათლიას დახმარებოდა, მერაბსაც გახარებია, საქმე ისაა, რომ როგორც კი შევხედე, ეგრევე გავემიფრე რა გოთვერანიცაა. ჩემმა დანახვამ შეაკრთო, თითქოს სამართალდამცავი ვყოფილიყავი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც თავისი გაიტანა. ჩანაფიქრის განხორციელება მოახერხა და გადაიკარგა. მადლობელი იყავი მერაბ, ბინის წართმევაზე რომ არ უფიქრია, თორემ მაგასაც აგისრულებდა, ისეთი მიმნდობი აღმოჩნდი.



-სახლის გასაღები მომთხოვა, მივეცი, გულის კარიც გავუღე და... ასე მოხდა, არაუშავს, ხომ გადავრჩი.

-ვაი, მაგ გადარჩენას, მერაბ, ვაი!

-მომიყევით, ასეთი რა გააკეთა, რომ ეს იძულებული გახდა ბინა გაექირავებინა.

-ნესით უკვე უნდა მუშაობდეს კაფე, მაგრამ თავად აღარ მსურს, საშიშია, თანამშრომლები დაინფიცირდნენ, მე ის კაცი არ ვარ, არავაქცინირებულ სტუმრებს კაფეს ტერიტორიაზე შემოსვლა ავუკრძალო, იმიტომ, რომ მალე მწვანე პასპორტებს შემოიღებენ. მეც არ მსურს ავიცრა, ამიტომ გავაქირავე ოჯახზე ბინა და გადმოვედი. დავსხდეთ, ცოტას ამოვისუნთქავ და მოვყვები როგორც იყო.

მშრალ ხიდზე მოხუცი ქალი მოხარული სიმინდის ტაროებს ყიდდა. ბარბარემ იყიდა და მეგობრებსაც უწილადა. ბაღში შადრევანთან ახლოს დასხდნენ. მერაბი სასეირნოდ და სავარჯიშოდ გამოსულ ახალგაზრდებს უმზერდა და სიამოვნებით კბეჩდა სიმინდის ტაროს. მხატვარიც ნება-ნება, ნაზად მიირთმევდა სიმინდს, ორივე ხელით ეკავა, გრძელი თითებით სიმინდის მარცვლებს ჩამოიბერტყავდა ხელის გულზე, მუჭში მოიქცევდა, დახედავდა, მუჭითვე ჩაიყრიდა პირში, ნელი ღეჭვით ცას ახედავდა, თითქოს მადლობას უგზავნის უფალს წყალობისთვისო, მომხიბლავად გამოიყურებოდა. წამოდგა და თავისთვის ჩაიბურტყუნა:-რა კარგია, რომ მყავხართ.

-ჰო,- გამოეხმაურა დაღონებული მერაბი:-მართალი ყოფილა, ადამიანს ბედნიერებისთვის ცოტაც ყოფნისო. დრო კარგი რამაა, ის გიმხელს სიმართლეს და გკარნახობს ვის განემორო და ვის არა. აი, ვზივარ და ბედნიერებას ვგრძნობ თქვენს გვერდით, მაგრამ ანა, ხომ შეიძლებოდა ერთად ვყოფილიყავით მე და შენ, უკუნითი უკუნისამდე?

-აღბათ არა. იწყებ მოყოლას თუ დაგაძალოთ?

- თოთხმეტი წლის ვიყავი,- დაიწყო თხრობა მერაბმა,- მარცხა კიდევ ხუთისა, ორი წლით პატარა დაიკო ჰყავდა. მეზობლები



ვიყავით და მარიკას მამამ მამაჩემს სთხოვა, ბავშვი მომინათ-
ლეო, მამაჩემმა კი სთქვა, მამასავით ნათლიას ძმასავით ნათ-
ლია სჯობსო და გოგოს ნათლია მე გავხდი. მხოლოდ ძმა მყავს
მამის მხრიდან და ჩემზე ბევრად უფროსი. სანამ ბინას გავეიდ-
დით და დედის მხრიდან ბებოს სახლში გადავიდოდით, კარგი
მეზობლობა გვქონდა. ჩემს თვალწინ იზრდებოდა. მარიკა ჩუმი,
მიკუჭული, მორცხვი ბავშვი იყო. გაიზარდა, ჯერ ისევ სკოლა-
ში სწავლობდა, მოპირდაპირე კორპუსში ვილაც ბიჭი ცხინვალი-
დან დის ოჯახში ჩამოვიდა, დარჩა და მარიკას იმ ვაჟბატონთან
ფლირტაობა დაუწყია. სახლში დროზე მოდიოდა, მაგრამ გაკვე-
თილებს აცდენდა, მთელ დღეს იმის გვერდით ატარებდა, ჩუმ-
ჩუმელაობდა. ბიჭმა დის ოჯახში მიიყვანა და გამოაცხადა, ეს
გოგო ჩემი ცოლიაო.

მარიკას მამა დაბეჯითებით გაიძახოდა, ეს ბიჭი ავარააო.
გაებუტა შვილს და ოჯახის ნევრებსაც აუკრძალა მასთან კონ-
ტაქტი, შინ აღარ უშვებდა, ტანსაცმლის წაღების უფლებაც
არ მისცა ქალიშვილს. ვისაც აეკიდე, იმანვე გაჭამოს, ჩაგაც-
ვას და დაგახუროსო. თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, ბოდიშებს
ვუხდიდი მარიკას ოჯახს. მამამისმა გულში ჩამიკრა და მითხრა,
ატეხილმა გოგომ სისულელე ჩაიდინა და შენ რა შუაში ხარო?!
გათხოვილი ჩვეულებრივ სკოლაში არ გააჩერეს, ლამის სკოლაში
გადავიდა, ატესტატიც აიღო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სიძემ,
რომელსაც ოფიციალურად ჯერ არ ჰქონდა ქორწინება გაფორ-
მებული, ქალი მშობლებს მიუგდო, ამ თხასთან ცხოვრება აღარ
მინდაო და წავიდა. შეეცოდა მამას ქალიშვილი და მასზე ზრუნვა
გააგრძელა. სტუდენტი გახდა და დავემეგობრდით. ყველაფერს
მიყვებოდა, ვარიგებდი, მაგრამ მთავარს მიმაღავდა, იმასთან
კვლავ გაუბამს ურთიერთობა, არ მეგონა ასეთი უთავმოყვარეო
თუ იყო. აი, უკვე დაფეხმძიმებული თავად მივიდა მოპირდაპირე
კორპუსში და დამფეხმძიმებლის დის ოჯახში დარჩა. ბიჭმა ხე-
ლი მოაწერა მარიკასთან, ამათ ოჯახში გადმოვიდა, მერე ცოლი
ცხინვალში წაიყვანა. იქიდან რომ წამოვედით და ბებოს სახლ-



ში გადმოვედით, ცხინვალში ჩასვლა მოვინდომე, მაგრამ მშობლებმა დამიშალეს. მარიკამ დაგივიწყა, ქმარი ქურდი ყავს, რამე არ დაგვიშავოს, გვეშინიაო. დავფიქრდი, გასათვალისწინებელი რამ მითხრეს და აღარ ავიტკიე აუტკივარი თავი. გავიდა დრო, მარიკას მამას დედა გარდაეცვალა თიანეთში. მირონით ნათესავები ვიყავით და წაუსვლელი ულამაზო საქციელი იქნებოდა ჩვენი მხრიდან. ჩემი ნათლული არ ჩამოსულა ბებუის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად, მამამისმა გვითხრა, ზის ჩემი გოგო ცხინვალში ჩვილი ბავშვით ხელში. მკვლელია მაგის ქმარი. გორის რაიონის რომელიღაც სოფელში მარტოხელა მოხუცი ქალი მისსავე სახლში გაძარცვისას, წამებით მოკლა და სასჯელს იხდისო. მარიკას 2017 წელს შემთხვევით გადავეყარე. სილამაზის სალონში დამლაგებლად მუშაობდა. დამპირდა, მოგინახულებ, ჩემს შვილს გაგაცნობო, რომელიც უკვე ოცდაოთხი წლისაა, თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის თანაშემწეა. მსტუმრობდა და მიყვებოდა თავის ცხოვრებაზე. დედამთილს ოთხი წლის შვილთან ერთად სახლიდან გამოუგდია. ოჯახში დაბრუნებულა, სადაც დახვდა დის ახალი, რიგით მეორე ზედსიძე ქმარი და ოთხი დის შვილი. ასე, რომ სამ ოთახიან ბინაში უკვე ხუთი ბავშვი იზრდებოდა. მარიკა მეუღლის ციხიდან გამოსვლას ელოდა, რომელიც მარიკასთან კი არა, სხვასთან წავიდა და დღესაც იმ ქალთან ცხოვრობს.

სალონში თმის შესაკრეჭად მისულს მითხრეს, მარიკა წავიდა, უკეთესი სამუშაო იშოვაო. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ჩემს უბანში და ხომ იცით გოგოებო, არანაკლებ ძველი და პრესტიჟულია ქალაქის ის მხარეც მე რომ ვცხოვრობ, დაუქირავებია დიდი ბინა, მოუნყვია ჰოსტელი და მარიკა დიასახლისად მიუწვევია, იქვე, ახლოს ჩემს სახლთან. გამიხარდა. შევუვლიდი ხოლმე და ვსაუბრობდით. სტუმრებიც მხვდებოდნენ, ზოგი ბარგიბარხანით მოდიოდა, ზოგიც სამშობლოში ბრუნდებოდა. მარიკა შვილის უპასუხიმგებლო საქციელზე წუხდა, ბანკიდან ვალი აულია და გადახდას აყოვნებდა, დედის იმედი ჰქონდა. ჰოს-



ტელის კარის მეზობლის ბინასაც ალაგებდა, რომელიც ასევე უცხოელებზე დღიურად ქირავდებოდა. ჩემს ნათლულს ცოლებს დაშორებული თაყვანისმცემლებიც გამოუჩნდნენ, აზერბაიჯანელი მარნეულიდან და ყოფილი პოლიციელი, რომელიც ჰოსტელში ტექნიკურ პრობლემებს უგვარებდა, აზერბაიჯანელი კი სოფლის პროდუქტებს ჩუქნიდა, თუმც ორივესგან ნაწყენი დარჩა. პოლიციელი ოთხი წლის წინ დაშორებულ ცოლს შეურიგდა, აზერბაიჯანელმა კი ქალის მიმართ უპატივცემულო, აზიური დამოკიდებულების კლასიკა „გაუჩალიჩა“. ეს ამბავი რომ გავიგე, მინდოდა ის აზერი შუაზე გამეგლიჯა.

მარიკას დაბადების დღეს ვერ შევუარე. ბევრი ვიარე საჩუქრის შესარჩევად და ოქროს ბეჭედი ვუყიდე, მეორე დღეს მივართვი. გაიხარა, თითზე წამოიცივა და მგზნებარედ თქვა, გადამეხადოსო. რაღაც ანუხებდა და ახრჩობდა, დავაძალე, დარდი გაეზიარებინა. პაემანზე დაუგვიანია და აზერი გაბრაზებულა, მაგრამ მარიკამ დეტალები გამოტოვა. რესტორნიდან გამოსულან, მანქანაში რომ ჩამსხდარან, როგორც ჩანს, აზერმა ქალის უკან დაბრუნება გადაიფიქრა. უბრაძანებია, გადადი მანქანიდანო, მარიკაც გადმოსულა და კაცს ეგრევე მოუცოცხავს. იფიცებოდა, სიახლოვეს არ გავიკარებო. ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ბიზნესიც ჩავარდნილა პანდემიის გამო, წამოსულან იქიდან დედა-შვილი. მარიკა უმუშევრად დარჩენილა. შვილის ხელფასი საბანკო ვალებს ვერ დაფარავდა და დაუნყია ორ სალონში დამლაგებლობა, ღამით კიდევ სუპერმარკეტში მუშაობა. ჩემი კაფეც ავამუშავე. დამირეკა, სამუშაოდ მოვიწვიე. არც თანხმობა და არც უარი განუცხადებია. მითხრა, ბინა მინდა ვიქირავო ძველ უბანში და ერთი ოთახი უცხოელებზე დღიურად გავაქირავო, აღარ მიჩერდება გული მშობლებთან, შვილთან ერთად ცალკე მინდა ცხოვრებაო.

კაფე რომ დავკეტე მაშინ მომადგა, იმ პერიოდში ტურისტები ჯერ კიდევ შემოდოდნენ. ტვინი გამიბურღა იმდენი მელაპარაკა, ბინას ფოტოები გადაუღო, ბუქინგსაც გავხსნი ყოველი



შემთხვევისთვის და ჩემს ვიზიტორებსაც აქ მოვიყვანო. დავ-თანხმდი, თუმც არ გვისაუბრია როგორ გავიყოფდით შემოსა-ვალს, მაგრამ ვფიქრობდი თანაბრად გადაგვენაწილებინა. ფინანსებიც ამომეწურა. სამზარეულოში ონკანი მოშლილიყო, ვერ ვაკეთებდი და ის ქართველი მეგობარი კაცი მოიყვანა ისე, რომ არც შემითანხმდა. შეაკეთებინა ონკანი. გამამხნევა, ვიზიტორე-ბი რომ შემოვლენ, შენს კომერციულ ფართში გაათევე ღამეებს. შემოსავალით ბინას სერიოზულ რემონტს გაუკეთებო და კარ-გად იცხოვრებო. ბინა დაანკრიალა, ყუთები მოიტანა და ოჯახის ნივთები ჩაანყო, სხვენში შეალაგა. ტურისტული სოცქსელებისა არაფერი გამეგება, მაგრამ იქ ვის რას ელაპარაკებოდა ან რა და-დო და რა დაწერა, არაფერი მაჩვენა, ყოფილ ვიზიტორებს დაუ-კავშირდა, ახალი ფართი მაქვს და მეწვეიეთო. ჩემი უთო დაიწუ-ნა, შეინახე, მსუბუქიაო, თავისი მოიტანა, თმის საშრობი, წყლის მადულარა, თეთრეული.

თავიდან ნორმალურად იქცეოდა, მაგრამ შემდგომ ორი თვის მანძილზე საქმე არ დაძრა. ხან ვისზე მეუბნებოდა მო-დიანო და ხან ვისზე, მაგრამ ამაოდ, ვიზიტორები არ ჩანდნენ. ფარდები ჩამოხსნა, შინ წაიღო, დარეცხა, მაგრამ უცნაურობე-ბი დასჩემდა, მეტყოდა ხვალ ათზე მოვალ დილითო და ისე და-ღამდებოდა არ გამოჩნდებოდა, არც მირეკავდა და მაფრთხი-ლებდა. ეს უკვე უპასუხიმგებლო საქციელი იყო მისი მხრიდან, რომ გაიგებდა შინ არ ვიყავი, მაინცდამაინც მაშინ მოადგებოდა ჩემს სახლს. სერთიფიკატის აღება მინდოდა და შემაჩერა. ერ-თხელ მთხოვა, შეიძლება ამაღამ შენს სახლში დავრჩეო? უარს როგორ ვეტყოდი, წამოვედი და კაფეში დავიძინე. ნელნელა აუტანელი გახდა მასთან ურთიერთობა, რწყილივით დახტოდა, სულ მატყუებდა აი, ახლა მოვალ მალეო და მაინც არ მოდიო-და, თითქოს გამირობოდა და სახეშიც აღარ მიყურებდა, იმდენად ურთიერთობდა, რამდენადაც ეს მისთვის იყო ხელსაყრელი და არა ორივესთვის, ვიზიტორები კი არ ჩანდნენ. ლოდინით გაბეზ-რებული ანას ვურეკავდი და ვწუნუნებდი, იმიტომ, რომ თანხის



გაყოფაზე გაკუთხედე თქმა და შეიცხადა, მე არაფერი მინდა, უბრალოდ გეხმარებიო. ივლისის ბოლო დღეები იდგა, დავაპირე მეტქვა მარიკასთვის ახვეტა თავისი ნივთები და გამცლოდა. იგრძნო, რასაც ვაპირებდი და შემაჩერა. მოსკოველი ფსიქოლოგიად ერთი, თბილისში საყვარელი ყავსო, ერთხელ იქაც, იმ ჰოსტელშიც მოიყვანა ის კაცი და ღამეც დატოვაო. ერთი თვით ჩამოვა და დღეში ასოც ლარს გადაიხდისო. გამიხარდა. იმ დღეს, როცა უნდა მოსულიყო ის ვიღაც სვეტა, შინ ვიყავი, ველოდი, მოვიდა მარიკაც შენუხებული. ვლადიკავკასში ჩამოფრინდა და რუსი მესაზღვრეები აქეთკენ არ უშვებენ, მონვევის საბუთია საჭირო, რომ საქართველოში გადახვიდეო. დავიბენი, ვინაიდან ამგვარი რაღაცების შესახებ არაფერი ვიცი. იქ ის ტაქსისტს, რომელსაც აეროპორტიდან წამოუყვანია, დახმარებას დაპირდა. საბუთი გაკეთდა, ესე იგი მეორე დღეს ჩამოვიდოდა. მარიკას არ უთქვამს დღის და ღამის რომელ საათებში შეგვეძლო სტუმრების მიღება. არ იცოდა როდის მოვიდოდა, იმიტომ დავრჩი შინ, დაღამდა და დავურეკე, ბოლო-ბოლო მოდის თქო? რა გინდა მანდ, წადიო, ვერ ვუკავშირდები, ინტერნეტი გათიშული აქვს, არაფერი მოუნერია, შესაძლოა გზაშიცააო. უხერხულობა ვიგრძენი და წამოვედი. თავხედი ზარზეც აღარ მპასუხობდა. ყველას და ყველაფერს ჩამომაშორა, თავისუფლება დამაკარგვინა. ბრაზი ბრაზზე დამემატა. ჩემი შინიდან გამოსვლის მერე, დაახლოებით ერთ საათში მისულა, მიუღია მოსკოველი სტუმარიც და წამოსულა, უკვე გზაში იყო, რომ დამირეკა. მივედი და მომადგაო, მესენჯერში ფოტო დამიდო, როგორ ზის მეტროს ვაგონში, ნეტა რად მინდოდა მაგის ფოტო?! ვიცოდი, რომ ის ქალი ერთი თვით აპირებდა საქართველოში დარჩენას, მაგრამ მარიკამ მითხრა, ცხრა ღამეს გაათევსო. ვკითხე, ცხრა ღამის ფული თუ გამოართვა. გვიან ჩამოვიდა, ხელთ ლარი არ აქვს, ხვალ გადაახურდავებს და მომცემსო. რაც მითხრა არ მომენონა, მაგრამ ჯერ ისევ მჯეროდა მისი, თუმც ვგრძნობდი, არ სურდა იმ ქალისთვის თვალი მომეკრა. ცოტა ხანში ვიზიტორის ფოტოც გამომიგზავნა,



მეცნო, ესე იგი, იქ, იმ ჰოსტელში მყავდა ნანახი, ალაღად მივწერე, მეცნობა თქო და იმ წამსვე წაშალა, გავოგნდი, ეგრევე ანას დავურეკე და მოვუყევი რაც მოხდა. ამან მიპასუხა, ახლაც ვერ ხვდები, რომ გატყუებდსო? მაგრამ რას, აზრზე ვერ მოვდიოდი, საეჭვოდ კი მოიქცა. მივწერე, ფოტო რატომ წაშალე თქო და პასუხი არ მომწერა. მეორე დღეც დასრულდა, მესამეც, ავდექი და ისევ დავურეკე. მითხრა, ჯერ ფული არ აქვს, საბანკო პრობლემაა, თანხას ვერ ხსნის ბანკომატიდან, რომ გადაახურდავოსო. კითხვა დავსვი, ამხელა ქალი უფულოდ როგორღა არსებობს, რას ჭამს და სვამს?!

-დედაა!-წამოიყვირა ბარბარემ:-და ის ქალი ისე წავიდა, მარიკამ ფული არ მოგცა?!

-ჰო, შემოსვლიდან მეექვსე დღეს ვეჭვობ, რომ მარიკამ გააპარა. ისევ ძველი ვარიანტი გააჟღერა, ბინის მოძებნაში დავეხმარე, მთელი ზაფხული რჩება და დღიურად გადახდას თვიურად გადახდა უჯობსო, ავლაბარში იქირავა სომხების პატარა ბინა, მეპატრონეებიც გვერდით ცხოვრობენო. მისამართი არ დამიკონკრეტა, ან რაში მჭირდებოდა?! ვიკითხე, თუ უფულოდაა ადამიანი, ბინა როგორ იქირავა, იქაც ხომ წინასწარ უნდა გადაიხადოს... ისე ძლიერ ტყუოდა მარიკა, რომ ხმა აუკანკალდა. ვიკითხე, სომხებმა შეუშვეს თავიანთ ბინაში უფულო რუსი ქალი?! აბა რაო, საბანკო საბუთები წარადგინაო. მომწერე შენი პირადობა, ანგარიშის ნომერი და ამ დღეებში დაგირიცხავ თანხასო. სულ ექვსასი ლარი უნდა გადაეხადა იმ რუსს და ხომ შუაზე გაყოფა მქონდა გადაწყვეტილი, მივანიშნე, მხოლოდ სამასი მეკუთვნის, დანარჩენი შენია მეტქი. ჰო, კაიო, ჩაიცინა. დამცინა და დამცინააა!

-სულ ეგ იყო?!-იკითხა ბარბარემ.

-არა, მერეც ურეკავდა მერაბი, ვინაიდან მესენჯერში რომ წერდა მარიკას, ის არ პასუხობდა, ტელეფონზე ხომ საერთოდ... ჩემი ნომრიდან დავურეკეთ და გვიპასუხა. მერაბმა კითხა, ფეისბუქში იმ ვიზიტორი ქალის ფოტო რატომ წამიშალეო? იმან უპა-



სუხა, იმიტომ, რომ ვაიბერზე გადმომეგზავნაო. ამან კიდევ, ნაშლით რატომღა შენუხდი, ბარემ იქაც გადმოგეგზავნაო, მაგრამ არც ეგ გააკეთე, შეგეშინდაო. ჰო და მისგან ნამოვიდა აგრესია. გამიწყალე გული, ჩემი პრობლემებიც მიეყოფა, შენს ფულზეც მე ვიდარდო?! რასაც გეუბნები არ გჯერა, მხოლოდ ახლობლებს უჯერებო, თითქოს თვითონ ვილაც უცხო ყოფილიყოს. ბოლოს იცი რა თქვა? ჩათვალე, რომ მე მაქვს შენი ვალი და გადაგიხდიო...- დაასრულა მხატვარმა მერაბის თავს გადამხდარი ამბავი: -ბუქინგზე განაცხადი მე გავაუქმებინე ძალით, მერე მერაბმა ფეისბუქში მეგობრებიდან ამოშალა. ნავიდა გოგო, ფუ, ექვსას ლარიანი ქალი!..

-ჰო, ეგრე იყო და მას შემდეგ ვკიდივარ!-მწარედ ჩაიციხა საქსოფონისტი:- არადა, როგორ მიყვარდა!

-ტყუილია ეგ დაპირებაც, არაფრის გადამხდელი არაა. ვან გოგ, კარის მეზობელმა თამუნამ რაც გაგიჩალიჩა ის ამბავი თუ იცის მერაბმა?

უარის ნიშნად თავი გააქნია მხატვარმა.

-ან მე წითელთავა კლასელმა შაკომ?

-არც ეგ იცის.

-ახლა ასაცრელად მივდივარ და, რომ დავბრუნდები, მოვუყვებთ ამას!

-ასაცრელად?!- ერთდროულად წამოიძახეს და ფეხზე წამოდგნენ.

-დავბრუნდები, რა გჭირთ ხალხო!-გადაიკისკისა ბარბარემ და წავიდა.

...

ანა და მერაბი ტაძარში შევიდნენ, ბარბარეს ჯანმრთელობისთვის, კარგად ყოფნისთვის სანთლები დაანთეს. ბარბარე კი იჯდა ლურჯ სკამზე პოლიკლინიკის მეორე სართულის მოსაცდელში, სავარაუდოდ, ბავშვთა განყოფილებაში, ვინაიდან მონატული კედლებიდან იცქირებოდნენ მხიარული სპანჯ ბობი და მისი მეგობრები. ზუსტად თორმეტზე იქ იყო, მაგრამ მაინც



მოცდამ მოუწია. ექიმი ასაცრელებს ესაუბრებოდა. კაბინეტის კარი ღია იყო და ბარბარე აკვირდებოდა ექიმს. მოეწონა ის ქალი, ჭკვიანი და კეთილი გამომეტყველება ჰქონდა. ბარბარეც იხმეს. ექიმმა შეკითხვები დაუსვა, სხაპასხუპით პასუხობდა, ჩქარობდა. იცოდა, რომელი ანტიბიოტიკი და ტკივიგამაყუჩებელი პრეპარატი ვნებდა. ისიც თქვა, რომ ოდნავ ყელი ტკიოდა, მაგრამ ეს არ წარმოადგენს პრობლემას... ექიმმა თავაზიანად თავი დაუკრა და რატომღაც ფაიზერის მაგივრად ჩინური პრეპარატები შესთავაზა. ბარბარე ჯიუტად ფაიზერს მოითხოვდა: - დაბეჯითებით რატომ ამბობთ უარს სინოფარმსა და სინოვაკზე?

-ჩინურში ხომ ტეტანუსიცაა?

-რატომ ამახვილებთ ყურადღებას ტეტანუსზე?

-ოცდაშვიდი წლის რომ ვიყავი, ფეხის გულზე ჟანგიანი ლურსმანი შემერჭო, ტეტანუსი გამიკეთეს და გამთიშა, ორი დღე ადრენალინი დამჭირდა...- უპასუხა ბარბარემ.

ექიმი ფეხზე წამოდგა.

-სჯობს კლინიკაში გადაგამისამართოთ, წამომყევით.

მოპირდაპირე ოთახში შევიდნენ, კომპიუტერებთან ოპერატორები ისხდნენ. ერთ-ერთს მიმართა ექიმმა და ბარბარე კლინიკაში გადაამისამართებინა: -იქ მხოლოდ სპაიკ-ვაქცინა ფაიზერი აქვთ, მეტს ვერც ვერაფერს შემოგთავაზებენ.

- კი, მაგრამ თქვენც ხომ გაქვთ, ბარემ გამიკეთეთ.

ექიმმა თავი გააქნია, - იქ რეანიმაციული განყოფილებაა და უკეთესად მოგხედავენ, რამე თუ მოხდება.

საავადმყოფოსკენ გაემართა ბარბარე. ლუკამაც დაურეკა, ჰკითხა რა ქენიო და ბარბარემ უპასუხა, სახლისკენ მოვდივარ საავადმყოფოში გადმომამისამართესო. ლუკა კლინიკის ჭიმკართან დახვდა, ერთად შევიდნენ იქაურ ექიმთან, მაგრამ იმანაც უარი უთხრა. ალერგოლოგთან მიდით, სინჯებიც დაგჭირდებათ, ალერგოლოგის მიმართვიანობის გარეშე ვაქცინას ვერ გაგიკეთებთ. ბარბარეს გული მოუვიდა. ისეთი გაბრაზებული იყო, რომ ლუკა ვერ აწყნარებდა.



-აღერგოლოგთან ვიზიტი ფასიანია, სინჯები ძვირი. თან მკითხეს, კოვიდი მოხდილი გაქვსო? ვფიქრობ, რომ არა, მაგრამ იქნებ მოვიხადე ბატონო! ჰო და არსადაც არ ნავალ, მე ვმართავ ჩემს აღერგიას და იმის გამო, გავიგო ამცრიან თუ არა, არ ვენ-ვევი არცერთ აღერგოლოგს!

ამასობაში მერაბმაც დარეკა და ისევ აბობოქრდა ბარბარე. მერე ანა ჩაენაცვლა მერაბს:- რას ბრაზობ გოგო, იქნება და აცრისგან ღმერთმაც დაგიფარა. წამოდი პირდაპირ კაფეში, ჩაურტყათ ცოტა ალკოჰოლი, ერთი მაგათი დედაც...

-დიახაც,- დაუდასტურა ბარბარემ,-ვბრუნდები!

გაბრაზებული ჩაჯდა მწვანე ავტობუსში და ძველი უბნისკენ გასწია.

მივიდა ბინად ქცეულ კაფეში. სუფრა გაეშალათ. სამი ბოთლი ნახევრად მშრალი ფრანგული წითელი ღვინო, მოხარშული კვერცხები, ძეხვი, ჰოლანდიური ყველი, ოხრახუშით, მწარე მწვანე წინაკით, ხახვითა და სიმინდის ზეთით შეზავებული კიტრისა და პომიდვრის სალათა. ლამაზი თეფშები და ბოკლები, ქვაბში კი ღორის მჭლე ხორცი იხარშებოდა.

მაგიდას მიუსხდნენ. მერაბმა სამივე ბოთლი გახსნა და თქვა:-ყველამ დავლიოთ, თითო ბოთლი გამოვცალოთ, ყოველ ჩვენგანს ჩვენი ბოთლი გვაქვს. ამ სუფრის თამადა ვიქნები. არ გამაგონოთ ვინმე თამუნასა და შაკოს ამბები, სხვა დროს მომიყევით უტიფრებზე. დღეს კარგ რამეებზე, სიყვარულზე, იმედზე, შეკონინებული და უცნაური ცხოვრებისა შევსვათ, გავიხსენოთ კარგი ადამიანები, ცოცხლებიც, წასულელებიც, მათი ნაკეთებით გავიხაროთ და მივბაძოთ სიკარგეებში, ასე არ სჯობს?

ქალები დაეთანხმნენ, ერთი ლიტრი წითელი, გემრიელი ღვინოს შესმას წინ რაღა ედგა?!

იმ საღამოს ბარბარემ მერაბზე ბევრი ახალი რამ შეიტყო. ვეგანი ყოფილა, მხოლოდ კიტრსა და პომიდორს შეექცეოდა და ბევრ პურს ჭამდა. ხორცი რომ შესთავაზეს აიმრიზა, ყველსაც არ გაეკარა, ეგ რძისგანაა გაკეთებული და ბოჩოლას წაართვე-



სო. კვერცხი მაინც მიირთვიო, რომ სთხოვეს, ხელები გაასავსავა, მაქედან წინილა უნდა გამოჩეკილიყო...

ბოლო ჭიქით შიშისა დალია. დღეს მთელს მსოფლიოს კორონასი გვეშინია და მალე დაგვეძლიოსო. თურმე, თავად მერაბს მთელი ცხოვრება ვილაცის ან რალაცისა შინებია, ზოგჯერ გაუცნობიერებელ, ზოგად შიშებსაც დაუპყრია მისი არსება, თანდათან უკიდევანო და უსაზღვრო გამხდარან, იმგვარად გაზულუქებულ-გაბერილან, რომ დაუბრიყვებიათ, მაგრამ ადამიანის თავი ხომ პატარა დედამინაა უხილავი ცით, ეგ ალბათ ისაა, აურას რომ ეძახიან. თავის რომელილაც კუნჭულში კი ღმერთის მიერ ნაბოძები პანია ნაპერწკალი ღვივის. ძალები მოუკრებავს და შიშების გასაქარწყლებლად უბრძოლია. ბოლომდე არ წასულან, ვინაიდან უშიშრად ცხოვრებაც საშიშია. ახლა ამ კაცს კენტად დარჩენისა ეშინოდა და მართალიც იყო.

- მას შემდეგ, რაც გაგიცანი ანა, თურმე ერთი წუთით არ მიცხოვრია უსიყვარულოდ და თუ ვინმეს შევხედე და გულმა მიიღო, ყველა შენს თავს მახსენებდა, გგავდა რალაცით. მაგალითად ბარბარე, ტყუპის ცალივით გგავს... მერაბმა მჯილით მოისრისა აწყლიანებული თვალები, ალგზნებულს ხმაც კი აუკანკალდა და ბარბარეს შეეცოდა მხატვარი.

- შენ არც გწყენია მაიმუნო, მე კი გული ჩამწყდა ჩვენს გამო, - კაცმა ღრმად ამოისუნთქა, ბოლო წინადადების ამოთქმა გაუჭირდა, მაგრამ მაინც თქვა: - მოდი, ვიყოთ ერთად ჰა, რას იტყვი?

ანამ თავი ასწია, მაგრამ საქსოფონისტს არ შეხედა. ცივი და შუშასავით გამჭვირვალე გახდა მისი თვალებიც. მხატვარმა თითქოს ინანა აქ რომ იჯდა, აბა, რატომ დუმდა, რატომ! მერაბი სკამზე ჩამოჯდა და მუხლებზე ხელები დაილაგა. სიჩუმეში უხერხულობამ დაისადგურა.

ბოთლები დაიცალა, ჭურჭელიც დაირეცხა, ყოველივე მილაგდა და დასუფთავდა. მერაბს შარვლის ჯიბეში ხელები მუშტებად ჩაენყო და თავჩაქინდრული იდგა, გაფერმკრთალებული ცვილის თოჯინას დამსგავსებოდა.

ქალები ქუჩაში გამოვიდნენ. ბარბარე ხმას ვერ იღებდა.



ცისფერი სახლი კი ისე ახლოს იდგა და სასწრაფოდ, ერთი სიტყვის თქმა მოახერხა :-ცუდო!

ვან გოგამ გაოცებით შეხედა, არ უპასუხა, არც ის უკითხავს, რატომო! თავისი სადარბაზოსკენ გასნია. ბარბარე კი ბურღლუნ-ბუზლუნით, ცუდი ანას შეძახილით შევარდა შინ, გალიზიანებულმა ყავა მოიდულა, ფინჯანი ცხვირთან მიიტანა, არომატული ორთქლი შეისუნთქა და სიბრაზე სინანულით ჩაენაცვლა. ორივე ეცოდებოდა, მაგრამ მხატვარი უფრო მეტად და ამიტომ არასწორად ამოუტივტივდა კილონახევრიან ტვინში უსიამო შინაარსის მქონე სიტყვა “ცუდი” და წამოაყრანტალა. ვაი, თუ აწყენინა მეგობარს, ვაი, თუ საბოდიშოდ და შესარიგებლად დაუჯდეს დაუფიქრებლად ამოსროლილი სიტყვა... მერაბის ბოლო სადღეგრძელო გაახსენდა შიშზე. ბარბარეც შიშმა გადასანსლა. ძილის წინ იტირა, ვინაიდან უსაზღვრო იყო შიში ძვირფას ადამიანთან შესაძლო დამორებისა. ძილშიც დიდებოდა შეჩვენებული შიში, უკიდევანო ხდებოდა, უშველებელ საჰაერო ბუშტს ჰგავდა, იმხელას, სამყაროსაც რომ გადაფარავდა.

...

მხატვარი აღარ ურეკავდა ბარბარეს, თითქოს ცამ ჩაყლაპაო და ვერც ბარბარე ბედავდა შეხმიანებას. ერთი თვის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა დღეცა და ღამეც, სადარბაზოს ჭერიდან წყლის ნაჟური ჩამოდიოდა და სადარბაზოში გუბე დგებოდა. ადგილობრივი არჩევნების დღეც ახლოვდებოდა და მერიის თუ ქალაქის განვითარების დეპარტამენტის მუშებმა ცისფერი სახლის სახურავი შეაკეთეს. ბარბარეს შიში და ნერვიულობა ანას გამომამინ შეჩერდა, როცა მისი სიხარული, სინაზე და სუნთქვა, ლილი ჩამოვიდა. სამნი, ლუკა, ბარბარე და ლილი ყველგან ერთად დადიოდნენ, ერთურთის სიყვარულით ვერ ძლებოდნენ. ლილიმ შესასყიდი ბინა შეარჩია, ქმარს ფოტოები გაუგზავნა. სიძეს მოეწონა ახალ აშენებულ კორპუსში მოთავსებული, გემოვნებიანად გარემონტებული ფართი და გოგონაც ბინის გადმოსაფორმებლად მშვიდად, დინჯად შეუდგა ბიუროკრატიული საკითხების მოგვარებას. გასაღები დედას და ძმას გადას-



ცა, ჩვენს საბოლოო დაბრუნებამდე შეგიძლიათ გააქირავოთო.

ყველაფერს აქვს დასასრული, ლილისთვის უცხო ქვეყანაში გამგზავრების დრომაც მოაწია, თეთრი თვითფრინავის კიბეები აირბინა და თვალს მიეფარა. იმ ღამით ლუკა და დედა ცისფერ სახლში დარჩნენ და ლილისთან განშორების ტკივილს განიცდიდნენ, მაგრამ ბედნიერებასაც გრძნობდნენ. გული ვერ იჯერეს ლილისთან სიახლოვით, ეგაა და ეგ. დაღლილებს და გულდამძიმებულებს ჩაეძინათ და დილით, სადარბაზოში გამოსულ ბარბარეს სახლის ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილე შეეგება, სადღაც მიეჩქარებოდა, მაგრამ მაინც შეჩერდა: - ახალი ამბავი იცი?- გამომცდელად კითხა ბარბარეს. თურმე მეზობელი ანა გათხოვილა, მდიდარ მუსიკოსს და იმავდროულად ბიზნესმენს გაყოლია, რომელსაც რაღაც ობიექტები ამ უბანშიც ქონია, ოღონდ რა, ჯერ არ იცოდა. ისე ლაპარაკობდა მხატვრის ქმრის სიმდიდრეზე, როგორც კარგი ნაცნობი ან მეგობარი, ლამის მილიონერად წარმოაჩინა. კიდევ კარგი, არ იცოდა, ბარბარე რომ იცნობდა მერაბს. საკვირველია, როგორ გამორჩა, უთუოდ ეპიდემია- პანდემიამ დააბრკოლა, თორემ ეგეც ეცოდინებოდა. მერე ლუკამ დაურეკა დედას და უთხრა, ლილი ადგილზეა, მშვიდობით ჩავიდაო. აი, მალაზიიდან შინ შემოსულ ბარბარეს ჯერ ისევ ჩანთა ეკავა, როცა მხატვრის ტელეფონიდან გამოშვებულ ზარს უპასუხა: - ჰაიტი, ეშმაკუნავ, ვიცი თქვენზე!

- საიდან ქალო, ვინ გითხრა?!-გაუკვირდა ანას.

-ვინ მეტყოდა, ჭორბიუროს თავმჯდომარემ.

-ჰოო, არ მიკვირს. ისე, იმ ერთმა სიტყვამ ცუდი ხარო, რომ მითხარი, გახსოვს?

-მაპატიე რა...

-ალარ ვარ ცუდი, გავაბედნიერე მერაბი. წყნეთში ვართ, ახლა ეზოს ასუფთავებს, შრომობს კაცი, მალე ჩამოვალთ.

ბარბარეს სიხარულის ცრემლები წამოსცვივდა: -სამეზობლოს გონია, რომ სიძე მილიონერია და უნდა გახდეს კიდევ. აბა, თქვენ იცით, დროებით.



რამდენიმე წუთის შემდეგ მერაბმა დარეკა: -სათქმელს ბოლომდე რატომ არ გვათქმევინებ?! ანამ არ იცის ზუსტად თქმა, მე გეტყვი, გმადლობ ძვირფასო ადამიანო!

-დილაადრიან რამე ისეთი ხომ არ მოწიეთ ან დალიეთ?!..

მერაბს ხარხარი აუტყდა: -შენმა მოჭრილმა და ზუსტმა სიტყვამ უბედურებაში ბედნიერებას ჩაგვაჭიდინა ხელები, ბარბარე და მე პირადად გემადლიერებით, ყველაფერი ვიცი, რაც გააკეთე!

-არაფერი გამიკეთებია მერაბ, მხოლოდ შემომელანძღა ეგ გოგო. ვიდარდე, ცუდი ხარო, რომ ვუთხარი. არა და, შენც იცი, როგორი საყვარელია ანა.

- გმადლობ ბარბარე, მალე ჩამოვალთ...

ეს გახლდათ მეთხუთმეტე დღე ყოფილი, რიგით მესამე პრეზიდენტის შიმშილობისა. ძეზნილი, ყოველმხრივ დამნაშავედ გამოცხადებული ყოფილი პრეზიდენტი, მავანის მტკიცებით, უზნეო, ბიუჯეტის არამიზნობრივად ამომჭმელი ვეშაპი, ადამიანთა მწამებელ-დამაქცევარ-დამლუმპველი, სამშობლოდან გაქცეული, უკვე სხვა ქვეყნის მოქალაქე და მკვეთრი პოლიტიკური ფიგურა ადგილობრივი, მუნიციპალური არჩევნების წინა დღეებში საქართველოში შემოიპარა. რა გზით გადმოკვეთა ქვეყნის საზღვარი ხმელეთით, ზღვით თუ ცით, ჯერ არვინ იცოდა. უკრაინელ, შვილის ტოლ სიმპატიურ, პოლიტიკოს მეგობარ ქალთან ერთად გამოჩნდა, როცა ცოლ-შვილი შინ ელოდა. სახეგაბადრული სამშობლოს მიწაზე ზღვის ნაპირებთან დასეირნობდა და ხელის ქნევით თანამემამულეებს ესალმებოდა. დიდი ხნით ადრეც იქადნებოდა ჩამოვალო, მაგრამ არვის სჯეროდა, მეტი საქმე არ აქვს, ახალ მთავრობას თავი დააჭერინოსო, მაგრამ მან სიტყვა შეასრულა, თუმც უშიშროება, პარლამენტის წევრები, მინისტრები, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები, სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურები იუნყებოდნენ, რომ რასაც უმზერო, მონტაჟია, სიცრუეაო.

იყო და არა იყოსავით იქცა რიგით მესამე პრეზიდენტის უახლესი თავგადასავალი, როცა ქვეყნის საპრეზიდენტო ტახ-



ტრევანი მრავალმხრივ უფლებაშეზღუდული, ლურჯთვალა, კოხტა, სხვა ქვეყანაში დაბადებულ-გაზრდილმა და განათლება მიღებულმა, დახვეწილმა, მაგრამ მშობლიური ენის ცუდად მცოდნე, ქალბატონმა პრეზიდენტმა ჩაიბარა. ჰო, და არ ტყუოდა ექსპრეზიდენტი, მართლაც, რომ მოზრძანებულა და უცაბედად, დედაქალაქის გარეუბნის კორპუსის ერთერთ ბინაში თავს დაადგინენ შემპყრობლები, რომელთაც კარი თავად გაუღო.

ექსპრეზიდენტის მასპინძელს და შემფარებელს უთხრეს ქვეყნის მოლაღატიე ხარო და ისიც ციხეში ჩასვეს. მოგვიანებით, ტელევიზიით საინფორმაციო გადაცემებმა გაავრცელეს ვიდეო მასალა, სადაც თბილად ჩაცმულ-დახურული რიგით მესამე პრეზიდენტი, თავისი უცნაური მგზავრობის შესახებ ყვებოდა. თურმე ტრაილერში მჯდარა ქურდბაცაცასავით, მეფურად კი არ ჩამოხრანებულა, ის კი არა და, ჩერნოვოროსკის პორტიდან გაუტაციათ და ამგვარად ამოუყვია თავი ქალაქ ფოთის ნავსადგურში. ბატონი ყოფილი პრეზიდენტი აცხადებდა, რომ არ იცოდა, რომელმა სპეცსამსახურებმა მოუწყეს და გაუბედეს უმოწყალო გატაცება. მანქანის საჭეთან სწორედ ის კაცი მჯდარა, ვისი ბინიდანაც აიყვანეს და დააპატიმრეს, რომლის დასახსნელადაც იღვწოდნენ ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატები.

საპყრობილის საკანში გამოკეტილმა ექსპრეზიდენტმა შიმშილი დაიწყო. ამბობდნენ, ცუდ პირობებშია და მასზე განაწყენებული ადამიანების ნაწილს შეეცოდა ექსპრეზიდენტი, მანამდეც მომხრეთა დარდების აუნონავ სიმძიმეზე ხომ ვერაფერს ვამბობ.

რაც აკლდა, მისცეს მოშიმშილე პრეზიდენტს, ის კი საკანში მხოლოდ თაფლსა და წყალს მიირთმევდა, გახარებული ხალხისთვის წერილებს წერდა, რომ შეიკრნენ, გაერთიანდნენ და აქციებს აწყობდნენ ექსპრეზიდენტის გასათავისუფლებლად, მაგრამ არც მის მოძულეებს დაზარებიათ იგივეს გაკეთება, ნამდაუნუმ ახსენებდნენ, რომ ბოროტია და ციხეში რამდენიმე წლით კი არა, სამართლიანად სამუდამოდ ტყვეობაში ყოფნა ეკუთვნისო.



ბოლომდე ცუდი ვინ ყოფილა, ეს კაცი რომ ყოფილიყო?! კარგიც უკეთებია, მაგრამ გაბრაზებულ მხარეს ამისი გახსენება არ სურდა.

მისმა პირადმა ექიმმა განაცხადა, საგრძნობლად დასუსტებულია, მაგრამ შიმშილობას განაგრძობს და სისხლის სერიოზული ქრონიკული დაავადება მალე დიდ პრობლემას შეუქმნისო. ავადმყოფობის სახელი არ უთქვამს, მაგრამ თუ მოინდინებ, გაუგებარი დაგრჩება რამე? ყოფილ პრეზიდენტს თალასემია სჭირდა.

აქციები იძულებითი ვაქცინაციის წინააღმდეგ, შეკრებები სხვადასხვა პრობლემებისა და მესამე პრეზიდენტის ტყვეობის გამო უცნაურ გრიპს ხელს უმართავდა, რაც შეიძლება მეტი და მეტი ადამიანი დაეიმფიცირებინა. ქვეყანა საცირკო არენას დაემსგავსა და ბოლო ჟამს მისი არეალი უკიდევანოდ გაფართოვდა. აურზაურის ფონზე საზოგადოების დიდი ნაწილის ცხოვრება შედარებით ხალისიანი და საინტერესო გახდა.

...

ბედნიერებით და მშვენიერებით სავსე სამყარო, რომელიც საკუთარმა შემოქმედებამ შეაქმნევინა, ილუზია ყოფილა. დიდი ხნით მარტოობის საკუთრებად ქცეულა, რომლიდანაც ამ კაცს დაუხსნია თავისი სიყვარულით და მასსავით თურმე არც არვის ჰყვარებია, ახლა მხატვრის გვერდით, მფარველი ანგელოზივით იწვა, მშვიდად სუნთქავდა. ანას მისი კოცნა მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა. ცხელების შეგრძნებამ შეაწუხა და სანოლიდან წამოდგა, პიჟამაში გამონცობილი, გრძელ აივანზე გასაგრილებლად გავიდა, მალევე შესცივდა. შემობრუნდა, წინდები ამოიცვა და პლედი მოიხურა. ქვედა სართულზე ჩავიდა, სხეულში შემოჭრილი შემოდგომის დილის სუსხის შეგრძნება ფინჯანი ყავის მირთმევით რომ გაენელებინა.

წყნეთის კარმიდამო შემოდგომის თბილი და მყვირალა ფერებით შეფერილი, მინდორიც ჯერ ისევ მწვანედ აბიბინებული და მიუხედავად იმისა, რომ მერაბმა ეზო დაასუფთავა, ახლად



ჩამოცვენილი ყვითელი და მოწითალო ფოთლებით კვლავაც დაფარულიყო. ხის ტოტებს შემორჩენილნიც სუსტ ნიავს ელოდნენ, რომ ჩამოცვენილიყვნენ და ნემომპალად ქცეულნი მიწას შეერთებოდნენ. საცქერლად საამო სურათი, მაგრამ სევდანარევიც, წუთისოფლის სიცოცხლის ერთდროულად წარმავლობასა და მარადიულობასაც რომ შეგახსენებდა.

ყოველ სულიერს აქვს დასასრული, მაგრამ ისინი საკუთარის ნაწილს ტოვებენ სიცოცხლის გასაგძელებლად და ამგვარად ნარჩუნდება ჯაჭვი მარადისობისა. ანას გული დასწყდა, დრო რომ დაკარგა და წარმავლობის მსხვერპლად ქცეული თავის რგოლს რომ ველარ შეჰმატებდა მარადისობის ჯაჭვს.

მხატვარმა ყავა მოადულა, კარაქიანი პურის ნაჭრები და ყველი თეფშზე დაალაგა. ეზოში სარწვევლაზე ჩამოჯდა და გაიფიქრა, სამაგიეროდ, მერაბი მყავსო. ისევე გაუხურდა სხეული და გაირინდა, ყავა მოსვა, უკანასკნელი ლუკმაც გადაყლაპა და სიმშვიდიდან გულისზიდების შეგრძნებამ გამოიყვანა, წამოდგა, ტუალეტისკენ გაიქცა, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია. თავბრუ დაეგზა, ნელი ნაბიჯებით აუყვა მეორე სართულისკენ ამავალ კიბეს, შევიდა ოთახში და გულალმა დაწვა. მერაბს გვერდი ეცვალა, მხატვარი ვერ ხედავდა მის სახეს, მხოლოდ სუნთქვა ესმოდა. აზრმა გაუელვა, კოვიდი ხომ არ შემეყარაო, ან... წამოდგა, მობილური ტელეფონის ეკრანს დახედა, დილის ათი საათი ხდებოდა, აფთიაქში წასვლა გადანყვიტა ის ძნელად დასაჯერებელი „ან“ რომ გადაემონმებინა, გულის ძახილს დაემორჩილა, ტანთ ჩაიცვა, კისერზე კაშნე შემოიხვია, აღელვებულმა ჭიშკრის ურდული ძლივს გასწია და აფთიაქისკენ გაემურა. შერცხვა ორსულობის ტესტი მოეთხოვა, მაგრამ ფარმაცევტი უთქმელადაც მიუხვდა. ანა სასწრაფოდ გამობრუნდა. გზად ტესტის ანოტაცია გულდასმით წაიკითხა, ეზოში შევიდა, იცოდა, უკვე იცოდა, როგორ გადაემონმებინა თავი...

ლურჯი ზოლები განითლდა. ანამ თვალებს არ დაუჯერა და ტესტი გაიმეორა.



მერაბს გაეღვიძა და საყვარელი ქალი გვერდით რომ ვერ დაინახა დაფეთებული, ფეხშიშველი ჩავარდა პირველ სართულზე, ანას ქვითინისის ხმა გაიგონა, ტუალეტის კარებზე დააკაკუნა და რომ არ გაუღო, შეკრთა, იქნებ ნანობს, თავი მოვაბებრე და აღარ ვუნდივარ! კარების გაღებას დაჟინებით მოითხოვდა, ანა დადუმდა, კარსაც არ აღებდა. ოცი წუთი იდგა მერაბი კარებთან. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო და ჩარაზული კარი წიხლით შელენა და ინფორმაციამ, რომლის შესახებაც ანამ მერაბს აუნყა, ადგილზე გააშეშა. ეს იყო მოულოდნელი, დაუჯერებელი, საუკეთესოზე საუკეთესო სასწაული სასწაულთა შორის. ახალი ადამიანი უნდა მოვლინებოდა ქვეყნიერებას, ანასა და მერაბის ნაშიერი! კაცი კედელს მიეყუდა და ქალს სთხოვა ჩამეხუტეო. ვინმესთვის უნდა გაეზიარებინათ სიხარული და ისე ძლიერ მარტონი იყვნენ ამ სიხარულში, რომ ვერვის პოულობდნენ და გული დასწყდათ, მაგრამ აკანკალებულმა ანამ ბარბარეს დაურეკა. გაოცებული მეზობელი კარგა ხანს ხმას ვერ იღებდა, მაგრამ გულწრფელად გაახარა ამ ამბავმა. მერაბმა ყურმილი გამოსტაცა მხატვარს და ეჭვიანად იკითხა:- ორმოცდათოთხმეტი წლის ასაკში შესალებელია ქალი დაორსულდეს?! იქნებ ტესტი ტყუის!

- ყველაფერი ისეა, როგორცაა, უფალმა წყალობა მოიღო თქვენზედ, გილოცავთ!

ანა უფრო ძლიერ მიეტმასნა მერაბის სხეულს და ჩასჩურჩულა:-მართალი თქვა ბარბარემ, დაჯილდოვდი და მეც სრულ ბედნიერებაში ჩავეფალი. რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, ისე ძლიერ!..

აფუსფუსდნენ, აჩურჩულდნენ სამომავლოდ როგორ და რანაირად ემოქმედათ. საუბზე მოამზადეს. ანამ დაღლა იგრძნო და დასაძინებლად მეორე სართულზე ავიდა. მერაბი ჭურჭელს რეცხავდა, როცა მესენჯერში მარიკას მშრალი შინაარსის წერილი მოვიდა.

გამარჯობა მერაბ, მეგობრობიდან წაგიშლივარ, როგორ ხარ? მერაბს სული მოენამლა. როგორი უსირცხვილოაო, გაიფიქ-



რა და პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა და ნერვების დასაწყნარებლად ბარბარეს დაურეკა, ქალმა ჩურჩულით უთხრა: - როდის ჩამოდიხართ?

- დღეს ვაპირებდით, მაგრამ უკვე აღარ ვიცი, როდის!

- მერაბ, თქვენ რომ დამირეკეთ, კოვიდზე სწრაფი ტესტის ჩასატარებლად რიგში ვიდექი, პასუხი დადებითია. მეხუთე დღეა ცუდად ვარ, სიცხეს ვერ ვიგდებ, ყნოსვაც დავკარგე.

- რას მეუბნები, - შეშფოთდა მერაბი, - ახლა რას აპირებ!

- არაფერს, რაც მითხრეს გავაკეთე, დავრეკე 112-ში, ექიმს მოგამაგრებთო, ჯერ არ დაურეკავს, მაგრამ ჯანდაცვიდან ვილაც ბიჭი შემეხმინა. ანტიბიოტიკის მიღება დაწყებული მაქვს და დავმალე, სასტიკად გამაფრთხილა, არ მიიღო წამლები თვითნებურად, განსაკუთრებით ანტიბიოტიკით და მკითხა, აცრილი თუ ბრძანდებითო. ვუთხარი, რომ არ ამცრეს და ვერ მოვასწარი ალერგოლოგთან ვიზიტი, არადა, არც ვაპირებდი მისვლას. ყური მტკივა და ლიმფური ჯირკვლები ჩამომისივდა, გავაგრძელებ ანტიბიოტიკის მიღებას.

- ექიმს რომ დაელაპარაკები დამირეკე.

- ჰო, ლუკასთვის ჯერ არ მითქვამს. ჩემი გოგოს ბინა გავაქირავეთ, მდგმურმა ორი თვის თანხა წინასწარ მოგვცა, ფული მაქვს. ანას არაფერი უთხრა, არ აღელდეს.

- გასაგებია. დამირეკე აუცილებლად.

ბარბარეს იმიტომ დაურეკა, მარიკას მონწერილზე ეთქვა და ამ ადამიანსაც შარო საიდან მოდიხარო არ დამართნია?! მოსვენება დაკარგა, აქეთ-იქით დადიოდა, თავიც დაისაქმა, მოზრდილი ჩანთა აიღო, ქლიავის ხეზე აცოცდა და ნაყოფის კრეფას შეუდგა. ამგვარად შეეცადა ნერვების დაშოშმინებას.

მერაბმა ჩანთა ქლიავით აავსო, მხარზე გადაიკიდა და ხიდან ფრთხილად ჩამოცოცდა. დაპირებისამებრ, დაურეკა ბარბარემ. უსაუბრია ექიმთან. ხვალ სისხლის ანალიზს, დე დიმერს და კატეს გამიკეთებენო. დე ვიტამინი, თუთია და ზუსტად ის ანტიბიოტიკი დაუნიშნავს ექიმს, რომელსაც ეს დღეებია ისედაც



ღებულობდა და რახან ხუთი დღის მანძილზე კოვიდი კეთილად მომექცა, საშიში აღარაფერიყო. დროს უნდა დალოდებოდა, რომ ვირუსი მშვიდობიანად გასულიყო ორგანიზმიდან. მერაბი დარწმუნებული იყო, ბარბარე იოლად გაუმკლავდებოდა გრიპს. მხოლოდ ის ადარდებდა, რომ ქალი შინ მარტო იყო. საქმე განაგრძო. ქვაბში ჩაყარა ქლიავი და გასარეცხად ეზოს ონკანის გამდინარე წყალს შეუდგა. შებრუნდა სამზარეულოში და კედელზე დაკიდებული პლაზმური ტელევიზორი ჩართო, გადაცემა გადიოდა კოვიდ-ვაქცინის სარგებელზე, ითქვა, ბავშვების თორმეტი წლის ასაკიდან თხუთმეტი წლამდე და ორსულებიც აუცილებლად უნდა ავცრათ მიუხედავად ტრიმესტრისა, ასე თუ გადავრჩებითო. ამის გაგონებამ თავზარი დასცა, გრიპისაც ეშინოდა და არაკლასიკური ვაქცინის გაგონებაზეც აჟრჟოლებდა. გადაცემა დასრულდა, მომაბეზრებელი რეკლამების შემდეგ, ეკრანზე პრეზიდენტი გამოჩნდა. ადგილობრივი, მუნიციპალური არჩევნების დასრულებას ულოცავდა მოსახლეობას, მაგრამ თავად ქვეყანას გამარჯვებულად არ აღიარებდა. შეეხო ეკონომიკაში წარმოქმნილ პრობლემებს, მესამე პრეზიდენტს რაც შეეხება, რომელსაც ახლა პატიმრის სტატუსი ჰქონდა და შიმშილობდა, არ შევიწყალებ არც ახლა და არც არასდროსო. კოვიდპანდემიაზეც გაამახვილა ყურადღება. დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობო. უსაყვედურა მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურთ, არ გვეხმარებით სასულიერო პირები, მრევლს აცრაზე კურთხევას არ აძლევთ, მეტიც, ზოგი თქვენგანი ანტივაქსერულად ქადაგებსო. მოითხოვა მწვანე პასპორტების სასწრაფოდ შემოღება და აუცრელთათვის ფასიანი მკურნალობის დაწესება. ვაიმეო, უნებურად წამოიყვირა მერაბმა და ტელევიზორი გამორთო, ბილწი სიტყვები ენის წვერზე მოადგა, მაგრამ თავი შეიკავა და არ შეაგინა ქვეყნის პრეზიდენტს. უნდა ენანა თუ ეხარა შვილიშვილის ხელა ბავშვის მამა რომ უნდა გამხდარიყო? თავი გაიმხნევა, პაპებს და ბებოებს შვილიშვილები და შვილთაშვილებიც გაუზრდიათ, შვილს ველარ გავზრდი?! მთავარია, საყვარელ ადამიანებზე ზრუნვის, შეჭირვებისგან განრიდების შესაძლებ-



ლობა არ მომეშალოს! მსოფლიო სასტიკ დაავადებას ეჭიდავე-
ბოდა, გასაგებია, მაგრამ ქვეყანა, რომელიც მერაბის სამშობლო
იყო, ყველა სფეროსა და საკითხში კრიზისს განიცდიდა. გაუგებ-
რობებში ცხოვრება შესაძლებელია, მაგრამ ძნელიც, ამიტომ
ექებდა სიმართლეს და ვერ პოულობდა, თუმცა სიმართლემაც არ
იცოდა, სად იყო.

...

ანა გულადმა, განაბული იწვა, ღვიძლი და გაახსენდა და და-
ურეკა, უთხრა გავთხოვდიო. მან კი უკმეხად და მკაცრად თქვა:-
რა დროს ეგ იყო!!!- სიძის სახელიც არ უკითხავს. დაუმშვიდობებ-
ლად გათიშა ტელეფონი. ანას მოეჩვენა, რომ დას აღარ უყვარდა
და ცუდ გუნებაზე დამდგარმა სოციალურ ქსელს გადახედა, და-
ინტერესდა რა ხდებოდა ქვეყანაზე, იქაც სიცივეს, გაუტანლო-
ბასა და დაუნდობლობას შეეჩეხა. კადრები ნახა პატიმარ ყოფილ
პრეზიდენტზე, რომელსაც რამდენიმე მამაკაცი ციხის საავადმ-
ყოფოსკენ ძალით მიათრევდა. აღშფოთებულმა მობილური ტე-
ლეფონი მოისროლა, სანოლზე რბილად დავარდა, არ დაზიანდა.
ანას მერაბის გვერდით ყოფნა მოუნდა. ეზოში ჩავიდა და დაინახა
მეუღლის ნამოქმედარი, წამში გაუნელდა გულის ტკენა.

ერთად შეუდგნენ საზამთროდ ქლიავის ჯემის მომზადებას.
მერაბმა ვერ აიტანა ანას მდუმარება, ამიტომ სთხოვა, მარიკას
მსგავსი თაღლითები რომ გყავდათ შემოჩენილნი შენ და ბარბა-
რეს, იმათზე მომიყევითო.

- მარიკასთან შედარებით თამუნა ანგელოზად მოგეჩვენება,
შაკო ხომ მძიმე შემთხვევა იყო, მაგრამ მოქმედების საშუალება
არ მისცეს ბარბარეს ახლო მეგობარმა დათომ და ქალიშვილმა,
ლუკა იმ დროისთვის პატარა იყო და შაკომ ბარბარე უპატრონო,
დაუცველ ადამიანად აღიქვა, მაგრამ ვერ მივართვით!..

წყვილი დაფაცურდა, საქმე გადაინანილეს, გვერდიგვერდ
დასხდნენ და ქლიავს დაერივნენ, აცლიდნენ კურკებს და ქვაბში
ყრიდნენ, თან საუბრობდნენ.

-ჯერ ჩემს უტიფარზე მოგიყვები. კარის მეზობელმა ბინა
მიყიდა თამუნას, ჩვენ საერთო შესასვლელი გვქონდა დერეფ-



ნით, გახსოვს ხომ? ეს არ მოსწონდა თამუნას და ამის თაობაზედ მომიკაკუნა. იმ პერიოდში ახალი კარის შეკვეთა მქონდა მიცემული, რომ ხისა რკინით შემეცვალა და თამუნამ მთხოვა დერეფანი მე დამითმეო, დანარჩენს თავად მივხედავო. ნება დავრთე. კედელი სადარბაზოდან შემოანგრია, უკვე ახალი კარებიც მქონდა და ჩამიყენა, ძველი კარის ადგილი ამომიშენა ბლოკით, გამილესა და კედელში კარადაც ჩაამონტაჟებინა, დამლაგებლებიც მოიყვანა, ბინა გაანკრიალეზინა. ჩვენ დავახლოვდით. აქ, წყნეთში სახურავი გაფუჭდა, ეზოშიც ხეები გამხმარიყო, სარეველა მოდებოდა მიწას. ეზოს მისახედად კი მეყო თანხა, მაგრამ სახურავის შეკეთება შეუძლებელი გამიხდა უსახსრობის გამო. დავბრუნდი ქალაქში და თამუნა დაინტერესდა ჩემი აგარაკით, წამომყვა, გადაირია ეს კარ-მიდამო რომ იხილა, ღამითაც დარჩა და შემომთავაზა ფულს გასესხებო. ვისესხე. გადავხურე აქაურობა, მაგრამ რემონტისთვის აღარაფერი დამრჩა, ვალის თავიდან მოშორება მიწოდდა და ამის გამო საყვარელი ნამუშევარი გავყიდე, ოქრო, რაც გამაჩნდა ჩავალომბარდე და მეზობლის ვალი გავისტუმრე. თამუნა გაოცდა, ეგონა ვერ გადავიხდიდი და რასაც ჩემგან ხელში იოლად ჩაგდებას აპირებდა, ვერ შეძლო, თუმცა ეშმაკობას მოგვიანებით მივუხვდი. ბინის ნახევრის შეერთება სდომებია, სხვენში ასასვლელი კიბის უჯრედით, რომელიც ჩემს ბინაში იყო მოქცეული. ეს რომ გავიგე, მივხვდი, ანგარება ამოძრავებდა. მისი მოთხოვნები არ დავაკმაყოფილე და გაიბუხსა, კარგა ხანს ხმას არ მცემდა და მე კი გული მწყდებოდა, ასე უცებ რომ გადამიყვარა. მოგვიანებით შემომიბრიადა და კვლავ ფული შემომთავაზა, რაც არ მანყენდა, მაგრამ გული მომიღბა და სხვენში ასასვლელი კიბე ვაჩუქე. საჭირო გახდა კიბის იქითა, თამუნას მხარეს კედლის მონგრევა და კიბის აქეთ, ჩემს მხარეს თავიდან აშენება, ხომ წარმოგიდგენია რა დღეშიც ჩავვარდებოდი. სამი თვე მტვერსა და ბულში ვიცხოვრე, ფართიც მომაკლდა. კედელი აშენდა, გაილესა, ის ოთახი მთლიანად გაარემონტა, იაფფასიანი ლამინატიც კი დააგო.



- ესე იგი, სასტუმრო ოთახი თამუნას გაურემონტებია.

- ჰო, შეძლება არ მქონდა, კიბის უჯრედის ხარჯზე სხვენი ამეთვისებინა, ამიტომაც შემავინროვა და არ უნდა გაერემონტებინა?! სხვენი ჩემი კიბის წყალობით აქცია საცხოვრებელ სივრცედ, ოთხი საძინებელი გააკეთა სველი ნერტილებით ანუ ფართი გაიორმაგა სხვენის ხარჯზე. მერე შემომთავაზა, ბინა მომაქირავეო და მე მიშვებდა ჭერჩამოქცეულ, მიღებდახეთქილ წყნეთში. ათას ორას დოლარს მაძლევდნენ არაბი დამქირავებლები და არ ვაქირავებდი, თამუნამ კიდეც შვიდასი დოლარი შემომთავაზა, სამაგიეროდ, წლინახევრისას წინასწარ მოგცემ, წადი წყნეთში, მიიყვანე მუშები და იქაურობა გაალამაზეო.

-დაუჯერე და წააგე?

-ორივენიცა,-გაელიმა ანას თავისსავე ნათქვამზე:- ანგარებიანს ვენდე. ის მეუბნებოდა, რომ ჩემს ბინაში იცხოვრებდა, თავისას კი დღიურად გააქირავებდა. დავთანხმდი შვიდას დოლარზე და ეგრევე ვაჭრობა დაიწყო, ხომ იცი, ჩემი ბინის გასარემონტებლად მევახშისგან ვალი ავიღე და მოდი ხუთასად მომაქირავეო. დავფიქრდი, წლინახევრისას თუ წინასწარ მომცემდა აქაურობის გასარემონტებლად გაჭირვებით ვიმყოფინებდი. ვიფიქრე, თამუნას ოჯახზე უკეთესს აქ ვის შემოვუშვებ თქო, ბიბლიოთეკა და ჩემი შექმნილი სურათები დავტოვე. ძვირფასი ჭურჭელი, ნივთები გავიტანე. ბედ ათასი დოლარი მომცა, წადი და შენი ჩალომბარდებული ოქრო გამოისყიდეო, ეგ ამბავი მეორე დღესვე, დილით გავაკეთე. აი, ამის მერე დაიწყო, რაც დაიწყო. დამირეკა შუადღით, მოდი, სასწრაფოდ მჭირდებიო, ცეცხლწაკიდებულებით ლაქლაქებდა, ლექციების შემდეგ სამხატვრო აკადემიიდან გამოვიქეცი, სადარბაზოსთან დამხვდა, ჩამტენა მანქანაში და ნოტარიუსთან გამაქანა, მისი ნაცნობი იყო, რომელსაც ტექსტი წინასწარ ჰქონდა მომზადებული და ჩემი ხელის მონერალა აკლდა. ნავიკითხე პირობები და გავოგნდი. რაზეც მოვილაპარაკეთ ყველაფერი უკუღმა ეწერა. მეგო-



ნა წლინახევრით მივაქირავე ბინა და აქ სამი ეწერა, თანაც ბინის გადაქირავების უფლებით, ხაზგასმით, მხოლოდ ფიზიკურ პირზე ან პირებზეო. შევეწინააღმდეგე, სამი წელი წყნეთიდან სამსახურში რა მატარებდა, გადაქირავების უფლების ამოღება მოვითხოვე. მაშინ, ათასი დოლარი, გუშინ რომ მოგეცი დამიბრუნე ან ხელი მოაწერეო. ყოყმანის შემდეგ მოვანერე, ვერანაირი საშიშროება ვერ განვსაზღვრე. ის დარჩა თავის ბინაში, ჩემი კი ოთხ ინდოელ ბიჭს მიაქირავა, რომლებმაც ჰოსტელი გახსნეს. გული მეტკინა, მაგრამ რაღას ვიზამდი, გავჩუმდი, წინასწარ წლინახვრისა კი არა, ხუთი თვის თანხა მომცა და ჩემთან მეგობრობაც შეწყვიტა, უკვე მემალეობდა, რომ ვურეკავდი არ მპასუხობდა, ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც შენი ნათლული და არ სურდა ის ინდოელები გამეცნო, მაგრამ მე მივედი ჩემს სახლში და გავერკვიე საქმის ვითარებაში, იმ ბიჭებისთვის უთქვამს, ეს ბინა ჩემიაო, თანაც ათას ორას დოლარად მიუქირავებია, მაგრამ ეგ არაფერი. მენწყინა, რომ მომატყუა. იმათგან ერთი წლის თანხა წინასწარ აუღია, ჩემთან კი პირი გატეხა და მომახსენა, მხოლოდ ხუთი თვის ქირა მომცესო, თანაც შვიდას დოლარად იქირავებს და მე თვეში მხოლოდ ორასი დოლარი მრჩებაო. ინდოელებთან შიდა ხელშეკრულება დაუდევს და თავისი საქორწინო კაბების მალაზიის ბეჭედი დაურტყამს სახელშეკრულებო ქალაღზე. ეს ბიჭები არ იყვნენ ფიზიკური პირები, ჩემს ბინაში ბიზნესი ჰქონდათ გაჩაღებული და თამუნა ამას სახელწიფოს უმაღავედა. დავთმე, ესეთ მამაძაღლობებს ხომ ბევრი აკეთებს-მეთქი გავიფიქრე. ხუთი თვის შემდეგ ის ბიჭები გაყარა, რაც მე დამბრალდა, ვითომც ბინის მეპატრონე მათით უკმაყოფილო იყო და მაგათ გასვლას მოვითხოვდი. არ ვიცი, კიდევ რა მოახსენა ჩემს შესახებ იმათ, ფაქტია, შეშინებულები გაიძურნენ. ორ სართულიანი ექვსი ხის საწოლი და რაღაც ნივთები დატოვეს, მეგონა დამრჩებოდა, მაგრამ თამუნამ ყოველივე წამში გააქრო. მოაყენა სადარბაზოს ავეჯის გადამტანი მანქანა და ინდოელთა დანატოვარი ივერთუბანში, მშობლების სამ სართულიან სახლში გადაი-



ტანა, ხელს გააყოლა ჩემი ოჯახის ძვირფასი, ბუკინისტური წიგნებიც. მოვითხოვე ხელშეკრულების გაუქმება, ვინაიდან ხუთი თვე რომ დასრულდა ქირას აღარ მიხდოდა, მეტიც, სასამართლო მომინყო თავისი ოჯახის წევრებთან მარტოხელა ქალს, მეტადრე, თამუნას უფროსი ქალიშვილი ამართლებდა დედას. თქვა, რომ თამუნა ჩემი ბიზნეს პარტნიორია. გადავირიე, რა ბიზნესი, რის ბიზნეს პარტნიორი, რა ბიზნესი მაქვს, რატომ არაფერი ვიცი-მეთქი? ხელთ მიკავია თავის მიერვე შექმნილი ქირავნობის ხელშეკრულება, მდგმურია ოფიციალურად და არაოფიციალურადაც, რატომ მეპყრობით ისე, თითქოს იდიოტი ვიყო... გატრუნდნენ, მოვიგე კამათში, მაგრამ რა, მაინც არ წამომყვა იუსტიციის სახლში. ის პროფესიით იურისტია და იცოდა, მისი თანხმობის გარეშე ხელშეკრულებას ვერ გავაუქმებდი. მარტომ მივმართე იუსტიციის სახლს, იქ მიჩიქეს სასამართლოსთვის მიმემართა, რა უნდა მექნა? თამუნა კი ცინიკურად მაფრთხილებდა, შენი ბინის კარებს თუ გაეკარები, ჩუმად საკეტებს გამოცვლი გიჩივლებო. მაშიმშილა, ახალ წელს წყნეთში ვეგდე და ვტიროდი, საჭმელიც არ მქონდა. გაზაფხულზე, მარტის ბოლოს დამირეკა და მითხრა, გამოჩნდა ამერიკის მოქალაქე არაბი დამქირავებელი, შენს ბინაში ტურისტული სააგენტოს გახსნა სურს, აქვე აქვს რესტორანიც, ამ შენობაშივე სურს მასაჟის სალონის გაკეთება და ბარბარე რომაა, ჩვენი მეზობელი, ბინას ხომ არ დაუთმობსო, ოღონდ იმ ბარბარემ მეც წილში უნდა ჩამსვასო და შენ დაელაპარაკეო. თხოვნა შევუსრულე, ვნახე ბარბარე, დაველაპარაკე, თვეში ხუთას დოლარს სთავაზობდა არაბი ფარუქი. ბარბარემ წამოყენებული პირობა მიიღო, მაგრამ რა იცოდა წინ რა პრობლემები ელოდა, ეგ არც მე ვიცოდი... თამუნამ ბარბარესგან იქირავა ბინა, ასევე გადაქირავების უფლებით, ზუსად იგივე ტექსტი ერთი გამონაკლისით, ხელი არ უნდა ეხლოთ ბინის სივრცისთვის. ცოტა არ იყოს შევშფოთდი, მაგრამ ვერაფერი ვთქვი, შემრცხვა, ვიფიქრე, რომ თამუნა ბარბარეს მოტყუებას ვერ გაბედავდა, მაგრამ გააცურა.



ბარბარემ ავეჯს ერთ ოთახში მოუყარა თავი, ფარუქმა კი შესვლისთანავე, გაუფრთხილებლად სადარბაზოში გამოუყარა და საბრალო ქალი იძულებული გახდა, ავეჯი გორში წაიღო დედამთილთან, მიიტანა და დღემდე არც წამოუღია. შემდეგ ფარუქმა ახალთახალი, უზარმაზარი იაპონური მაცივარი ბინიდან დაუკითხავად გაიტანა. სახლში მისულმა ბარბარემ თვალი ვეღარ მოჰკრა უზარმაზარ ნივთს, მასაჟისტმა ქართველმა გოგონებმა უთხრეს, რომ ფარუქმა გვითხრა მეპატრონემ წაიღოო, არადა გვჭირდებოდა, ცივ წყალს მაინც დავლევდით ამ სიცხეშიო. ფარუქის არაბულ რესტორანში დახვდა მაცივარი. მოითხოვა ნივთის ადგილზე დაბრუნება, მაგრამ ფარუქმა დაამშვიდა, გასვლისას დავაბრუნებო, დაუჯერა არაბს. გათავხედდა არაბი, მოგვიანებით სამზარეულოც დაუკითხავად გადაუკეთა სამასაჟო ოთახად, მეტისმეტი მოუვიდათ... ამასობაში გაიკვია, რომ თამუნას ფარუქისთვის ჩემი და ბარბარეს ბინა ხუთი წლის ვადით მიუქირავებია.

მერაბს გულიანად გაეცინა:-ეგ როგორღა გაიგეთ ბატებო?

-როდის და, ბარბარეს თამუნას ადვოკატმა რომ დაურეკა. ის კაცი უფლებამოსილი, ნაციხარი იურისტი იყო და ტიპიური აფერისტი. ხილული რომ იყოს აფერისტობა, ზუსტად ეგეთი გარეგნობა ექნებოდა. სწორედ ის გამხდარა ფარუქის ინტერესების დამცველიც, თანაც თავიდან, ის დეგენერატი კაცი ბარბარეს ეპრანჭებოდა, ვერანაირად რომ ვერ მიუდგა, განაცხადა, აღარ მომწონს ეს ქალი მძიმე ხასიითი აქვსო. ტიპმა დარეკა და ბარბარეს მოსთხოვა ფარუქისთვის მისამართი მიეცა. ბარბარე გაბრაზდა და უპასუხა, ვინც მიაქირავა, იმან მისცეს თავისიო, ამასობაში თამუნამ თავისი ბინა ვილაც მდიდარ ირანელს მიჰყიდა და ახლა მრავალცოლიანი კარის მეზობელი მყავს.

ფარუქი ბარბარეს ემუქრებოდა, მომეცი მისამართიო, მოტყუებული ვარ, შენც გიჩივლებ და იმ თამუნასაცო. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბარბარე კი ვეღარ პოულობდა თამუნას. იძულებული გახდა ადვოკატთა ბიუროსთვის



მიემართა. ისინი დაეხმარნენ თამუნას მოძებნაში, რომელსაც დილომში უზარმაზარი სახლი შეეძინა, ფარუქიც წაჰყვა ბარბარეს და თამუნა ცუდ დღეშიც ჩააგდეს. ამის შესახებ მოგვიანებით გავიგე, აქ ვცხოვრობდი, წყნეთში. მერე, ადვოკატები დაუკავშირდნენ პროფესიით იურისტ თამუნას, რომელსაც უნდოდა ხუთი წლის მანძილზე ჩვენი ბინებიდან შემოსავალი ისე მიეღო, რომ არაფერი გვცოდნოდა. შეშინებული გვეხვეწებოდა, ვალდებულებები არ დამაკისროთ და ხელშეკრულებას გაგიუქმებთო. არაფერი მითქვამს, წლინახევრის თანხა სრულად რომ არ მომცა, ვითომც ფარუქი მიქვითავდა იმის გამო, რომ ჩემს ბინაში აყენებდა ორ კონდეციონერს და ცენტრალურ გათბობას. ყველა თვეზე ასი დოლარი ჩამომაჭრა, მომატყუა, ფარუქმა კი ერთი კონდეციონერი დააყენა, მხრები აიჩიქა, არანაირ გათბობაზე ლაპარაკი არ ყოფილაო. ჩემი ბინიდან იოლად გავიდა იმიტომ, რომ ტურისტული სააგენტოს ბიზნესი წარუმატებელი აღმოჩნდა. მხოლოდ ოფისი ჰქონდა, ისევ არაბებს ემსახურებოდა ნაქირავები ტაქსებით და თანამშრომლებიც არაფრის მცოდნენი და უპასუხისმგებლოები ჰყავდა. დიდ შემოსავალს რესტორნიდან და სამასაჟო სალონიდან იღებდა, რომელიც ბერბარეს ბინაში ჰქონდა მოწყობილი. დავბრუნდი სახლში და ამოვისუნთქე, მაგრამ ბარბარეს წამება დიდხანს გაგრძელდა, იმის სახლში ხომ ხუთი წლით უნდოდა ყოფნა და დიდი ძალისხმევით ბარბარემ სამი წელზე ჩამოუყვანა. პირველი წლის დასასრულისკენ ფარუქმა ქართველი გოგონა მოიყვანა ცოლად და მასთან ერთად სამშობლოში, იორდანიაში წავიდა, არ ყოფილა ის ფარუქი ამერიკის მოქალაქე, ესეც თამუნას მოგონილი ტყუილი იყო. არაბმა ბიზნესი არაოფიციალურად მეგობარს ჩააბარა. არ ვიცი რა მოხდა, ცოლი კი დაბრუნდა თბილისში, მაგრამ ფარუქს საქართველოში აღარ უშვებდნენ, ოთხჯერ მოვიდა თურქეთამდე, რომ საზღვარი გადმოეკვეთა, მაგრამ არ გამოუვიდა და მაშინ დაიწყეს ყოველივეს განადგურება ქართველმა მასაჟისტებმა. რესტორანსაც ბოქლომი დაედო და გაზაფხულზე გაიხსნა, ბარბარეს იქ თავი-



სი მაცივარი აღარ დახვდა. ანტიკვარული, ძვირად ღირებული სპილოს სტატუა მოპარეს, რომელიც სახლში ფარუქის თხოვნით დატოვა, მაგრამ პასუხისმგებელი ნივთზე არვინ აღმოჩნდა, საცოდავმა ისევ ადვოკატებს მიმართა, რომლებმაც ფარუქის მეგობარი აიძულეს, დაკარგული მაცივრის ღირებულების თანხა მაინც დაებრუნებინა. მეზობლები შეაწუხეს მასაჟისტებმა, ღამით მუშაობდნენ, ხმაურობდნენ, ჩხუბობდნენ, ერთმანეთს თმით ითრევდნენ, ბინა დააბინძურეს, საშინელი სუნი დააყენეს. გამოდიოდნენ სადარბაზოში, ეწეოდნენ და სიგარეტის ნამწვს იქვე ყრიდნენ. ბარბარეს ორი ტუალეტი აქვს, ერთი ნაგავსაყრელად გადაუქციეს, მეორე აბაზანიდან წყალი ჩაუშვეს მეზობელთან და იმან ისეთი ამბავი ატეხა, რომ მიატოვეს ბარბარეს ბინა, კარები ღიად დატოვეს, გაიქცნენ. ბარბარეს შინ შესასვლელი კარი ისე იყო დაზიანებული, რომ სახელოსნოში წასაღები შეექცინა. ახალი საკეტები დათომ დაუყენა და ბარბარეს დაზიანებული ბინის აღდგენას შეუდგა, ქალს ფული აღარ ჰქონდა. მოისურვა, დათოსთან ერთად ჰოსტელი გაეკეთებინა, მაგრამ ვერ შეძლეს, ვერც გაქირავება მოახერხა, გაითვალა.

-ახლა სადაა ის დათო?

-პანდემიამდე ბევრად ადრე სამსახური დაკარგა, აქ ვერაფერი იშოვა და თელავში წავიდა, ახლა სასტუმროს მშენებლობას ხელმძღვანელობს. ჰო, ბინაში კი შევიდა ბარბარე, მაგრამ ოფიციალურად კვლავ გაქირავებულად ითვლებოდა. ფარუქმა იმიტით თანხმობა არ მისცა ხელშეკრულების გაუქმებაზე, ადვოკატთა გუნდი ველარ დაეხმარა ბარბარეს. იუსტიციის სახლში უთხრეს, დაელოდე დროს და მექანიკურად გაუქმდება ქირავნობის ხელშეკრულებათ. იუსტიციის სახლიდან რომ გამოდიოდა სასონარკვეთილ ბარბარეს კლასელი შაკო შეეჩხება, თავიდან უთანაგრძნო, მასთან ერთად ირბინა, კომერციული კომუნალური გადასახადები რომ გაეუქმებინა, მაგრამ თურმე შაკო თამაშობდა, სინამდვილეში ბარბარეს ბინის ხელში ჩაგდება სურდა.

-რანაირად?!-გაუკვირდა მერაბს.



- შაკოს ვილაც შვედი დაუკერავს და მასთან ერთად ტურის-ტული ფირმა დაურეგისტრირებია, ბარბარეს უთხრა, შემოსავლის ნახევრის მენილე და ფირმის დირექტორი ვიქნებიო, აქ შვედ ტურისტებს მოგიყვანო და საერთო შემოსავლის ჩემი ნილის ოც პროცენტს დაგიტომობო. ბარბარეს გახარებია, დათოსთან და ქალიშვილთან დალაპარაკება ვერ მოასწრო, წააპრონიალა შაკომ იუსტიციის სახლში, მართლაც, ორმოცდაათი პროცენტიდან ოცი პროცენტის მფლობელი ბარბარე გახდა, მაგრამ იუსტიციის სახლშივე არ მოეწონა შაკოს საქციელი, რომელმაც ბარბარესთან შეუთანხმებლად, იქვე, მის თვალწინ ფირმას იურიდიულ მისამართად ბარბარეს ბინის მისამართი დაადო, მაგრამ ბინის ნომერი ბარბარემ შეცდომით უკარნახა ოპერატორს, ბარბარეს ბედად იმ არაზუსტი მისამართის გადამოწმება დაეზარა საბუთის შემქმნელს და ეგრევე ჩანერა. ბარბარემ იმ მომენტში ვერ გაიაზრა, რას უპირებდა შაკო. ფირმის საბუთების ასლიც არ მისცა და მეორე დღესვე გადაიკარგა. მიხვდა, შარში რომ გაეხვა. ქალიშვილს დაურეკა, არც იმან უპასუხა, მერე დათოს დაურეკა, თანაც გადანყვეტილი ჰქონდა თავისი ნილის ნახევარი დათოსთვის გაეყო, ეს შაკომაც იცოდა. ამის გაგონებაზე დათოც აღელდა, მოვიდა ბარბარესთან, გამოართვა შაკოს მობილური ტელეფონის ნომერი, დაურეკა, ამ უცხო ნომერს უპასუხა შაკომ, ეს ამბავი იმ დღესვე ქალიშვილმაც გაიგო და ატყდა ერთი ამბავი. შაკო ცდილობდა ბარბარე წილში დარჩენილიყო, ეუბნებოდა, მორჩა, ფირმიდან კრების მონყობის გარეშე ვერ გახვალო. ბარბარეს თავის დასალწევად ტყუილუბრალოდ თანხის გადახდამ მოუწია. შაკო ფირმაში უუფლებო, უბრალოდ ფირმის მეპატრონის წარმომადგენელი ყოფილა და იუსტიციის სახლმა მოთხოვნაზე უარი უთხრა. ისევ ადვოკატებს მიმართა ბარბარემ, იქ დააკვალიანეს და უთხრეს, არანაირი კრებები, უბრალოდ შენი წილი ისევ იმ შაკოს აჩუქეო. ბარბარე იბარებდა იუსტიციის სახლში შაკოს, მოსვლას პირდებოდა, მაგრამ არ მოდიოდა, ისევ დათო ჩაერია და შეშინებული იუსტიციის სახლში მოეთრა



და ფირმის მენილეობიდან გამოვიდა ბარბარე, მაგრამ მისამართი კვლავ ფირმას დარჩა, ეს მისამართი ფარუქის სამასაფოსაც ეკუთვნოდა ხელშეკრულების დასრულებამდე. შაკოს ფირმის ამოშლასაც ფული ჭირდებოდა. ვინაიდან მისამართი არაზუსტი იყო, ბარბარე გადაურჩა ზედმეტი ხარჯის გაღებას. შაკუნა კიდევ საერთოდ გაქრა ბარბარეს ცხოვრებიდან. სამი წელი რომ დასრულდა, აღმოჩნდა, რომ მექანიკურად ხელშეკრულება არ დასრულებულა, ვინაიდან იქ ეწერა, ფარუქს ბარბარეს ბინაში ვადის გაგრძელების უფლება ჰქონდა. ქვეყნიდან გაქცეულ მდგმურთან თავის დროზე ვერ გააუქმა ხელშეკრულება. ახლახან დაწერა განცხადება, ქირავნობის ვადა კარგა ხნის გასულია და გთხოვთ გამიუქმთოთ. იუსტიციის სახლმა სასამართლოს დანიშვნის გარეშე დააკმაყოფილა, დაასრულა მისი მოთხოვნა.

- სანყალი ბარბარე, რამდენი უწვალა.

ჯემიც მომზადდა, მადის აღმძვრელი სურნელი დატრიალდა. მერაბს მშობლები გაახსენდა, საზამთროდ ნაირნაირ მურაბებს, კომპოტებსა და ჯემებს რომ ამზადებდნენ. თითქოს მამას ბაძავდა ოჯახის კაცობაში და გაელიმა.

მერაბის მშობლები ცოცხლები აღარ იყვნენ, ნახევარი ძმის დედა კი მხიარული, თბილი ქალი გახლდათ. ღამით სწორედ ძმამ, მეტსახელად ჯაბოვიჩმა მოიკითხა მერაბი. ბაჩანა ჯაბას ძემ ანუ ჯაბოვიჩმა რომ გაიგო მერაბი მამობისთვის ემზადებოდა, გაუხარდა თუმცა გააოცა რძლის ასაკმა და დაეჭვდა, ცრუ ორსულობა არ იყოსო.

სამი დღის შემდეგ გამოჩნდა ბაჩანა და ჭიშკართან დააპიპინა. ეზოში მწვადები ააშიშხინეს და მადისაღმძვრელი სურნელი დაატრიალეს ძმებმა. იქვე გაიშალა სუფრაც, მაგრამ მერაბს ხორცისთვის პირი არ დაუკარებია. შემოდგომის საუკეთესო, დარიანი საღამო იდგა, სიცხე რომ არ შეგანუხებებს და არც სიცივე მოგთელავს. ბაჩანას მოეწონა ანა და ხმამაღლა განაცხადა: - ყოჩაღ ძმაო, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

მეორე დღეს ბაჩანამ განაცხადა, რომ ძმას ჩუქნიდა თავის



ავტომანქანას. ანა და მერაბი გაოცდნენ, მაგრამ ჯაბოვიჩი არ ხუმრობდა. ეს ის დღე იყო, როცა პატიმარი პრეზიდენტი ორმოცდაათდღიანი შიმშილობის შემდგომ პენიტენციალური საავადმყოფოდან, სადაც მკურნალობა თავადაც არ სურდა, ბოლოს და ბოლოს გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს. სძლია პრობლემებს, ის უკვე გაფართოებულ კვებაზე იყო გადასული და თავის სასამართლოზეც ფიზიკურად გამოცხადდა. მეცამეტე დღეც დამდგარიყო, ბარბარეს კოვიდპატიმრობის დასასრულის ნამი და ტყვეობას შეჩვეულს ქუჩაში გასვლისა ეშინოდა. დაყრუებულ მარცხენა ყურზეც დარდობდა, ვირუსი თითქოს უმოქმედო ყურში ეჯდა და წასვლას არ ჩქარობდა.

შემკრთალი ბარბარე დაბორიალობდა უზარმაზარ ბინაში, ექიმის დარიგება ახსოვდა, იმოდრავე, ლოგინში არ ჩანვე, არ მოდუნდევო. შვილებისთვის არ გაუმხელია, რომ დაინფიცირდა. თავს ძალა დაატანა, რამდენიმე პირბადითა და სახეზე სკაფანდრ-ჩამოფარებული გარეთ გავიდა, აფთიაქში იყიდა ვიტამინები, მაღაზიაშიც შეიარა, ხილი და ნახევარფაბრიკატები შეიძინა. უფალს ჰმადლობდა, რომ გაუმართლა და არ მოკვდა, საქმე ფილტვების დაზიანებამდეც არ მისულა და, ეს იყო ერთადერთი, რაც უხაროდა. ენატრებოდა ძვირფასი ადამიანები და გატანჯულ სულზე წამლად ეფინებოდა ბატონი მირზას თანაგრძნობა, იმედიანი, მადლიანი შეძახილები, მალე განიკურნებო და მარგოტი, რომელთანაც ყოველ დღე საუბრობდა დარგზე, რომელსაც ლიტერატურა ჰქვია. ნაავადმყოფარი თავს კეთროვანივით გრძნობდა, ახლოს არავის ეკარებოდა და დარწმუნებული იყო, რაღაც ნათელმა, კეთილმა, მშვენიერმა დაიფარა აუცრელი, დაუცველი, ატომური ბომბივით სასტიკი ვირუსის დამანგრეველი ზემოქმედებისგან.

...

ლუკა ბიძასთან ერთად გორში ბებოს მოსანახულებლად წავიდა. სტუმრობა გაუგრძელდათ, ვინაიდან სებასტიანეს სხვა სოფელში მცხოვრები დეიდაშვილი გარდაცვლოდა.



დაყრუებული ყური შემანუხებლად, ძველებური, შავ-თეთრი ტელევიზორის მსგავსად აუშხრიალდა.

შუადღით ბარბარემ უხილავ კოვიდ-ოჯახის ექიმს დაურეკა, მადლობა გადაუხადა რჩევებისთვის. გასაჭირის შესახებაც მოახსენა. გაოცებულმა ექიმმა თქვა, კოვიდი არ აყრუებს და სასწრაფოდ სპეციალისტს მიმართეთო. ბარბარე დაემშვიდობა მკურნალს და კითხვა დაუსვა საკუთარ თავს:- ადვილია ყურის ექიმთან მისვლა?!

მობილურ ტელეფონში მესენჯერს დახედა, მერაბი და ანა არ იყვნენ მწვანედ ანთებულნი, გული დასწყდა, გაიფიქრა, გაუტკბათ სუფთა ჰაერზე ყოფნა, დაბრუნებაზე აღარ ფიქრობენო. გული აუჩქარდა და ტახტზე მიწვა. მარჯვენა ხელი მკერდზე მიიღო, გაირინდა, შეთეთრებულ ჭერს მიაშტერდა, რომელსაც ერთ დროს ოთხივ კუთხით ფრთოსანი ბიჭუნები ამშვენებდნენ. პირველი საყვირს ჰბერავდა, მეორე ისარს ისროდა, მესამეს წიგნი გადაეშალა და გულმოდგინედ კითხულობდა, მეოთხე მედიდურად ზემოდან დაჰყურებდა ინტერიერს, თითქოს ადამიანებს აკვირდებო. შეხედავდი თუ არა, შენს მზერას დაიჭერდა და თვალს გამოგაყოლებდა. ერთადერთი იყო იმ სამს შორის, რომელსაც სასირცხვო ადგილი თეთრი ნაჭრით დაეფარა. ბარბარეს ძმა საზღვარგარეთ რომ წავიდა, სებასტიანე რომ გაქრა და მშობლებიც რომ გარდაიცვალნენ, გამოკეტილი ბინა ანგელოზების ამარად დატოვა. ზამთრის სუსხიან საღამოს მეზობელმა დაურეკა, სასტუმრო ოთახში რაღაც წაიქცა, ლამის ჭერი ჩამოგვენგრა, მოდი და ნახე რა ხდებაო. ჭერის ანგელოზები ჩამოცვენილიყვნენ, ერთიც არ დარჩენილა ზემოთ, იატაკზე დანარცხებულნი, განადგურებულნი, პირქვე ეყარნენ, აღარც კი ჩანდნენ. გაოგნებული ქალი ადგილზე გაქვავდა, მაგრამ გადანყვიტა, ამიერიდან მშობლების ბინისთვის ჯეროვნად ეპატრონა. რემონტი ჭერის აღდგენით დაიწყო, ჩამონგრეული ანგელოზებგამოსახული ფრაგმენტები მუშებმა გადასაყრელ მასალად აღიქვეს და ნაგვის ურნაში გადაუძახეს, ბარბარეს გულიც თან გაიყო-



ლეს ფრთოსანმა ბავშვებმა. არ მოსწონდა სადა, უანგელოზებო ჭერი, მაგრამ რას იზამდა?

უბნის რეაბილიტაციისას მთავარი არქიტექტორი ქალი გაიცნო და ჭერის ანგელოზებზე უამბო, თუ როგორ განაცარტუტდნენ... არქიტექტორი ლამის გადაირია, უნდა მიგეყიდა სახელმწიფოსთვის, კულტურული მემკვიდრეობა ნაგავსაყრელისთვის როგორ გაიმეტეო.

ბარბარე განერვიულდა და არქიტექტორმა ინანა, რაც თქვა. კარგა ხანს მისივე დასამშვიდებელი შეიქნა საბრალო ბარბარე, არაუშავს, ნუ დარდობ, რომ გცოდნოდა, ასე ხომ არ მოიქცეოდი, არცოდნა არცოდგააო...

-გამოშტერებული ვარ. ის არსებები ცოცხლებივით იყვნენ, თითქოს მიცავდნენ, უმადურმა კი მოვიშორე, რომ მცოდნოდა მაგათი გადარჩენა შესაძლებელი იყო, სულაც ვაჩუქებდი სახელმწიფოს, მაგრამო.

მესენჯერში ლუკამ მოსწერა დედას, როგორ ხარო და კორონული ახალი ამბავი ამცნო. აფრიკაში ახალი კორონა ვირუსი დაიბადა, დღეს სახელიც დაარქვეს- ომიკრონი, ევროპა ამერიკასთან ერთად შფოთავს, სამხრეთ აფრიკელები კი მშვიდად არიან, სუსტია, ვერავის კლავსო, იმედია, დასასრულიც მალე იქნება.

ბარბარემ პირჯვარი გადაისახა და კვლავ თეთრ ჭერს მიაცქერდა, ჩასთვლიმა, ყურებში ბავშვების მხიარული კისკისი ჩაესმა, თვალები გაახილა და ჭერის ანგელოზები დაინახა. წამოდგა, მკლავები გაშალა, რომ ანგელოზებს მოხვეოდა, ისინი უღიმოდნენ, მაგრამ ქალთან არ მივიდნენ, აფრინდნენ და ჭერში ძველებურად, ნახატებად გადაიქცნენ. ბარბარე აღფრთოვანდა, ახლა მართლა გაეღვიძა, მაგრამ რეალობას ვერსად გაექცა, ჭერი უბრალოდ თეთრი იყო. გული დასწყდა. ნეტა მართლა დაბრუნებულიყავით, საოცარო ბავშვებო! ხმამალლა ნათქვამი სრულყოფილად გაიგონა, მარცხენა ყურზე ხელი მიიჭირა და წაილიღინა, სმენა აღუდგა. მერე ბატონი მირზა ესტუმრა, იცოდა, რომ ბარბარესთან პირისპირ ჯდომა და ბაასი აღარ იყო საშიში.



მარგოტმაც შემოალო კარი და ბარბარეს დარდები, შიშები მაშინვე გაქრა. ბატონი ლადო გაიხსენა ბარბარემ და გადაწყდა, უახლოეს დღეებში ბატონ მირზასთან ერთად მოინახულებდა მის საფლავს.

...

სასაფლაოს გრძელი, ვიწრო, მიკლაკნილ-მოკლაკნილ გზაზე კარგა ხანს იარეს და მიადგნენ გარდაცვლილთა ქალაქის ბინადრად გადაქცეულ ლადოს სამყოფელს. მირზამ საფლავის ქვაზე შოკოლადის ფილა დადო, ლადოს უყვარდაო, ჩაიბუტბუტა. ერთი ბოთლი ღვინო ლადოს გულზე დაყრილ მინას მოასხა, იქვე ჩამოვდა, რომ დანაპირები შეესრულებინა, მაგრამ ვერააფერი თქვა ლადოს ბავშვობაზე, ყმანვილობაზე და ბარბარე მიხვდა, როგორ უჭირდა მირზას ამაზე საუბარი. ქალს არც დაუძალებია რაიმე ეთქვა ცად ასულ მეგობარზე, ისიც საკმარისი იყო რაც იცოდა ლადოს შესახებ. არასდროს დაივიწყებდა მის თანადგომას, ბარბარეს წერის ხალისი რომ არ დაკარგოდა და თავი ბედნიერად ეგრძნო.

მდუმარედ თავდახრილნი, მწუხარებით სავსენი იდგნენ და არცერთს თვალთაგან ცრემლის კურცხალი არ გადმოვარდნია, ხელისხელჩაკიდებულნი მედგრად დაუდგნენ სევდას. გამობრუნებულებს გზად შავებში გამონყობილ ქალსა და კაცს გადაეყარნენ. ბარბარეს წინ იმედა იდგა, რომელმაც სევდიანად გაუღიმა: როგორ ბრძანდებით, პატივცემულო მასწავლებელო?

ბარბარეთვის იმედა ნაცნობიც კი აღარ იყო, სხვა დროს რომ სადმე გადაჰყროდა თვალს აარიდებდა, ამიტომ შეიშმუშნა, აქ, ამ ადგილას, მკვდართა ქალაქის ვიწრო გზაზე, ამგვარ ქმედებას ვერ ჩაიდენდა, პირისპირ იდგა იმედას წინაშე და გაღიზიანებულმა მაინც ზრდილობიანად უპასუხა: - არამიშავს იმედავ, თავად როგორ გიკითხოთ!

- ეჰ, დედა გარდამეცვალა, დღეს მეცხრე დღეა!

- ვწუხვარ! - ბარბარეს შეამცივნა.

იმედამ მეუღლეს მიმართა: - ესაა ჩემი ბარბარე მასწავლებელი.



შავებში ჩაცმულმა, პირმრგვალმა და სრულმა ქალმა ბარბარეს გაუღიმა.

იმედამ კიდევ რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბარბარე სასწრაფოდ დაემშვიდობა ახალგაზრდებს და მირზასთან ერთად სასაფლაოს ჭიშკარს მიუახლოვდა.

მირზამ ბარბარე რესტორანში დაპატიჟა, მაგრამ ბარბარეს მწვანე ბარათი არ აღმოაჩნდა. მირზა გაოცდა: - აუცრელი კი ხარ, მაგრამ ახლახანს ხომ მოიხადე კოვიდი, გეკუთვნის, რატომ არ გაქვს?! მე ქალაქის საბუთი მაქვს, ტელეფონშიც არ გაქვს?!...

ბარბარე შეიშმუშნა: - არ ვიცი, როგორ უნდა გადმოვწერო მობილურში.

მირზა დაიბნა: - მართლა?! არც მე ვიცი.

- არც მჭირდება, ვაპროტესტებ მაგ მწვანე შრეკულ პასპორტს!

- როგორს?! - გაეღიმა მირზას, - შრეკი მწვანე დევივით არსება რომაა, იმაზე ამბობ? ჩემს შვილიშვილებს უყვართ ეგ ანიმაციური ფილმი. შენც მოგწონს შრეკი?

ბარბარემ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და ბატონი მირზას ხელში აყვანა მოუხდა, რომ კარგად ჩაეკოცნა, მაგრამ უტოპიური, განუხორციელებელი იყო სურვილი...

...

ბარბარემ მობილური ტელეფონი გამორთო, საახალწლო მოლოცვები რომ არ მოესმინა. 2022 წლის ღამის თორმეტის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე სალუტებისა და სხვა ასაფეთქებლების ხმების რომ არ შეშინებოდა ყურებში თითებგარჭობილი სააბაზანოში შეიმალა, სადაც საშიშ გუგუნს არ გაიგონებდა.

წლის დასაწყისში ომიკრონის მეექვსე ტალღა ლივლივებდა. კოვიდის საწინააღმდეგოდ აცრილებს ბუსტერიზაციას აძალებდნენ, აუცრელები და კოვიდშეუხებელნი მწვანე ბარათების უქონლობის გამო ისედაც შეზღუდულები იყვნენ. ომიკრონმა კი ომი ვაქცინირებულებს გამოუცხადა, მაგრამ სიკვდილიანობის



პროცენტმაც დაბლა დაინია.

არტემმა დაასრულა რომანის თარგმნა, რუსული ტექსტის რედაქტირებაზეც იზრუნა და ბარბარემ ფულის შეგროვება დაინყო, რუსული ვარიანტი წიგნად რომ გამოეცა.

ანა და მერაბი ოფიციალურად დაქორწინდნენ. ბარბარე ხელის მომკიდედ დაიყენეს. მეჯვარე ბარბარე ბავშვის დაბადებას ელოდა, რომ ნათლიაც გამხდარიყო. მისი ცხოვრების დაპაუზებული დრო ზანტად, მდორედ ამოძრავდა. რალაც დიდის, შემამფოთებლის, საშიშარის მოლოდინის განცდა გაუჩნდა. დილით შეშინებულსა და დაღლილს ეღვიძებოდა, თითქოს ღამით კი არ ეძინა, არამედ ფიზიკურად მუშაობდა. დღის მანძილზეც შფოთავდა და ვერ აცნობიერებდა აფორიაქების მიზეზს.

ძველი სტილით ქრისტეს შობის მეორე დღეს მახლმა დაურეკა, უნდა გამოგიარო და ერთ ადგილას წავიყვანოო. მოვიდა როლანდი, ბარბარემ შეამჩნია, რომ მახლი თვალებს უცნაურად, ნერვიულად აკვესებდა, მიხვდა, რალაც მოხდა და ჯერჯერობით არ ეუბნებოდნენ. შეკრთა ქალი, მაგრამ როლანდისთვის კითხვა არ დაუსვამს. პირგამშრალმა როლანდმა კომპოტი დალია, ის აღელვებას ვერ მალავდა. ლუკა და ბარბარე მანქანაში ჩასხა. კერძო დეტექტივთა დაწესებულებაში მივიდნენ. სერიოზული, ძლიერი ორგანიზაცია ჩანდა. მოზრდილ ფოიეში შევიდნენ, მერე დერეფანში აღმოჩნდნენ, ლამაზი, მასიური, მიხურული ხის კარების მიღმა დეტექტივები ისხდნენ და მუშაობდნენ, დერეფნის ბოლოში ჩასასვლელ კიბეებთან ეწერა პათანატომ ექსპერტთა ჯგუფი და მორგიცო... ბარბარე შიშმა აიტანა. ბოლო ოთახის კარი შეაღო როლანდმა. კერძო დეტექტივი წამოდგა, გაუღიმა ვიზიტორებს. გამომძიებელი სოსო დაუქირავებია წევრდაკარგულ ოჯახს. დეტექტივმა მიაგნო გაუჩინარებულის კვალს და სხვა დაკარგული მოქალაქეებიც იპოვა, რომელთა შორისაც სებასტიანეც აღმოჩნდა.

სერიულ მკვლელ ქალს ხელთ ჩაუგდია ცამეტი კაცი, ყველანი ორმოცდახუთიდან ორმოცდაათ წლამდე ყოფილან, დაუხო-



ცავს და დაუმარხავს. წამებით მოკლულ უკანასკნელი მსხვერ-
პლისთვის კიდურები დაუჭრია, ვილაცისთვის ტყავი გაუძრია,
ერთისთვისაც ენა ამოუგლეჯავს, რომელიღაცას თვალები
ამოაჩიჩქნა. სიკვდილის წინ სებასტიანეს გარდა ყველა დაუსა-
ხიჩრებია. ფსიქოპათის კომოდის უჯრაში პოლიციამ სასტიკად
მოკლულთა ნივთები აღმოაჩინა, სებასტიანეს ნიშნობის ბეჭე-
დიც იმ უჯრაში ინახებოდა, შიდა ზედაპირზე წარწერით: სიყ-
ვარულით, სებასტიანეს ბარბარესგან. ქალმა ნივთი აიღო, გულ-
დასმით დაათვალიერა, თითზე წამოიცივა: -სებასტიანესია! - წარ-
მოსთქვა აღელვებულმა და სკამიდან გადმოვარდა. გონს რომ
მოვიდა აღარაფერს გრძნობდა. გახვევებული ბარბარე გორში
ნაიყვანეს. ვერ ლაპარაკობდა, ვერც ტიროდა, მკვლელი ქალის
ამბები არ აინტერესებდა. მხოლოდ სებასტიანეს ელოდა, ის კი
აგვიანებდა. დღეები გადიოდა, ნათესავები მოდიოდნენ, უსმენ-
დნენ როლანდის ნაამბობს, ტიროდნენ და მიდიოდნენ. ბარბარე
მათ არ ენახვებოდა, არც მაზლის ნალაპარაკევი ესმოდა, მხო-
ლოდ ქმრის გამოჩენას ელოდა.

...

ლილი მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა. ოჯახი ღელავდა, მაგ-
რამ ლუკას, ლილის და გაბრიელს ბარბარე ვერ ხედავდა, ყოველ
დღე სადღაც ერთად მიდიოდნენ და შინ გვიან ღამით ბრუნდე-
ბოდნენ. შვილების გაუჩინარებისას შიში ეუფლებოდა, მათ გა-
რეშე სიმარტოვეს თავს აჯაბნინებდა, არადა სახლსა და ეზოში
უცხო ხალხი ირეოდა. გამოჩნდნენ სებასტიანეს გაუჩინარებუ-
ლი მეგობრებიც. დედის ხმამალალი ტირილი და მოთქმა მსმენე-
ლებს გულს უთუთქავდა: -ვაი შვილო, რაღა ვქნა, შვილოო! იმედი
მქონდა, ცოცხალი იყავი, სადღაც რომ იყავი... გელოდი, შვილო!
შენი ნახვა მწადდა, მაგრამ ასე არა, ასე არ მინდოდა! მწარე ხარ,
შვილო! მიყურებული ტკივილი გაგვიახლდა, შვილო, გაცოცხლ-
დი, დედა გენაცვალოს, ბარბარეს გამო გაცოცხლდი, შენი შვი-
ლების გამო, ჩემო ტკბილო და კეთილო შვილო!!! ამოწყდეს შე-
ნი სიცოცხლის მომსპობი, შვილოო!!!



დედამთილის მოთქმით ტირილს ბარბარეს გული ვერ იტანდა, მტკივნეულად ეკუმშებოდა, პატარავდებოდა, ქუცმაცდებოდა და თრთოდა, საერთოდ გაქრობას ლამობდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, შველას არ თხოულობდა და საერთოდაც, ბარბარე ვისლა ახსოვდა?! შემკრთალი და ფერმიხდილი, გაცრეცილი, გალელულ-განახევრებული საძინებელი ოთახის ბნელ კუთხეში მიყუჟულიყო და ელოდა. როცა გაახსენდათ, კარიც შეუღეს: - ადექი, მოყავთ, მოყავთ! - ჩასძახეს უცნობებმა.

ქალი აივანზე გავიდა, ეზოში უცხო ხალხი ირეოდა, სებასტიანეს ელოდა სოფელი, ეზო-კარის ჭიშკრებთან იდგნენ და გზას გასცქეროდნენ. შავი მანქანიდან ვერცხლისფერი კუბო გადმოიღეს. ტელეკომპანიების კორესპოდენტებსა და ოპერატორებსაც მოჰკრა თვალი. სებასტიანესთან შესახვედრად დაიძრა ბარბარე, გრძნობდა, რომ წუთი-წუთზე გული უღალატებდა, მაგრამ არას დაგიდევდათ, სიკვდილს უხმობდა კიდეც, რომ ამ გზით სებასტიანეს შეერთებოდა, ლოდინით დაღლილს მეორე ნახევრის გვერდით ცივ სამარეში ჩანოლა მოუნდა. დაძახილზე თითქოს მოვიდა სიკვდილი და ცივი ხელი ჰკრა, წაიქცა ბარბარე და კიბეზე დაგორდა, ვიღაცამ შეაკავა მისი მოდუნებული, დანებებული სხეული. ტკივილი არ უგრძვნია, მხოლოდ მზე დაბნელდა და ცა გაშავდა.

...

საავადმყოფოში გაახილა თვალი. დილით ახალგაზრდა ექიმი შემოვიდა პალატაში, ლილის მიახლოებას ბარბარემ. მისგან გაიგო, რომ ნეკნები ჩამტვრეოდა და ამიტომ უჭირდა სუნთქვა.

- რატომ დამემტვრა ნეკნები, რა მომივიდა? - იკითხა ბარბარემ.

- თქვენ დაგემართათ ვაზოვატური სინკოპე, - მშვიდად უპასუხა ლილის მსგავსმა ახალგაზრდამ და პალატიდან გავიდა.

ბარბარემ არ იცოდა რას ნიშნავდა ვაზოვატური სინკოპე. შერცხვა ეკითხა, მაგრამ გაიფიქრა, ეგ ალბათ სახელი და გვარია ჩემი სიკვდილის, რომელმაც ზურგი შემაქცია და სებასტიანესთან არ შემაერთა!



დიდხანს უცნობები უვლიდნენ. ენატრებოდა ვინმე თავისი-ანის სახის დანახვა, ნაცნობი ხმის გაგონება. სხვების დახმარებით წამოდგა, მაგრამ ნაბიჯიც ვერ გადადგა. რეაბილიტაციის კურსის სრულად გავლის შემდგომ შეძლებ დამოუკიდებლად სიარულსო. ყოველ დღე ეტლში სვამდნენ და სავარჯიშო დარბაზში მიასრიალებდნენ. ექიმს უჯვრებდა, რახან გადარჩა, მოძრაობაც უნდა შეძლებოდა. დამოუკიდებლად პირველი ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ საავადმყოფოდან მაინც ხელჯოხით გამოვიდა.

როლანდი, მული ეკა და დედამთილი შეეგებნენ, კოცნიდნენ, მასაც სურდა ყველასთვის ამბორითვე ეპასუხა, მაგრამ ამის უნარი დაკარგოდა. სებასტიანეს დედმამიშვილებს სახე შემლოდათ, მათი დედის გამოხედვაშიც მრისხანება გამოსჭვიოდა. მაზლმა მანქანა დასძრა, შურისძიებით აღტკინებული ემუქრებოდა ძმის მკვლელს. სებასტიანეს დედა იწყევლებოდა, მული კი გაიძახოდა, -ღირსია მოვაკვლევინოთ!..

ბარბარეს შიშისაგან გული შეუნუხდა. როლანდმა მანქანა გააჩერა, ბარბარეს კარი გაუღეს, ვერ გადმოვიდა და ჰაერი ხარბად შეისუნთქა, გამოცოცხლდა. მულმა მობილური ტელეფონი ჩართო და ბარბარეს გადასცა. ურეკავდნენ და ზარებს ვერ პასუხობდა, ლაპარაკის თავი არ ჰქონდა.

სებასტიანეს სახლში მიიყვანეს. შინ შვილების და სიძის გარდა, მამა იოსები და დეტექტივი სოსო დახვდა, რომელიც სამზარეულოში ლუკას გვერდით იჯდა. დარდისგან გულამოჭმული ადამიანის თვალებით შეხედა დედას ლუკამ და გულწრფელად გაუღიმა. ტირილისგან ქუთუთოებშემუშებული ლილი სკამიდან წამოდგა, მიუახლოვდა მშობელს და ნაზად მოეხვია. მამა იოსებმაც მკერდზე მიიხუტა ბარბარე, ის ხომ სებასტიანეს მეგობარი იყო. ბარბარეს ლაპარაკი არ შეეძლო, თორემ ყველაფერს ხედავდა, გრძნობდა, აცნობიერებდა. შეამჩნია, დეტექტივ სოსოსა და ლუკას საერთო ენა გამოენახათ. ძლივს ფეხზე მდგომი ბარბარე საძინებელში შეიყვანეს, ხელჯოხი ჩამოართვეს, წამოანვინეს. ეკამ მზრუნველად გადააფარა პლედი და თავითი დაუფდა.



მულის ქმარიც შემოვიდა ოთახში და მწოლიარე ბარბარეს თანაგრძნობით დახედა, სინანულით თავი გააქნია. დაემუქრა, სე-ბასტიანეს მკვლელს, სადაც არ უნდა გაამწესონ არ გავახარებო, მაგრამ შენუხებულმა ბარბარემ თავი გააქნია, რაც ნიშნავდა, არ გინდა, ეგ არ ქნაო. მულის ხელს თავისი ხელი დაადო და მოუჭირა, - მზე დამიბნელდა, ჩემი წილი ცაზე გაშავებულია... უფალმა მიუტევოს იმ საცოდავს, უფალმა!!!

...

ბარბარეს უღონობამ, უმოქმედობამ, მდუმარებამ დიდხანს გასტანა, ამიტომ ოჯახმა მისთვის ფსიქოლოგის მოწვევა მოინდომა, რომ ბარბარეს მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლაში დახმარებოდა. ქალმა ანტიდეპრესანტული პრეპარატების მიღებაზე და ფსიქოლოგთან ურთიერთობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მამა იოსების შეგონებით გადაწყვიტა, არ დასწრებოდა მკვლელის სასამართლო პროცესს. რაც დრო გადიოდა, მით მეტად უმძიმდა მეუღლის ბინაში ცხოვრება, შფოთავდა და გმინავდა, რაც ლილის თვალს არ გამოპარვია, დედას გვერდიდან არ შორდებოდა. მწვანე ბარათიც დაუყენა მობილურ ტელეფონში, ცდილობდა გაემხიარულებინა და ვიდრე მეუღლესთან ერთად უცხოეთში გაბრუნდებოდა, დედას პატიჟებდა კაფეებში, სამხატვრო გალერეებში, კონსერვატორიის მცირე დარბაზშიც მივიდნენ, სტუდენტთა ღია აკადემიურ კონცერტს დაესწრნენ. ბარბარეს გამოხედვა აზრიანი გახდა ჰაიდნის, შუმანის, რაველის საოცარმა შემოქმედებამ, მისი გულიც ჯადოსნურ ჰანგებს უსმენდა, მაგრამ ბარბარეს გულის კვნესას ვერც ღვთიური მუსიკა აჩერებდა. ითხოვა, ჩემს სახლში წამიყვანეთო. სურვილი კი შეუსრულეს, მაგრამ ვერვინ ხვდებოდა, რომ იქ თავს გაცილებით მშვიდად და ლალად იგრძნობდა, ეს მხოლოდ ბარბარემ იცოდა.

მამაპაპისეულ სახლში წელში გაიმართა, მხრები გაშალა, ხელჯოხიც გადააგდო, შრომისუნარიანიც გახდა და ღიმილიც დაუბრუნდა, გააქტიურდა. უკვე შემოსულ ზარებსაც პასუხობდა. ყველას ემადლიერებოდა მოკითხვისთვის, თანადგომისთ-



ვის. მხოლოდ ბატონ მირზას არ პასუხობდა, ვინაიდან თავისი ბზარშეპარული ხმა აშინებდა, თითქოს უცხოთი იყო ჩანაცვლებული და საკუთარის დაბრუნებას ელოდა. უახლეს წარსულში რა აღარ დაეკარგა, მაგრამ დაუბრუნდნენ, ახლაც ასე მოხდებოდა.

- დედა, ცხოვრება ჩვეულებრივ უნდა გააგრძელო!- დაარიგა სანოლზე ჩამომჯდარმა ლილიმ.

ბარბარემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია:-აუცილებლად. ლილიმ გაოცებით შეხედა დედას და გაუღიმა.

- გაინტერესებს, გამოვჯანმრთელდი თუ არა? კარგად ვარ შვილო. რას ვიზამ, ჩემში მხოლოდ სიყვარულია. თქვენი თავი ხომ მყავს! ღმერთმა საოცრება მოგვივლინა, როცა მხოლოდ-შობილი იესო გამოგვიგზავნა სწორად თავისა და ჩემნაირ, შენნაირ მოკვდავებს უფლება მისცა წამებით მოეკლათ, ისევ და ისევ სოფლისთვის ანუ ჩვენთვის. ღმერთმა შვილი დაიბრუნა. მე ვერავის დავიბრუნებ, ვინც ამ ქვეყნიდან გამიფრინდა, მაგრამ ისინი დამელოდებიან იქ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ეშმაკის გზას არასდროს დავადგები.

ლილი დედას მოეხვია და აბუტბუტდა, - ჩემი კარგი დედიკო კარგადაა, დედაჩემი კარგადაა...

...

მოკრძალებული კულტურული ღონისძიებები ტარდებოდა ქალაქში, მაგალითად მწერლის სახლი გამოცოცხლდა, ბარბარე რამდენიმე ავტორის წიგნის პრეზენტაციას დაესწრო და სიტყვითაც გამოვიდა.

ბარბარეს მოთხრობების კრებულები გამოვიდა და პირველი რომანის რუსული ვარიანტიც. ფინანსურად ქოთქოთა დაეხმარა. სამი წიგნის ავტორი კი ბატონი მირზასა და მარგოტის რეკომენდაციის საფუძველზე მწერალთა კავშირში წევრად მიიღეს, აგულიანებდნენ, რომ წიგნების პრეზენტაცია მოეწყო, ახალი ნაწარმოებიც დაეწერა, მაგრამ ბარბარე არ ჩქარობდა. ჯერ კოვიდ-პანდემიის გადაშენებას უნდა მოსწრებოდა და მერე მოაწყობდა მწერალთა სახლში შემოქმედებით საღამოს.



...

ლუკა ღამით რესტორანში ოფიციალტობდა და გულისფანცქალით ელოდა დეტექტივ სოსოს, რომელიც სამსახურიდან გვიან ღამით გამოსული სავახშმოდ შეუვლიდა ხოლმე ასაკით უმცროს მეგობარს. დროს წელავდა, ლუკას ელოდა, რომ ერთად გამოსულიყვნენ რესტორნიდან და ბიჭი თავისი კოხტა მანქანით შინ მიეყვანა, გზად საუბრობდნენ.

სოსო პროფესიით ფსიქოთერაპევტი ყოფილა, მაგრამ პოლიციაში მისულა სამუშაოდ, პირველ ეტაპზე უბნის ინსპექტორად იმუშავია, მერე საგამომძიებლო პროფესიულ კურსებზე უსწავლია და ამგვარად გამხდარა დეტექტივი, ფსიქოლოგიის ცოდნაც გამოადგა. სოსო ბავშვობაში ლუკასავით გულჩახურული ყმანვილი ყოფილა, რაც ხელს უშლიდა მეგობრების შეძენაში. გულის სიღრმეში არავის ენდობოდა, ლუკა ამ მხრივ სოსოს ჰგავდა, არც ამ ბიჭს ჰყავდა სამეგობრო წრე, ვინაიდან ახლოს არვის უშვებდა, სოსომ სხვა მრავალი მსგავსებაც იპოვა ლუკასა და საკუთარ თავს შორის. მამადაკარგული ბიჭი სოსოს მიეკედლა და მისივე ნებართვით ყველგან დასდევდა, მამის თავდაპირველი სამარეც ნახა სამხრეთ საქართველოს ქვად ქცეული ხეების ტყეში, იქვე იდგა მკვლელის უმშვენიერესი სასახლეც, რომლის სარდაფშიც ბუნკერი იყო მოწყობილი, უზარმაზარი საოპერაციო ქირურგიული კაბინეტიც ჰქონდა ფსიქოპატს, ერთ დროს ამ საოპერაციოს მაგიდაზე იწვა მამამისი, რომელსაც მკვლელი თავიდან ტვინს აცლიდა, მკერდიდან გულს გლეჯდა და მუცლის ღრუს სრულად უშიგნავდა. ოსტატურად გაკერილი სებასტიანე, შავ პარკში ჩადებული დაუმარხავს და პირველი მსხვერპლის ადგილსამყოფელისთვის ნიშანიც დაუდევს. გაოგნებულ ლუკას თავი საშინელებათა ჟანრის ფილმის პერსონაჟი ეგონა, სხვა სამარეებიც იხილა, დასაჯერებლად ძნელი რამეები გაიგო მკვლელის ქმედებების შესახებ, მაგრამ ღირსეულად გაართვა თავი ამ ქალის სისასტიკის შედეგების ხილვით მიღებულ მძიმე შთაბეჭდილებებს. მა-



მის მპოვნელის მიმართ ნდობა გაუჩნდა და შეეფარა, რომელიც ბიჭს დარდის განქარვებაში ეხმარებოდა.

სოსო უნაყოფო კაცი იყო. თავდაპირველად ლუკა გარეგნულად მოეწონა, მისმა ხმის ტემბრმაც მიიზიდა. გაესაუბრა და მიხვდა, მოაზროვნე, კეთილშობილ, მაგრამ სათუთად ნაზარდი ახალგაზრდის წინ იდგა, რომელიც არ იყო გულუბრყვილო, მაგრამ ცხოვრებისეული გამოუცდელიობა ეტყობოდა. თავადაც მიეჯაჭვა სუფთა, კრიალა ლუკას. ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ დაზარალებულთა ოჯახების გამწარებულ წევრთა შორის ლუკას თავი განსხვავებულად ეკავა, სიბრაზითა და შურისძიების წყურვილით, მრისხანებით არ მონამლულა, პირიქით, ეცოდებოდა სერიული მკვლელი, მაგრამ რატომ სიამოვნებდა ადამიანთა წამებით დასჯა და სიკვდილი, ვერ ხსნიდა. სასონარკვეთილი კითხვას სვამდა: - რატომ?!

სოსომ უპასუხა: - გასაკეთებელი გაკეთდა, ვიპოვეთ, მიზეზს შენთან ერთად სასამართლო პროცესებზე გავიგებ. ისე კი ეგვიპტელი არისტოკრატით დაუმარხავს მამაშენი, ესეც გაითვალისწინე. ეგვიპტელებიც შიგნავდნენ გარდაცვლილებს და ტვინსაც აცლიდნენ, რომ გვამი ძნელად გახრწნილიყო!- და გულში ფიქრმა გაუელვა, ლუკა სამსახურში წაეყვანა და ოფიციალურად თავის თანაშემწედ დაეყენებინა.

ლუკამ ინგლისური ენა კარგად იცოდა, გერმანულადაც კითხულობდა, მარტივი ტექსტების თარგმანსაც ახერხებდა, მაგრამ ვერ მეტყველებდა, რაც შეეძლო, ისიც საჯარო სკოლის დამსახურება იყო, სადაც გაძლიერებული პროგრამით ასწავლიდნენ გერმანულს და ლუკა სუსტების, “ბე” ჯგუფის კლასში სწავლობდა, არ ჰქონდა ზაფხულობით სხვა მოწინავე მოსწავლეებივით გერმანიაში გამგზავრების სურვილი, ვინაიდან ეშინოდა თვითფრინავით მგზავრობის, უდედოდ ყოფნისაც ეშინოდა, არ შეეძლო საქართველოდან ფეხის გადგმა და თუ ოდესმე მაინც გადაწყვეტდა საზღვარგარეთ წასვლას. უდედოდ მაინც არსად გაემგზავრებოდა. ვალდებული იყო, გერმანული მინი-



მალურად მაინც ცოდნოდა, რომ დამაკმაყოფილებელი ქულა დაემსახურებინა. სერთიფიკატი ვერ აიღო, მაგრამ მასწავლებელი უდავოდ კარგი ჰყავდა, რომელიც ლუკას აგულიანებდა:- იცი რა კარგია გერმანია? იქაური მეგობრები გეყოლება. ისწვლე რა, შეგიძლია, აილე სერთიფიკატი, სკოლას რომ დაამთავრებ შესაძლებლობა გექნება უმაღლესი განათლება გერმანიის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელში მიიღო, თანაც გერმანია სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედრებით ტერიტორიულად საქართველოსთან გაცილებით ახლოსაა, ხან შენ ჩამოხვალ, ხანაც დედიკო გესტუმრება და შენგან ძალიან კარგი ბიჭი დადგება, დაბრუნდები სამშობლოში და დიდ საქმეებს შეეჭიდები, დედის გულსაც გაახარებ!- მაგრამ ბავშვის შიშჩამდგარ თვალებს რომ შეხედა გაჩუმდა, მიხვდა, მამაგადაკარგულ, ტრავმირებულ ბიჭუნას უდედოდ არსად, თუნდაც მინიერ სამოთხეში წუთითაც არ სურდა ყოფნა.

სოსომ ჰკითხა ლუკას,- არ გინდა სამუშაოდ ჩემთან წაგიყვანო?- ბიჭს გაუკვირდა, ამ საქმისა ხომ არაფერი გაეგებოდა, მაგრამ კერძო დეტექტივების ქართველი ხელმძღვანელი რომ გაიცნო, იგრძნო, იმ კაცს დანახვისთანავე მოეწონა და ლუკას თავდაპირველ მსუბუქად დასაქმებაზე უარი არ უთქვამს. ახალგაზრდას დაჰპირდა, მოგვიანებით თეორიული ცოდნის მისაღებად საზღვარგარეთაც გაგიშვებთო.

ფირმის ავსტრიელი მეპატრონე, თავადაც გამომძიებელი, დასთანხმდა სოსოს ნათელი გონების მქონე ახალგაზრდის ფირმაში მოყვანაზე. სოსომ აღნიშნა, ეს ტიპიური ქართველი ყმანვილი ჩემი აღმოჩენაა, მომავალი სტომატოლოგიცაა და კარგ გამომძიებლადაც გამოვზრდიო. ახლა ლუკას სურვილსა და საბოლოო სიტყვაზე იყო ყოველივე დამოკიდებული. თავჩაქინდრული ხელეებს ისრესდა და დედაო თავისდაუნებურად წამოიძახა. სოსო მხრებზე ჩაეჭიდა,- დედაშენს დაველაპარაკებით ერთად, ვიცი, უარს არ იქნება, მასაც ხომ ყოველივე საუკეთესო ემეტება შენთვის! ცხოვრება რთული და სასტიკია, აქ დიდ გამოცდილებას მიიღებ, გაძლიერდები.



გამოძიება დასრულდა და დაიწყო სასამართლო პროცესიც. პანდემიის გამო დარბაზში ხალხმრავლობა არ იყო. ფსიქოპათი არხეინად იჯდა და დამსწრეებს ათვალთვლიერებდა, ლუკა გრძობდა, რომ მამამისის მკვლელი აკვირდებოდა, ბიჭი თვალს არიდებდა, მხოლოდ ერთხელ შეხედა და მისი თვალების შეეშინდა, შინ მისული ღამით ძილში მხოლოდ იმ არსების სასტიკ თვალებს ხედავდა და შფოთავდა. სერიულ მკვლელს მოწმეები არ ჰყავდა, მაგრამ ნაცნობები, რომლებიც სიტყვით გამოვიდნენ, აღნიშნავდნენ, რომ ჩვეულებრივ ადამიანად აღიქვამდნენ, ოღონდ, ყველა ხედავდა, რომ მამა არანორმალურად უყვარდა, რომლის გარდაცვალებასაც ძლივს შეეგუა. წლების მანძილზე დედას ეჩხუბებოდა, მათი ბინიდან ამ გოგოს ყვირილის ხმა გამოდიოდა და მგონი დედას სცემდა კიდევცო, მერე სახლიდან წასულა და სოფლის განაპირას, ტყესთან ახლოს, მამაისის აშენებულ სახლში დასახლებულა. მკვლელი წარმატებული ექიმი იყო და პაციენტებში პოპულარობით სარგებლობდა. ის სებასტიანეს სტუდენტობის დროიდან მოყოლებული იცნობდა და ლუკა მიხვდა, რომ მკვლელს მამამისი უყვარდა. შესაძლოა ეს სებასტიანემ არც კი იცოდა, ან გაიგო და ქალი არ გაიკარა. ნუთუ ამის გამო აირჩია პირველ მსხვერპლად?!

ბრალდებული სიამით ყვებოდა მის მიერ ჩადენილ „გმირობებზე“. ისიც თქვა, რომ თორმეტი ადამიანის თბილი, გემრიელი სისხლი ბროლის ბოკალით შესვა და ამის შემდგომ მათი სულები მამასთან გაუშვა. თავდაპირველად ლუკას ეგონა, რომ მსხვერპლთა სულებს მამა ღმერთთან აგზავნიდა, მაგრამ არა, თავისი ბიოლოგიური მამა ჰყავდა გაღმერთებული, ვინაიდან მამა ღმერთი დიდი ხანია აღარ არსებობს, მოკვდაო. სინანულს არ განიცდიდა, პირიქით, თავი უძლიერეს ადამიანად მიაჩნდა და სჯეროდა, რომ მამა აძლიერებდა პირდაპირ საიქიოდან. და შენი საყვარელი ადამიანი ღმერთად რომ აქციო, მსხვერპლშენიერვა აუცილებელიაო. ყველაზე დიდხანს ლუკას მამაზე ილაპარაკა, მის მიმართ სიმპათიები ჰქონდა, აღნიშნა, კარგი ადამიანი იყო



და ერთადერთი, რომელსაც ჩემთან არ უკეკლუცია, არც რაიმე უთხოვია, უხვეწნია. ვერ გავუშვი ძნელად მოვიპოვე. მე ის წლების მანძილზე მიყვარდა, შემეცოდა კიდევ, მაგრამ მამაჩემს ვუყვარდი და მას შევნირე, ასე სჯობდა!

ამის გაგონებაზე ლუკას გული მოეწურა, კითხვებიც გაუჩნდა, მაგრამ შეკითხვებს მოსამართლე და პროკურორი აძლევდნენ. სერიულ მკვლელს დამცველი არ ჰყავდა, არ მოისურვა.

შენ მამა მოგიკვდა! თქვა ლუკას გულმა, რამაც გაგამწარა. მაშინ ოცი წლისა იყავი, მესმის, სიკვდილმა ყველაზე საყვარელ ადამიანს დაგაშორა, მაგრამ მამაჩემის რა ბრალი იყო?! მამაჩემი რატომ შეგიყვარებდა, როცა დედაჩემი უყვარდა?! დედა დამიქვრივე, მე დამაბოღე, რატომ?!-ეს რომ გაიფიქრა პარალელურად მკვლელმაც შეწყვიტა თხრობა და ლუკას გამოხედა, თითქოს გაიგო, რაც სებასტიანეს ნაშიერმა გაიფიქრა. ლუკამაც შეხედა, ამჯერად გაბედულად და კვლავ შეეშინდა, თავი დახარა.

მოსამართლემ ჰკითხა სერიულ მკვლელს:- როგორ, რა გზებით იტყუებდით მსხვერპლებს თქვენს სახლში?

მკვლელს ირონიულად ჩაეცინა: - მაგაზე ადვილი არაფერია. ჯერ ერთი ახალგაზრდა ვარ, ლამაზიც...

მკვლელმა უცაბედად თხრობა შეწყვიტა, მზერა ლუკას მიაპყრო, ვინაიდან ახალგაზრდა ფეხზე წამოდგა და სასამართლო დარბაზიდან გავიდა. აღარ სურდა ამ ქალის მოსმენა. გარეთ გავიდა, სასამართლოს კიბეებთან შეჩერდა და ფიქრი განაგრძო, რომ სერიული მკვლელის ფსიქიკის სიღრმეებს ჩასწვდომოდა, ვერ შეძლო. მკვლელი არსებობდა, მაგრამ არარეალურ ადამიანს ჰგავდა. მისი მონათხრობი ბოდვა არ იყო, მაგრამ მიზეზი და არგუმენტები, რატომაც სპობდა მაინცდამაინც ორმოცდახუთი წლის მამაკაცების სიცოცხლეს ალოგიკური, აზრები უფორმო და მისგან ვერც ბოროტების ხატი შექმნა. დარწმუნდა, ფსიქიურად დაშლილი, შეშლილი, ავადმყოფი არსება იყო. შებრუნდა სასამართლო სხდომაზე. ბრალდებული კვლავ სებასტიანეზე საუბრობდა:-მხოლოდ სებასტიანესთან გამიჭირდა, მიუხედავად



იმისა, რომ მიცნობდა, ვეხვეწე, შინ შემომყოლოდა, შევიტყუე, დავატყვევე, აღარსად გავუშვი, მიხვდა რასაც ვუპირებდი, მაგრამ დარწმუნებული იყო, მის მოკვლას ვერ შევძლებდი, ამიტომაც არ დავლიე მისი სისხლი და არც დავასახიჩრე, ღირსეულად გავამგზავრე მამასთან. დანარჩენები იდიოტები იყვნენ, მაგრამ საუკეთესონი იმისთვის, რომ მამაჩემი გამეძლიერებინა!..

ლუკა რამდენიმე წუთს იდგა დარბაზში. ფეხზე დგომა ერჩინა, მაგრამ უხერხულობა იგრძნო და როლანდის გვერდით მოკალათდა. ბიძამ ლუკას ჩასჩურჩულა: - ვამპირიც ყოფილა ეს შობელძაღლი, მსხვერპლთა თბილ სისხლს წითელი ღვინოსავით ბოკალით ვსვამდიო, აღიარა, მაგრამ ჩემი ძმის სისხლი არ დაუღევია.

დასრულდა სასამართლო პროცესი. სერიულ მკვლელს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, რომელიც ციხეში დარჩენილ სიცოცხლეს ფსიქიატრთა მეთვალყურეობის ქვეშ გაატარებდა.

ბოლო წინადადება თქვა ბრალდებულმა: - დამნაშავე გგონივართ. დაე, იყოს ასე, დანაშაული ჩავიდინე? კი ბატონო, დამსაჯეთ!

პროკურორები ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობნენ სოსოს. მსხვერპლთა ოჯახის წევრები ლოცავდნენ. ლუკას ბებიაც მოესიყვარულა სოსოს. სასამართლოდან ოჯახთან ერთად გამოვიდა ლუკა, მხოლოდ დედა არ ედგა გვერდით, სოსოც ლუკას ოჯახს შემოუერთდა, სასამართლოს ეზოში დაშორდა ლუკა სოსოს, რომელმაც უთხრა: - არ დამივიწყო ყმანვილო, დამირეკე უახლოეს დღეებში.

...

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ლუკამ გადაწყვეტილება მიიღო, რესტორნიდან წამოვიდა და სოსოს გვერდით, კაბინეტში მოკალათდა. კოლექტივი გულითადად შეეგება დამფრთხალ ახალ თანამშრომელს, რომელიც ყველას ყურადღებით უსმენდა, სოსოს თვალეებში შესცივინებდა და ცდილობდა დავალებები უხინჯოდ შეესრულებინა. ბარბარემ ჯერ არ იცოდა ლუკას ყოფის ფერისცვალების შესახებ, მაგრამ ხედავდა, რომ შვილი ბედნიერი იყო, რასაც სებასტიანეს დაბრუნებას უკავშირებდა. ლუკას



სინდისი ქენჯნიდა, გარშემო არვინ რომ არ იცოდა სადაც დასაქმდა, დედას თქმას ვერ უბედავდა, მაგრამ პირველი გასამრჯელო რომ აიღო, სიხარულმა გააბედინა:- დედა, სოსოს თანაშემწედ დავინყე მუშაობა, აი, პირველი ხელფასიც!

- მოიცა, მოიცა! - გაოგნდა ბარბარე: - ასეთი ნაბიჯი გადაგიდგამს ისე, რომ მე არაფერი მითხარი?

- რა ვიცი, დე, ვიფიქრე, იქნებ ვერ გავართვა თავი და ამიტომაც შევიკავე თავი.

- თუ ასეა, მაშინ დავპატიჟოთ ვახშამზე, რას იტყვი?

- ძლიერ დაკავებულია დედა, გვიანობამდე მუშაობს, თანაც, მამაჩემის სახლში ხომ იყო უკვე.

- თუ არ შენუხდება, როცა ხელს მისცემს მაშინ მოვიდეს აქ, ამ სახლში, ვახშამზე ვპატიჟებ, რომ მადლობა ვუთხრა. ეს საუკეთესო ამბავია, მიხარია!

- იცი, რა კარგი კაცია?

- კი, მეც მომეწონა, მაგრამ შენ მანდ...

- მეხმარება, თავი რომ გავართვა საქმეს, თუმც ჯერ რთული არაფერი დაუვალვია, სხვა თანამშრომლებიც მეხმარებიან, დედა!

- ბევრი არიან?

ლუკამ თავი გააქნია:- ასე, ხუთ კაცამდე უფროსიანად, ჩემი და სოსოს გამოკლებით.

- ჰო, და ყველა დაპატიჟე.

- გმადლობ, დე!

ლუკას ოჯახში სტუმრობას ყველა დასთანხმდა, არც უნანი-ათ, კმაყოფილები დარჩნენ. ადამიანები, კარგა ხანია, ოჯახებში მოლხენას გადაეჩვივნენ. სტუმრობა დიდ ფუფუნებად იქცა და მასპინძლების მხრიდან მოპატიჟებულთა მიმართ უღრმესი პატივისცემის გამოხატულებადაც. სტუმრებმა ბიჭის დედა დაარწმუნეს, რომ ლუკას კარიერული ბიოგრაფია უსაფრთხო, საინტერესო და წარმატებული იქნებოდა. ბარბარემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს ლუკას მიმართ სიკეთის გამოჩენისთვის, თანადგომისთვის, მეგობრობისთვის, ყველაზე მეტად სო-



სოზე გაამახვილა ყურადღება და დალოცა. მისმა გულთბილმა სიტყვებმა დამსწრენი აღაფრთოვანა. დამშვიდობებისას სოსო ლუკას მიუახლოვდა და უთხრა:- მოკლედ, დედაშენი დიდებული ორატორია, გაოგნებული ვარ მისი გამოსვლით, სამადლობელით, მაგრამ ჩვენც მადლობლები ვართ მისი მასპინძლობით და კიდევ, იმით, ასეთი კარგი რომ გაგზარდა.

-არ ვიცი, როგორი ვარ! დედას ლაპარაკი ეხერხება, მაგრამ უკეთ წერს.

სოსო კიდევ უფრო მეტად დაინტერესდა ბარბარეს პიროვნებით:-ვინაა, სად მუშაობს?

ლუკა უხერხულად შეიშმუშნა:- პროზაიკოსია!

-აჰა, გაცელებული მივდივარ!



ამბავი მითორმატი

თათრი ბარათაზი

ლუკა უქმე დღეების შემდგომ სამსახურში გამოცხადდა, სოსომ უთხრა: - დღესაც შენი ოჯახის სანაქებო მასპინძლობა გაახსენდათ, ვერ ივინყებენ და სხვა განყოფილებების თანამშრომლებსაც შენი გაცნობის სურვილი გაუჩნდათ. ძალიან მიყვარხარ, ლუკა, სურთ თვალებში ჩაგხედონ და ახსნან, რატომ გახდი შენ ჩემთვის ასეთი ძვირფასი და საყვარელი ბიჭი. შემოვლენ, გაგეცნობიან და არ დაიბნე, ყველას გაუღიმე, ხელიც ჩამოართვი.

ლუკამ თავი დაუკრა, სახეც წამოუნითლდა და წაილულულა, დედამ შენთვის თავისი წიგნები გამომატანაო, აგრეთვე სოსოსთვის სურდა ეთქვა, შენს მიმართ მეც იგივეს ვგრძნობო, მაგრამ შერცხვა.

-მართლა? ავტოგრაფიც ხომ არის?

ლუკამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. სოსომ მაგიდაზე დალაგებული წიგნებიდან ერთერთი გადაშალა და ბარბარეს წარწერა წაიკითხა, “ბატონ სოსოს უღრმესი პატივისცემით, მადლიერებით და კეთილი სურვილებით, ავტორისგან!” ესიამოვნა და სინანულით ამოიხვნეშა: - დრო არ მაქვს, ამ წიგნებს შვებულების დროს თუ წავიკითხავ, მაგრამ აუცილებლად წავიკითხავ!-ლუკას გაუღიმა, კარებთან ახლოს საკიდზე ჩამოკიდებული ქურთუკში ხელი ჩაყო და ორი თეთრი ბარათი ამოიღო, ლუკას მიაწოდა.

- ეს რა არის? - იკითხა ახალგაზრდამ.

- აბონემენტებია. ხვალიდან კვირაში სამჯერ ივლი შერეული საბრძოლო ხელოვნების შემსწავლელ კლუბში, სამ დღესაც სროლის გაკვეთილებზე, გაზაფხულზე ცურვაზეც ივლი, გაგეხარდა?

ლუკა დაიბნა, მაგრამ თანხმობის ნიშნად სოსოს თავი დაუკრა და თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა. სოსო მიხვდა, რომ ახალგაზრდა მადლიერების ძლიერმა გრძნობამ ააცრემლიანა და გაუხარდა.



...

ლუკას შინ არ ყოფნის გამო დედა დღეებს და ზოგჯერ ღამეებსაც მარტოობაში ატარებდა, მაგრამ ბევრს ფიქრობდა და კმაყოფილი იყო შვილის არსობრივად შეცვლილი ყოფით. ვაჟიშვილი წესრიგსა და დროის მართებულად გადანაწილებას ეჩვეოდა. რეალობა უჩვეულოდ უცნაური და გაუგებარი იყო, რომელმაც ძალზედ ჭკვიანი ადამიანებიც დააბნია და არვინ იცოდა რა მეთოდებით დაელაგებინათ აზურდულ-დაბურდული სამყარო. ადამიანი ზოგადად გარემოს პროდუქტია და თავადაც შეუძლია მასზე ზემოქმედება, თუ არსებულ ვითარებას დააკვირდება და მოვლენების წარმოქმნის, განვითარების მიზეზების შესწავლას მოახერხებს. კოვიდ 19-მა და პანდემიამ, კაცობრიობა დაადამბლავა და თითქოს კიდევ რაღაც სხვა, შავი ძალა ხელოვნურად ცდილობდა ამგვარად ყოფნის გახანგრძლივებას და ადამიანები არა თუ ახლობლებს, საკუთარ თავსაც ეკარგებოდნენ. ლუკამ ახალ სამსახურში სოსოს გვერდით საკუთარი თავის პოვნა შეძლო, მაგრამ მას ჯერჯერობით ყოფიერების მანკიერებების გაქარწყლება არ შეეძლო, მაგრამ სამყოფი ენერგიაც ჰქონდა, არსებულ რეალობას დადებითი მხრით მორგებოდა. დრო საინტერესოდ, ნაყოფიერად გაეხარჯა, სხვათათვისაც და საკუთარი თავისთვისაც სასიკეთოდ ემოქმედა. აი, ეს უხაროდა დედას და უფალს მადლობას სწირავდა სოსოს გამოჩენისთვის, რომელსაც არსებულ გარემოზე ამაღლებულ ადამიანად აღიქვამდა. ეს კაცი ლუკას ზნეობრივ ჩამოყალიბებაში ბუნებრივად ნიშანდობლივ მონაწილეობას იღებდა ისე, რომ ამის შესახებ შესაძლოა თავადაც არ სცოდნოდა.

ლუკა ძველი უბნის ბინაში გამთენიისას მოვიდა. დედა ჩაბნელებულ ოთახში დივანზე ჩაფიქრებული იჯდა. თავს დაადგავრატომ არ გძინავს?

- გელოდებოდი, ამდენ ხანს სად იყავი?
- სოსომ საჭესთან დამსვა, ვვარჯიშობდი.
- მანქანას ატარებდი?



- მეგონა დამავიწყდა, ნიშნების დანიშნულებაც არ დამვიწყებია. შესაძლებელია შენი მძლოლობაო, ასე თქვა სოსომ. გილოცავ, დედა!

ძლივს დასრულებული იანვრის შემდეგ თებერვალის მოვიდა და ბარბარემ იფიქრა, ლუკა ხეში წყლის ჩადგომას მილოცავსო, მაგრამ შვილი მწვანე კოვიდ-პასპორტების გაუქმებას ულოცავდა. დაღლილი იყო ლუკა, ძლივს წამოდგა და დასაძინებლად წავიდა. ბარბარე სასტუმრო ოთახში დარჩა, არ ეძინებოდა, ენერჯის მოზღვავება იგრძნო და სამზარეულოში შევიდა, კიბე შეიტანა, რომ სათავსოდან მუყაოს დიდი ყუთი ჩამოეღო, რომელშიც ძველი, გამოუსყიდვარი ნივთები ელაგა. მუყაოს ყუთი მაგიდაზე დადო, თავი ახადა, შიგ ჩაიხედა და ბავშვობის დროინდელი ნივთები ამოალაგა. ნაძვის ხის ძველი სათამაშოები, რამდენიმე საბავშვო ძველი წიგნი, ცელოფანით შეფუთული პლასტმასის და რეზინის თავიანი თოჯინა, ბენვიანი პატარა დათუნია. იქ სხვა ნივთიც იდო, მაგრამ თვალში მოხვდა ფაიფურის თეთრი სამელნე, ნითელი კალამი, რომლითაც ნულოვან კლასში სავარჯიშო რვეულში ქართული ასოების გამოყვანას სწავლობდა. ჩემმა ბავშვებმა ჩვეულებრივი კალმით ისწავლეს წერაო, გაიფიქრა, ნივთები ყუთში დააბრუნა, ვერ გაიმეტა გადასაყრელად და ცარიელი ფაიფურის სამელნე საძინებელში შეიტანა და სამუშაო მაგიდაზე თავდახურული ნოუთბუქის ზედაპირზე დადო. სანოლს გადასაფარებელი გადააძრო, ოთხად მოკეცა და ცარიელ სამელნეს, რომელშიც ნითელი კალამიც იდო, ღიმილით გამოხედა. სამელნემ სიბნელეში გაანათა. ქალს გაუკვირდა, სანოლზე ჩამოჯდა, ნივთისთვის თვალი არ მოუშორებია. სამელნე კვერცხის ფორმის ნათელ გარსში გაეხვა, ანთებულ ნათურას დაემსგავსა და გაძლიერებულმა ნათებამ ჩაბნელებულ ოთახსაც მკრთალი შუქი მოჰფინა. სამელნეს გაყინული თითები შეახო, სითბოს გამოსცემდა, თითქოს სუნთქავდა. სათუთად აიღო და ხელის გულზე დადებული სასტუმრო ოთახში გაიტანა, უზარმაზარი, მრგვალი მაგიდის ცენტრში



სათუთად დადგა. სანერკალამი ამოვარდა სამელნეს ხვრელიდან და მაგიდაზე დავარდა. სამელნე შეინძრა, მოყვიტალო ნათების ფონზე მყარ ვერცხლისფერ კვერცხად იქცა, რომელიც ბარბარეს ბავშვობაში პოპულარულ სათამაშო ბზრიალასავით ამოძრავდა, სასიამოვნო ხმას გამოსცემდა, ჰარმონიულად შრიალებდა და ბარბარეს არ შეშინებია, უმზერდა სანახაობას, არც გაჰკვირვებია, რასაც უმზერდა და უკეთესის მოლოდინით აღტკინებული თვალეზგაფართოებული შესცქეროდა განვითარებულ მოვლენას, მაგიდასთან ქალის სახე გამოჩნდა, რომელიც უცნაური, ამოუცნობი ღიმილით დასცქეროდა ვერცხლისფერ ბზრიალა კვერცხად ქცეულ სამელნეს. ნაცნობი სახე ჰქონდა, თავდაპირველად მარიამ ღვთისმშობელს მიახლოებდა, მაგრამ დააკვირდა და ლეონარდო და ვინჩის მიერ შექმნილი მონა ლიზას ნაკვთებიანი დაუფინყარი სახე ამოიცნო. ჯოკონდასავით ძველებურ ყაიდაზე, ყავისფერი სამოსით იყო ქალი შემოსილი, ოღონდ გრძელი წამწამები და გადარკალული სქელი წარბები ჰქონდა. ჯოკონდამ მზერა ბარბარეზე გადაიტანა, არისტოკრატიული თხელი ტუჩებით გაულიმა და უცბადვე გაჰქრა. ნივთსაც თავისი ფორმა დაბრუნებოდა, თუმც კვლავ ვერცხლისფრად ანათებდა და მისი ხვრელიდან პანანინა, ერთი ციდა არსებები ამოფრინდნენ, ოთხნი იყვნენ, დაიწყეს ფრენა, ბარბარე თვალს ადევნებდა მათ მოძრაობას და უსაზღვრო სიხარულს განიცდიდა. იგრძნო, რომ გულიდან მიძიმე სევდა გამოეცალა. საკუთარი გულის სიმსუბუქეს მკვეთრად გრძნობდა. ეს არსებები თავიდან ნელა დაფარვატებდნენ. ერთი მისკენ გამოქანდა და ჩიტივით მარჯვენა მხარზე დააჯდა. ბარბარემ შეხედა, დააკვირდა, ოქროსფერკულულა ბიჭუნა იყო, ზუსტად ისეთი, სასტუმრო ოთახის ჭერის მარჯვენა კუთხეში რომ მოკალათებულყო და ცნობისმოყვარე თვალებით იმზირებოდა. მიხვდა, დაპატარავებული ჭერის ანგელოზები დაბრუნდნენ, უფრო სწორად წლების წინ კი არ გამქრალიყვნენ თურმე, დაციცქნებულნი იმალებდნენ და ახლა ამგვარად დაენახვნენ ბარბარეს. შესაძლოა, ბარბარემ



ნლების წინ ანგელოზები თავისდაუნებურად ყუთში გამოამწყვდია და სამელნეში ჩაძვრნენ, იმალეზოდნენ და იქიდან ველარ ამოდოდნენ. ამ ღამეს კი თავისუფლად ფარფატის შესაძლებლობა მიეცათ. სამმა ბიჭუნამ ბარბარეს გარშემო ფარფატი დაინყო, მეოთხეც აუფრინდა მხრიდან და იმათ შეუერთდა. სხეულისკენ ჩამოიწვივნენ, ფრთებიდან სითბოს აფრქვევდნენ. სიამოვნებისგან გაბრუებულ ბარბარეს რამდენიმე წრე დაარტყეს, გაეცალნენ, გაიფანტნენ, ოთხივ კუთხით გადანანილდნენ და სასტუმრო ოთახის კედლებს შეერწყნენ, თითქოს კედლებში შეფრინდნენ და მიიმაღნენ. ცაზე მზეც სუსტად ანათებდა და ქალმა ბინის ყველა ფანჯარა გააღო, სუფთა ჰაერი შემოუშვა. ბავშვურად აღტაცებული დაიარებოდა. მოგვიანებით ფანჯრის რაფას დაეყრდნო, ჩაფიქრდა და დაასკვნა, რომ ადამიანის ბედი წინასწარ კი არ იწერება, ხელდახელ იქმნება, წარამარა იცვლება ხელშემწყობი და წარმოქმნილი წინააღობების გამო. ცხოვრება წინ საცდურებს გვახვედრებს, გვაბნევს და სწორად აღებული გეზიდან გვახვევინებს. უარყოფითი ზეგავლენებისგან თავის დაცვა ძალზედ ძნელია, მაგრამ თუ კაცი გონიერია, შესძლებს, უსარგებლო, საზიანო რამეებს თავი აარიდოს. კორონა ვირუსიც ხელდახელ შექმნილი საყოველთაო ბედისწერააო გაიფიქრა ბარბარემ. ახლა, ამ წუთს, კორონა ვირუსის ომიკრონის შტამი დომინანტობდა. ადამიანები კი მაინც ჯიუტად განაგრძობდნენ ბრძოლას, პანდემია ლოგიკური დასასრულის საწყისამდე მიეყვანათ, ზოგ ქვეყანაში ამკარად გამოუმუშავდათ ვირუსისადმი პოპულაციური იმუნიტეტი, მაგრამ ამ სიკეთის გამოვლენას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა და კორონამ მაინც მოახერხა ქვეყნიერების დასახიჩრება, იმიტომ, რომ ის ადამიანებს იზოლაციისკენ მიდრეკილებს ხდიდა და ასოციალურობას აიძულებდა... მიუხედავად ამისა, ავად თუ კარგად სამყარო მაინც გადადიოდა პოსტკოვიდურ მდგომარეობაში, რაც იძულებითი მარტოობისგან გათავისუფლების იმედებს ჰბადებდა. ყველაფერს აქვს დასასრული, უსაზღვრო ბოროტებასაც!



ღამით, ქერის ანგელოზების ხილვამ ბედნიერი დილა დაუყენა ბარბარეს. სევდა განეშორა, წლების მანძილზე რომ სტანჯავდა. გულმა ანგელოზების დახმარებით მოუნელელებელი ტკივილი გადახარშა, დასძლია, გათავისუფლდა და გალალდა, მაგრამ სულში ჩარჩენილ სიმძიმეს არაფერი ეშველა. სულის შემადგენელი ნაწილი ინტუიცია მაინც ბობოქრობდა, მაგრამ რატომ, ვერ აცნობიერებდა, თანაც, ყოველთვის ეგონა, სული გულთანაა შერწყმული და მასში ცხოვრობსო, ასე რომ არ ყოფილა მიხვდა. მხოლოდ ადამიანებისთვის განკუთვნილი უფლის მიერ ნაბოძები სათნო ცეცხლის ნაპერწკალი დამოუკიდებელ, ყოვლის მომცველ ენერგიას ძალუძს შეაძლებინოს პიროვნებას შესწვდეს და მიემსგავსოს უფალს და ეს მთავარი რამ, რაღაც უსახელო საფრთხის მოლოდინს აგრძნობინებდა. გონება დაძაბა, ღვთის ბოძებულის არსში ჩაბუდებულ ინტუიციას ჩაებლაუჭა და განგაში განიცადა. დღეები გადიოდა და ბარბარე ფიქრობდა, ნეტავ კიდეც რა უნდა მოხდეს იმაზე უარესი, რაც სახეზეა, თავი გაგვჭირვებია გვჭირს და კიდეც უარესის უნდა მეშინოდეს?!

2022 წლის ხუთ თებერვალს ბარბარე მთელი დღის განმავლობაში საკუთარ თავთან მონოლოგის გამართვით იყო გართული. საკუთარ ცხოვრებას გადახედა: ქალიშვილის გათხოვებას, შემდგომ მის საზღვარგარეთ ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ბოლო ჟამს ლუკას დაუსრულებლად ლოდინს, უმუშევრობას, ჩაკეტილობას შევეგუე. სებასტიანეც დაბრუნდა. ცხოვრება თავისდაუნებურად გაგრძელდა. ჩემს თავს კარგიც და ცუდიც ხდებოდა პანდემიის გამოცხადებიდან დღემდე! ყოფა თვალსა და ხელს შუა გადასხვაფერდა, რაც ძნელად შესაგუებელია, მაგრამ ახალი ადამიანებიც გამოჩნდნენ, რომელთა წყალობითაც პანია წარმატებებიც იყო, რომელსაც ჩემში დიდად სასიამოვნო განცდები არ გამოუწვევია. ვინმეს რომ გავახსენდებოდი და მომიკითხავდა, ფინანსური შეჭირვების ჟამს ფულს უყოყმანოდ რომ მასესხებდა, ვინც მომენდობოდა, ვინც ერთ-ორ გა-



მამხნევებელ სიტყვას შემანევდა, კაფეში მეგობართან ფინჯან ყავას რომ დავლევდი, ახლობელთან ვისაუბრებდი და ქალაქის ქუჩებში თუნდაც მარტო რომ დავბორიალობდი, ეს უფრო მიხაროდა, ვიდრე ის, რომ რამდენიმე წიგნის ავტორი გავხდი, ჩემი ნაშრომი უცხო ენაზეც რომ ითარგმნა. ღირებულებების გადაფასება შევძელი. რაც და ვინც გამაჩნია ამ ქვეყანაზე მადლობელი ვარ, მაგრამ ინტუიციავ, რას მიმანიშნებ, ვერა და ვერ ვხვდები! იმას, რომ ხელოვნურად შექნილ ჯოჯოხეთში ამოვყავი თავი და ვხედავ ადამიანები გაცილებით შეგნებულად გაბოროტდნენ? რუსეთმა რომ შესაძლოა უკრაინასთან ომი გააჩაღოს?! უფალო დაგვიფარე!!! ამგვარად მსჯელობდა ბარბარე, როცა საძინებელი ოთახის კარის სახელური თავისით ჩამოინია და ფართოდ გაიღო, თითქოს ვიღაც შემოვიდა და ფიზიკურად არ ჩანდა. წამოწოლილი ბარბარე უნებლიედ სანოლზე წამოჯდა, უცნაური ქრაჭუნის ხმა ჩაესმა ყურში და სახლიც ამოძრავდა, ღამე იყო, ოცდაორი საათი და ოცდასამი წუთი, ეზოდან ხმაური არ ისმოდა, ყველა შინ იჯდა და ჩუმად ეგებებოდა მიწის ძვრას, რომელიც გაბრაზებულ ხმასაც გამოსცემდა. ღვთის წყალობით, არავინ დაზარალებულა, ბიძგები ექვსი ბალისა იყო, ამბობდნენ მომდევნო დღეებში. დედამინამ თავისებურად გაიბრძოლა ბოროტების წინააღმდეგო, გაიფიქრა ბარბარემ და მკერდის ფიცარზე უცნაური ტკივილი თავს დაესხა, რომელმაც გარედან შიგნით გადაინაცვლა, ხარის ცხელ ორ რქად გადაიქცა და ბარბარეს გულს დაეჭაკა, შუაზე გახლიჩა, მაგრამ გულმა მაშინვე განმრთელება დაიწყო და ბარბარე მიხვდა, რომ გული ამ ეტაპზე არ უღალატებდა. წამალი შეაშველა, რომ ფეთქვა დაუბრკოლებლად განეგრძო. ხელის მტევნები დაუბუჟდა, გაეყინა და ქალი ამოძრავდა, ჩაბნელებულ ბინაში დაიწყო ბორიალი, გონება გამოუფხიზლდა, ბარბარეს გულს შეეკამათა:

- რისი გეშინია, გულო!

- ომის დაწყების რუსეთსა და უკრაინას შორის! - ამოსძახა გულმა გონებას.



- გაგიჟდი?! ღმერთმა ნუ ქნას, ხომ გესმის, რასაც ამბობენ, კორონა ვირუსის მიერ დაპყრობილ დედამიწაზე რუსეთი ომის ნამონყებას ვერ გაბედავსო.

- გაბედავს და შესაძლოა ბირთვულ ომაც გადაიქცეს.

- გაჩერდით! - დაიყვირა ბარბარემ, შეშფოთებულს მოეჩვენა, რომ სიბნელეში საკუთარი ჩრდილი დაკარგა და იგრძნო, ახალი სატკივარი ბინდის სახით მოდიოდა, მაგრამ მაინც წამოიძახა: - ახალი ბინდი გვიახლოვდება, მაგრამ ამასაც მოვერევით!



სარჩევი

ავტორისგან	3
ამბავი პირველი	7
კომენდატის საათი	7
ნაცრისფერი	7
შავი	14
ლურჯი	22
მწვანე	37
ნარინჯისფერი	43
თეთრი	51
ამბავი მეორე	58
ბატონი სევდა	58
ამბავი მესამე	89
გალუმპულები	89
ამბავი მეოთხე	102
ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ	102
ამბავი მესამე	121
მარტივი ოცნება	121
ამბავი მეექვსე	128
მისტერიები	128
ამბავი მეშვიდე	153
გრაფიკოს-ფერმწერი და საქსოფონისტი	153



ამბავი მერვე

მსგავსება 173

ამბავი მეცხრე

საბოდიშო 188

ამბავი მათე

ანგელოზი 194

ამბავი მეთერთმეტი

სიყვარულის ვარიაციები 199

ამბავი მეთორმეტი

თეთრი ბარათები 253



www.mtsignobari.ge

დაბეჭდა შპს „მნიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71



ISBN 978-9641-503-10-8

